

504 /3
1938 6. 1

04/10/84
2023-01-06 00:00:00

МАТЕРИАЛЫ
ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

ВЫПУСК

I

Ш. ЧХЕТИЯ

К ИСТОРИИ ТБИЛИСИ

ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР

ТБИЛИСИ * 1938



୨୧୯୦ ମଧ୍ୟ ଅଙ୍କ

୩

- ”ଅବାନ୍ତିକ କାର୍ଯ୍ୟକୀ“—୨, 160, 161, 164
ଅବାସ-ଅବାଦିଳି ମନ୍ଦିରାନ୍ତି (ପ୍ରତି.)—୧୯
ଅବ୍ୟସାଲାଭମନ୍ଦିର ବ.—101, 105
ଅବ୍ରାମନ୍ଦିରକିରି ବ.—105
ଅବ୍ରାମନ୍ଦିରକିରି ଚ.—64
ଅବୁଲାଦ୍ଵୀ ଉଲ.—133
ଅଫ୍ରଣ୍ଡି (ଜ୍ଞାନ.)—57
ଅଫାକ-କାନ-ମେଲାକ-ମେଖରାବନ୍ଦିର—108, 180
ଅଗାମନ୍ଦିର ଥ.—28
ଅଗଲାବାରି—58, 62, 91, 101, 103, 111, 146,
160, 163, 165, 179, 187, 202, 206
ଅଗଲାବରିଲି ମନ୍ଦିରାନ୍ତି (ପ୍ରତି.)—82, 146, 196,
ଅନ୍ତେରବାବିଜାନି—12, 20
ଅନ୍ତେରବାବିଜାନି ଉପର୍ଦ୍ରବାରକ୍ଷିତ—12
ଅନ୍ତିବାବିଜାନି—16, 28, 49, 57, 76, 77, 78, 79, 80,
81, 171
ଅନ୍ତିବାବିଜାନି—ନେ. ମତିର୍କ ଅନ୍ତିବାବିଜାନି
ଅନ୍ତିବାବିଜାନି—122
ଅକାଶନ୍ଦିର ଚ.—28
ଅକାଶନ୍ଦିରାନ୍ତି—11, 87, 116, 117
ଅକାଶନ୍ଦିରାନ୍ତି—28
ଅଲ୍ଲେଖ୍ସାନଦ୍ରେଷ୍ଟରନ୍ଦିରି ମନ୍ଦିରାନ୍ତି—108, 180
ଅଲ୍ଲେଖ୍ସାନଦ୍ରନ୍ଦିରି ଦାଲି (ପ୍ରତି.)—59, 108,
111, 122, 147, 161, 179, 206
ଅଲ୍ଲେଖ୍ସାନଦ୍ରନ୍ଦିରି ମନ୍ଦିରାନ୍ତି (ପ୍ରତି.)—202
ଅମ୍ବରିକା—57
ଅମ୍ବରିକା ବ.—5, 17, 28, 30, 31, 37,
38, 42, 52, 58, 76, 78, 81, 88,
91, 104, 122, 126, 146, 151, 160,
169, 193, 195, 198, 200
ଅମ୍ବରିକା କାଲତା ନିର୍ମାଣକାରୀ (ପ୍ରତି.)
—73, 74, 75, 105, 168, 177, 203
ଅମ୍ବରିକା କାଲତା ନିର୍ମାଣ ପାଲାତ୍ମା—104,
177
ଅମ୍ବରିକା କାଲତା ନିର୍ମାଣ ପାଲାତ୍ମା—106, 178

- ଅମ୍ବରିକା କାଲତା ନିର୍ମାଣ ପାଲାତ୍ମା—126, 128
ଅମ୍ବରିକା କାଲତା ନିର୍ମାଣ ପାଲାତ୍ମା—104,
177
”ଅମ୍ବରିକା“—51, 84, 85, 86, 87, 101, 103,
140, 141, 145, 197, 198
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ଉ.—105
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—18, 19, 21
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ମତା—159
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—91, 116
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ମତା—58, 59,
160, 161
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ମତା—166
—106, 178
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—25
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—103, 141
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—79, 188
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ସାନ୍ଦର୍ଭ. ମତା—110, 200
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—22, 57
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ମତା—ନେ. ”ମିଦାମଦା“
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—132
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—83
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି (ଜ୍ଞାନିମାନି)—83
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—26, 66, 166
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ମତା—20, 21, 22, 23,
24, 25, 27, 28, 31, 137, 138, 146
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି ମତା—15, 19, 24,
36
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—57
”ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି“—97, 175
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—ନେ. ମତା—
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—13
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—13
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—18, 21, 24
ଅନ୍ତର୍ଦ୍ରବନ୍ଦିକାଶ୍ରିତି—13



საქართველო
ეროვნული ბიბლიოთეკი

- ბაგრატიონ-მუხრანსკი გ.—106
 ბადრიაშვილი ნ.—9, 14, 17, 20, 22
 ბავშვთა თავშესაფარი—73
 ბათომი—78
 ბაჯურაძე ი.—78
 ბაკურ მეფე—16
 ბალკანეთის ნახევარკუნძული—24
 ბარიატინსკი—59, 93, 99
 ბარსელონა (ქალ.)—57
 ბარტოლომეი ი.—106, 134
 ბატონიშვილი ღ.—56
 ბაქო—12, 38, 52, 78, 79, 188
 ბაქრაძე ღ.—10, 38, 56, 57, 59, 76, 78,
 84, 117, 206
 ბალდათი (ქალ.)—20, 57
 ბალის ქუჩა (ტფ.)—73
 ბაზ-ბეჭქ მელიქოვი—101
 „ბაყალხანა“—91
 ბეგიაშვილი თ.—73
 ბეგიევი კ.—11
 ბელგია—30, 78, 146, 188
 ბელოკუროვი ს.—28
 ბერია ლ.—5, 42
 ბერეჟ ად.—106, 132
 ბერძენი (ერ.)—71, 190, 208
 ცერძენვი ნ.—10, 38, 57, 59, 76, 78, 84,
 96, 117, 206
 ბიძანტია—18, 19, 20, 24
 ბიკოვის აგურის ქარხანა—118, 182
 ბირჩალო—83
 ბორჯომი—109, 180, 187
 „ბოსტნის ურემი“—91
 ბოსტონი (ქალ.)—57
 ბოტანიკური ბაღი—60, 92, 146, 147, 162
 ბორის მარი—16, 20, 28
 ბურხარდ[ტ]ი—44, 45, 46, 157
 ბუტკოვი პ.—25, 28
 ბულა-თურქი—20
 ბუხარა—28
- 8
- საბრიელ (ეპისკ.)—134
 გაგარა (ვაჭ.)—24, 113
 განხა (ქალ.)—27
 განი კ.—10, 17
- განაცელები კირაკოს—22
 გამბა (საფრ. კონსული)—28, 71
 გამყრელიძე გ.—84
 გარეთუბანი—58, 60, 160, 161, 187
 გენუა (ქალ.)—27
 გეოგრაფიული საზოგადოება—150
 გერმანი—27, 150
 გერმანელი (ერ.)—69, 149, 190, 208
 გერმანელთა ახალშენი—58, 61, 62, 63,
 147, 160, 163, 187, 189
 გერმანული სახელოსნო სასწავლებელი
 (ტფ.)—75
 გერცენი—101
 გზათა მიმოსვლის VIII ოლქი—106, 178
 გიდანი (სოფ.)—202
 გიმნაზია—74, 75, 203
 გიორგი V (მეფე)—23
 „გიორგობა“—97, 175
 გიულდებრტედტი—26, 113
 გრინვიჩი—56
 გრიშაშვილი ი.—8, 60, 62, 83, 84, 85,
 91, 92, 93, 94, 95, 97, 101, 113
 გოზალიშვილი გ.—34
 გოლოვინი ა. (მთავარსარდ.)—35, 56, 59,
 99, 100
 გოლოვინის პრისპექტი—59, 108, 161,
 165, 204, 206
 გორი 109, 180, 187
 გორგი (ქალ.)—57
 „გორხანა“—60
 გუდოვიჩი—99
 გულიშამბაროვი ს.—84
- დ
- დარუბანდი—20
 დასავლეთის ქვეყნები—23, 24, 25, 137
 დასავლეთ საქართველო—24, 36
 დაჩი (მეფე)—16
 დეზოლმი—29
 „დიდება“—172
 დიდი ბრიტანეთი—150
 დიდუბე—61, 63, 147, 163, 165, 202
 დიდუბის მინდორი—164
 დიპლომატიური განცელარია—31, 104
 177
 დიუმა ა.—13, 113

სსრპ მეცნიერებათა აკადემიის სამართლებრივი უზრუნველყოფა
მნიშვნელოვანი და მატირ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.

გერმანული და ინგლისური ენების მიერ გამოცემის

მასალები

სამართველოს და კავკასიის ისტორიისათვის

ნაკვეთი

I

მ. ჩხერიძე

ტფილისის ისტორიისათვის

სსრპ მეცნიერებათა აკადემიის სამართველოს ფილიალის გამოცემაზე

ტფილისი * 1938



დაიმურნეთ საქართველოს მთავრობის
საქართველოს ფინანსთა მინისტრის

თავმჯდომარე პროფ. გ. მ უ ს ხ ე ლ ი მ შ ი ლ ი



Напечатано по распоряжению

Грузинского Филиала Академии Наук СССР

Председатель проф. Н. И. Мусхелишивили

რედაქციონი პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა

შესავალი

1

1933 წელს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტისა და ტფილისის ქალაქის საბჭოს გაერთიანებულ პლენურზე ამხ. ლ. ბერიამ წამოაყენა საკითხი ჩვენი დედა-ქალაქის—ტფილისის—გენერალური რეკონსტრუქციისა და მისი სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად გადაქცევის შესახებ¹; იმავე დროს ამხ. ლ. ბერიამ თავის სიტყვაში დასახა ის მთავარი და ძირითადი ღონისძიებებიც, რომელთა გატარება ცხოვრებაში უზრუნველყოფდა ამ მიზნის რეალიზაციას².

ტფილისის ქალაქის საბჭო, პარტიისა და პირადად ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, მას შემდეგ მძაფრ და ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ამ მითითებათა საფუძველზე იმ მიზნით, რომ საცხებით ლიკვიდირებულ იქნას ძველი, დრომომჟმული საქალაქო მეურნეობისა თუ ყოფა-ცხოვრების ნაშთები, რომელიც ნაანდერძევი არის განვლილ, რევოლუციამდელ ეპოქიდან, და მის ნაცვლად შეიქმნას კეთილმოწყობილი, ახალ (სოციალისტურ) პირობებთან შეთარდებული, რაციონალური საქალაქო მეურნეობა, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით.

¹ საკითხის წამოყენება და ამხ. ლ. ბერიას უშუალოდ ჩარევა ამ საქმეში გამოწვეული იყო არა მარტო იმ გარემოებით, რომ ამ დროისათვის (და მანამდეც) საბჭოთა კავშირში საერთოდ ქალაქების რეკონსტრუქციისა და მათი სოციალისტურ ქალაქად გადაქცევის საკითხი პარტიისა და ხელისუფლების მიერ ფართოდ იყო დასმული, არამედ იმითაც, რომ ამ დროს ტფილისი, აღმშენებლობის მასშტაბითა და ტემპებით, წინანდელი ხელმძღვანელობის უმოქმედობისა და უყაირათობის წყალობით, ერთობ ჩამორჩებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ქალაქებს.

² ლ. ბერია, ტფილისი უნდა გადაიქცეს ამიერ-კავკასიის სანიმუშო ქალაქად, ტფილისი, 1933 წ.

მრავალური განვითარებული სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამჟამად ჩვენ თავად ვართ იმის უშუალო მოწმენი (და მრავალური უნივერსიტეტი შემთხვევაში მონაწილეობის), თუ როგორის სწრაფი ტექნიკით და ფართო მასშტაბით შენდება მას შემდეგ ტფილისი, მიუხედავად იმ მავნებლურ მუშაობისა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში, როგორც ახლა უკვე გამორკვეულია, ეწეოდნენ თურბე ხალხის მტრების, ტროცკისტ-დივერსანტების, ნიღაბაფარებული აგნენტები და ნაბოლარები. მიუხედავად ამ უკანასკნელთა ვერაგულ და მავნებლურ „მრღვაწეობისა“, ტფილისი ყოველდღიურად და ყოველ საათობით იზრდება და მშვენიერდება ჩვენს თვალწინ ახალი (სოციალისტურ ქალაქად გადაქცევის) მიმართულებით¹: სხვადასხვა დარგის ფაბრიკა-ქარხები, მატერიალურ-ფინანსური ბაზით უზრუნველყოფილი სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები (მუზეუმები, თეატრები, კლუბები), უმაღლესი, საშუალო და დაწყებითი სასწავლებლები, კვლევითი ინსტიტუტები და კაბინეტები, საავადმყოფოები, ახლად გაშენებული საცხოვრებელი ბინები, განიერი და ასფალტიანი ქუჩები, ხიდები, მოედნები და ხეივნები, გაუმჯობესებული საქალაქო ტრანსპორტი (ფართოლიანდაგიანი ტრამვაი, ტროლეიბუსი და ავტობუსი), მწვანე მასივები და დასასვენებელი პარკები, კეთილმოწყობილი წყალსადენი, კანალიზაცია და მრავალი სხვა—ყველაფერი ეს ტექნიკისა და ხუროთმოძღვრების უკანასკნელი სიტყვის საფუძველზე, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, გეგმიანი და დაძაბული მუშაობის შედევრად მოპოვებული მიღწევებია, ტფილისის დღევანდელ, თითქმის ნახევარმილიონიან შერომელ მოსახლეობის² შეძლებულ და სამურ ცხოვრებისათვის განკუთხნილი³.

¹ თავისეთავად ცხადია, რომ 1932—33 წლის შემდეგ, პარტიის ხელმძღვანელობით, ტფილისის რეკონსტრუქციის ხაზით წარმოებული მუშაობის შედევრები გაცილებით უფრო თვალსაჩინო და ეფექტური იქნებოდა, რომ ტფილისის საბჭოში მავნებლები და ხალხის მტრები არ მოკალათებულიყვნენ, მაგრამ მაინც 1933 წელი ახალი (სოციალისტურ) ტფილისის ისტორიაში ახალ (აღორძინების) პერიოდის დასაშუალებელი უნდა ჩაითვალოს.

² ტფილისში, მიმდინარე წლის აღწერის მიხედვით, ითვლება 460.000 სული მოსახლეობა.

³ ტფილისის რეკონსტრუქციის ხაზით უკანასკნელ წლებში (1931 წლიდან) წარმოებულ მშენებლობის შესახებ იხ.: „მასალები საანგარიშო მოხსენებისათვის ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების VIII მოწვევის, საბჭოს მუშაობისა შესახებ 1932 და 1934 წლებში“ (ტფილისი, 1984 წ.); „მასალები IX მოწვევის ტფილისის საბჭოს დეპუტატების საანგარიშო მოხსენებისათვის“ (ტფილისი, 1985 წ.); „საბჭოთა საქართველოს 15 წელი“ (ტფილისი 1986 წ.).

ასეთი გიგანტური ტემპებითა და ფართე მასშტაბით მიმდინარე აღმშენებლობა ტფილისისა ჩვენს დროში ბუნებრივად პეტრებს ძლიერ ინტერესს მის მიერ განვლილ ისტორიულ ეტაპებისა და საერთოდ მისი წარსულის შესწავლისადმი. ეს ინტერესი, რათქმა-უნდა, უბრალო ცოდნისა, ან მით უფრო, ცნობისმოყვარეობით კი არ არის გამოწვეული, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი, ე. ი. თანამე-დროვეთა (და საერთოდ ადამიანის თანდაყოლილი) მისწრაფება გან-ვლილი ფაქტებისა და მოვლენების გაცნობისადმი, არამედ იმ გარე-მოებით, რომ ტფილისის წარმოშობის მიზეზებისა თუ ფაქტორების და მის განვითარების ჩენდენციისა თუ კანონზომიერების გამო-რკვევა საშუალებას იძლევა თანამედროვე ტფილისის უკეთ შესწავ-ლისა და მომავალი მისი განვითარების (ე. ი. ნამდვილ სოციალის-ტურ ქალაქად გადაქცევის) პერსპექტივის გათვალისწინებისათვი-საც¹. ხოლო ეს გარემოება თავის მხრივ საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რომ ტფილისის გადაკეთება-რეკონსტრუქციის მიზნით დაწყებული დიდი აღმშენებლობითი მუშაობა ზუსტ მეცნიერულ გაანგარიშებასა და გეგმიანობაზე იყოს დამყარებული, რომ ამით დასახულ გრანდიოზულ ამოცანის განხორციელება სისრულით და დროულად შეიძლებოდეს².

სწორედ ამით (ე. ი. ტფილისის წარსულისადმი დიდი ინტე-რესით) აიხსნება ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ დროს, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში³, დაიწერა და გამოვიდა კიდეც არა ერთი საყურადღებო, ზოგადი თუ ვიწრო (სპეციალური) ხასია-თის ნაშრომი, მიძღვნილი ტფილისის წარსულისა ან მისი თანამე-დროვე მდგომარეობის შესწავლისადმი. უკანასკნელ ხასიათის მდი-დარ მასალებს წარმოადგენენ ტფილისის საბჭოს მიერ 1921 წლიდან გამოცემული თავისი მუშაობის ანგარიშები⁴ და სხვადასხვა დაწეს-

¹ საერთოდ წარსულის შესწავლას ეს დანიშნულება აქვს და ამ წარსულის შემსწავლელ მეცნიერების—ისტორიის—მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს.

² ტფილისის სოციალისტურ ქალაქად გადაქცევისათვის უკვე შედგენილია გენერალური გეგმა. (ამის შესახებ იხ.: ვა социалистическая реконструкция Тифлиса, 1934 წ., ტფილისი).

³ ვგულისხმობთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უკანასკნელ 10—12 წელიწადს.

⁴ ასეთ ანგარიშებს ტფილისის საბჭო ბეჭდავს თითქმის ყოველწლიურად, ან ორ-სამ წლიწადში ერთხელ მაინც. ამათგან, ზემორე მითითებულის გარდა, შეიძ-ლება დავასახელოთ: „მასალები ტფილისის საბჭოს და აღმასრულებელი კომი-ტეტის მუშაობის შესახებ 1926 წლის 1 სექტემბრიდან 1928 წ. 1-ლ ოქტომბრამ-დე“ (ტფილისი, 1929 წ.); „მასალები ტფილისის ოლქის აღმასრულებელ კომიტე-

ბულებათა მიერ ამავე დროიდან გამოცემული ყოველგვარი ცნობა-
რები თუ გზურები¹.

ტფილისის წარსულის შესწავლისადმი მიძღვნილ ლიტერა-
ტურიდან კი (სტატისტიკურ და საცნობო ხასიათის ლიტერატურას
რომ თავი დავანებოთ), შეიძლება დავისახელოთ ისეთი სპეციალური
შრომები და მეცნიერული წერილები, როგორიცაა, მაგალითად, პროფ.
ს. კაუხი შვილის „პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესა-
ხებ“², პროფ. ს. ჯანაშიას „ტფილისის ისტორია“³, პროფ. ლ-
მელიქ სეტ-ბეგის „ტფილისი, მისი დაარსება და მოკლე ისტო-
რიული მიმოხილვა“⁴, პროფ. გ. ნათაძის „ეტიუდები ტფილისის
ისტორიიდან“⁵, პროფ. მ. პოლიევე ქტოვის „სამეცნიერო ცხოვრე-
ბა ტფილისში“⁶, ს. კაკაბაძის „ტფილისის აღწერა 1803 წლისა“⁷,
დ. დონდუას „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი“⁸, პროფ.
მ. პოლიევე ქტოვის და გ. ნათაძის „ძველი ტფილისი“⁹,
ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა“¹⁰,

რის მუშაობის შესახებ 1929 წლის განმავლობაში“ (ტფილისი, 1930 წ.); „მასა-
ლები საანგარიშო მოხსენებისათვის ტფილისისა და რაიონების მუშათა, გლეხთა
და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობის შესახებ 1931—1932 წ-ში“
(ტფილისი, 1937 წ.).

¹ მაგ.: Тифлис и его окрестности (Тифлис, 1934 წ.); Путеводитель по ЗСФСР, Тифлис, 1934; Тифлис, справочник для экскурсантов, Тифлис, 1929 წ.; Экскурсии по Грузии, Тифлис, 1920 წ., Тифлис; „სტატისტიკური კრებული“, ტფილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიკურ განყოფი-
ლების შრომები; „ტფილისი, ცნობარი“, 1933 წ., და სხვა.

² საქართველოს მუნიციპის მოამბე, IV, გვ. 283.

³ პროფ. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფი-
ლისი, 1936 წ. გვ. 10—12.

⁴ Проф. Л. Мелик-Бег, Тифлис, его основание и краткая
история (კრებული—Тифлис и его окрестности).

⁵ პროფ. გ. ნათაძე, Этюды по истории Тифлиса на основании
рельефа его территории (იქვე).

⁶ პროფ. მ. პოლიევე ქტოვი, Научная жизнь в Тифлисе (იქვე).
პოლიევე ქტოვი ტფილისის წარსულს ეხება მხოლოდ გაკვრით.

⁷ საისტორიო მოამბე, II, 1925.

⁸ დ. დონდუა, საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი, 1923 წ., ტფი-
ლისი.

⁹ М. Полжевквадзе Г. Натадзе, Старый Тифлис, 1929 წ.
ტფილისი.

¹⁰ ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა, ტფი-
ლისი, 1927 წ.; თუმცა დასახელებულ წიგნში ტფილისის წარსული (XIX ს.)
უმთავრესად ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ ასპექტშია გაშუქებული, მაგრამ მას
ჟალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ტფილისის ისტორიის შესასწავლად.

და განსაკუთრებით კი ნ. ბადრი იაშვილის მონოგრაფია „ტფილისი“¹, რომელიც წარმოადგენს ტფილისის მთლიანი ისტორიას.

ყველა ეს (ე. ი. საბჭოთა პერიოდის) ნაშრომები და მიმოხილვები, მანამდე, (ე. ი. საქართველოს გასაბჭოებამდე) გამოსულ ლიტერატურასთან ერთად (ეს ლიტერატურა ქვემოთ იქნება დასახელებული), წარმოადგენენ საქმაოდ მდიდარ მასალას ტფილისის შესასწავლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში და ზოგიერთ ცალკეულ საკითხისათვის ამომწურავ ცნობებსაც შეიცავენ; მაგრამ ისინი, გარდა ზოგიერთ გამონაკლისისა², მთლიანად, ან თითქმის მთლიანად, ტფილისის ისტორიის მხოლოდ ფეოდალურ ეპოქის (V—XVIII სს.) შეეხებიან: ტფილისის დაარსება (თუ წარმოშობა), მისი განვითარება და ამ განვითარების შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორები (უმთავრესად ეს უკანასკნელნი), ტფილისი როგორც პოლიტიკური ცენტრი და ფეოდალური საგაჭრო ქალაქი V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, ტფილისის ურთიერთობა თანამედროვე ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან და სხვა—ასეთია ის მთავარი საკითხები, რომელთა გაშუქებასაც წარმოადგენს უმთავრესად დასახელებული, რევოლუციის შემდეგდროინდელი (ე. ი. საბჭოთა პერიოდის) ლიტერატურა. რაც შეეხება ტფილისის ისტორიის მეორე, უახლოეს, ეპოქას (კაპიტალისტურ ეპოქას), ეს ეპოქა ამ ლიტერატურაში, იმ მცირე გამონაკლისის გარდა, რომელიც ზევით იყო აღნიშნული, ან სრულიად არ არის გაშუქებული, ან გაშუქებულია მხოლოდ გაკვრით და ერთობ ზოგადი³.

¹ ნ. ბადრი იაშვილი, თიფლის, 1934 წ., ტფილისი. ეს შრომა აკტორის მიერ განსრახულია ორ წიგნად. მეორე წიგნი, ტფილისი XIX საუკ. ისტორიის შემცველი, ჯერ გამოსული არ არის.

² ასეთ გამონაკლისის წარმოადგენენ: ს. კაკა ბაძის „ტფილისის აღწერა 1803 წ.“, რომელიც უმთავრესად XIX საუკუნეს შეეხება; ი. გრიშაშვილის „ტფილი ტფილისის ლიტერატურული ბობება“, რომელიც, როგორც ვამბობდით, თითქმის მთლიანად აგრეთვე XIX საუკუნის ტფილის ჰგულისხმობს და მ. პოლიკეტროვის „სამეცნიერო ცხოვრება ტფილისში“, რომელიც უმთავრესად თანამედროვე (ნაწილობრივ აგრეთვე XIX საუკუნის) ტფილისის სამეცნიერო დაწესებულებათა ზოგად მიმოხილვას წარმოადგენს. ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემული ზემოთ დასახელებული მასალები და ცნობარებიც უმთავრესად თანამედროვე ტფილის ჰგულისხმობენ.

³ ნ. ბადრი იაშვილის დასახელებულ მონოგრაფიის მეორე წიგნი, რომელიც ტფილისის ისტორიის XIX საუკუნეს ჰგულისხმობს, ამ ხარვეზს (უნდა ვიტიქონ) შეავსებდა, მაგრამ ის, როგორც ვამბობდით, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოსულა.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ჩვენ არსებითად ძველს, ოცნებულიადებულს ლიტერატურაშიც: აქც კაპიტალისტური ეპოქის
(XIX—XX სს.) ტფილისი ოდნავი სისრულით გაშუქებული და შე-
სწავლილი არ არის. თავისთავად ცხადია, რომ, როდესაც ჩვენ რე-
ვოლუციამდელ ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ XIX
და XX სს. სიგრძეზე წარმოშობილ ლიტერატურას და არა ძველს
წყაროებს (ქართლის ცხოვრება, ქართლის მოქცევა, ვახუშტის ისტო-
რია და გეოგრაფია, მოგზაურთა აღწერილობები და სხვა), რომლებ-
შიც კაპიტალისტური ეპოქის ტფილისის ისტორიის გაშუქება,
ბუნებრივად, საესებით გასაგებ მიზეზების გამო, სავარაუდებელიც არ
არის; მაგრამ სწორედ ამ XIX—XX სს. სიგრძეზე (რევოლუციამ-
დე) წარმოშობილ ლიტერატურაში ჩვენ არა გვაქვს არც ერთი
სერიოზული მონაგრაფიული ნაშრომი ტფილისის ისტორიის კაპი-
ტალისტურ ეპოქის შესახებ. ჩვენ ამით, რათქმაუნდა, იმისი მტკიცე-
ბა კი არ გვსურს, თითქოს ჩვენ ამ ეპოქის ტფილისის შესახებ
სრულიად არ მოგვეპოვებოდეს ისეთი ნაშრომები, რომლებიც მეცნი-
ერული გაშუქების ცალკეულ ცდებს წარმოადგენენ და რომლებიც
ამჟამად ტფილისის ისტორიის კაპიტალისტურ პერიოდის შესასწავ-
ლად შეიძლება წყაროდ მაინც იქნენ გამოყენებული. პირიქით, ასე-
თი ცდები საქმაო რაოდენობით მოგვეპოვება; მაგრამ საქმე ისაა,
რომ აბსოლუტური უმეტესობა ამ ცდებისა ტფილისის ისტორიის
მხოლოდ ზოგიერთი საკითხებს ან ზოგიერთ ხანებს შეეხება და
ამასთანავე ეს ცდები ამჟამად მთლიანად საქმაოდ მოძველებულნიც
არიან. ისეთი რევოლუციამდელი ნაშრომები, მაგალითად, როგორი-
ცაა: პ. იოსელიანის „ტფილისის სიძველეთა აღწერილობა“¹ და
ი. პროცენკოს „არქეოლოგიური გზის მიჩვენებელი ტფილისისა-
თვის“², ან მ. ჯანაშვილის „საქართველოს დედა-ქალაქი ტფი-
ლისის“³ და კ. განის „ქილაქ ტფილისის წარსულიდან“⁴, ან კიდევ
დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძენივის „ტფილისი ისტორიული
და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“⁵ და მრავალი სხვა მსგავსი

¹ П. Иоселiani, Описание древностей г. Тифлиса (1866, Тифлис).

² Ю. Проценко, Археологический путеводитель по Тифлису (1881, Тифлис).

³ მ. ჯანაშვილი, საქართველოს დედა-ქალაქი ტფი-
ლისი.

⁴ К. Ган, Из прошлого города Тифлиса („Тифлисский листок“ № № 80—85, 1911 г.).

⁵ Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в историческом и
этнографических отношениях (Петербург, 1870).

ნაშრომები ან უბრალო წერილები და მიმოხილვები¹, რომლებიც და
სახელმწიფო ქანას შეეხებიან და ოვეის დროზე ისტორიულ ლიტერატურულ
ტურაში საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდნენ (ზოგიერთი მათ-
განი მაინც), ამჟამად ტფილისის ისტორიის კაპიტალისტურ ხანის
შესასწავლად მხოლოდ მასალებად თუ გამოდგებიან არა მარტო
იმიტომ, რომ ისინი იდეოლოგიურად და მეთოდოლოგიურად სავსე-
ბით მოძველებული არიან, არამედ იმიტომაც, რომ ეს ნაშრომები
ტფილისის ისტორიის ამ ხანას მხოლოდ ნაწილობრივ (ცალკეულ
პერიოდებსა და ცალკეულ საკითხებს) აშუქებენ (უმთავრესად კი
ეს ნაშრომებიც ტფილისის ძველს ისტორიას შეეხებიან).

არსებითად ეს ნაშრომები (და საერთოდ რევოლუციამდელი
ლიტერატურა) ასეთსავე მასალას წარმოადგენენ ამჟამად ტფილი-
სის ისტორიის ძველი ეპოქისა და საზუალო საუკუნეებისათვისაც:
უშეტეს შემთხვევაში ამ ლიტერატურას არ შეუძლია ოდნავად დაა-
კმაყოფილოს ის მოთხოვნილებანი, რომელთაც დღეს ცხოვრება უყე-
ნებს საისტორიო მეცნიერებას. მაგრამ მაინც, საერთოდ რომ ავი-

¹ როგორც, მაგალითად: თიფლის (Сборник статист. сведений о Кавказе, I, стр. 80—97, отд. IV, 1869); Краткий географический и топографический очерк Тифлиса (Сборник свед. о Кавказе, гл. 12, 1880); Краткий исторический очерк г. Тифлиса (там же); Тифлис и его окрестности (дополнение к „Кавказу“ № 2, Тифлис, 1896); Дунекель-Велинг, Статистический очерк г. Тифлиса (Кавказский календарь на 1865 год); М. Ткемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный собор (Тифлис, 1904 г.); С. Чрелаев, Тифлис в XIX ст. („Весь Кавказ“, 1903, გვ. 62—83); Я. П-ий, Статистический очерк Тифлиса, КК, 1847 г.; Краткий очерк некоторых городов Зак. края, Тифлис, КК, 1846, 1847, 1848, 1849, 1850; Очерк торговых пунктов Зак. края, Тифлис, КК, 1849; Барон Николай, Несколько слов о сельской промышленности в Тифлисе („Записки Кавк. общ. сель. хозяйства“, 1857 г. отд III); А. Рагозин, Тифлис, КК, 1852 г.; Н. Торопов, Взгляд на Тифлис в притетологическом отношении, КК, 1863 г.; ა. ა კ თ ბ ი ა ბ ვ ი ი, ტფილისის აღწერილობა („გარუნი“ 1866, № № 1, 2, 3, 4); Театр в Тифлисе 1846—1856 г.; Тифлис в настоящее время („Кавказ“, 1846 г. № 46, 47, 1848 г. № 42); Очерки Тифлиса 1896, („Кавказ“ 1848, № № 50, 51); Тифлис и его окрестности, Туманов, Тифлис; К. Бегичев, Путеводитель по Тифлису, 1896 г. Тифлис; Тифлис полвека назад („Новое обозрение“, 1885 г. № 614; История Тифлиса, (Тифлисские ведомости, 1931, № 24—26); კ. პ. ი օ ს ე ლ ი ა ნ ი, Открытие судебных учреждений в Тифлисе („Кавказ“, 1868, № 28, 29); კ ი შ მ ი შ ე ვ, Тифлис 40-ых годов („Кавказ“ 1894 г. № 52, 60, 54); Н. Ханыков. Тифлис („Живопись. русск. биб.“, 1857, № 23) და სხვ.

ლოთ, ეს (რევოლუციამდელი) ლიტერატურა, რევოლუციის შემდეგ დროინდელ ლიტერატურასთან ერთად, უკეთ და უფრო მეტის ასახულით წარმოგვიღებულის ძველს, ფეოდალურს ტფილისს, ვიდრე ახლობელ წარსულის (კაპიტალისტურ ეპოქის) ტფილისს.

ასე რომ, ტფილისისა და საერთოდ საქართველოს ისტორიოგრაფიაში უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ ტფილისი როგორც საშუალო საუკუნეების ქალაქი უკეთ არის შედარებით შესწავლილი, ვიდრე ტფილისი, როგორც ბურჟუაზიულ - კაპიტალისტური ქალაქი¹.

ტფილისის ისტორიის შესწავლა პირუკუ პროპორციით, ვიდრე ეს ამჟამად არის (ე. ი. უახლოესი ხანების უფრო გრულად, ხოლო შორეულ წარსულის შედარებით უფრო ზოგადად) იმიტომაც არის უფრო ბუნებრივი და შესაძლებელიც, რომ ჩვენ XIX—XX საუკუნეების ტფილისის ისტორიისათვის, შედარებით ძველ და საშუალო საუკუნეებთან, გაცილებით მეტი მასალები და ცნობები მოგვეპოება. ეს მასალები შემონახულია ერთის მხრივ იმ ფაქტოლოგიურ წყაროებში (XIX—XX საუკუნეებში არსებულ დაწესებულება-ორგანიზაციათა არქივებში)², რომლებიც რევოლუციის შემდეგ ეანდერდა ჩვენს დროს, როგორც დოკუმენტალური მემკვიდრეობა და რომელიც ამჟამად საბჭოთა სახელმწიფო არქივებშია დაცული; ხოლო მეორეს მხრივ იმ ლიტერატურულ წყაროებში (ე. ი. ამავე პერიოდში გამოსულ უურნალ-გაზეთებსა და სხვა პერიოდულ თუ ერთდროულ

¹ ეს, რათქმაჟნდა, ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ტფილისი, როგორც ფეოდალური ქალაქი და საერთოდ ტფილისი ისტორია XIX საუკუნემდე, სავსებით შესწავლილი გვითავს. პირიქით, ამ მხრივაც მდგომარეობა არა სავსებით დამაკმაყოფილებელია და ამ მიმართულებით ბევრი რამ არის ჯერ კიდევ გასაკეთებელი; მაგრამ შედარებით XIX—XX საუკუნეებთან, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს ხანა, როგორც თანამედროვეობასთან უშუალოდ დაკავშირებული, უფრო სრულად და დაწვრილებით უნდა იყოს გამოკვლეული, ტფილისის ისტორიის ძველი და საშუალო საუკუნეები უცველად უკეთ არიან შესწავლილი. ტფილისის შესახები ისტორიულ ლიტერატურის შესწავლა ამას სავსებით ნათელს ჰყოფს.

² ეს დოკუმენტალური წყაროები ამჟამად თავმოყრილია უმთავრესად:

1. ტფილისის კომუნალურ მხხეუში,
2. ტფილისის მენიციპალურ არქივში,
3. საქართველოს ცენტრალურ არქივში — საისტორიო არქივში,
4. მოსკოვის ფეოდალურ-ბატონიშვილ ეპოქის არქივში — ГАФКЭ-ში,
5. ლენინგრადის საისტორიო არქივში — ЛОЦИА-ში,
6. აზერბაიჯანის ცენტრალურ არქივში — ბაქოში
7. სომხეთის ცენტრალურ არქივში — ერევანში.

გამოცემებში)¹, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი  რომელიც ამჟამად ჩვენს ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებზე დაგმოყრილი.

ამრიგად, დღეს ტფილისის და საერთოდ საქართველოს ისტორიოგრაფიის წინაშე (რადგან ტფილისის ისტორია არსებითად ხერხემალია საქართველოს ისტორიის მრავალ პერიოდისათვის და ამ უკანასკნელის შესწავლა პირველის გარეშე წარმოუდგენელია)² გარკვევით დგას საკითხი — პირველ რიგში და უწინარეს ყოვლისა ტფილისის უახლოეს წარსულის (ტფილისის როგორც კაპიტალისტური ქალაქის) შესწავლის შესახებ: ტფილისის ისტორიის შესწავლა უნდა დაიწყოს XIX საუკუნიდან არა მარტო იმ მიზნით და ვარაუდით, რომ ამით შესაძლებელი გახდეს ტფილისის, როგორც ქალაქის, მთლიანი ისტორიის დამუშავება, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ამით შესაძლებელი გახდეს, საერთოდ, საქართველოს ისტორიის კაპიტალისტური პერიოდის დამუშავებაც.

საქმე ისაა, რომ ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში, სამწუხაროდ, ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის და ეს შესწავლა სწორედ საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლით უნდა და-

¹ ამგვარ ლიტერატურიდან, ზემოდ დასახელებულის გარდა, შეიძლება დამატებით დავსახელოთ: 1. Я. Полонский, Тифлис на лице и на изнанку („Закавк. Вестник“, № № 7, 8, 9, 1850 г.); 2. Нечто о городах грузинских (там же, № 12); 3. П. Иоселиани, Ог Тифлиса до Ахтала (там же, № 16); 4. П. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мцхет (1871, Тифлис); 5. П. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии (Тифлис, 1850 г.); 6. Г. Измиров, Несколько замечаний на статью „О Тифлисских цехах“ („Закавказский Вестник“, № 51); 7. О Тифлисских цехах („Кавказ“ № 50, 1850 г.); 8. Сборник материалов для описания Тифлисской губернии, т. I, вып. 1, 1870 г.; 9. Об открытии Тифлисской ярмарки („Тифлисские ведомости“ № 15, 1828 г.); 10. Новый год в Тифлисе (там же, № 1, 1829 г.); 11. П. Иоселиани, Гора св. Давида в Тифлисе (Кавказский календарь на 1859 г.); 12. План города Тифлиса (Кавк. календарь на 1851 г.); 13. Ю. Ахвердов, Тифлисские амкары (Тифлис, 1883 г.); 14. А. Дюма, Кавказ, вып. 2, 1860 г.; 15. Сборник статист. сведений о Кавказе, т. I, 1869 г.; 16. Сборник сведений о Кавказе, т. 1—12; 17. Кавказский календарь (1846 წლიდან).

ცნობები ტფილისის შესახებ განვითარებულია აგრეთვე: კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის „აქტებში“, ტ. 1 — 12; გაზ. „კავკაზი“-ში (1846 წლიდან); „კავკაზიკი სბორნიკი“-ში, ტ. 1 — 5; გაზ. „ზაკავკაზიკი ვესტნიკი“-ში და სხვ.

² განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ისტორიის კაპიტალისტურ პერიოდის შესახებ.

იწყოს¹, რადგან, როგორც ვიცით, კაპიტალიზმის ბუდედ საეროოდ
ქალაქები ითვლებიან, ხოლო ტფილისს კი, როგორც საქართველოს
მთავარ ქალაქს, ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა².

მაგრამ იმისათვის, რომ ამ ხაზით წარმართული მუშაობა უფ-
რო ნაყოფიერი გამოდევს, საჭირო და უფრო მიზანშეწონილიც არის,
ვიდრე ტფილისის მთლიანი ისტორია დამუშავდებოდეს, დაიწყოს
ტფილისის ისტორიის ცალკეული. ხანებისა და ცალკეული საკითხე-
ბის მონოგრაფიული შესწავლა, პირველ რიგში კი დაიწყოს წყაროე-
ბის გამოვლინება და დამუშავება; წყაროების (რომელთა შორის
უპირატესობა უმჭველად დოკუმენტაციურ წყაროებს უნდა მიენიჭოს)
დამუშავებისა და შესწავლის პროცესი წინ უნდა უსწრებდეს ცალ-
კეულ ხანებისა და ცალკეულ საკითხების მონოგრაფიულ შესწავლას;
ხოლო ეს უკანასკნელი — მთლიანი ისტორიის დამუშავებას (და არა
პირუკუ, როგორც ეს ამჟამად ხდება) იმიტომ, რომ ეს ერთის მხრივ
თავიდან აგვაცდენს შეცომებს, მეორეს მხრივ კი შესაძლებელს გა-
ხდის მთლიანი ისტორიის უფრო ვრცლად და დეტალურად შეს-
წავლას³.

წინამდებარე ჩევნი მოკლე მონოგრაფია სწორედ ამ მიზანს ემ-
სახურება: ის მიძღვნილია XIX საუკუნის სამოცდახუთიან წლების
ტფილისის შესახები მასალების, განსაკუთრებით კი საარქივო მასა-
ლების, შესწავლისადმი. ეს მასალები, როგორც ქვემოთ დავინახვთ,
არ იძლევიან იმ ხანის ტფილისის შესახებ, რომელსაც ისინი ეკუთვ-
ნიან (1865-იანი წლები), მაინც და მაინც საცხებით სრულსა და
ამომწურავ ცნობებს, ხოლო ზოგიერთ ცალკე დეტალებში, პირიქით,
არა საცხებით სწორ ჩევნებებსაც შეიცავენ, მაგრამ ამისდა მიუხედა-
ვად მათ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისის ტფილისის შეს-

¹ სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი ქალაქის ისტორია არაა ჯერ-
ჯერობით სათანადოდ შესწავლილი: პ. ი თ ს ე ლ ი ა ნ ი ს თავის დროისათვის უმჭვე-
ლად საყურადღებო ნაშრომი „Города существовавшие и существующие в
в Грузии“ ამჟამად უკვე დაძვლებულია; პროფ. ივ. ჯავახიშვილის ძირითადი
ნაშრომიც „ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრება საქართველოში XVII-
XVIII საუკუნეში“ („პრომეთე“, № 1, 1918 წ.), მხოლოდ განსახლერულ ხანას
ჰგულისხმობს.

² ტფილისის ისტორიის კაპიტალისტურ პერიოდზე, რამდენადაც ვიცით,
ნაყოფიერად მუშაობს ნ. ბადრი შვილი.

³ შეიძლება დანამდევილებით ითქვას, რომ ტფილისის შესახები წყაროე-
ბი არამცთუ მეცნიერულად შესწავლილი და დამუშავებული არ არის, არამედ
მრავალ შემთხვევაში მათი გამოვლინებისა და თავმოყრის საქმეც ერთობ მიენიჭ-
ყებულია. პირველი გასაკეთებელი კი სწორედ ეს არის.

წავლისათვის ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვთ¹, — ჯერ ერთი გმირობის რომ, რომ ეს ხანა ტფილისის ისტორიაში და საერთოდ საქართველოს ისტორიაშიც განსაკუტრებათ საინტერესოა; მეორეც იმიტომ, რომ 1865-იან წლების ტფილისის შესახებ ამგვარი მასალა ჩვენ სხვა არ მოგვეპოვება, ან ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ჩვენი მიზანია ამჟამად, როგორც ვთქვით, მხოლოდ ამ მასალების შესწავლა და მათი შინაარსის ანალიზის საფუძველზე 1865-იან წლების ტფილისის ზოგადი სურათის წარმოდგენა². ამდენად ას-ლა ჩვენს მიზანს სრულიად არ შეადგენს ტფილისის ისტორიის სხვა რომელიმე ხანისა და სხვა რომელიმე საკითხის წამოყენება და არც, მაშასადამე, გამოკვლევა. 1865-იან წლების ტფილისის ზოგადი სურათის აღდგენის დროსაც ჩვენ უმთავრესად (გარდა აუცილებელ პარალელებისა) საარქივო მასალების ფარგლებში ვიმსჯელებთ. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ვიდრე ჩვენ დასახელებულ მასალების გაცნობასა და მათი შინაარსის ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სწორეთ დასახულ მიზნისათვის, ე. ი. 1865-იან წლების ტფილისის მდგომარეობის უკეთ შესწავლისათვის, მოკლედ თვალი გადავავლოთ ტფილისის წარსულს XX საუკუნემდე³.

2

ტფილისი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უძველესი ქალაქ-თაგანია, არა მარტო საქართველოში⁴, არამედ მსოფლიოშიც. მისი არსებობა, როგორც იძერიის (აღმოსავლეთ საქართველოს) დედაქალაქისა, დადასტურებულია თანამედროვე ქართული⁵ და უცხოური

¹ ტფილისის XIX საუკუნის ისტორიის პერიოდები ჯერ შესწავლილი და დადგნილი არ არის, მაგრამ ცნ-იანი წლები ტფილისის ისტორიაში ერთ-ერთ ახალ პერიოდის (მესამე პერიოდის) დასაწყისად უნდა ჩაითვალოს (ამის შესახებ იხ ქვემოთ).

² უმთავრესად ისტორიული და სტატისტიკურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

³ ვიძლევით მხოლოდ ტფილისის განვითარების საერთო მრუდს.

⁴ უძველესი, მაგრამ არა პირველთაგანი ამ უძველეს ქაოაქთა შორის საქართველოში.

⁵ ეგვეტათი მცხოვრელის მარტვილობა (იხ. გ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბ., 1882, გვ. 314 და შემდ.).

წყაროებით¹ ჯერ კიდევ VI საუკუნეში. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზოგიერთს ძველს, მაგრამ ამაზე (VI საუკუნეზე) უფრო გვიანდელს წყაროებში (მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, „ქართლის მოქცევა“)² ტფილისი ამაზე უწინარესაც არის მოხსენებული³, და იმასაც, რომ ტფილისის მეტროპოლიად (დედა-ქალაქად) გადაქცევისათვის დროის გარკვეული (უნდა ვიჟიქროთ, საკმაოდ ხანგრძლივი) პერიოდი იქნებოდა საჭირო, შეიძლება მისი წარმოშობა, თუ დაარსება, VI საუკუნეზე ადრეც ვივარაულოთ.

¹ თეოფანე ბიზანტიელის ისტორიულ თხზულების ფრაგმენტი (იხ. პროფ. ს. გაუჩხავის შვილი, პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ, „საქართველოს მუხევის მოაბევ“, ტ. 4, გვ. № 283; პ. იოსელიანი, ქალაქ ტფილისის სიძველეთა აღწერილობა, გვ. 12).

² „მოქცევაი ქართლისას“ მატანი შედგენილია IX საუკუნეში (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მთოდები, I, 1916, გვ. 40), ხოლო „ქართლის ცხოვრების“ უძველეს კრებულში შეტანილი ისტორიული თხზულებები (ლეონტი მროველისა და ჯუანშერის) XI საუკუნეს ეკუთვნიან (იქვე, გვ. 262).

³ მაგალითად, ლეონტი მროველი ტფილისის (როგორც დასახლებული პუნქტის) არსებობას ჰყულისხმობს ქრისტიანულ ერამდე, —ქართველების ლეგენდარულ წინაპრის ქართლისის შვილის, მცხეთის დროს („ქართლის ცხოვრება“, ბროსერი, გვ. 20); „ქართლის მოქცევის“ ცნობით ტფილისი ქალაქი იყო ვაკტანგ გორგასლამდე, ხოლო ბაკურის შემდეგ ტფილისმა სავსებით მცხეთის ადგილი დაიჭირა: როდესაც „დასრულა მეფობაი ქართლისა—ნათქვამია იქ— მცხეთაი ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა“—ო (ე. თაყაიშვილი, Օპი- ცანის რეკონსტრუქცია, II, ცტР. 724). ვაკტანგ გურგასალის ისტორიონის აზრით ტფილისის აშენება ვაკტანგს დაუშეია, მაგრამ მისი დასრულება და სატარო ქალაქად გადაქცევა ვაკტანგის მემკვიდრის, დაჩის დროს მომხდარა: „ვაკტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისას“, ხოლო მისმა მემკვიდრე მარანასრულნა ზღუ- დენი ტფილისისანი ვითა ებრძანა ვაკტანგს, [და] იგი შექმნა სახლად სამეუ- ფოდ“—ო, მოგვითხრობს დასახლებული მემატიანე.

ტფილისის, როგორც ქალაქის, წარმოშობა უტველად დაკავშირებული არის IV ს. დასასრულისათვის (ან V ს. პირველნახევრისათვის) კალაში ირანელების მიერ ციხის აშენებასთან და იქ ირანელ პატაიასშების რეზიდენციის მოწყობასთან: და- სახლებულ ადგილებში, იქ ბურგის (ციხეს) მოწყობისა და სტრატეგიულ პუნქტად გადაქცევის შემდეგ, ქალაქების წარმოშობა ისტორიაში ცნობილი ამბავია, მაგრამ ტფილისის წარმოშობასა და განვითარებას ხელს უწყობდა მისი, როგორც სა- ტრანსიტო ხასხე მდებარე პუნქტისა, გეოგრაფიული მდებარეობაც: ტფილისი ის საკვანძო პუნქტი იყო, რომელიც ერთი მეორეს აკავშირებდა ეგროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს. მეორეს მხრივ ტფილისი ისეთი სამხედრო-სტრა- ტეგიული პუნქტი იყო ირანის ხელში, რომელიც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევდა მცხეთაში მჯდომ ქართველ მეფისათვის კონტროლი გაეწია (იხ. ამის შე- სახებ პროფ. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 10)

ყოველ შემთხვევაში უკვე V საუკუნე¹ ტფილისი ციხე-ქალაქი
(თუ დედა-ქალაქიდ არა) მაინც არის საგულისხმებელი².

ამ დროიდან დაწყებული ტფილისი, მიუხედავად მისი ცვალე-
ბადი და ხშირად უკუღმართი თავგადასავლისა, თითქმის მუდამ
ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრების სახელმწიფოებრივ-პოლი-
ტიკურ და კულტურულ ცენტრს ჭარბოდგენდა: თავის არსებობის
მთელი წნის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც ის, შემოსეულ
მტრების მიერ აწიოკებული, დაკანინებას განიცდიდა, ტფილისს არა-
სოდეს არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა, როგორც საქართ-
ველის გულსა და მის დედა-ქალაქს. მისი ისტორია, როგორც ვამ-
ბობდით, უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოს, ხოლო
ზოგჯერ (XIX—XX სს.) ამიერ-კავკასიისა და მთელი კავკასიის ის-
ტორიასთან და ტფილისი შარად იმ პოლიტიკურ ანდამატს წარ-
მოადგენდა, რომელიც საქართველოს ცალკეულ ნაწილებს თავისკენ
იზიდავდა და მათ შესაძლებელ (სხვადასხვა დროის შესაბამისად)
მთლიანობას ანიჭებდა.

¹ VI საუკუნეში უფრო გვიან (მაგრამ ქართულ წყაროებში—მოქცევი
ქართლისაისა და ლეონტი მროველის თხზულებაზე, — უფრო ადრე) თანამედროვე
მემატიანეთაგან ტფილისი მოხსენებულია VII საუკუნის ერთ ანინიმურ სომხურ
წყაროში—„გეოგრაფიაში“ (პროფ. ლ. მელიქ სერბე ტ-ბეგი, თიფლის, იგი
ისახულის გვ. 16) და VIII საუკუნის ბიზანტიულ უამთალმწერელის თეოფანეს „ხრო-
ნიგრაფში“ (პროფ. ივ. ჯავახი შვილი, ქართველ ერის ისტორია, I, 1913,
გვ. 227).

² პროფ. ივ. ჯავახი შვილის ანრით ტფილისი უკვე V საუკუნის
პირველ ნახევრაში ქალაქი იყო (იხ. მისი, ქართველ ერის ისტორია, I, გვ. 227).
არსებითად ამავე აზრს გამოსთვევამნ (თუმცა ნაკლები დაზუსტებით) პროფ.
ს. ჯანაშია (იხ. მისი, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, 1936, ტფი-
ლისი, გვ. 10—12) და პროფ. ლ. მელიქ სერბე ტ-ბეგი (იხ. მისი, თიფლის, იგი
ისახულის გვ. 14). ნ. ბადრიაშვილი, ეკონომიურ ფაქტორებისა და გეოგრა-
ფიულ-გეოფიზიკურ პირობების ანალიზის საფუძველზე ჰკონებს, რომ ტფილისის
წარმოშობა თითქოს წინაქრისტიანულ ხანას ეკუთვნოდეს (იხ. მისი, თიფლის,
გვ. 10), მაგრამ ამ აზრს (თუ ის ტფილისი, როგორც ქალაქს, პეტლისხმობს—ეს
მას გარევევით არა აქვს ნათევამი) ეწინააღმდევება ის გარემოება, რომ არც
სტრაბონს (I საუკ. ქ. 7.) თავის გეოგრაფიაში, არც პლინიუსს (I საუკ. ქ. 7.)
თავის ბუნებისებრებულებაში და არც პტოლომეუსს (II საუკ. ქ. 7.) თავის გეო-
გრაფიაში ტფილისი, საქართველოს ქალაქების დასხელების დროს, მოხსენებული
არა აქვთ. (ჩ. გან, ივ. გარემოება, 1884; პროფ. ივ. ჯავახი შვილი, ქართველ ერის ის-
ტორია, I, 226; პროფ. ლ. მელიქ სერბე ტ-ბეგი, თიფლის, იგი ისახულის გვ. 3;
В. ლაтишев, ივ. გარემოება, 1884; პროფ. ს. გარემოება, 1884; ბიზანტიულ მწერალთა ცხო-
ნები საქართველოს შესახებ).

ტფილისის ზრდისა და განვითარებისათვის, მის გეოგრაფიულ
და ეკონომიურ მდგომარეობასთან ერთად¹, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ იმ საერთაშორისო ხასიათის ცვლილებებსაც, რომლებიც საუკუნეთა სიგრძეზე ხან ხელსაყრელ და ხან უარყოფით პირობებს ჰქმნიდნენ (იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყვნენ ეს ცვლილებები) ერთის მხრივ საჭარმოო ძალების განვითარებისათვის საერთოდ საქართველოში, ხოლო მეორეს მხრივ, კერძოდ, ტფილისის დაკავშირებისათვის სხვადასხვა ქვეყნებთან და ქალაქებთან². სწორედ ამგვარ საერთაშორისო ხასიათის ცვლილებების მიხედვით (უმთავრესად კი მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარ ცვლილებების მიხედვით), რომელთაც უშუალო გავლენა ჰქონდათ საქართველოს ეკონომიკასა, კულტურასა და მის პოლიტიკურ უფლებრივ მდგომარეობაზე (მმართველობისა და წესწყობილების სისტემაზე), ტფილისი საუკუნეთა სიგრძეზე ხან აღმავლობის ხაზით იზრდებოდა და ვითარდებოდა, ხან ჩამოქვეითების გზას ადგებოდა და შემოქმედებით პოტენციას ჰკარგავდა, ხან კიდევ ერთ წერტილზე გაიყინებოდა და ერთგვარ სტატიკურობას განიცდიდა.

ტფილისის ეკონომიური და პოლიტიკური³ (ხოლო აშასთან დაკავშირებით — კულტურული) კუთრი წონის თვალსაზრისით შე-

¹ ტფილისი თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით ის საკვანძო პუნქტი იყო აღმოსავლეთში ინდოეთის დიდ გზაზე, რომელიც ვაჭრობისა და საქონლის ტრიალის თვალსაზრისით ერთიმეორეს აკავშირებდა რომ-ბიზანტიას, ირანს, არაბეთს, ომალეთს, რუსეთსა და ინდოეთს—სხვადასხვა დროს სხვადასხვა . შემადგენლობით.

² საერთაშორისო ხასიათის ცვლილებებს, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთოდ ყოველი ქვეყნის (თუ ქალაქის) განვითარებისათვის, მაგრამ ასეთ ცვლილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პატარა ქვეყნის (და მათი ქალაქების) თავგადასავლისათვის.

³ პოლიტიკური კუთრი წონის თვალსაზრისით, ტფილისის ისტორიაში საინტერესოა შემდეგი მთავარი მომენტები:

VII საუკუნეში, როდესაც ირანი ცდილობდა საქართველო თავის პორვინციად გადაეცეია და ამ მიზანს ასე თუ ისე აღწევდა კიდევ, ტფილისი ირანის შაჰების მარხანთა რეზიდენციის წარმოადგენდა და მათ განკარგულებაში იმყოფებოდა; VIII—X სს., როდესაც საქართველოს, არაბების სახით, აზალი დამპყრობელები მოევლინენ და მცირე აზია კავკასიონურთ მათ სამულობელოში მოექცა, ტფილისი არაბთა ხალიფების ემირთა ადგილსამყოფებელად ითვლებოდა და საუკუნეების მანძილზე მათ ბატონობის ქვეშ, უცხო სახელმწიფოს მიერ დაპყრობილ-დამორჩილებულ ქალაქის ბედს განიცდი და; XI—XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველო ერთობ ხელსაყრელ შინაგან და გარეგან პირობებში იმყოფებოდა და მთელი კავკასიის (ნაწილობრივ კი ირანისა და ბიზანტიის ზოგიერთ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებისაც) ჰეგემონად ითვლებოდა, ტფილისი ფეოდა-

თავის არსებობის გარიერაუზე (განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ტუილისმა, როგორც იძერის დედა-ქალაქმა, მცხეთის ადგილი და იჭირა) ტფილისი ჯერ რომისა¹, ხოლო შემდეგ ბიზანტიისა და ირანის საგაჭრო ურთიერთობის ორბიტში იყო მოქცეული და, როგორც ამ საგაჭრო ურთიერთობის ერთერთ მთავარ მაგისტრალზე (ბიზანტია-საქართველო-სომხეთი-არაბეთი-ირანი-ინდოეთი) მდებარე, საკმაოდ მნიშვნელოვან საგაჭრო ქალაქს წარმოადგენდა. სომები ისტორიკოსის კალანკატვაცის ცნობით, მაგალითად, VII საუკუნესასრულისა და VII საუკუნის დასაწყისისათვის ტფილისი ითვლებოდა „განებივრებულ დიდ და სახელოვან საგაჭრო ქალაქად“². ქართველი მემატიანის ცნობაც იმის შესახებ, რომ „ტფილისი ეშენებოდა“, სწორედ ამ ხანას ეკუთვნის და ტფილისის აღმავლობის ხაზით ზრდას ჰგულისხმობს³.

ლურ საქართველოს აყვავებულ სახელმწიფოებრიობის მაჯისცემის გამომხატველი იყო და უდიდეს ქალაქს წარმოადგენდა მთელს საქართველოში: ის სრულიად საქართველოს მეფების სატახტო ქალაქი იყო და მას აღმოსავლეთის ქვეყნებში მეტოქე ქალაქი არ ჰყავდა.

XIII საუკუნიდან ტფილისი, მიუხედავად მონღოლთა შემოსვევისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაქვეითებისა, კვლავინდებურად ქართველ მეფების რეზიდენციად და ასე თუ ისე გაერთიანებულ საქართველოს სატახტო ქალაქად დარჩა XV საუკუნემდე; ხოლო XVI საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე, როდესაც საქართველო რამდენიმე სამეფო-სამთავროებად დანაწილდა და ქართლი ტფილისითურთ ცალკე სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბდა, ტფილისი მშოლოდ ქართლის დედა-ქალაქსა და ქართლის მეფების რეზიდენციას წარმოადგენდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო ერეკლე მეფის ერთან მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, ტფილისი გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი იყო; დასასრულ, XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ტფილისი მეფის რუსეთის საგუბერნიო ქალაქად და ამავე დროს კავკასიის ადმინისტრატორულ ცენტრად გადაიქცა და ასე დარჩა იგი რევოლუციამდე, როდესაც ის კვლავ აღდგენილ იქნა „თავის უფლებებში“, როგორც საქართველოს ნაციონალური და დედა-ქალაქი.

¹ რათქმაუნდა, თუ დავუშვებთ ტფილისის არსებობას რომის იმპერიის დროს, ე. ი. V საუკუნემდე.

² ცნობა მომყავს პროფ. ა. ლ. ცაგარლის შერილის „Грузия“-ს მიხედვით (იხ. ბროკაუშ-ეფრონის ენციკლოპედია, ტ. 15, გვ. 139); შდრ. პროფ. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 11.

³ ე. თავკაიშვილი, Описание рукописей, II, გვ. 724; პროფ. ს. ჯანაშია აზრით ტფილისი VII ს. დამდგენისათვის „საკმაოდ მოსრდილი ქალაქი უნდა ყოფილიყო“ (მისი, ფეოდალური რევოლუცია, გვ. 11).

VII საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულს (653 წ.) არაბთა შემოსევამ და საქართველოზე განსაკუთრებულ გაღასახადის ("ჯიშის თივი", „ხარაჯას") გაწერამ საერთოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა ტფილისისა¹ და მთელი საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ განვითარებაზე², მაგრამ ტფილისის ზრდა, არაბთა შემოსევის პირველ (მძიმე) პერიოდის (VII—VIII სს) შემდეგ, მაინც არ შეჩერებულა: არაბების უფრო ორგანიზებულმა (ვიდრე ბიზანტიისა და ირანის) სავაჭრო კაპიტალმა ამ პერიოდის გავლის შემდეგ ტფილისი ჩაითრია მაშინდელ მსოფლიო ვაჭრობის უფრო ფართე ტრიალში და (თუმცა არაბების ხანგრძლივმა ბრძოლამ ბიზანტიასთან აღმოსავლეთის ურთიერთობა ამ უკანასკნელთან საერთოდ შეანელა) ხალიფატის უზარმაზარ სამფლობელოს ჩრდილოეთ ნაწილში ახლად შექმნილ სავაჭრო რკალში³ მას გარკვეული ადგილი მიუჩინა: ამ დროს ტფილისი კვლავინდებურად საქმაოდ ძლიერი ქალაქი იყო და აღნიშნულ სავაჭრო რკალში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. არაბ მოგზაურს იბნ-ხაუკალს, რომელმაც ტფილისი 942—43 წლებში ინახულა, მაგალითად, მოთხოვნდილი აქვს, რომ „ტფილისი თავისი დოვლათიანობით სხვა სახელმწიფოთა ქალაქებზე მაღლა დგასო“⁴. საყურადღებოა ამ მხრივ აგრეთვე ქართლის ცხოვრების ცნობაც იმის შესახებ, რომ ამ დროს ტფილისს მოეპოვებოდა ნავები⁵, რაც (შესაძლებელია ვიტიქროთ) განვითარებულ ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაზე მიუთითებს (არა უშუალოდ) იმდროინდელ ტფილისში⁶.

¹ განსაკუთრებით გამანაფეურებელი იყო ტფილისისათვის არაბთა ბატონობის პერიოდში მურმან ყრუსა (740 წ.) და ბუღა თურქის (853 წ.) შემოსევები.

² არაბთა ბატონობის შესახებ საქართველოში იხ. პროფ. ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, 1937 წ., ტფილისი.

³ ეს რკალი ჰგულისხმობლა: ბაღდად-ტრაპიზონ-ტფილის-დარუბანდ-აზერბაიჯან-სომხეთს.

⁴ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. 38, стр. 88—91; Шдр. Н. Бадриашвили, Тифлис, стр. 31.; М. Полиевктов и Г. Натадзе, Старый Тифлис, стр. 1—2.

⁵ ქართლის ცხოვრება, ბროსე, გვ. 223; შდრ. ნ. ბაღდრია შვილის დასახელებულ წიგნში გვ. 31.

⁶ თუმცა ქართლის ცხოვრების ეს ცნობა ტფილისისათვის მძიმე მომენტთან არის დაკავშირებული, იმ მომენტთან, როდესაც ლიპარიტისაგან გარშემორტყმული, ესრუთ შეკირვეს ტფილელთა რომელ ლიტრა ვირის ხორცი ხუთას დრამით იყიდდეს“ (ივე, გვ. 223), მაგრამ ჩვენ აქ ვგულისხმობთ მთელს პერიოდს (საუკუნეების ფარგლებში) და არა იმ წელიწადს, როდესაც ეს ამბავი მოხდა.

ხალიფატის დასუსტებისა და არაბთა გავლენის შემცირების
 შემდეგ ტფილისი (X—XI სს.) ქართველ ფეოდალთა, ხალიფატის ამ
 გან განდგომას ემირთა და ახალ დამპყრობელთა (თურქ-სელჯუკთა)
 საცილობელ საგნად გადაქცეული, არსებითად მსოფლიო საგაჭრო
 ურთიერთობის ოკალის გარეშე მაინც არ დარჩენილა და არც დაკ-
 ნინებას განიცდიდა, პირიქით, ვითარდებოდა კიდეც; მაგრამ მაღარე, ამის შემდეგ (XII—XIII სს.) საერთაშორისო ურთიერთობასა და
 ძალთა განწყობილებაში მომხდარმა ცვლილებებმა¹, ამასთან დაკავ-
 შირებით კი თვით საქართველოს შიგნით დაწყებულმა აღორძინების
 პროცესმა, რომელმაც თამარ მეფის დროს ფეოდალური საქართველო
 განვითარების უმაღლეს წერტილამდე აიყვანა,—ტფილისის ზრდი-
 სათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შექმნეს და ის დიდ პო-
 ლიტიკურ, კულტურულ² და სავაჭრო ცენტრად გადააქციეს: ამ
 დროს ტფილისი წარმოადგენდა იმ, მცირე აზიაში უძლიერეს და
 უდიდეს ქვეყნის (საქართველოს), სატახტო ქალაქს, რომელიც უკვე
 თვით ჰელობდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და სატრანზიტო გზებს
 აღმოსავლეთთან (ინდოეთთან), სამხრეთთან (არაბეთ-სომხეთ-ირან-
 თან) და ჩრდილოეთთანაც (ჩუხეთთან) ტფილისი რომ XII—XIII სს.
 მართლაც ერთერთი უდიდესი კულტურული და ეკონომიკური
 ცენტრი იყო, ეს დასასტურებულია თითქმის ყველა იმდრო-
 ინდელს ქართულს თუ უცხო წყაროებში³ და ამ გარემოებას სპე-
 ციალური დამოწმება არც სჭირია, მაგრამ იმისათვის, თუ რამდე-
 ნად განთქმული ჰქონდა სახელი მთელს აღმოსავლეთში ამ დროს და
 შემდეგაც (უკვე მონღოლთა ბატონობის დროსაც) ტფილის, რო-
 გორც აყვავებულ ქალაქს, ერთობ დამახასიათებელია იტალიელი
 მოგზაურის მარკო პოლოს ცნობა⁴ იმის შესახებ, რომ „ტფილისი

¹ საქართველოსათვის ამ დროს განსაკუთრებით დადგებითი მნიშვნელობა ჰქონდათ ე. წ. ჯვაროსნულ მოებს, რომელთა გამოისობით ახლობელ აღმოსავ-
 ლეთის მუსლიმანურ ქვეყნებს საშუალება და მოცლა არ ჰქონდათ თავანთი ბა-
 ტონობა საქართველოზე განემტკიცებიათ და გაძლიერებულ საქართველოსათვის
 წინააღმდეგობა გაეწიათ.

² ამ ეპოქამ მისცა საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეთა (მათ შორის ლი-
 ტერატურულ მოღვაწეთა) მთელი პლეიდა (შოთა რუსთაველი, ჩარუხაძე, სარ-
 გის თმოგველი, მოსე ბონელი და სხვ.) და მათი აკვანი ტფილისი იყო.

³ ამ წყაროების გარდა მაშინდედ ტფილისის კეთილმოწყობაზე ლაპარა-
 კობენ ჩვენს დროში მრავალ აღმოჩენილი მატერიალურ კულტურის არქეოლო-
 გიური ძეგლები (იხ., მაგალითად, გ. ქურდიანი, Исторический очерк развития
 водоснабжения Тифлиса), რომლებიც სწორეთ ამ ხანას შეეხებიან.

⁴ მარკო პოლოს ცნობა პირველი ცნობა ევროპულ ლიტერატურაში: მარ-
 კო პოლომდე ტფილისის შესახებ ევროპულთაგანს არავრი დაუწერია.

მშვენიერი ქალაქი იყო¹. ეს ცნობა ეკუთვნის XIII საუკუნის და
სასრულს², ე. ი. იმ დროს, როდესაც მონლოლები საქართველოში
უკვე გაბატონებული იყვნენ და როდესაც, მაშასადამე, საეჭვოა
ტფილისი „მშვენიერი ქალაქი“ ყოფილიყო³. ამიტომ, ცხადია, ეს
ცნობა მოწმობს მხოლოდ იმას, რომ აყვავების დროინდელ (XI—XIII ს.)
ტფილისის შესახებ თავის დროზე გავრცელებული აზრი აღმოსავ-
ლეთში და კერძოდ ირანში, — მონლოლების ბატონობის დროსაც
ჯერ გამჭრალი არ ყოფილა.

XIII საუკუნიდან მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა ტფი-
ლისის საზიანოდ: ჯერ ჯალალ-ედინის შემოსევამ (1226 წ.)⁴, ხოლო
შემდევ მონლოლთა ასი წლის ბატონობამ წელში გაწყვიტა საქართ-
ველო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, და არამცუ-
შეაფერხა ტფილისის ბუნებრივი ზრდა, არამედ მნიშვნელოვანად
დასცა მისი ეკონომიური და კულტურული ძლიერებაც: თუმცა ამის
შემდეგაც ტფილისი, როგორც ვამბობდით, XV საუკუნემდე კვლა-
ვინდებურად საქართველოს დედა-ქალაქად და ქართველ მეფეების
რეზიდენციად დარჩა, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ ის, კულ-
ტურისა და ვაჭრობის ძლიერ ცენტრიდან, მეორეხარისხოვან ქალა-
ქად გადააქცია. მონლოლებმა, ჯერ კიდევ მათი პირველ შემოსევის
დროს თვით რუსულდანის ბრძანებით გადამწვარ ტფილისის მცხოვ-
რებთ იმდენი გადასახადი დაიწერეს, რომ თანამდეროვე სომეხ ის-
ტორიკოსის კირაკოს განძაკელის მოწმობით, მოსახლეობა უკიდუ-
რეს გაჭირვებამდე და მათხოვრის მდგომარეობამდე მიიყვანეს⁵. ვი-
ნეციელ დიპლომატის კონტარინის უფრო გვიანდელი ცნობებიდა-
ნაც ჩანს, რომ XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწ-
ყისში ტფილისი ძველი დიდებისა და ძლიერების მხოლოდ მოვინებას-
ლა წარმოადგენდა⁶. ასე რომ, თუ არაბების ძლიერმა სავაჭრო კუ-
პიტალმა, რომელიც ერთ საერთაშორისო საქონლის ტრიალის სის-
ტემაში აქცევდა მცირე აზიას, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილს, სკან-
დინავიის ნახევარ კუნძულს, რუსეთსა და საქართველოს, ხელი შეუწ-

¹ მ. პოლივე ტოვი და გ. ნათა ძე, დასახელებული წიგნი, გვ. 8.

² მარკო პოლო ირანში მოგზაურობდა 1271—92 წწ.

³ მარკო პოლოს ტფილისი თავათ არ უნახავს. ცნობა ტფილისის შესახებ,
როგორც ჩანს, მას ჩაწერილი აქვს იმ დროს ტფილისის შესახებ აღმოსავლეთში
გავრცელებულ აზრის მიხედვით.

⁴ ჯალალ ედინმა ტფილისი თრჯერ აიკლო.

⁵ ნ. ბატონიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 49.

⁶ მ. პოლივე ტოვი და გ. ნათა ძე, დასახელებული წიგნი, გვ. 9.

ყო ტფილისის ჩათრევას ამ სისტემაში და მით (მიუხედავად ფრინათ ცუდი მდგომარეობისა, რომელშიც ტფილისი, როგორც დაპყრისტილ ქვეყნის ოკუპირებული ქალაქი, მათინ იმყოფებოდა) შესაძლებელი გახდა (არაბთა ბატონობის პირველ პერიოდის გავლის შემდეგ) მისი არამცთუ უზრუნველყოფა ჩამოქვეითებისაგან, არამედ იგი რამოდენიმედ გახარდა კიდეც, — მონლოლთა ასი წლის ბატონობამ საესტი დასცა, როგორც ვამბობდით, ტფილისის კეთილდღეობა და ის უმნიშვნელო ქალაქად გადააქცია¹.

მაგრამ ამ დროისთვის ერთობ გაძლიერებულმა დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალმა, რომელმაც ჯვაროსნულ ობების შემდეგ თავის მოქმედებისათვის უფრო ფართე ასარები (სავაჭრო ბაზრები²) მოიპოვა და აღმოსავლეთშიც გზა გაიკაფა, მთახერხა რამდენიმედ ტფილისთანაც კავშირის გაბმა³, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს ამ ხანებში ერთგვარი გამოცოცლება დაეტყო. ამ დროიდან მოყოლებული, თითქმის XIX საუკუნეშიდე, სწორეთ ამ კავშირის წყალობით, ტფილისის ხშირი სტუმრები იყვნენ დასავლეთ ევროპის კაპიტალის სხვადასხვა ჯურის აგენტები⁴, რომლებიც აქ, ეკონომიურ-პოლიტიკურ დაწვერევასთან ერთად, ვაჭრობასა და აღებმიცემობასაც ეწეოდნენ. ამას ხელს უწყობდა იმ ხანად თვით საქართველოში გიორგი V (1318—1346 წწ.) მხნე და გამარტიანებელი მოღვაწეობა, რამაც მოსახერხებელი გახდა საქართველოს აღდგენა თითქმის ძველს სახლვრებში, და კერძოდ ტფილისის გაძლიერება შედარებით წინა პერიოდთან.

XIV საუკ. მეორე ნახევრისა და XV საუკ. პირველ ნახევრის სიგრძეშე მტრების (ჯერ თემურ-ლენგის⁵, ხოლო უფრო გვიან—ჯაპან-შაპის⁶) მიერ არა ერთხელ დარბევისა და აკლების შემდეგ, ტყი-

¹ თუ რამდენად გამანადგურებელი იყო მონლოლთა ბატონობა საერთოდ საქართველოსათვის (და კერძოდ ტფილისისათვისც), სჩანს იქიდანაც, რომ ამის შემდეგ ამ ბატონობით მიყენებულ კრისტობის მოშუშება ვერ შესძლო ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

² ვეულისხმობთ ფაბრიკატების შესასყიდ ბაზრებს, რაფან ამ დროს მრეწველობის განვითარების მხრივ აღმოსავლეთი უფრო მაღლა იდგა დასავლეთშე, რეს გამოც ამ უკანასკნელს აღმოსავლეთი უმთავრესად, როგორც ასეთი ბაზარი, აინტერესებდა.

³ ვეულისხმობთ უმთავრესად სავაჭრო კავშირს.

⁴ ამ კავშირის გამბმელი უმთავრესად „ღოთისმსახურნი“—კათოლიკ-მისიონერები იყვნენ.

⁵ თემურ-ლენგის შემოსევა საქართველოში (1386—1393 წწ.) რამდენიმეჯერ განმეორდა.

⁶ ჯაპან-შაპის საქართველო არა ერთხელ აიკლო (1440—1444 წწ.).

ლისი ცოტა ხნით ისევ ახერხებს თითქოს სულის მოთქმას და გამო-
ცოცხლებას; მაგრამ მაღვე ამის შემდევ ახლობელ აღმოსავლეთი
მომხდარი ამპები კვლავ საბედისწერო გავლენას ახდენენ მთელი სა-
ქართველოს და კერძოდ ტფილისის მომავალ განვითარებაზე: მცირე
აზიასა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ოსმალეთის გაბატონებაზე¹
არსებითად შეაჩერა დასავლეთი ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობა
აღმოსავლეთთან და საქართველოც ტფილისითურთ მოსწყვიტა თით-
ქმის მთლიანად იმ ცენტრებს, რომლებთანაც მას აქამდე კავშირი
ჰქონდა: ტფილისი იზოლირებული აღმოჩნდა მსოფლიო სავაჭრო
პუნქტებისა და საერთაშორისო საქონლის ტრიალისაგან.

მეორეს მხრივ ამიერიდან საქართველო, ხოლო პირველ რიგში
კი ტფილისი, სათარეშო ასპარეზად და ქიშპობის საგნად გადაიქცა
ხან ოსმალეთისა და ხან კიდევ ირანის: 1522 წელს ტფილის
იპყრობს სეფევიდების დინასტიის დამაარსებელი სპარსეთში შაჰ
ისმაილ პირველი, შემდევ კი ორ გზის (1536 და 1541 წწ.) —
მისი შეილი შაჰ თახმასპი; 1553 წელს საქართველო ნაწილდება ოს-
მალეთსა და ირანს შორის: დასავლეთი საქართველო ოსმალეთის
გავლენის ქვეშ ექცევა, აღმოსავლეთი კი ტფილისითურთ — ირანის²;
1578 წელს ირან-ოსმალეთის ომის შედეგად გაძლიერებული ოსმა-
ლეთი (მაჰმუდი) იპყრობს ირანის სამფლობელოში შემავალ აღმო-
სავლეთ საქართველოს და მასთან ერთად ტფილისაც; მაგრამ
1606 წელს შაჰ-აბაზ პირველი ახერხებს ოსმალების განდევნას სა-
ქართველოდან და კვლავ იბრუნებს ტფილისს. საქართველო საკ-
მაოდ დიდხანს ვერ ახერხებს იმ ჭრილობის მოშუშებას, რომელსაც
მას შაჰ-აბაზის შემოსევა აყენებს³. რუს ვაკრის გაგარას აღწერი-
ლობიდან, რომელიც უფრო გვიანდელს ხანს (1634—37 წლებს)
ეკუთვნის⁴, მაგალითად, ჩანს, რომ ტფილისი ამ დროს ჯერ კიდევ
არ ანდენდა კეთილმოწყობილ ქალაქის შთაბეჭდილებას, თუმცა, რო-
გორც ჩანს, მას აკლების უშუალო კვალი მაშინ უკვე აღარ ეტყო-
ბოდა⁵.

¹ ოსმალეთმ 1453 წელს კონსტანტინეპოლისა და შემდევ კი მთელი ბი-
ზანტიის დაპყრობით უზრუნველყო თავისი ბატონობა მცირე აზიაში.

² ამ დროიდან მოყოლებული ტფილისის თითქმის XIX საუკუნეებდე ირა-
ნის ძლიერ გავლენას განიცდის: ტფილისის კეთილმოწყობა (სახლები, ქუჩები,
მოედნები), მცხოვრებთა ადათი და ზევ-ჩევლება, მწერლობა, მმართველობის
წესი და სხვა—ყველაფერი ეს ირანისა და მის ქალაქებს ს ყაიდაზე ეწყობა.

³ შაჰ-აბაზმა საქართველოდან აჟარა და ირანში გადასახლა 150 ათას-
ზე მეტი ქართველი.

⁴ გაგარამ საქართველოსა და ირანში იმოგზაურა 1634—1637 წწ.

⁵ შ. პოლიევეტოვისა და გ. ნათ აძის დასახელ. წიგნი, გვ. 10.

ამ დროიდან კი ტფილისი ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც  მავლობის ხაზით, ასე თუ ისე, იზრდება და ვითარდება თოთმისი ერთი საუკუნის განმავლობაში: როსტომ მეფისა და ვახტანგ V დროს, აგრეთვე არჩილ მეფისა, თეიმურაზ პირველისა და ვახტანგ VI დროსაც, ტფილისი, შედარებით წინა საუკუნეებთან, ეკონომიურად და კულტურულადაც გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. ფრანგ მოგზაურის შარდენის მოწმობით¹, მაგალითად, ტფილისი XVII საუკუნეში ერთ-ერთი „ულამაზესი ქალაქია სპარსეთში“, ის მჭიდროდ არის დასახლებული და მასში მრავალი უცხოელია, რომელიც ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ეწევა². შარდენი დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის (უმთავრესად ინგლისის კაპიტალის) აგენტი იყო და მას დავალებული ჰქონდა ძველი აღმოსავლეთის ბაზრების დაზვერვა პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობის მიზნით, და ამიტომ ეს გარემოება ნათლად მოწმობს იმას, რომ ჯვაროსანთა ომის შემდეგ დასავლეთ ქვეყნების კაპიტალის მიერ ტფილისთან გაბმული ძაფი, რომელიც ოსმალეთის გაძლიერებითა და მცირე აზიაში გაბატონებით ერთხანს შეწყდა, XVII საუკუნისათვის კვლავ აღდგენილი იყო³, და რომ, მაშასადამე, ტფილისი ამ დროს ისევ სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული დასავლეთ ევროპასთან.

XVIII საუკუნის დასაწყისში ჯერ ლექთა შემოსევამ (1722 წელს), ხოლო შემდეგ ნადირ-შავის მიერ ტფილისის აკლებამ (1736 წელს) მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩვენი დედა-ქალაქის კეთილდღეობას და დიდი ხნით შეაჩერა ის აღორძინების პროცესი, რომელიც XVII საუკუნიდან დაიწყო მის ისტორიაში. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ტფილისისათვის ნადირ-შავის შემოსევა*, რომლის შედეგები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ ტფილისმა ნადირ-შავის სიკედილის შემდეგაც (1747 წელს), მიუხედავად ერეკლე II-ის მხნე და ენერგიულ სახელმწიფოებრივ მოღაწეობისა, მაინც ვერ შეძლო მნიშვნელოვნად გამრთელება და თავისი მდგომარეობის რამო-

¹ შარდენმა ტფილისი ინახულა 1672–73 წწ.

² მ. პ. პლიოვეტოვისა და გ. ნათაძის დასახ. წიგნი, გვ. 14; შდრ. ნ. ბადრია შვილის ტფილისი, გვ. 63–69.

³ დასავლეთის კაპიტალი (განსაკუთრებით ფრანგული კაპიტალი) შემდეგში (XVIII საუკუნეში) კიდევ უფრო მეტი ინტერესს იჩენს საქართველოსა და ქერძოდ ტფილისის ბაზრებისადმი.

* საქართველოს აობრებისა და აკლების შემდეგ, ნადირ-შავმა საქართველოს საგანგებო გადასახადის („არბაბი“) დაწერა ორი მილიონი მანეტის რაოდენობით (იხ. პ. ბუტკოვი, მათერ. და ისტ. ისტ. კავკазა, 1, გვ. 231).

დენიმედ მაინც საგრძნობლად გამოკეთება. აქად. გიულ დედო
შტედტს, მაგ., რომელშაც ტფილისი 1770—1773 წლებში ინახის აღნიშვნელი
აღნიშვნელი აქვს, რომ ტფილისი ამ დროს ერთობ უნიშვნელო
ქალაქი იყო სუსტად განვითარებული ვაჭრობითა და აღებ-მიცემო-
ბით¹. გიულდენშტედტის აღწერილობიდან ყოველ შემთხვევაში
ჩანს, რომ ტფილისი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არ იყო
სახარბიელო მდგომარეობაში, საერთოდ ამ დროს საქართველოს არა-
სახარბიელო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

1770-ს და მეორედ 1781 წელს ჭირის გაჩენამ კიდევ უფრო
გააუარესა ტფილისის მდგომარეობა, ხოლო ხუთმეტი წლის შემდეგ
(1795 წელს) აღა მაპმალ-ხანის შემოსუვამ უკანასკნელი გამანადგურე-
ბელი მახვილი ჩასცა ფეოდალურ საქართველოს დედა-ქალაქ ტფილის
და ის თითქმის ნანგრევებად აქცია.

ასეთია მოკლედ და ზოგადად ტფილისის მიერ გავლილი ისტო-
რიული გზის მთავარი მომენტები დაარსებილან XIX საუკუნემდე.

ადრინდელ ფეოდალიზმის ეპოქაში წარმოშობილ ტფილის
მთელ ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმ როტლი თავგადასავ-
ლისა და ცვლილებებისა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპა-
რაკი, თავისი ეკონომიური სტრუქტურა და სოციალური პროფილი
ძირითადად არ შეუცვლია: ის V საუკუნიდან XIX საუკუნემდე
(სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა სისრულით) ტიპიურ
საშუალო საუკუნის ქალაქად დარჩა თავის სოციალურ შინაარსისა
და პოლიტიკურ წესწყობილების საფუძვლებით; ვერც
შინაარსი და ვერც გარედან (უცხო ქვეყნებიდან) შემოქრილმა
სავაჭრო (თუ სავაჭრო) კაპიტალმა, რომელიც ზოგჯერ საქმაოდ
დიდ როლს თამაშობდა ტფილისის ცხოვრებაში, ვერ შესძლო იმ
ისტორიულ პირობებში და იმ გარემოცვაში, რომელშიც ამ ხნის
განმავლობაში ტფილისი იმყოფებოდა, უფრო განვითარებულიყო,
სამრეწველო კაპიტალი გადაზრდილიყო და, ტფილისის ცხოვრების
წილში ახალი საწარმოო ძალების მოძრავებით, ფეოდალიზმისათვის
საძირკველი გამოეცალა. ასე რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის
ტფილისი არსებითად ისევ ჩვეულებრივ ფეოდალურ ქალაქს² წარ-

¹ Акад. Гюлденштедт, Описание Грузии и Кавказа, СПБ, 1909, стр. 182—265.

² ამას საუკხოვოდ ამტკიცებს სხვათაშორის ტფილისის მოსახლეობის სო-
ციალური შემადგენლობაც: 18.0-იან წლებში ტფილისი სულ ითვლებოდა 3.498
კომლი, აქედან ყმები შეადგენდენ 3.400 კომლს, ე. ი. 97,2%, ხოლო თავისუფალი
წოდება—98 კომლს, ე. ი. 2,8%.

მოადგენდა მთელი თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებითა  ზოგჯერ იმ სპეციფიკური ნიშნებითაც, რომლებიც ახასიათებდნენ დროს ფეოდალურ ქალაქებს აღმოსავლეთის ქვეყნებში (განსაკუთრებით ირანში¹).

3

XIX საუკუნის დასაწყისიდან პირობები ტფილისის განვითარებისათვის შრავალმხრივ შეიცვალა და ამიერიდან ტფილისის ეკონომიური თუ კულტურული ცხოვრება არსებითად სრულიად განსაკუთრებულ ფაქტორების ზეგავლენით წარიმართა. საქართველოს სამეფოს გაუქმებამ და რუსეთის კოლონიად გადაქცევამ ტფილის დაუკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც მას, როგორც საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქსა და ინდოეთის დიდ გზაზე მდებარე ერთ ერთ საკანდო პუნქტს, ჰერონდა, — მაგრამ სამაგიეროდ ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა ტფილისი მოქცეულიყო (თუმცა სხვა გზითა და სხვა სახით) ისევ მსოფლიო (სავაჭრო და კულტურული) ურთიერთობის ორბიტში.

¹ რათემაუნდა, ტფილისი თავისი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული შინაგარსით, ეკონომიურ ზრდასა თუ ჩამოქვეითებასთან დაკავშირებით, საუკუნეთა განმავლობაში აბსოლუტურად უცვლელი არ რჩებოდა და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში: სხვადასხვა სახეს ატარებდა: მაგალითად, ტფილისი V—VI საუკუნეებისა უკევლად განსხვავდებოდა (მოსახლეობის საწყადოებრივი დიფერენციაციისა და სოციალური ფენების ურთიერთ დამოკიდებულების თვალსაზრისით, საქალაქო წყობილებისა და საქალაქო იურისდიქციის თვალსაზრისით, ზნეობრივი ნორმებისა და ადათ-წესების თვალსაზრისით, გაბატონებული იდეოლოგიური მიმართულებისა, მორალისა და ესოციალურ გეორგინების თვალსაზრისით, კულტურულ-გონიერივ დონის თვალსაზრისით და სხვა) XI—XII საუკუნეებისა ან XVII—XVIII საუკუნეების ტფილისისაგან. მაგრამ მთელ ამ ხნის განმავლობაში ტფილისი არ სებითა დ მაინც ფეოდალურ ქალაქდ დარჩა, არა იმ გაგებით, თითქოს ის რომელიმე ფეოდალის (თუნდაც მათგან უპირველესის — მეფის) საკუთრება და საფეოდო ყოფილიყოს (ასეთად ტფილისი არასოდეს არ ყოფილია), არამედ იმ მხრივ, რომ ტფილისი საქაოთველოში არსებულ ფეოდალურ წყობილებისა და ფეოდალურ სისტემის ერთ-ერთი ელემენტი იყო და ის არასოდეს V—XIX ს-დე, დასავლეთ ეკრპისის (განსაკუთრებით იტალიისა და გერმანიის) ზოგიერთ ქალაქების (მაგალითად, ვენეციისა, პიზისა, ფლორენციისა, გენუასი, განზის). მსგავსად, საშუალო საუკუნეებში ბურუჟაზიულ ქალაქად, ან სახელმწიფო-ქალაქად თუ რესპუბლიკა-ქალაქად არ გადაქცევულა და არც არასოდეს, უზენაეს ხელისუფლებისაგან თავისუფლების ქარტიის ზექნით, ავტონომიურ-მუნიციპალური უფლებები მოუპოვებია. ტფილისის, რათემაუნდა, თავისი საქალაქო იურისდიქცია (დებულება) ჰქონდა, მაგრამ ეს იურისდიქცია მეფისაგან გამომდინარეობდა.

საქართველოს მთავრობის
მინისტრის
მინისტრის

საკართველოს ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და მთავრობის
უკანსკნელთა (განსაკუთრებით ირანის) კულტურული გავლენა სა-
ქართველოზე XIX საუკუნის დასაწყისიდან საესებით თურცა არ
შეწყვეტილა, მაგრამ ეს ურთიერთობა და გავლენა ამ დროიდან
საკორდინაციაზე შესუსტდა: მისი ადგილი ახლა დაწირა გაძლიერე-
ბულმა და ბურუუზიულ-კაპიტალისტურ აღმოჩნდების გზაზე შემ-
დგარმა ჩრდილოეთმა — რუსეთმა¹ და ამ უკანასკნელის მეოხებით კი
დასავლეთ ეკონომაც²; ამიერიდან საქართველო გადაიქცა რუსეთის³

¹ რუსეთის კაპიტალის ექსპანსია საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში XIX საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ XIX საუკუნიდან (სა-
ქართველოს ანგესის შემდეგ) მან უფრო გარკვეული და მუდმივი ხასიათი მიიღო.

² დასავლეთ ეკონომის კაპიტალი საქართველოს ბაზრებთან დაკავშირებას და ამ მიზნით საჭირო დაზერცხების მოხდენას, როგორც ზევითაც გვქონდა ნათ-
ქვამი, მანამდეც (XIII—XVIII სს.) ახერხებდა, მაგრამ ეს ხდებოდა არა რუსეთის გზით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო დასავლეთ ეკონომას (და აღმოსავლეთსაც) XIX ს-ში უშეალოდაც უკავშირდებოდა, აღდებ-მიცემობის განვითარების მხრივ. ეს ამბავი სისწორით აქვს აღნიშვნული საფრანგეთის კონ-
სულს საქართველოში გამახა. ის წერს: „ზოგჯერ ტფილისში ერთ და იმავე დღეს ჩაიდიან ნებოცანტრები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონ-
სტანტინიეპოლიდან, ინგლისელები კალკუტიდან, და მადრასიდან, სომხები სმირ-
ნიდან და ეზდიდან, უზექები ბურაკიდან; ასე რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვა-
ლოს საკანძო პუნქტად ეკონომასა და აზიან შორის“—ი (Старый Тифлис, გვ. 81).

³ რუსეთის საგვრო კაპიტალმა ნიადაგის მოსინჯვა და დაზერვა საქართ-
ველში არსებითად XVI—XVII საუკუნიდან დაიწყო. (იხ. М. Попов в ктв.,
Экономич. и политич. разведки Московск. гоударствта XVII ст., 1932 წ.);
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ საერთო XVI—XIX სს. იხ.:
М. Б р о с с е, Переписка на иностранных языках грузинских царей с рос-
сийскими государствами, СПБ, 1861; О. Б е л о к у р о в, Сношения России
с Кавказом, I, 1578—1613 гг., Чтения истории и древностей Рос. III, 1888; А.
Ц а г а р е л и, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия,
1768—1801 гг., I и II, СПБ, 1891—1901; П о п о в в к т в., Посольство столь-
ника Толочанова, 1650—1652 гг., Тифлис, 1926; Его же, Посольство князя
Мышецкого, 1610—1643 гг., Тифлис, 1928; Его же, Материалы по истории
грузино-русских отношений 1615—1640 гг., Тифлис, 1920 г.; З. А в а л о в,
Присоединение Грузии к России, СПБ. 1901; М. Х е л т у п л и ш в и լ ի,
Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаис, 1901; А. М у-
р а в ь е в, Грузия и Армения, I, СПБ, 1848; П. Б у т к о в, Материалы для
новой истории Кавказа, I, 11; П. А к р и т а с и III. Ч х е т ი ა, История
горной промышленности Грузии в документах, I, Тифлис, 1936; З როფ.
ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის XVIII
საუკუნეში, ტფილისი, 1920.

(და რამდენიმედ დასავლეთ ევროპის)¹ გაძლიერებულ სავაჭრო კავშირი ტალის ფართე მოქმედების ასპარეზად: აქ წარმოებს ერთის მხრივ რუსულ (და დასავლეთ ევროპის) კაპიტალისტურ წარმოების პროდუქტთა გასაღება, ხოლო მეორეს მხრივ ამ წარმოებისათვის ნედლეულის შეძენა და დაშვიდება. ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო ერთ და იმავე დროს რუსულ კაპიტალისათვის წარმოადგენდა ბაზარსაც — ფაბრიკატების გასასაღებლად და ბაზასაც — ნედლეულის შესაძენად².

მეორეს მხრივ, ამ ახალ მდგომარეობასთან და ახალ პირობებთან დაკავშირებით, თვით საქართველოს შიგნით იწყება ლრმა სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები: XIX საუკუნემდე მოლწეული, უკვე დრომოქმედული, ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობა (ქალაქად თუ სოფლად) თანდათანობით, მაკრამ საკმაოდ ჩქარის ტემპებით რლვევასა და დაშლას განიცდის. მის ადგილას ფეხს იყიდებს, სხვა პრინცაპსა და საფუძველზე დამყარებული, ახალი ტიპის (ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური) მეურნეობა. ხელოსნობისა და ხელსაქმიობის პროდუქტთა ნაცვლად ჩნდებიან კაპიტალისტური წარმოების საგნები³, ჩნდებიან თვით ფაბრიკა-ქარხნებიც⁴; საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში დიფერენციაციის პროცესი იწყება და ამის შედეგად კი სოციალურ-ეკონომიურ ასპარეზზე ახალი საწარმოო

¹ საყურადღებოა, რომ XIX საუკუნეში, ჯერ კიდევ მის პირველ ნახევარში, ჩენენ ვხედავთ საქართველოში დასავლეთ ევროპის არა მარტო სავაჭრო კაპიტალის, არამედ სამრეწველო კაპიტალის შემოწრის ცალკეულ მაგალითებსაც საქართველოში ამ დროს იმყოფებიან უცხოელები (გრაფ რობერტი უკავშირი, დეზომიშვილი, ზეტცერი, ლიბ, კასტელი და სხვ.), რომლებიც აქვთ რობობასა და აღებიცემობასთან ერთად, საქართველო და საფაბრიკო მრეწველობასაც მისდევენ. ესრი და ასკავშირებული არიან უშუალოდ დასავლეთ ევროპის ბაზრებთან (მარსელი, ლაიპციგი, ტრიესტი და სხვ.) და ადგილობრივად აწყობენ სამრეწველო დაწესებულებებსაც.

² ეს გარემოება მეტის რუსეთს შესაძლებლობას აძლევდა საქართველოსა და მის მშრომელ მოსახლეობის არაპირდაპირი ექსპლოატაციაც უფრო ფართედ ეწარმოებინა — ფაბრიკატების გადიდებულ ფასებში გასაღებით (რაღაც ადგილობრივ ფაბრიკატები არ მოიპოვებიან) და ნედლეულის დაბალ ფასებში, შეძენით (რაღაც სხვა კონკურენტები — მუშტრები — აღარ იყვნენ).

³ მათ შორის ფუფუნების საგნებიც (ამის შესახებ ზოგიერთი საინტერესო ცნობები ის. გაზ. „გუთნის დედა“-ში, № 1, 1863).

⁴ XIX საუკუნემდე საქართველოში არსებული წვრილი ქარხნები ფეოდალურ, ნატურალურ საფუძვლებზე იყვნენ მოწყობილნი, ხოლო XIX საუკუნიდან ჩვენში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევრის შემდეგ) გაჩენილი ფაბრიკა-ქარხნები კაპიტალისტურ წირმოების პრინციპებზე ეწყობოდნენ.

ძალები ჩნდებიან; ჩნდებიან ახალი კლასები და ახალი კლასობრივი დამოკიდებულებანი.

XIX საუკუნეში მომხდარ ცვლილებების საყურადღებო ანალიზი მოცემულია ვ. ლენინის მიერ ერთ-ერთ მის შრომაში. ლენინი წერს: „რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური დაპყრობა მოხდა უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა... რეფორმის შემდგომ ეპოქაში ხდებოდა ერთის მხრით ძლიერი კოლონიზაცია კავკასიისა.. მეორეს მხრით ხდებოდა განადგურება აღგილობრივი, დაძველებული შინამრეწველური სარეწვებისა, რომელნიც ეცემოდნენ მოსკოვიდან მოტანილი ფაბრიკატების კონკურენციით. ეცემოდა ძველი წარმოება იარაღისა ტულიდან და ბელგიიდან შემოტანა: ლი საქონლის კონკურენციის გავლენით. ეცემოდა შინამრეწველური ჩამოსხმა რკინისა რუსეთიდან მოტანილი საქონლის კონკურენციით. ეცემოდა აგრეთვე შინამრეწველური დამუშავება სპილენძისა, ოქროსი, ვერცხლისა, თიხისა, ქონისა და სოდის, ტყავეულის და სხვა. ყველა ეს პროცესი მზადდებოდა უფრო იაფად რუსეთის ფაბრიკებში, რომელნიც თავიანთ საქონელს კავკასიაში გზავნიდნენ. ეცემოდა რქიდან ჭიქების (ყანწების) კეთება ფეოდალური წყობილების დამხობით და ისტორიულ ნადიმთა მოსპობით საქართველოში; ეცემოდა ბოხხების წარმოება, აზიური კასტუმის ევროპული ტანისა-მოსით შეცვლის გამო; ეცემოდა გუდებისა და ქვევების წარმოება ადგილობრივი ლვინისათვის, რომელმაც პირველად დაიწყო გამოსვლა ბაზარზე გასასყიდად (განვითარდა „ბოჭკების“ წარმოება)... რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიის საქონელს მსოფლიო ტრანსპორტი, ანადგურებდა კავკასიის ადგილობრივი თავისებურების ნაშთებს, ძველ პატრიარქალურ კარიბებისათვის, და ამ სახით ქნიდა თავისი ფაბრიკისათვის ბაზარს¹.

ყველაური ეს, თავისთავად ცხადია, გავლენას ახდენს ტფილის განვითარებაზედაც. მართალია, მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ტფილისი, როგორც იღნიშნული იყო, ჰკარგავს თავის უწინდელს მნიშვნელობასა და მდგომარეობას, როგორც დამოუკიდებელ სამეფოს სატახტო ქალაქი, მაგრამ ის ამის შემდეგაც პირველ და მთავარ ქალაქად რჩება არა მარტო საქართველოში, არა-მედ მთელს ამიერ-კავკასიაშიც: ტფილისი მთელი კავკასიის აღმინისტრატიული, პოლიტიკური და კულტურული ცენტრია. აქ იმყოფება

¹ В. Ленин, Развитие капитализма в России, Собр. соч., III., стр. 463—64; Шфр. ს. ხუნდა ძე, სოციალიზმის ისტორიისათვის, I, გვ. 57; БСЭ, 19, გვ. 574.

კაცებისის უმაღლესი ხელისუფლება — სანაცელო („სანაცელოსტნიკო“) და მასთან დაკავშირებული ცენტრალური დაწესებულებები; ქვეყნის წარმოებს კავკასიის მრავალერიზ და მრავალენიან მოსახლეობის რუსულ ბიუროკრატიულ მმართველობისათვის დაქვემდებარება და მისი ცხოვრების ამ მმართველობის სისტემასთან შეფარდებით რეგულირება; ტფილისის მეოხებითვე აწარმოებს რუსეთი საგაჭრო თუ სხვაგვარ (პოლიტიკურ-დიპლომატიურ) ურთიერთობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან¹; ტფილისი ის მთავარი საკვანძო პუნქტია ამიერ-კავკასიაში, საიდანაც წარმოებს საქონლის ყიდვა-გაყიდვა, განაწილება და გადაგზავნა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში.

XIX საუკუნე საქართველოში — ეს არის კაპიტალიზმის (ჯერ საგაჭრო კაპიტალის, ხოლო შემდეგ, მასთან ერთად, სამრეწველო კაპიტალისაც) ძლევამოსილი შეტევა ფეოდალიზმისა და ფეოდალურ ურთიერთობის წინააღმდეგ²; შეტევა, რომელიც თანდათანობით ფეოდალიზმის ლიკვიდაციითა და კაპიტალიზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. კაპიტალიზმის ბატონობისა და კაპიტალისტურ ვითარების პირობებში, როგორც ცნობილია, ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში მთავარ როლს ქალაქები თამაშობენ: ქალაქები არიან ცხოვრების ტონის მიმცემი და აქ ხდება უწინარეს ყოვლისა ის ცვლილებებიც, რომელთაც ამ დროს საერთოდ ქვეყანა განიცდის.

XIX საუკუნეში ამგვარ როლს საქართველოშიც მისი ქალაქები (მათ შორის კი პირველ რიგში ტფილისი, როგორც საქართველოს „ბურჯი და ოლაყაფის კარი“³) თამაშობდნენ. საქართველოს ქალაქებში მოიდგა პირველად ფეხი კაპიტალია და კაპიტალისტურმა ვითარებამ; აქ გამოცალა პირველად საძირკველი ფეოდა-

¹ მეფის სანაცელოსთან არსებობდა სპეციალური აპარატი — დიპლომატიური კანცელარია, რომლის დანიშნულებას სწორედ აღმოს. ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხის შესწავლა და ზოგჯერ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაც შეადგენდა.

² XIX საუკუნის სოციალურ და ყოფა-ცხოვრებითი ცვლილებების შესახებ სამართლიანად სწერს ქართველი ისტორიკოს იპროფ. ი. გ. ჯავახიშვილი: „ძეგლი პატრიარქალური ყოფა-ცხოვრება იშლებოდა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ გარდატეხა განიცდიდა. რღვევა ძეგლი საფუძვლებისა ხდებოდა ჩქარის ტემპით“ — (გრანატის ენციკლოპ. 17, გვ. 21^o).).

³ გ. შერეთელი 1870-იან წლებში სამართლიანად უწინდებდა ტფილის „საქართველოს ბურჯესა და ოლაყაფის კარებს“: XIX საუკუნეში ტფილისი ქეშმარიტად ის „ალაყაფის კარი“ იყო, საიდანაც კაპიტალიზმი შემოიჭრა საქართველოში (იხ. შურნ. „კრებული“, № 3, გვ. 213—224, 1873 წ.).

ტფილისი ამ ცხოვრებასა და მის ცვლილებებს წინ მიუძღვდა, ტონს აძლევდა, მაგალითსა და გზას უჩვენებდა. ამიტომ სრულიად გასაკვირი არ არის, რომ ტფილისი პირველად და იმთავითვე დაადგა მტკიცედ განვითარების იმ გზას, რომელსაც ახალი პირობები მას თავზე ახვევდნენ, ე. ი. განვითარების კაპიტალისტურ გზას. ტფილისმა პირველმა დაჲკარგა ძელი (აზიურ-ფეოდალურ ქალაქის) იერი და ახალ, ევროპულ (ბურჟუაზიულ) ქალაქის ყაიდაზე იწყო მიწყობა. და, თუმცა მეფის რუსეთის თვითმპერობელურ და კოლონიალურ პოლიტიკის ანგარიშში სრულიად არ შედიოდა საქართველოს და კერძოდ ტფილისის აღორძინებისათვის ზრუნვა, მაგრამ ტფილისი, ფეოდალურ არტახებისგან განთავისუფლებული და საერთო კაპიტალისტურ ფერხულში ჩამოული, მანც სწრაფად იზრდება და ვითარდება მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.

ტფილისის შეუჩერებლივ ზრდას ახლა ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ის XIX საუკუნის დასაწყისიდან უკვე აღარ განიცდის მტრების შემოსევასა და რბეგა-აწიოკებას, რასაც მანამდე, როგორც ვნახეთ, სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მას ამ მხრივ ახლა იცავს დიდი რუსეთი, რომლის ეკონომიკური და სავაჭრო ინტერესები სწორედ ამას მოითხოვენ: რუსულ კაპიტალს თავის განვითარებისათვის და ამ კაპიტალის აგენტებს (ვაჭარ-მრეწველთ) თავიანთ სავაჭრო ოპერაციების უზრუნველყოფისათვის, სჭირდებათ მშვიდობიანი ბაზრები (ქალაქები) და რაყი ტფილისიც ახალ სიტუაციაში მოწოდებულია ამგვარ ბაზრად გადაიქცეს, ის ძალაუნებურად მეფის რუსეთის ძლიერი „მხრუნველობის“ ქვეშ იმყოფება¹: ტფილისი მთელ ამ ხნის განმავლობაში თვითმპერობელურ რუსეთის ორთავიანი არწივის ბრჭყალებში „მშვიდობიანად“ ვითარდება.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის სქემა საერთოდ ჯერ დამუშავებული არ არის და არც, მაშასადამე, ამ საუკუნის ტფილი-

¹ მეფის რუსეთის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დეკლაციები იმის შესახებ, რომ რუსეთი თითქოს მფარველობას უწევდა საქართველოს მოსაზღვეობას და მტრებისაგან იცავდა ჰუმანური მოსაზრებით, რათემაზნდა, მხოლოდ გამჭვირვალე თვალთმაჯუბა და ფარისევლობა იყო: ამ დეკლარაციებით მეფის რუსეთი ცდილობდა დაემალა თავისი ნამდვილი ზრახები— მფარველობა გაეწია რუსულ კაპიტალისათვის საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

სის ისტორიის პერიოდებია ჯერ დადგენილი და განსაზღვრული, მაგრა რამ შეიძლება პირობით დავასახელოთ ოთხი ასეთი მთავარი რიოდი¹:

1. პირველი პერიოდი XVIII საუკუნის დასასრულიდან (საქართველოს რუსეთთან შეერთებით) იწყება და დაახლოვებით 1835-იანი შლებით თავდება. ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლება აწარმოებს ცეცხლითა და მახვილით საქართველოს პოლიტიკურ-სამხედრო დაპყრობას და მის სხვადასხვა ნაწილების შემოქროებას. ეს პერიოდი ხასიათდება რუსული სავაჭრო კაბიტალის შემოქრით² და ამ უკანასკნელას მიერ, ადგილობრივ (უმთავრესად სომხურ) სავაჭრო კაპიტალთან ერთად, მტკიცედ ფეხის მოკიდებით საქართველოს ნი-აღავგზე. იმ დაზვერვითი მუშაობის შემდეგ, რომელიც რუსულმა სა-ვაჭრო კაპიტალმა და მისმა აგენტებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე ჩაატარეს ჩვენში ნიადაგის მოსასინჯავად, საქართველოს ანექსიის შემდეგ სავეზით ადვილი იყო მისთვის აქ ფეხის მოკიდებაც და მოშინაურებაც: ახლა რუსულ კაპიტალისათვის მთავარი ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სინამდვილეში სათანადო ობიექტების მოძებნითა და გამოყენებით ხორცი შეესხა იმ იდეალებისათვის, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ის ეტრულოდა, ე. ი. დაუფლებოდა საქართველოში (ხოლო პირველ რიგში კი ტფილისში) ბაზრებს და აქ ფართედ გაეშალა სავაჭრო ქსელი.

ეს მიზანი ამ პერიოდში ძირითადად განაღდდა: ამ დროს სა-კმაო რაოდენობით ჩნდებიან ტფილისში სავაჭრო დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ძლიერ კონკურენციას უწევენ ად-გილობრივ ფეოდალურ წარმოებასა და მეურნეობას. ტფილისი ვა-ჭრობასა და აღებ მიცემობას აწარმოებს უმთავრესად რუსეთთან და ის უმთავრესად რუსული ფაბრიკატების სარეალიზაციო ბაზარს წარ-

¹ ეს პერიოდები და მათი ქრონოლოგიური მიჯნები პროექტის მაგარი ვარაუდებია: მომავალში მათ უფრო ზედმიწვნითი დამუშავება და დაზუსტება დასჭირდებათ. ახლა კი აქ ამ პერიოდების მხოლოდ ზოგად დახსინობას ვრცლევთ.

² ს. ხ ნ დ ა ძ ფინ-ენოტავესკის გამოკვლევაზე დამყარებით (Капитализм в России, ტ. I, 1925 წ.) სამართლიანად წერს ამ საკითხის შესახებ: „რუსეთის კაპიტალმა თავის მორევში ჩაითრია მავლი კავკასია და კერძოდ საქართველო. წინათ მაგარი ბოლოტიკური არტახებით ერთმანეთზე გადაჯაჭული ორი მხარე ახლა უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური რგოვებით გადაება ერთმანეთს“, (მისი სოციალიზმის ისტორიისათვის, I, გვ. 44).

მოადგენს¹. ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ხელს უწყობს თვითმეტვალისუფლება, რომელსაც სწორედ ამ მიზნით 1830—1835-იან წლებში ფართედ გაჰყავს საქართველოში გზატკეცილები². ამ გზატკეცილების გაყვანა ტფილის აკავშირებს უფრო მჭიდროდ სხვადასხვა რაიონებთან და ქვეყნებთან. ეს კი აძლიერებს მის სავაჭრო უნარიანობასა და სავაჭრო ოპერაციების მოცულობას. ტფილისის ცხოვრებაში სავაჭრო კაპიტალი და ფული მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

პოლიტიკურად ამ პერიოდში საყურადღებოა, სხვათა შორის, ქართული მებრძოლი ფეოდალიზმის განიარაღება და დამარცხება: 1832 წლის შეთქმულება ამ ფეოდალიზმის უკანასკნელი გაბრძოლება იყო არსებითად იმ პრივილეგიების აღდგენისათვის, რომელებიც რუსულ მმართველობისა და რუსულ სავაჭრო კაპიტალის შემოჭრით მან დაკარგა³; ხოლო ამ შეთქმულების დამარცხება—ეს იყო არსებითად ქართული ფეოდალიზმის „მოწინავე“, მებრძოლი ნაწილის დამარცხება და რუსული თვითმპყრობელობისა და სავაჭრო კაპიტალის გამარჯვება. ამისდა მიუხედავად ამ პერიოდში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ეკონომიკურად და პოლიტიკურად ფეოდალურ პრივილეგიებსა და მამულიანობაზე დამყარებულ ინტერესების მატარებელი მაღალი წოდება—თავად-აზნაურობა.

სავაჭრო კაპიტალის გაძლიერებამ ამ პერიოდში ტფილისი საგრძნობლად გაზარდა მოსახლეობის გადიდების მხრივაც: თუ ტფილისში XIX საუკუნის დასაწყისისათვის 20,000 მცხოვრები ითვლე-

¹ ტფილისში 1830-იან წლებში და შემდეგაც არებობდენ საეციალური სავაჭრო დაწესებულებები (როგორც, მაგალითად, Торговои компании акционеров коммерческий дом), რომელთა დაწილებას რუსეთიდან საქონლის შემოტანა და მათი განაშილება შეადგენდა.

² О. Евекий, Статистическое описание Закавказского края, СПБ, 1835, стр. 74.

³ 1832 წლის შეთქმულებაში ორი ძირითადი ჯგუფი და მიმართულება იდებდა მონაწილეობას: ერთი, რომელიც ძველი ფეოდალური საქართველოს რესტავრაციისა და ფეოდალურ ურთიერთობის განმტკიცების იდეით სულდგმულობდა, და მეორე, რომელიც პროგრესულ და ლიბერალურ მიზნებს ემსახურებოდა. შეთქმულების მთავარი ტონის მიმცემი არსებითად პირველი ჯგუფი იყო, როგორც უფრო ძლიერი ჯგუფი. ამ ორი მიმართულებების ერთად (ერთ ორგანიზაციაში) მოქმედება მხოლოდ იმდენად იყო შესაძლებელი, რამდენად ეს დიდებრივია მაშინ მონაწილეთა მიერ შეგნებული არ იყო, და მეორეც, იმდენად, რამდენად ორგავს ერთი საერთო მიზანი — რუსული მმართველობისაგან თავის დალწევა — ქვთნდათ (ამის შესახებ იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, ტფ. 1935 წ. და შ. ჩ ხეტიას რეცენზია ამ წიგნზე — „მნათობი“, № 12, 1936 წ.).

ბოდა¹, ამ პერიოდის დასასრულისათვის ეს მოსახლეობა 30.000 ჰაზარი ავიდა².

2. მეორე პერიოდი 1840-იან წლებიდან იწყება და 1860-იან წლებით თავდება. ტფილისის ქალაქის თვითმართველობის ისტორიას თვალსაჩრისით ეს პერიოდი არის ე. წ. „6 ხმოსანთა სათათბირო“-ს (шестигласная дума) პერიოდი: ქალაქის მმართველობა ამ პერიოდში (1840—1865) მოქმედებს იმ დებულების თანაბრძად, რომელიც 1840 წელს საქართველოს მთავრმართებელ გოლოვინის განკარგულებით შემუშავდა და რომელიც ტფილისის მოსახლეობის წოდებრივ დანაწილებაზე იყო დაყარარებული. ეკონომიკისა და მეურნეობის ფაქტორების განვითარების თვალსაზრისით ეს პერიოდი სავაჭრო კაპიტალის დამწიფებისა და სამრეწველო კაპიტალის ჩასახების პერიოდია. სავაჭრო კაპიტალი და წვრილი ბურჟუაზია ამ დროს უკვე უმთავრეს როლს თამაშობს ტფილისის ცხოვრებაში³, მაგრამ მის პარალელურად სამრეწველო კაპიტალიც იქიდებს ოდნავ ფეხს და თანდათანობით ცხოვრების ერთ-ერთი ფაქტორი ხდება. ამ პერიოდში იწყება უმთავრესად ის ცელილებიც, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს საესებათ დაუკარგეს ტფილის ძველი ფეოდალური იერი და ის ბურჟუაზიულ ქალაქიდ გადააქციეს.

ამ ცელილებებს ამ პერიოდში საძირკველი ჩაუყარა კორონცოვის ელასტიკურმა და მოქნილმა პოლიტიკამ, რომლის უკან რუსთის სავაჭრო და ნაწილობრივ სამრეწველო კაპიტალის ინტერესები იმაღლებოდნენ. კორონცოვმა შესძლო მოხერხებულად ქართველ თავადაზნაურობის შერიგება თვითმპურობელობასთან და ამ უკანასკნელის საკეთილდღეოდ მისი ძალების წარმართვა; მანვე შესძლო ვაჭრობა-შრეწველობისათვის ხელის შეწყობით ტფილისის ცხოვრების ახალ ლიანდაგზე — ბურჟუაზიულ ლიანდაგზე — გადაყვანის დაჩქარება, ხოლო ქართული ნაციონალური კულტურისათვის გარეგნული მზრუნველობის გადამდებარება.

¹ ს. კაბაძე, ტფილისის აღწერ: 1803 წლისა („საისტორიო მოამბე“, 11, 19 5); ზდრ. Описъ г. Тифлиса показанием числа жителей (Акты КАК. II); М. Попиевкетов и Г. Натаадзе, Старый Тифлис, გვ. 65.

² მ. ეგეცკის ცნობით (ინ. მისი დასახლებებული წიგნი, გვ. 143) 1835 წ. ტფილისის მოსახლეობა 25.290-ს შეადგენდა. თუ რამდენად გაიზარდა ეს მოსახლეობა 1840-იან წლებისათვის, ზუსტი ცნობები არ მოგეცოვება. მაგრამ ვარა უდით 30.000-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

³ ამ პერიოდის დასასრულისათვის ქალაქის მთელი ქანების უმეტესი ნაწილი წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას ეკუთვნის. პარველ პერიოდში კი ამ ქონების ბატონ-პატრონი უმთავრესად თავად-ასწაურობა არის.

ლობის გაწევით¹ რუსული კაპიტალისა და რუსული დიდმპურობები მური ინტერესების უზრუნველყოფა.

მეორე პერიოდის დასასრულისათვის გატარდა ჩვენში (აღმო-სავლეთ საქართველოში ტფილისითურთ²) საგლეხო რეფორმა, რო-მელიც კაპიტალიზმის წარმოშობით იყო გამოწვეული³ და რომელ-საც თავის მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კაპი-ტალიზმის განვითარებისათვის. ხოლო თუ რამდენად განვითარებუ-ლი იყო ამ დროს ტფილისში საგაჭრო კაპიტალი და რამდენად ფეხ-მოკიდებული იყო სამრეწველო კაპიტალიც, ჩანს საგაჭრო დაწე-სებულებათა და ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობიდანაც: ამ პერიო-დის დასასრულისათვის ტფილისში ორი ათასამდე საგაჭრო დაწე-სებულება და ორასზე მეტი ფაბრიკა-ქარხანა ითვლებოდა⁴.

ვაჭრობა-მრეწველობისა და ფაბრიკა-ქარხნების რიცხვის გაზრ-დასთან ერთად ამ პერიოდში ჩვენ გხედავთ ტფილისის მოსახლეო-ბის გაზრდასაც: თუ პირველ პერიოდში, როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი 30 ათასამდე აღწევდა, ამ პერიოდის დასასრულისათვის ეს რიცხვი 70 ათასს აღემატებოდა⁵.

¹ ვორონცოვი იმდენად მოხერხებულად და ელასტიკურად ატარებდა დიდ-მპურობელურ პოლიტიკას, რომ მაშინდელ ქართველებში ის უანგარო შფარვე-ლისა და მხრუნველის შთაბეჭდილებას სტაციონარი. სწორედ ამ ნიადაგზე ის იმ დროს და შემდგებიც დიდხანს ერთობ პოპულარული იყო. საინტერესოა ამ მხრივ ა კ ა კ ი ს „მოწმობა. ის მოგვითხრობს: „იმ დროს, სახოვადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვორონცოვის, რომ თუ რუსეთში მყოფი, ან მი-მავალი ქართველი ვორონცოვის ქვრივს არ გაულიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ“ (ა. ჭ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, 1935 წ., ტფილისი, გვ. 400).

² აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმა გატარდა 1864 წელს. დასავლეთ საქართველოში კი ეს რეფორმის უფრო გვარი (1865–67) გატარდა.

³ როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმა ჩვენში, რუსეთში უდარბით, 4–10 წლით უფრო გვიან გატარდა: რუსეთში ეს რეფორმა გატარდა 1861 წ., ხოლო ჩვენში 1864–1867 წწ. 6. 6 ი. კ თ ლ ა ძ ი ს ა ზ რ ი თ ე ს რეფორმა მაშინაც არ გატარდებოდა ჩვენში, რომ პოლონეთის აჯანყებით გამოწვეულ ომის შიშს არ გმოქმედნა რუსეთის მთავრობაზე („კოლოკოლ“, № 198, 1865 წ.: შდრ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის, I, გვ. 36). ჩვენის აზრით ეს დე-ბულება არ არის სავაჭრო სწორი: შესაძლებელია ამ შიშს რუსეთის მთავრობა-ზე მართლაც ჰქონდა გავლენა, მაგრამ მთავარი მიწები საგლეხო რეფორმის გა-ტარებისა ჩვენში, ისევე, როგორც თვით რუსეთში, ის იყო, რომ ახლად ფეხ-ადგმულ კაპიტალიზმს მუშა-ხელი სტირდებოდა ფაბრიკა-ქარხნებისათვის და ამ მუშა-ხელის შევნ, ყმების „გაუთავისუფლებლად“, „შეუძლებელი იყო.

⁴ КК, 1865 წ. შდრ. Сборник материалов для описания Тифлисской губ. т. I, ч. I, стр. 72 (ციფრებს ვარგვალებთ).

⁵ მოსახლეობის რიცხვს კველა პერიოდისათვის ჩვენ გარგვალებთ. უფრო ზუსტი ცნობები იხ. ქვემოთ.

პოლიტიკური თვალსაზრისით ამ პერიოდში აღსანიშნავია კავკასიის ომის დამთავრება და კავკასიის ყველა ნაწილის ინკორპორაცია რუსეთის იმპერიაში, რაც რუსული კაპიტალიზმის განვითარებისათვის ჩვენში ერთობ მნიშვნელოვანი ამბავი იყო.

ამ პერიოდის დასასრულს წარმომშვა ჩვენში ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ახალი თაობა, ე. წ. „თერგდალევლთა“ სახელოვანი თაობა, რომელმაც ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში და საერთოდ საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიაში უაღრესად დიდი კვალი დასტოად¹.

3. მესამე პერიოდი იწყება 1865-იან წლებით და თავდება 1880-იანი წლებით². ეს პერიოდი ტფილისისათვის სამრეწველო კაპიტალის მოლონიერებისა და ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად გადაქცევის ხანაა. ამ პერიოდში სამრეწველო კაპიტალის მდგომარეობა ტფილისში, თავისი კუთხი წონისა და მნიშვნელობის მიხედვით, არსებითად ისეთივეა, როგორიც იყო საგაჭრო კაპიტალის მდგომარეობა პირველ პერიოდში, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს თავისი ფესვები წინა საუკუნეების სილმეში პერნდა ჩაფლული და საგაჭრო კაპიტალის მოქმედება ამ ხანაში ახალი მოვლენა არ იყო საერთოდ ტფილისისათვის, მაშინ, როდესაც სამრეწველო კაპიტალი მესამე პერიოდში არსებითად ახალი ამბავი იყო (როგორც ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი), თუმცა, როგორც გამბობდით, სამრეწველო კაპიტალიც ჩვენში ამ პერიოდზე ოდნავ აღრე ჩაისახა.

მესამე პერიოდში კაპიტალიზმის განვითარებას ტფილისში ხელ სუწყობს განსაკუთრებით ოთხი გარემოება: 1. კავკასიის ომის დამთავრებისა და კავკასიის ნაწილების ინკორპორაციის შედეგად რუსეთის კაპიტალისათვის მოქმედების უფრო ფართე და უშიშარ ასპარეზის დამყარება; 2. საგლეხო რეფორმის შედეგად მუშა-ხელის გაიაფება (ან უკეთ, გაჩენა) შრომის ბაზარზე და მით მრეწველობის უზრუნველყოფა „თავისუფალი“ მუშა-ხელით; 3. ამიერ-კავკასიის

¹ ამის შესახებ იხ.: ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის, ტ. I და II; მისივე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში; მ. ზანდ შეკვლი, თერგდალევლი და ხალხსნები ქართულს ლიტერატურაში, ტფილისი, 1928 წ.

² ვიმეორებთ, რომ დასახელებულ პერიოდების ქრონოლოგიურ მიჯნების დადგენის დროს ჩვენ სრულიად შეუძლებელად მიგვაჩნია (ეს არც არის აუცილებელი) თითოეულ პერიოდისათვის წლების ფარგლებში ზუსტი საზღვრების გამორჩევა, როგორც ეს საერთოდ შეუძლებელია წოლმე სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციების ქრონოლოგიურ მიჯნების დადგენის დროსაც.

რკინისგზების გაყვანით¹ ტფილისის უფრო მჭიდროდ ზაკავშირებულის
სხვადასხვა ქვეყნებთან და ქალაქებთან და 4. ტფილისის საქავშირებულის
სამართველოს რეორგანიზაცია ახალ დებულების საფუძველზე, დებუ-
ლების, რომელიც დაწყარებული იყო უმთავრესად ქონებრივ ცენტზე
და ჰგულისხმობდა კაპიტალისტების ინტერესების უზრუნველ-
ყოფას.

აღნიშნულ გარემოებათა გარდა, კაპიტალიზმის განვითარებას
ამ პერიოდში ხელს უწყობდა მთელი რიგი სხვა ოონისძიებებიც,
როგორც, მაგალითად, ფოთის ნავთსადგურის აშენება, ბათუმის ჟე-
მოერთება და იქ ნავთსადგურის მოწყობა, სატელეგრაფო ხაზის გაყვა-
ნა ტფილისა და სხვა ქალაქებს შორის, სასამართლო რეფორმები,
სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნა ტფილისში, საადგილ-მა-
მულო ბანკის გახსნა ტფილისა და ქუთაისში და სხვა. მაგრამ გან-
საკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ რკინისგზის გაყვანას.
რკინისგზის გაყვანამ ერთი ორად გააითვა ტფილისში, როგორც სა-
ექსპორტო, ისე საიმპორტო საქონლის ღირებულება: თუ რკინისგზის
გაყვანამდე საქონლის გადატანა ფოთიდან ტფილისამდე ორჯერ მე-
ტი ჯდებოდა, ვიდრე პარიზიდან ან ლონდონიდან ფოთამდე² და ამის
შედეგად კი საქონლის ფასი ტფილისში, თვითორებულებასთან შე-
დარებით, ზღაპრულად იზრდებოდა³; ამიერიდან ასეთი კურიოზული
მდგომარეობა თავიდან აცილებული იყო და ტფილის საშუალება
ჰქონდა საქონლის ტრიალი უსარგებლო, ზედმეტი ხარჯების გარე-
შე ეწარმოებინა, რაც აგრეთვე ხელს უწყობდა მის უფრო სწრაფად
განვითარებას.

მესამე პერიოდში საგრძნობლად იმატა ტფილისში, სავაჭრო
დაწესებულებებთან და ბანკებთან ერთად, ფამრიკა-ქარხნებისა და
სამრეწველო დაწესებულებებთათ რიცხვმა; ამასთან დაკავშირებით კი
იმატა მოსახლეობის რიცხვმაც: სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი
1880-იან წლებისათვის ტფილისში 3.000-მდე აღწევს, ხოლო ფამრი-

¹ ამიერ-კავკასიის რკინისგზების მთავარი მაგისტრალის გაყვანა (ფოთი-ბაქო) დამთავრდა 1883 წელს: ტფილის-ფოთის რკინისგზის გაყვანა დასრულდა 1872 წ., ხოლო ტფილის-ბაქოს რკინისგზისა—1883 წელს. ქუთაისის რკინისგზის შტოს გაყვანა დაიწყო 1875 წ.

² Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в историч. и этнограф. отношениях, стр. 134.

³ ფოთიდან ტფილისამდე საქონლის გადატანა ჯდებოდა 85 კაპიკიდან 2 მანეთამდე ფუთი, რაც იმ დროის კვალობაზე დიდ ხარჯებს იწვევდა და საქონლისაც ერთობ აძვირებდა. (Сборн. стат. свед. о Кавказе, I, 81).

ქა-ქარხნების რიცხვი — 1.500-მდე; მოსახლეობა 110.000-ს ტერიტორიაზე მდგრადი მუნიციპალიტეტის ტერიტორია საგრძნობლად ფართოვდება.

ტფილისის საერთო ზრდასთან დაკავშირებით იზრდება ქალაქის მუნიციპალური მეურნეობა, ხოლო საქალაქო სამართველოს რეფორმის ჩატარებისა და ქალაქის თვითმმართველობის შემოღების შედეგად (1875-იან წლებიდან), ეს მეურნეობა გარკვევით ემიჯნება სახაზინო და კერძო მეურნეობას: თუ მესამე პერიოდის დასაწყისი-სათვის ქალაქს თითქმის სრულიად არავითარი თავისი საკუთარი მეურნეობა არ მოეპოვებოდა და მთელი ქონება ქალაქის ტერიტორიაზე უმთავრესად კერძო პირთ ან ხაზინას ეკუთვნოდა, მესამე პერიოდის დასასრულისათვის საკუთრივ ქალაქის მეურნეობა საგრძნობ ღირებულებას წარმოადგენდა და იმ დროის კვალობაზე საკმაოდ კარგადაც იყო მოწყობილი.

საერთოდ წინა პერიოდთან შედარებით ამ პერიოდში ტფილის ახასიათებს მთელი რიგი ძირითადი ცვლილებები, რომელთაც მისი ბურუუზიულ ქალაქად გადაქცევისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ: თუ მეორე პერიოდში საგლეხო რეფორმისათვის, სავაჭრო კაპიტალის განვითარებისა და სამრეწველო კაპიტალის ჩასახვის შედეგად, მხოლოდ ნიადაგი მომზადდა და ამ რეფორმის გატარება დაიწყო კიდეც, მესამე პერიოდში საგლეხო რეფორმის საცსებით დამთავრდა² და ამის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ უზრუნველყო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება³ და მრეწველობის ზრდა; თუ მეორე პერიოდში, როგორც ვამბობდით, სამრეწველო კაპიტალის მხოლოდ ჩანასახი გვქონდა, მთავარ ფაქტორს კი სავაჭრო კაპიტალი წარმოადგენდა, ამ პერიოდში სამრეწველო კაპიტალი იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცა ტფილისის ცხოვრებისათვის, რომ შესაძლებელი გახდა კაპიტალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელ სახოგადოებრივი დიფერენციაციისა და ორი ძირითადი კლასის (ბურუუზისა და პროლეტარიატის) ჩამოყალი-

¹ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის, 1, გვ. 50. სავაჭრო დაწესებულებათა და ფარგიკა-ქარხნების რიცხვი, აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობაც, მრგვალ ციფრებშია ნაჩვენები.

² ჩეენ ვეულისტმორ ბატონიშვილის ფორმალურად გაუქმების ამბავს, თორემ საგლეხო რეფორმისა და გლეხების ბატონიშვირ ვალდებულებათაგან განთავისუფლების უკანასკნელი აქტი ეკუთვნის 1912 წელს, როდესაც მთავრობა იძულებული გახდა გამოქაყიდა „ნადელები“ ხაზინის ფულით.

³ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე სამართლანად წერს: „სტატისტიკური ცნობებით 70-იან წლებში საგრძნობი გახდა კაპიტალისტურ ურთიერთობის შემოჭრა ჩეენში“—ო (სოციალიზმის ისტორიისათვის, 1, გვ. 80).

ბერის პროცესი დაწყებულიყო¹; თუ მეორე პერიოდში ძირითად სოფიალურ კატეგორიას, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო ქადაგები ქონების უმეტესი ნაწილი, საშუალო და წერილი ბურჟუაზია (წვრილი ვაჭრები, ხელოსნები) შეადგენდა, მესამე პერიოდში საშუალო და წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად ტუილისში საქმით რაოდენობით ჩნდებიან მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგნენები და მრეწველ-კაპიტალისტებიც, რომლებიც თანდათან ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ; თუ დასასრულ, მეორე პერიოდმა ნიადაგი ზოამზადა ეროვნული თვითშეგნების წარმოშობა-აღორძინებისათვის და, როგორც აღნიშნული იყო, „თერგდალეულთა“ სახით საზოგადოებრივ მოღვაწეთა ახალი. თაობა წარმოშვა, თაობა, რომელმაც „საქართველოს მომავლის“ პრობლემა წამოაყენა, მესამე პერიოდი ამ თაობის მოღვაწეობის ხანაა მთლიანად².

4. უკანასკნელი, მეოთხე პერიოდი იწყება 1885-იან წლებით და თითქმის 1900-იან წლებამდე აღწევს, ეს პერიოდი ტფილისში კაპიტალისმის და ამ კაპიტალისმის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ძალების—კლასების—ჩამოყალიბების ხანაა: ამ პერიოდში სამრეწველო კაპიტალი ჩასახვისა და მოლონიერების სტადიოდან დავაქაცების სტადიაში გადადის და ტფილისის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს, რათქმაუნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს ტფილისი ამ პერიოდში სამრეწველო კაპიტალის კერად და წმინდა სამრეწველო ქალაქიდ გადაქცეულიყოს—ასეთად ტფილისი არც XX საუკუნეში გამხდარა³—მაგრამ სამრეწველო კა-

¹ ეს პროცესი გაგრძელდა მეოთხე პერიოდშიც, როდესაც ბურჟუაზია და პროლეტარიატი თითქმის საქსებით ჩამოყალიბდენ და ერთიმეორის დაუპირის პირდენ როგორც მოწინააღმდევე კლასები.

² საქართველოს, როგორც ცალკე ერის, ჩამოყალიბება სწორედ მესამე პერიოდს (XIX ს. მეორე ნახევარს) ეკუთვნის (იხ. ი. ს ტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კულტონიალური საკითხი, 1934, გვ. 9.) და ამ გარემოებით აიხსნება ამ დროს „საქართველოს მომავლის“ პრობლემის წარმოშობაც.

³ ტფილისი უკანასკნელ დრომდე სავაჭრო ქალაქი უფრო იყო, ვიდრე სამრეწველო ქალაქი: არასოდეს ტფილისის მრეწველობას ფართო საექსპორტო მნიშვნელობა არ ჰქონია და არც ტფილისის კაპიტალისტური წარმოების საქონელს დაუპყრია როდისმე რომელიმე სხვა ბაზარი გარდა თვით ტფილისისა. მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, თითქოს ტფილისი ამ დროს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ქალაქი არ ყოფილიყოს. ტფილისის, როგორც არა სამრეწველო ქალაქის (მოხელეთა და პოლიციელთა ქალაქის) გენიალური დახასიათება მოცემულია ი. ს ტალინის ცნობილ სტატიაში „წერილი კავკასიონა“, რომელიც 1910 წელს არის დაწერილი და, მაშასადამე, უკვე XX საუკუნის ტფილის გულისხმობს. არანაკლებ მართებულია ეს დახასიათება ამ პერიოდის (1885—1900 წწ.) ტფილისისათვისაც.

პიტალი და კაპიტალისტური ვითარება ამ დროს იმდენად განმტკიცა
ცემულია, რომ ტფილისი უკვე ნამდვილ ბურჟუაზიულ ქალაქს წარმოადგენს.

ამ მხრივ, XIX საუკუნის დასაწყისი და ამავე საუკუნის დასა-
სრული ტფილისისათვის ორ მოწინააღმდეგე პოლუსად შეიძლება
ჩაითვალოს: თუ XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენ გვქონდა ტფილისი,
როგორც ტიპიური ფეოდალური ქალაქი, მთელი თავისი დამახასია-
თებელი ნიშნებით, ამავე საუკუნის დასასრულისათვის ტფილისი წარ-
მოადგენს უკვე საქმაოდ ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ ქალაქს
აგრეთვე მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით. თავისთვად
იგულისხმება, რომ ეს ისე კი არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს
ტფილისი XIX საუკუნის დასასრულისათვის კაპიტალისტური გზით
იმდენად განვითარებულ-გაზრდილიყოს, რომ აქ მაშინ ფეოდალურ
ვითარების ნიშანწყალი არ დარჩენილიყოს; პირიქით, ამ წინანდელ
ვითარების გაღმონაშოთები ტფილისს თითქმის ოქტომბრის რევო-
ლუციამდეც მოჰყვა ცხოვრების ზოგიერთ დარგში,— მაგრამ XIX სა-
უკუნის დასასრულისათვის ტფილისი ძირითადად და არსებითად,
როგორც გამბობდით, უკვე ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქალაქს
წარმოადგენდა: XIX საუკუნის დასაწყისისათვის ნაანდერძევემა ფეო-
დალურმა ტფილისმა ამ საუკუნის სიგრძეზე კაპიტალიზმის მშობია-
რობის ტკიფილები გამოიარა და ამავე საუკუნის დასასრულისათვის
კაპიტალისტურ ქალაქად ჩამოყალიბდა.

რამდენად ტფილისი კაპიტალისტური იერისა და შინაარსის
მატარებელი იყო ამ დროს, ჩანს შემდეგი ზოგადი ცნობებიდანაც:
ტფილისის მოსახლეობა XIX საუკუნის დასასრულისათვის 160.000-ს
აღემატებოდა¹; ამ დროს აქ ითვლებოდა 1.500 ფაბრიკა-ქარხანა
12.500 მუშით²; 2.232 სავაჭრო დაწესებულება, 45.317.000 მან.
შლიური ტრიალით და 14 სააქციო საზოგადოება, რომლის საბრუ-
ნავი თანხა წლიურად 9.059 000 მანეთს შეადგენდა, ხოლო იქ მო-
მუშავე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი—1906-ს³. მარტო 1900 წელს

¹ ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები საქართველოში და კერძოდ ტფი-
ლი. შიც სავსებით მოსპო არსებითად მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ.

² ფ. მარარაძე, საქართველო XIX საუკუნეში, გვ. 68.

³ ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის, I. გვ. 50. ფაბრიკა-ქარხ
ნებისა და სავაჭრო დაწესებულებების შემცირება ამ პერიოდში, შინა პერიოდ-
თან შედარებით (იხ. ზემორე), ხდებოდა წვრილი სავაჭროებისა და სამრეწველო-
ების მოსპობით კონკურენციის ნიადაგზე.

⁴ იქვე, გვ. 49–50.



ტფილისში გაიხსნა 271 სავაჭრო დაწესებულება. სავაჭრო დაწესებულება ჩამული იყო 7.341 მუშა-მოსამსახურე¹. საერთოდ ტფილისის სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებში ჩამულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი კი 21.000-მდე კაცს შეადგენდა, ე. ი. ტფილისის მცხოვრებთა ერთ მეზეიდედზე მეტი ჩამული იყო სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობაში, როგორც მუშა-მოსამსახურე, როგორც შრომის გამყიდველი ელემენტი².

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ჩვენში საბოლოოდ ბურჯუაზიათავისი იდეოლოგიით და პროლეტარიატიც, როგორც ცალკე კლასი აგრეთვე თავისი იდეოლოგიით. ამ პერიოდში გავრცელდა ჩვენში მეცნიერული სოციალიზმი (მარქსის მოძღვრება)³ და ამ პერიოდში დაარსდა მუშათა პარტია (კომუნისტური პარტია) კაცობრიობის გენიის ი. ს ტალინის ხელმძღვანელობით⁴.

ასეთია ტფილისის განვითარების ზოგადი და მთავარი მომენტები XIX საუკუნის სიგრძეზე. დავუბრუნდეთ ახლა ჩვენს თემას: ტფილისი 1865-იან წლებში.

¹ იქვე, გვ. 53.

² იქვე, გვ. 53.

³ „მარქსიზმის პირველი თესლი ა/კავკასიაში 90-იან წლების პირველ ნახევარში შემოიტანეს, ერთის მხრივ, მეფის მთავრობის მიერ რუსეთის ცენტრალურ რაიონებიდან გადმოსახლებულმა რუსმა სოც.-დემოკრატებმა (იოსებ გოგანმა, ივანე ლუზინმა, ფრანჩესკომ და სხვ.), და, მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა“... (ლ. ბერია, ა/კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, ტფილისი, 1935 წ., გვ. 8).

⁴ „პირველ მარქსისტულ სოც.-დემოკრატულ ორგანიზაციას საქართველოში მესამე დასი წარმოადგენდა“ (იქვე).

ტვილისი 1865-იან ჭლებში

I

როგორც ზევითაც ვამბობდით, 1865-იან წლების ტფილისის მდგომარეობას ჩვენ ვეცნობით სტატისტიკური მასალებისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით. ამათგან ერთი დოკუმენტი— „ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“— საისტორიო ლიტერატურაში სრულიად უცნობია და ჯერ არსაც გამოქვეყნებული არ ყოფილა. რადგან ჩვენ უმთავრესად ამ დოკუმენტზე ვემყარებით და რადგან ის უცნობი დოკუმენტია, აქ ჩვენ მოგვიხდება ამ დოკუმენტის შინაარსის გაცნობა¹. მაგრამ, ვიდრე მის შინაარსის გაცნობას შევუდგებოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვით შევეხოთ თვით საბუთს და მის გარეგნულ, ასე ვთქვათ, არქეოგრაფიულ მხარეს.

ეს საბუთი— „ქალაქ ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“— აღმოჩნდა ტფილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში, მის ე. წ. განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდში². ეს ფონდი, როგორც ცნობილია, ხელოვნური ფონდია: ის შესდგება სხვადასხვა ბუნებრივ³ საარქივო ფონდებიდან ამოკრეფილ ცალკეულ საქმეებისაგან, და ამიტომ (რაკი თვით ჩვენ საბუთს წარმოშობის სათანადო ნიშნები ამჟამად შერჩენილი არა აქვს⁴) ახლა შეუძლებელია

¹ ტფილისის ბიბლიოთეკებში დაცულ ტფილისის შესახებ ლიტერატურაში ჩვენ მიერ ქვემოდ გარჩეული საბუთი გამოქვეყნებული არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლიტერატურა სრული არ არის. მაგალითად, „Протоколы медицинского общества“ და „Медицинский соборник“, სადაც მისალოდნელი იყო ეს საბუთი დაბეჭდილი ყოფილიყო, აღმოჩნდენ მხოლოდ ზოგიერთი წლისა: პირველი მხოლოდ 1870-იან წლებისა, ხოლო მეორე 1866 წლის და შემდეგ აგრეთვე 1870-იან წლებიდან.

² საქართველოს ცენტრალური საარქივო სამართველო, ცენტრალური საისტორიო არქივი, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 128 ფურც. 1—37.

³ დაწესებულება-ორგ. ნიშაციათა მუშაობა-მოქმედების შედეგად ისტორიულად (ამ დაწესებულება-ორგანიზაციათა არსებობის სიგრძეზე) შექმნილი ფონდი

⁴ საბუთს დასმული არა აქვს ჩვეულებრივად ოფიციალ დოკუმენტის შედგენის დროს მიღებული კუთხის შტამპი და არც ტექსტშია სადმე აღნიშნული, თუ რომელ დაწესებულების მიერ და ვისთვის არის ის შედგენილი.

სასურველი უეჭველობით იმის გამორკვევა, თუ რომელ დაწესებულება
ბას (და, მაშასადამე, რომელ საარქიტო ფონდს) ეკუთხნოდა, ან მელ დაწესებულების მიერ იყო ის შედგენილი თავის დროზე.

ამისდა მიუხედავად, საბუთის ზოგიერთი არაპირდაპირი ნიშ-
ნების ხაფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს საბუთი ოფიციალუ-
რი დოკუმენტია—ოფიციალური დანიშნულებით, ე. ი. რომ იგი შედ-
გენილია არა კერძო პირის მიერ კერძო ინიციატივით და კერძო, თუ
საზოგადოებრივ დანიშნულებით (ვთქვათ ლიტერატურული მიზნია—
პრესისათვის)¹, არამედ სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ან სახელ-
მწიფო დაწესებულების დავალებით თანამდებობის პირის (თუ პირთა)
მიერ—გარევეული, თუნდაც საინფორმაციო მიზნით. ამას გვაფიქ-
რებინებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ საბუთზე ხელი მოწერილი
აქვს ორ პირს და არა ერთს, როგორც ეს უფრო მოსალოდნელი
იყო იმ შემთხვევაში, თუ მისი შემდგენელი კერძო პირი იქნებოდა²,
და მეორეც—ხელის მოწერასთან ერთად იქვე საბუთზე აღნიშნულია
თითოეული ხელისმომწერის სამოხელეო ხარისხი (ჩინი): „ზევით—„კო-
ლეჟსკი სოვეტნიკისა“ და ქვემოთ—„შტაბ-ლეკარის კოლეჟსკი სოვეტ-
ნიკისა“³, რაც აგრეთვე მოსალოდნელი არ იყო იმ შემთხვევაში, თუ
კი საბუთის შემდგენელი კერძო პირი იქნებოდა⁴.

ამიტომ, როგორც ვთქვით, უფრო საფუძვლიანი იქნება ვიფი-
ქროთ, რომ ეს საბუთი შედგენილია სახელმწიფო დაწესებულების
დავალებით ორი ოფიციალური (თანამდებობის) პირის მიერ, რომელ-
თაგან ერთი, სახელდობრ, „შტაბ-ლეკარი კოლეჟსკი სოვეტნიკი“
ბურხარდი ამ საბუთის ნამდევილი და ფაქტიური ავტორი უნდა იყოს,
ხოლო მეორე „კოლეჟსკი სოვეტნიკი“, რომლის ხელრთვა ამამად
არ იყოთხება, საბუთის ფიქტიური ავტორი, ავტორი ex officio უნ-
და იყოს.

¹ თუმცა ასეთი მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერილობები სწორედ ამავე სა-
ხით ხშირად იბეჭდებოდა მაშინდელს პერიოდულს გამოცემებში (მაგალითად,
„Медицинский сборник“ და „Протоколы медицинского общества“-ში).

² ეს საბუთი თავის შინაარსითა და მოცულობით არც ისეთი დიდი ნაშრო-
მია, რომ მისი შედგენისათვის კოლეჟტიური ინიციატივა და კოლეჟტიური ავტო-
რობა ყოფილიყოს საჭირო.

³ „კოლეჟსკი სოვეტნიკი“-ს ხელრთვა სრულიად არ იყითხება, ხოლო „შტაბ-
ლეკარ კოლეჟსკი სოვეტნიკი“-სა, თითქოს „ბურხარდ“-ად (თუ „ბურხარდტ“-
ად) შეიძლება წავიკითხოთ.

⁴ კერძო (არაოფიციალურ) საბუთზე (ლიტერატურულ ძეგლზე) თანამდებო-
ბისა და ჩინის აღნიშნა, მაშინდელს პირობებში, თუმცა დასშები არის, მაგრამ
მაინც ასეთი რამ, როგორც აუცილებელი წესი, მიღებული არ იყო.

რომ ჩვენი საბუთი მართლაც ოფიციალურ დაწესებულების
დავალებით იყო შედგენილი ოფიციალური მიზნით (საფიქრებულების, კალაქის სანიტარულ პირობების გამორკვევის მიზნით); აღნიშნულ
გარემოების გარდა, ჩანს მისი სტილისა, ენისა და აღნაგობი-
დანიც: საბუთის ენა, თხრობის წესი და აზრის დალაგების სისტემა,
როგორც ქვემოთ დაგრწმუნდებით, მაინცდამაინც არ იძლევა იმის
საფუძველს, რომ იგი კერძო ხასიათის ლიტერატურულ ნაწარმოებად
ჩაეთვალოთ¹. ხოლო რომ მისი ნამდვილი, ან ყოველ შემთხვევაში
მთავარი ავტორი და შემდგენელი შტაბ-ლეკარი ბურხარდი უნდა
იყოს და არა მეორე ხელისმომწერი, რომელიც ასეთ შემთხვევაში
ავტორად მხოლოდ eo ipso, ან უკეთეს შემთხვევაში თანაავტორ-რე-
დაქტორად შეიძლება ჩაითვალოს, გვაფიქრებინებს ის გარემოება,
რომ ეს საბუთი, როგორც სათაურიდანაც ჩანს^{(თუმცა ეს სათაური,}
როგორც ქვემოთ დაგრწმუნდებით, არც ისე ზუსტად გამოხატავს
მის „შინაარსს²“), მაინც მედიკური აღწერილობაა, რომლის შედგენისა-
თვის, ცხადია, მედიკი იქნებოდა საჭირო და ასეთი მედიკი იქო სწორედ,
როგორც ხელმოწერიდან ჩანს, ეს ბურხარდი. შესაძლებელია მეორე
(უცნობი) ხელის მომწერილექიმი (ლეკარი) ყოფილიყო და მაშინ მი-
სი ფაქტური ავტორობაც ნაკლებ საეჭვო იქნებოდა, მაგრამ ასეთ
შემთხვევაში მოსალოდნელი ძირი ხელრთვის დროს, მის სამოხელეო
ხარისხთან („კოლეგიუმი სოვეტინიკი“) ერთად, მისი ექიმობაც აღნიშ-
ნული ყოფილიყო, როგორც ეს აღნიშნულია ბურხარდის მიმართ;
მაგრამ ეს, როგორც ვნახეთ, ასე არ არის.

ამისდა მიუხედავად, რაკი უცნობი ხელისმომწერის მონაწილეო-
ბის გამორკვევა ამჟამად ჩვენს ხელთ ქონებული ცნობებისა და მასა-
ლების მიხედვით დანამდვილებით ძნელია, შეიძლება ავტორობის
საკითხი ჯერჯერობით ღიად დაგტოვოთ, მით უფრო, რომ ამ საკითხს
ახლა ჩვენთვის მაიცნდამაინც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

დანამდვილებით ძნელია ახლა იმის თქმაც, თუ რომელ დაწესე-
ბულების დავალებით არის ეს აღწერილობა, სახელდობრ, შედგენი-
ლი, ან ვისთვის იყო იგი განკუთვნილი და ნიშანდობლივ რა მიზ-
ნით. სათაურისა და უკანასკნელი ხელრთვის მიხედვით შეიძლება

¹ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს საბუთი, სწორედ სტილისა, ენისა
და აღნაგობის მიხედვით, არც ერთ იმ დროში მიღებულ ოფიციალურ (იურიდიულ)
დოკუმენტის (პატაკი, მოხსენება, მიმართვა, ანგარიში და სხვ.) ტიპიურ სახესა და
ნიშნებს მაინცდამაინც არ ატარებს.

² საბუთში მედიკურ აღწერილობაზე არანაკლები ადგილი უკავია ტუ-
ლისის გეოგრაფიულ-სტატისტიკურ და განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიულ აღწე-
რილობას.

დაგუშვათ, რომ იგი შედგენილია სამხედრო, ან უფრო კი ჯანმრთელობის ლობის უწყების რომელიმე ორგანოს დავალებით ამავე ორგანიზმის საჭიროებისათვის. რომ ეს საბუთი სწორედ ჯანმრთელობის უწყების რომელიმე ორგანოს დავალებით უნდა იყოს შედგენილი, ამას მისი სათაურისა¹ და უკანასკნელი ხელრთვის გარდა², გვაფიქრებინებს ისიც, რომ ერთ-ერთი ხელისმომწერი, სახელდობრ, ბურხარდი (თუ ბურხარდტი³), თუ არ ვცდებით, სწორეთ ის ექიმი ბურხარდი (თუ ბურხარდტი⁴) უნდა იყოს, რომელიც ჩვენი საბუთის დაწერის დროს (ე. ი. 1865/66 წ.) კავკასიის სამედიცინო სამმართველოს უწყებაში ტფილისის მაზრის ექიმად მსახურობდა. სწორედ ამ სამედიცინო სამმართველოს დავალებით უნდა იყოს ეს აღწერილობაც შედგენილი—უმთავრესად ტფილისის სანიტარული პირობების გამორკვევისა და შესწავლის მიზნათ.

რომ სწორედ სანიტარულ პირობების გამორკვევისა და შეს-წავლის მიზანი ჰქონდათ უმთავრესად ამ აღწერილობის შემდგენელთ, ეს ნათლად ჩანს, ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ ნიშნების (სათაურისა და ხელრთვის) გარდა, აღწერილობის შინაარსიდანაც: აღწერილობა-ში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტფილისის ცხოვრების ისეთ მომენტების აღნუსხვას, რომელთაც სწორედ მის სანიტარულ მდგომარეობასთან ჰქონდათ უშუალო კავშირი: ჯანმრთელობის საკითხი⁵, საავადმყოფოები⁶, თავშესაფრები⁷, ექიმები⁸, აფთია-ქები⁹ და სხვა, რომელთა შესახებ საბუთი ცნობებს გვაწვდის, შეიძლებოდა უმთავრესად ამ მიზნით ყოფილიყო აღწერილი. ამ მიზანსვე შეიძლება დაუკავშირდეს (თუმცა არა უშუალოდ) ისეთი ცნობების აღწერაც, როგორიცაა, მაგალითად, ცნობები ტფილისის ადგილმდე-

¹ სახელდობრ, ის, რომ ეს აღწერილობა „მედიკურ-ტოპოგრაფიული“ აღ-წერილობაა.

² სახელდობრ, ის, რომ ხელისმომწერი მედიკია.

³ როგორც ვამბობდით, ხელისმოწერა ძნელად იკითხება და ამიტომ და-ნამდვილებით არ ჩანს ხელისმოწერი „ბურხარდ“-ია, თუ „ბურხარდტ“-ი.

⁴ „კავკაზიკა კალენდარ“-ში ტფილისის მაზრის ექიმთა სიაში ერთ შემთხვევაში (1862 წლის ნომერში) მოხსენებულია ევგ. ოედორეს ძე ბურხარდი, ხოლო მეორე შემთხვევაში (1866 წ. ნომერში) ევგ. ოედორეს-ეს ბურხარდტი, მაგრამ ორივე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს და უფრო სწორ ტრანსკრიფციად ეს უკანასკნელი უნდა იყოს მიჩნეული.

⁵ თავი 22, ფურც. 33—37.

⁶ თავი 18, ფურც. 32.

⁷ თავი 19, ფურც. 32.

⁸ თავი 21, ფურც. 32—33.

⁹ იქვე, ფურც. 33.

ბარეობის შესახებ¹, ჰავისა და ნიაღაგის შესახებ², სახლების მოწყობილობისა, ქუჩებისა და მოედნების შესახებ³, მოსახლეობის რაოდენობის შესახებ⁴, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებათა შესახებ, კვების შესახებ⁵ და სხვა.

მაგრამ საბუთის შინაარსი მაინც სცილდება მედიკურ-სანიტარულ და, თუ გნებავთ, მედიკურ-ტოპოგრაფიულ აღწერილობის ფარგლებს. საბუთში მრავალი ისეთი ცნობაა შეტანილი, რომლის დაკავშირება (არა უშუალოდაც) ტფილისის მედიკურ-სანიტარულ მდგომარეობასთან ერთობ ძნელია: ქალაქის სივრცე⁶, მმართველობა⁷, ეკლესია-მონასტრები, ფაბრიკა-ქარხნები⁸, ვაჭრობა და ოლებ-მიცემობა⁹, ზოგიერთი ისტორიული ცნობები ტფილისის წარსულის შესახებ¹⁰ და სხვა — ყველაფერი ეს საეჭვოა უშუალოდ იმ მიზნისათვის საჭირო ყოფილიყოს, რომლის შესახებ ჰემოთ ვამბობდით. ეს კნობები უფრო ეკონომიკურ-სტატისტიკური ხასიათის ცნობებია და ტფილისის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით უნდა იყოს მოკრეფილი და აღწერილობაშიც შეტანილი. ამიტომ, როგორც ვამბობდით, საბუთის სათაური — „ქალაქ ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“ — მაინც და მაინც ზუსტად არ შეეცერება მის შინაარსს: იგი ტფილისის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ და სტატისტიკურ-ეთნოგრაფიულ აღწერილობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე მედიკურ-ტოპოგრაფიულს. მაგრამ ეს მით უკეთესი ჩვენთვის: ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ყოველგვარი (რაც შეიძლება მეტი) ცნობები 1865-იან წლების ტფილისის შესახებ.

ოლონდ საჭირო მხედველობაში გვერდდეს ერთი, საბუთის დამახასიათებელი, უარყოფითი გარემოება, ურომლისოდ ჩვენს საბუთს უეჭველად მეტი ლირსება ექნებოდა. საქმე ისაა, რომ ყველა ის ცნობები, რომელთა შესახებ საბუთი მოვცითხობს, მიუხედავად აღწერილობის შედარებით დიდი მოცულობისა¹¹, ერთობ მოკლედ და

¹ თავი 1, ფურც. 1.

² თავები მე 5 და მე-6, ფ. 8—9.

³ თავი 15, ფურც. 30—31.

⁴ თავები მე-7 და მე-10, ფ. 11, 17—25.

⁵ თავი მე-9, ფურც. 14.

⁶ თავი 3, ფურც. 1—8.

⁷ თავი 12, ფურც. 25—26.

⁸ თავი 16, ფურც. 31.

⁹ თავი 10, ფურც. 14—16.

¹⁰ თავი 1, ფურც. 1.

¹¹ საბუთი შეიცავს 37 ფურცელს (74 გვერდს).

ზოგჯერ სქემატურად არის ხოლმე გადმოცემული. ხშირად სადაც ფრიად მნიშვნელოვან საკითხზეა საუბარი და უფრო ვრცელ ცნობებია მოსალოდნელი (მაგალითად, საკითხი ვაჭრობისა და აღმიცემობის შესახებ, მოსახლეობის შესახებ და სხვა), საბუთი ზოგადი მსჯელობითა და ორიოდე არასრული სტატისტიკური ცნობით კმაყოფილდება; სამაგიეროდ, არა იშვიათად, საბუთი ენაწყლიანობას იჩენს იქ, სადაც შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხზეა ლაპარაკი, ან ლაპარაკია დამასაბუთებელ ფაქტების გარეშე, ასე ვთქვათ, ზეპირად გადმოცემულ და გავონილ ამბებზე (როგორც, მაგალითად, ტფილისის ჰავის შესახებ, ზეპირ ჩეკელულებათა შესახებ და სხვ.). ამას გარდა საბუთს ახასიათებს ხშირად ფაქტების ზერელედ და ზოგჯერ (თუმცა იშვიათად) არასწორადაც გაშუქება¹, ზეპირ და შეუმოწმებელ ცნობებზე დაყარება², ტფილისის შესახებ არსებულ ლიტერატურულ წყაროების ნაკლებად გამოყენება³ და სხვა.

საბუთს ახასიათებს ზოგიერთი სხვა დეუჟტებიც, რომელთაგან ერთი ნაწილი სტილისტურ და გრამატიკულ შეცოთმებს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, საბუთში არა იშვიათად გვხვდება ასეთი გრამატიკული შეუსაბამობანი: „До большой Эриванской или Театральной площади, называемым уже Дворцовой улицей“⁴... „По обоим сторонам почтовой в Кахетию дорога лежит Шависопели“⁵... „Высечена в скале узкая лестница, обстановленная с обоих сторон дрянными, старыми, грязными домами“⁶. „Они осуждают других соседов, по их мнению ведущихся жизнь не по общественному положению“⁷; „Кавказский императорского русского географического общества“⁸; „Но останавливающая вода Куры вкусна“⁹ და სხვა. ზოგჯერ საბუთში გამოყენებულია ზენტრის უსწორო ან ვულგარული ფორმები, მაგალითად: „содержут“¹⁰, „держут“¹¹, „прибывают“ (большое множество

¹ მაგალითად, თავი 1, ფურც. 1, თავი 9, ფურც. 14 და სხვ.

² მაგალითად, თავი 7, ფურც. 11 და სხვა.

³ მაგალითად, თავი 11, ფურც. 17—25 და სხვა.

⁴ ფურც. 3.

⁵ ფურც. 8.

⁶ ფურც. 4.

⁷ ფურც. 4.

⁸ ფურც. 25.

⁹ ფურც. 27.

¹⁰ ფურც. 10.

¹¹ ფურც. 19.

людей¹), „никто не отличить“², примерно работав“³ да სხვა; რა-
მდენიმე შემთხვევაში მსჯელობის მიმღინარეობა საბუთში წყდება და სრულიად მოულოდნელად და აზრი დაუმთავრებლად არის დატო-
ვებული. ასე, მაგალითად, იმ თავის (მე-6 თავის) ბოლოს, სადაც
ტფილისის ჰავის შესახებაა მსჯელობა, მოყვანილია წინადადების მხო-
ლოდ დასაწყისი („Перечень метеорологических наблюдений за“...)⁴,
რომელსაც აღბათ სათანადო მეტოროლოგიური ცნობები უნდა მო-
ყოლოდა, მაგრამ აზრი დამთავრებული არ არის; ასევე ხალხის კმა-
ყოფაზე მსჯელობისა და ვაჭრობისათვის რკინისგზის მნიშვნელობის
აღნიშვნის დროს მოყვანილია წინადადების მხოლოდ ერთი (ვიზვე-
ლი) ნაწილი („Но начатая уже через Тифлис беспошлинная торгов-
ля Европы со внутренней Азией, тоже первые работы железной
дороги, долженствующей прорезать весь Кавказский перешеек“...)⁵
აზრის დაუმთავრებლად და სხვა.

საბუთში ერთობ ხშირია წმინდა სინტაქსური და ორთოგრა-
ფიული შეცომებიც: ჭ, ი, ხ, ორმაგი თანხმოვნებისა (ჩ, რ) და მთავ-
რულ ასოების ხმარების წესები ხშირად დარღვეულია; ქვემდებარე
და შემასმენებილი ხშირად ერთიმეორესთან შეთანაბებული და შეგუე-
ბული არ არის; ბრუნვისა და მიმოხერის წესები არა იშვიათად არას-
წორი და უმართებულოა; სასვენ ნიშნების ხმარება მრავალ შემთხვე-
ვაში არსებულ წესებს არ მისდევს; ტექსტის დანაწილება აბზაცებად
არა ყოველთვის შეესაბამება მის ლოკიკურ დანაწილებას და სხვა⁶.

საბუთს ზოგიერთი დეფექტი ახასიათებს აზრის დალაგებისა
და მოტანილ ფაქტების სისტემატიზაციის მხრივაც. ასე, მაგალითად,
საბუთში ქუჩებისა და მოედნების აღწერილობას⁷ მისდევს ეკლესია-
მონასტრებისა და სასაფლაოების სტატისტიკა⁸, ხოლო ამ უკანას-
კნელს ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებათა შესახები
ცნობები⁹; რატომღაც ერთ სათაურის ქვეშაა გაერთიანებული „სასაფ-
ლაოები და საერთოდ საზოგადოებრივი სადგომები“¹⁰, ან კიდევ

¹ ფურც. 11.

² ფურც. 11.

³ ფურც. 17.

⁴ ფურც. 10.

⁵ ფურც. 16.

⁶ ასეთ შეცომებს ნიშანდობლივ არ ვასახელებთ მათი სიმრავლის გამო.

⁷ ფურც. 30—31.

⁸ ფურც. 31—32.

⁹ ფურც. 31—32.

¹⁰ ფურც. 31.

„ფაბრიკა-ქარხნები, სასტუმროები, საკანდიტროები და საროსკიპონი სახლები“¹; სამაგიეროდ, ცალ-ცალკე თავებადა გამოყოფილია გადასახურები „ავადმყოფოები“², „ჰოსპიტლები“³, „თავშესაფრები“⁴, და „შეხედულება სახალხო ჯანმრთელობაზე“⁵; ერთ ადგილას, სადაც მოყვანილია ცნობები აფთიაქების შესახებ, ლაპარაკია აგრეთვე ექიმებისა და დალაქების შესახებაც კი⁶; იქ, სადაც მღინარეებისა და წყალსადენების ამბავია მოთხრობილი, სრულიად უადგილო ადგილას, ლაპარაკია ქალაქის შენობების შესახებაც⁷ და სხვა.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. საბუთის შინაარსს საქმიად ახასიათებს ჩინოვნიური და დიდმპურობელური სული: გარეგნულად საბუთი თითქოს ობიექტური და ლიბერალური ტონითაა დაწერილი; თითქოს ფაქტები პირუთვნელადაა გადმოცემული და გაშუქებული; თითქოს ავტორები ტფილისის გულშემატკიცრები არიან კიდევ⁸; მაგრამ სულ მცირე დაკვირვება და საბუთის შინაარსის შესწავლაა საჭირო, რომ ამ გარეგნულად ლიბერალურ და პირუთვნელ მსჯელობის უკან მეფის რუსეთის დიდმპურობელური და კოლონიალური პოლიტიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისი შეამჩნიოს ადამიანმა: არსებითად მთელი ცლწერილობა ტფილისისა ამ საბუთში მოცემულია ცარიზმის დიდმპურობელურ და კოლონიალურ პოლიტიკის ასპექტში. ავტორები ტფილის უყურებენ როგორც უკულტურო და გაუნათლებელი ხალხით („ტუზემცებით“) დასახლებულ აზიურ ქალაქს⁹, რომელიც განვითარებისა და ცივილიზაციის გზას დაადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის რუსეთის კოლონიად გადაიქცა. აქედან სათანადო თვალსაზრისი და დამოკიდებულება ადგილობრივი მოვლენებისა და ფაქტებისადმი¹⁰: ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩეეულებასა და ყოფა-ცხოვრებაში ყველაფერი ის, რაც რუსულ ზნე-ჩეეულებასა და ადათს არ შეესაბამებოდა, მონათლულია აზიურ გაუნათლებლობისა და უკულტურობის ნიადაგზე წარმოშობილ მოვლენად და არა კოლონიალური ექსპლოა-

¹ ფურც. 31—32.

² ფურც. 32.

³ ფურც. 32.

⁴ ფურც. 32.

⁵ ფურც. 33—37.

⁶ ფურც. 29.

⁷ ფურც. 16.

⁸ ერთ ადგილას ტფილის ავტორები „наш Тифлис“-ს უწოდებენ (ფურც. 10)

⁹ მაგალითად, ფურც. 10, 12, 14, 17—25 და სხვა.

¹⁰ იქვე, ფურც. 17—25.

ტაციის პირობებით გამოწვეულ სიღატაკის შედეგად აღმოცენებულ მოვლენად, როგორც ეს სინამდვილეში იყო; დაბალ ფენების ცხრილით რების დუხშირი პირობები, იმავე კოლონიალური ექსპლოტაციისა და ადგილობრივი მაღალი წოდებების ყველეფის საფუძველზე, უსახ-სრობითა და სიღარიბით გამოწვეული, ახსნილია როგორც კულტუ-რული ჩამორჩენილობისა და აზიური სიზარმაცის შედეგი; მაღალი კულტურისა და იდეალების მატარებლად წარმოდგენილია ვაჭართა და მოხელეთა კლასი და სხვა.

ასეთი თვალსაზრისისა და ტენდენციურობის გამო ავტორებს თანამედროვე ტფილისის სინამდვილიდან მრავალი მხარე, რომელთა მოქლედ მაიც აღნიშვნა, საბუთის შინაარსისა და მოცულობის მი-ხედვით¹, მოსალოდნელი იყო, სრულიად გამორჩენილი აქვთ. მაშინ-დელ ტფილისის ცხოვრების ბევრი ისეთი მომენტი, რომელთაც ტფილისის მდგომარეობის (სანიტარულ-მედიკური თვალსაზრისითაც კი) დასახასიათებლად უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ექნებო-დათ, საბუთში გაკვრითაც კი მოხსენებული და დასახელებული არ არის. ასე, მაგალითად, საბუთში სრულიად არაფერი არის ნათქვა-მი ტფილისის ამქრებისა და მათი მოძრაობის შესახებ, რომელსაც სწორედ მაშინ ჰქონდა აღილი, როდესაც ჩვენი საბუთი იწერებო-და; საბუთში ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი საგლეხო რეფორმისა და გლეხთა „განთავისუფლების“ შესახებ, რომელიც აგრეთვე იმავე წლებში ტარდებოდა ტფილისში; კრინტი არაა დაძრული კულტუ-რულ დაწესებულებების (თეატრების, კლუბების და სხ.)² შესახებ, პრესის შესახებ, მოსახლეობის ხელისუფლებისადმი დამოკიდებუ-ლების შესახებ, წოლებათა და კლასებს შორის არსებულ ანტაგონიზ-მის შესახებ და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ შეცომებიდან და დეჯექტებიდან (უმთავრესად გრამატიკული და ეთნოგრაფიული შეცომები) ზოგიერთი შეცომე-ბი უკეველია დამწერის (ან უკეთ გადამწერის)³ უნებლივ შეცომად, lapsus calami-დ შეიძლება ჩაითვალოს; მაგრამ მეორე ნაწილი კი (უმთავრესად სტალინური და ლოდიკური შეცომები) სხვა მიზე-ზით უნდა იყოს გამოწვეული. საქმე ისაა, რომ ჩვენი საბუთი წარ-მოადგენს არა შავს ან პირს, სადაც ასეთი უნებლივ შეცომები

¹ და არა საბუთის სათაურის მიხედვით.

² გარდა სკოლებისა და სასწავლებლებისა, რომელთა შესახებაც ერთობ მოყლე ცნობებია მოყვანილი.

³ საბუთი დაწერილია ხელრთვისაგან განსხვავებული ხელით და ამიტომ გადათეთრებული ავტორების მიერ არ უნდა იყოს.

და შეუსაბამობანი უფრო მოსალოდნელია, არამედ სუფთად დაწერილ თეთრ დედანს, სადაც ტექსტი არსად გადასწორებული გადასმულ-გადახაზული არ არის და არც სადმე ჩანაწერ-მინაწერი ან შენიშვნა გაკეთებული; საბუთი თავიდან ბოლომდე დაწერილია ერთი, საკმაოდ ლამაზი და გარევეული ხელით კალიგრაფიული წესების დაცვით¹. ამიტომ ეს მეორე რიგის შეცოომები უფრო ავტორების წერაში ნაკლებ დახელოვნებითა და უვიცობით თუ აიხსნება, თუმცა ამგვარი (გრამატიკული) უვიცობა ისეთი, საკმაოდ მაღალ რანგის, მოხელეებისაგან, როგორიც „კოლეჯის სოეგეტნიკებია“, ნაკლებ მოსალოდნელი იყო. საბუთის იდეოლოგიური ხასიათის დეფექტები კი (დიდმცურობელური აზრები, ზოგიერთი საკითხების უგულებელყოფა და სხვა) აიხსნება, რათქმაუნდა, აეტორების სოციალური და კლასობრივი მდგომარეობითა და ამასთან დაკავშირებული მათი შესაფერი მსოფლმხედველობით.

საბუთს თარიღი არა აქვს, მაგრამ მისი ერთი ჩვენების შეიძლება აღწერილობის შედგენის დრო საქმაო სიზუსტით გამოირკვეს. საბუთიდან, სახელდობრ, ჩანს, რომ ის დაწერილია მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიაში ჯერ რკინისგზა სრულიად გაყვანილი არ იყო, მაგრამ როდესაც ამ რკინისგზის გასაყვანად „პირველი სამუშაოები“ უკვე დაწყებული იყო². როგორც ვიცით, ამიერ-კავკასიის რკინისგზის მაგისტრალიდან (ბაქო-ფოთი) პირველ რიგში სამუშაოები დაიწყო ტფილის-ფოთის ხაზზე. ეს ხაზი გაიხსნა 1872 წელს³ და მისი მშენებლობა გრძელდებოდა ექვს წელიწადს. მაშინადამე, ამიერ-კავკასიაში საერთოდ რკინისგზის გასაყვანად „პირველი სამუშაოების“ დაწყება 1866 წელს მიეკუთვნება⁴ და ამავე წელს შეიძლება მივაკუთნოთ ჩვენი საბუთის დაწერაც.

მაგრამ ამ თარიღს თითქოს საეჭვოდ ხდის ჩვენი საბუთის ორი შემდეგი ჩვენება: 1. პირველი ჩვენება იმის შესახებ, რომ აღწერილობის შედეგის დროს თითქოს „ტფილისის მოსახლეობა

¹ საბუთი დაწერილია სქელ (კარგ ხარისხის) ქალალდნე ერთი ფერის (შავი ფერის) მელნით; აკინძულია ცალკე საარქივო „საქმის“ მაგვარად და მოთავსებულია კანში, რომელიც, როგორც ჩანს, შემდეგაა (არქივში) გაკეთებული; კანშე ჭარწერის (სათაურის) სახით გადმოტანილია საბუთის სათაური: „Медико-топографическое описание города Тифлиса“.

² ფურც. 25.

³ Кавказский календарь 1873, III, стр. 93.

⁴ რგ. გზის გასაყვანად აპარატი შესდგა 1865 წ., ხოლო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 1862 წ.

100.000-ს შეადგენდა¹, მაშინ როდესაც ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ 1865 წელს ეს მუდმივი მოსახლეობა ზუსტად 71.051 შეადგენდა² (ჯარისკაცების გამოკლებით),³ ხოლო 1866 წელს, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში, არ შეიძლებოდა იგი 100.000-მდე გაზრდილიყო⁴; და 2. მეორე ჩვენება იმის შესახებ, რომ თითქოს „ტფილისში მცხოვრებთა აღწერილობა არასოდეს არ ყოფილიყოს“ ამ საბუთის შედგენამდე⁵, მაშინ, როდესაც (ძველს დროს რომ თავი დავანებია) რუსთა მმართველობის დამყარებიდან ჩვენი საბუთის შედგენამდე (თუ მის დაწერის თარიღიდან 1866 წელს მიგიჩნევთ) სამჯერ მაინც იყო ასეთი აღწერა (1803 წელს, 1864 წელს და 1865 წელს), და ეს გარემოება მოსახლოდნელი იყო სცოდნოდათ ჩვენი საბუთის ავტორებს⁶; პირველი ჩვენების მიხედვით საბუთის დაწერის დრო 1870-იან წლების აქეთ უნდა ვივარაუდოთ, იმ დროისთვის, როდესაც ტფილისის მოსახლეობა 100.000-დე ავიდა, და მაშინ ზემოთ მოყვანილი ცნობა ჩვენივე საბუთისა რეინისგზის სამუშაოების დაწყების შესახებ, ყალბ ცნობად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც სრულიად დასაშვები არ არის; ხოლო მეორე ჩვენების მიხედვით, პირიქით, საბუთის დაწერის დრო უკან უნდა გადავწიოთ, იმ დროისთვის, როდესაც ტფილისის მოსახლეობის აღწერა მართლაც, ყოველ შემთხვევაში რუსთა მმართველობის დროს, არ ყოფილა.

მაგრამ არც ერთ ამ ჩვენებას (ამ წინააღმდეგობის გარეშეც) არ შეიძლება ანგარიში გაეწიოს საბუთის დათარილების დროს, რადგან არც ერთი მათგანი საქმის ვითარებას სწორად არ გადმოგვცემს: პირველი ჩვენება ტფილისის მოსახლეობის რაოდენობის (100.000) შესახებ მხოლოდ ზეპირი ცნობა არის და რაიმე ფაქტოლოგიურ (სტატისტიკურ) მასალას არ ემყარება⁷. საბუთში მხო-

¹ ფურც. 11.

² Сборник статистич. сведений о Кавказе, I, 82—83.

³ ჯარისკაცების რიცხვი 6.848 შეადგენდა და, მაშისადამე, ერთად 1865 წელს ტფილისის მოსახლეობის რიცხვი 77.899 შეადგენდა.

⁴ მოსახლეობის ასე სწრაფად გაზრდის შემთხვევა ტფილისის XIX საუკ. ისტორიამ არ იცის.

⁵ ფურც. 11.

⁶ ტფილისის მოსახლეობის შესახებ ცნობები და ზოგიერთი აღწერების შედეგები იბეჭდებოდა მაშინდელს პერიოდულ გამოცემებში (გან. „Кавказ“-ში, „Кавказский календарь“-ში), მოსალოდნელი იყო ჩვენი საბუთის ავტორებს ეს ცოდნოდათ.

⁷ ვგულისხმობთ ტფილისის მუდმივ მოსახლეობას, თორემ ისე ტფილისის მოსახლეობა (ჯარისკაცთა და დროებით ჩამოსულთა მითვლით) 100.000-ს მართლაც მიუახლოვდებოდა 1866 წელს.

ლოდ გაკვრით და უბრალოდ, წყაროს დაუსახელებლად, არის ნათ-
ქვამი, რომ მოსახლეობა ტფილისში „ამჟამად 100.000-მდე აღწერული
თუ საიდან აქვთ საბუთის ავტორებს ეს ცნობა მიღებული, ან რა-
ზე ის დამყარებული, იქ აღნიშნული არ არის, და ამიტომ ეს ზე-
პირი ცნობა, თავისთავადაც სინამდვილეს დაშორებული, ამ მხრივაც
დამაჯერებლობას სავსებით მოკლებულია.

რაც შეეხება მეორე ჩვენებას იმის შესახებ, რომ ტფილისში
მკხოვრებოა აღწერა თითქოს არასოდეს არ ყოფილიყოს, ეს შეიძ-
ლება ჩვენი ავტორების უკიცობას (неосведомленность) მიეწეროს,
რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავუშვათ, როგორც
ვამბობდით, რომ ეს საბუთი დაწერილია 1803 წლამდე, როდესაც
პირველი ოფიციალური აღწერა იყო ჩატარებული რუსულ ხელის-
უფლების მიერ ტფილისში, ან ყოველ შემთხვევაში¹ 1864 წლამდე,
როდესაც მეორე ასეთივე ოფიციალური აღწერა ჩატარდა ტფილის-
ში იმავე ხელისუფლების მიერ. მაგრამ ასეთი აზრის დაშვება გაუ-
გებარს გახდიდა საბუთის მთელ რიგ სხვა, სავსებით გარკვეულ
და პირდაპირ ჩვენებებს, რომელთა მიხედვით შეუძლებელია ეს
საბუთი 1865 წლისაზე უფრო ადრე დაწერილად მივიჩნიოთ; კერ-
ძოდ საბუთის იმ ჩვენებას, რომელიც 1865 წელს ტფილისში მომ-
ხდარ ფაქტს წარსულ დროში მოიხსენიებს: საბუთში ერთ ადგილას,
სადაც სწავლა-განათლებაზეა ლაპარაკი, სახელდობრ, ნათქვამია,
რომ „1865 წელს ხაზინისა და კერძო შემოწირულებათა ხარჯზე
დაარსებულია 1-ლი ხარისხის ქალთა სასწავლებელი“^{-ო².}—ეს სას-
წავლებელი მართლაც აღნიშნულ წელს არის დაარსებული და,
მაშასადამე, ჩვენი საბუთი ამ ფაქტს სწორად ასახელებს³. ჩვენთვის
კი ამ შემთხვევაში ის არის ხაინტერესო, რომ ჩვენი საბუთი ამ ფაქტს
იცნობს და რომ, მაშასადამე, ის ამ ფაქტის (ქალთა სასწავლებ-
ლის გახსნის) შემდეგ ე. ი. 1865 წლის შემდეგ არის დაწერილი⁴.

გვიცნოთ ახლა თვით საბუთის შინაარს.

¹ თუ ვიტყვით, რომ ასეთი შორეული წარსულის (1803 წლის) ამბავი,
რაკი ის გამოქვეყნებული არ იყო, შეიძლებოდა დავიწყებული ყოფილიყ.

² ფურც. 14.

³ Кавказский календарь 1866 წლისა, გვ. 200—202.

⁴ მაგრამ, რადგან დასახელებულ ქალთა სასწავლებლის დაარსება ტფი-
ლისში მოხდა 1865 წლის აპრილში და რკინისგზის გასაყვანად აპარატი 1865
წელს უკვე შემდგარი იყო (იხ. კავკასიურ კალენდარი და 1865 წ.), ამიტომ
სიფრხილისათვის შესაძლებელია საბუთის დაწერის თარიღად 1865 წლის დასა-
რულიც დავუშვათ: არა უადრეს 1865 წლის აპრილისა და არა უგვიანეს 1866
წლის ოქტომბრისა (იხ. ქვემოთ).



საბუთს, როგორც ვამბობდით, ასეთი საერთო სათაური აქტუალური აღწერილობა“ აღწერილობა შედგენილია ცალკე საკითხების მიხედვით და თითოეული საკითხი ცალკე სათაურად (ან უკეთ — ქვესათაურად) არის ჩამოწერილი ტექსტის გასწვრივ (მარცხნივ) არეებზე სათანადო აბზაცის დასაწყისში. ეს სათაურები არ არის ზუსტად დალაგებული რაიმე სისტემის მიხედვით (მაგალითად, საკითხების ერთგვარობისა და მონათესაობის მიხედვით) და ზოგჯერ არც შეეფერება (ამათუიშ სათაურს ქვეშ) მოყვანილ აღწერილობის შინაარსსაც მთლიანად: ან სათაური ვერ ჰქონდავს შანაარსს, ან შინაარსი პირდაპირ ვერ უჰასუხებს სათაურს¹.

სულ საბუთში 22 ასეთი სათაურია². მოვიყვანთ ამ სათაურებს ისე, როგორც ეს თვით საბუთშია მოყვანილ.

1. ადგილმდებარეობა [ტფილისისა], 2. მანძილი ტფილისიდან პეტერბურგამდე და მოსკოვამდე, 3. სივრცე და ბუნებრივი დანაწილება, 4. მთები, 5. ნიადაგი ტფილისისა, 6. ტფილისის ჰავა, 7. მოსახლეობა, 8. საზოგადოებრივი განათლება, 9. ხალხის ხასიათი, 10. ხალხის კმაყოფა და დოვლათიანობა, 11. ზნე-ჩვეულება და ცხოვრების წესი, 12. მმართველობა და დაცულობა, 13. მდინარეები, რაოდენობა და ხარისხი ამ მდინარეთა წყლების, წყალსადენები წყაროებიდან და მტკვრიდან, თხრილები, რომლებითაც წყიმის წყლები და სიბინძურე ჩადის მტკვარში, 14. მინერალური წყაროები, 15. ქუჩები, მოედნები და ბალები, 16. ეკლესიები, მონასტრები, მიზგითები, სინაგოგები, სასაფლაოები და საერთოდ საზოგადოებრივი შენობები, 17. ფაბრიკა-ქარხნები, სასტუმროები, საკანციტროები, ტრაქტიორები, დუქნები, სახარჩოები, ღვინის საწყობები, სარდაფები და საროსკიპოები, 18. საავადმყოფოები, 19. თავშესაფრები, 20. ჰოსპიტლები, 21. აფთიაქები და 22. შეხედულება სახალხო ჯანმრთელობაზე.

ამავე თანმიმდევრობით გავეცნოთ თითოეულ საკითხს³.

1. ადგილმდებარეობა [ტფილისისა, რდესლაც საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქი, ხოლო ამჟამად ტფილისის გუბერნიის საგუბერნიო ქალაქი და მთელი კავკასიის

¹ ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

² სათაურებს დედამში სათვალავი არა აქვთ.

³ რადგან ამ მონოგრაფიასთან ერთად თვით საბუთის დედანიც იბეჭდება, აქ ჩვენ ზოგიერთ თავებს (რომელთაც ტფილისის ისტორიისათვის პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვთ) ვტოვებთ, ან ვამოკლებთ.

შთავრობის დაწესებულებათა მთავარი ადგილ-სამყოფელი, დაარსებულია 455 წელს ქ. შ. შეფე ვახტანგ გორგასლანის მიერ. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ტფილისი იმყოფება $41^{\circ} 42'$ ჩრდილოეთის სიგანედზე და $62^{\circ} 30'$ აღმოსავლეთის სიგრძედზე, ზღვის დონიდან 1.350 ფუტის სიმაღლეზე. ქალაქი მდებარეობს მტკვრის ორივე ნაპირზე, ხნარცუში, რომელიც გახსნილია მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან და დაცულია მის მიღამოებში მდებარე მაღლობებით დანარჩენი სამი მხრიდან" (ფურც. 1).

როგორც ვხედავთ, აქ მოყვანილი ცნობები ტფილისის დაარსების შესახებ დამყარებულია იმ ტრადიციულ და ზოგიერთ ისტორიულ წყაროებში¹ განმტკიცებულ შეხედულებაზე, რომლის თანახმად ტფილისის დამაარსებლად ითვლება მეფე ვახტანგ გორგასლანი (V ს.). ზედმიწევნით ტფილისის დაარსების თარიღის (455) დასახელების დროს, საფიქრებელია, ჩვენი საბუთის ავტორები ეყრდნობოდნ უშუალოდ დუნკელ-ველინგის „ტფილისის სტატისტიკურ აღწერილობაში“ მოყვანილ ცნობაზე (Кавказский календарь на 1865 г. III, 47—65), ან ა. გოლოვინის „საქართველოს ისტორიის მიმოხილვაში“ (Кавказский календарь на 1865 г., стр. 34) დასახელებულ თარიღზე, ან კიდევ პლატონ იოსელიანის ცნობაზე, თუ დავუშვებთ, რომ ეს საბუთი დაწერილია 1866 წელს (და არა 1865 წელს), რაღაც სწორედ ამ წელს (1866 წელს) გამოვიდა პ. იოსელიანის რუსულ ენაზე დაწერილი წიგნი „ქალაქ ტფილისის სიძეველეთა აღწერილობა“², სადაც ტფილისის დაარსების წელიწადად, შეიძლება, ვახტანგზე (ან დავით ბატონიშვილზე) დამყარებით, მიჩნეულია 455 წელი.

რაც შეხება ტფილისის გეოგრაფიულ მდებარეობის კოორდინატების ($41^{\circ} 42'$ —ჩრდილოეთის სიგანედისა და $62^{\circ} 30'$ —აღმოსავლეთის სიგრძედისა) განსაზღვრას, ჩვენს საბუთს არა აქვს ზედმიწევნილობით დაზუსტებული ფერიდან ჩრდილოეთის სიგანედზე ტფილისის მდებარეობის კოორდინატი ($41^{\circ} 42'$); ხოლო სწორად აქვს აღნიშნული აღმოსავლეთ სიგრძედზე ტფილისის მდებარეობის კოორდინატი ($62^{\circ} 30'$); გრინვიჩიდან კი, სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ტფილისის გეოგრაფიული მდებარეობა განისაზღვრება:

¹ მაგ. „ქართლის მოქცევაში“; ხოლო აქედან სხვადასხვა ვარიანტით შემდეგდომანდელ ავტორების (ვახტანგი, ბ. ტონიშვილი დავითი, პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი და სხვ.) ნაწერებში.

² Описание древности города Тифлиса, сочинение Платона Иоселиани, 1866 წ. ტფილისი, გვ. 9.

სიგანედის მიხედვით ტფილისის გეოგრაფიული მდებარეობა შეესაბამება შემდეგ ადგილებს: კონსტანტინეპოლის, რომსა და ბარსელონას—ევროპაში; ბოსტონსა, ჩიკაგოსა და ახალ იქრისალემს—ამერიკაში; ტაშკენტსა და ხინდის—აზიაში; ხოლო სიგრძედის მიხედვით: მეზენს, პენზას, გორკის და სარატოვს—ევროპაში; ბალდადისა და ადენს—აზიაში; და მადაგასკარის დასავლეთ ნაპირებს—აფრიკაში².

2. მანძილი ტფილისიდან პეტერბურგამდე და მოსკოვამდე. საბუთის ცნობით ტფილისი დაშორებულია მოსკოვს 1.900 ვერსით, ხოლო პეტერბურგს 2.589 ვერსით³.

ეს ცნობა ოდნავ დაზუსტებას მოითხოვს: სხვა უფრო სარწმუნო წყაროების მიხედვით, მანძილი ტფილისიდან მოსკოვამდე ნაანგარიშევია $1914\frac{1}{2}$ ვერსი, ხოლო პეტერბურგამდე— $-2.589\frac{1}{2}$ ვერსი⁴, რაც სინამდვილეს შეეფერება.

3. სივრცე და ბუნებრივი დანაწილება. ამ თავში „სივრცისა და ბუნებრივი დანაწილების“ გარდა, მოცემულია საკმაოდ ვრცელი ტფილისის გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული აღწერილობა—ქალაქის საპოლიციო უბნებისა და მათი საზღვრების დასახელებით. მოგვყავს ეს თავი შემოკლებით და უკანასკნელი (საპოლიციო უბნების შესახები) ცნობების საკებით გამოტოვებით:

„ქალაქის მიერ დაკავებული სივრცე იწყება მდინარე ვერიდან და აღწევს ნავთლულის ბოლომდე. სიგრძით ეს სივრცე შეადგენს 8 ვერსს, ხოლო სიგანით (დასავლეთიდან აღმოსავლეთით)—3 ვერსს. ასე რომ ქალაქის მიერ დაკავებული მთელი სივრცე შეადგენს 1.800.000 კვ. საუნამდე. მტკვარს აღნიშნულ სივრცის ფარგლებში უჭირავს 180.000 კვ. საუნამდე და იგი ჰყოფს ქალაქს ბუნებრივი

¹ В. Кавришвили, Географическое положение гор. Тифлиса (კრებულში—Тифлис и его окрестности, стр. 27); Брокгауз и Эфрон, Энциклопедический словарь, бб, стр. 267; შდრ.: Клапрот, Тифлис в 1807—8 гг. (Старый Тифлис, стр. 66); Сборник сведений о Кавказе VI, глава XII, стр. 256; Бакрадзе и Бердзенов, Тифлис в ист. и этногр. отн. стр. 129; Дунекель-Велинг, Статистическое описание Тифлиса (Кавказский календарь на 1865 г.).

² Краткий географический и топографический очерк Тифлиса, (Сборник сведений о Кавказе, VI, гл. XII, стр. 256).

³ ფურც. 1.

⁴ Кавказский календарь на 1867, отд. II, стр. 90; შდრ. Краткий географический и топографический очерк Тифлиса (Сборник сведений о Кавказе, VI, XII, გვ. 256).

საზღვრით ორ არასავსებით თანასწორ ნაწილად: მარჯვენა (დასავლეთ) ვლეთ) და მარცხენა (აღმოსავლეთ) ნაწილად. მდინარის მარჯვენა მხარეზე იმყოფებიან პირველი და მეორე საპოლიციო ნაწილები— ადგილობრივი სახელწოდებით: ვერა, მოსკოვისა და კოლიუხაისას ხეობები¹, არტილერიისა და მესანგრეთა უბნები², მთაწმინდა, გარეთუბანი, სოლოლაკი, აბანოს კარები³, სეიდაბადი⁴, ხარფუხი, ორთაჭალისა და კრწანისის ბაღები; მდინარის მარცხენა მხარეზე იმყოფებიან მესამე და მეოთხე საპოლიციო ნაწილები— ადგილობრივი სახელწოდებით: გერმანელთა ახალშენი, რომელიც ქალაქს შეუერთდა 1862 წ., მოლოკანთა უბანი, ძველი და ახალი კუკია, ჩულურეთი, რიყე, ავლაბარი, შავი სოფელი ანუ ძალის სოფელი, ახალსამება და ნავთლული, რომელიც იმყოფება განსაკუთრებულ კომისარის გამგებლობის ქვეშ.

ამიერ-კავკასიის რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე ტფილისი იყოფოდა სამ ნაწილად: 1. კოლისი—აშინდელი ძველი ქალაქი, სომხების სობოროდან აბანოს კარებამდე, 2. ტფილისი—სადაც ამერამდ მინერალური აბანოებია და 3. ნისანი, ანუ ისანი—აშინდელი ავლაბარი⁵.

ვერა ძევს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში იმავე სახელწოდების მდინარის ორივე ნაპირზე. ვერა მდიდარია ვენახებითა და ხილის ბაღებით, რომელიც ქალაქის მცხოვრებთ ეკუთვნით. აქვე მრავლად არის დუქნები და ფუნდუკები⁶ მეურმეთათვის, რომელთაც ქალაქში შემოაქვთ სხვადასხვა ტვირთი და პირველ საქიროების საქონელი. სოფლელები (მეურმეები) აქ, საქონლის საკვების სიიათის გამო, ჩერდებიან და ხშირად ღამეს ათვევნ კიდეც, რათა მეორე დღეს დილით ადრე შევიდნენ ქალაქში. მდინარე ვერაზე ვაკეთებულია ქვის ხილითხოს თაღზე დამყარებული⁷, თუკის მოაჯირებით. ამ ხიდიდან ქალაქისაკენ აღმართით ადის ორგზის მოხვეული დიდი საფოსტო გზა, რომლის მეორე მოსახვევთან ქვის პიედასტალზე აღმართულია თუკის ჯვრი, განსვენებულ იმპერატორის, ნიკოლოზ პავლეს-ძის, გადარჩნის სახსოვრად: 1837 წელს, ამიერ-კავკასიაში მოგზაურობის

¹ Московская и Колячая балки.

² Артиллерийская и Саперная слабодки.


³ Баниные ворота.

⁴ სეიდაბადი საბუთში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ტრანსკრიფციით არის მოცემული: სეიდაბათ, სეიდებათ, სეიდაბადი, ვანუშტის აღწერილობით, XVII/XVIII ს. ირანელებით იყო დასახლებული.

⁵ ვახუშტის მიხედვით: ტფილისი, კალა და ისანი.

⁶ Постоянные дворы.

⁷ На четырех арках.

დროს, იმპერატორის ეტლის ცხენები დაფეთლნენ და ქალაქიდან  სვლისას, თავქვე დაშვენენ მთიდან დაღმართზე. ამ მთიდან გზის  ვე მხარეზე იწყება უკვი ქალაქის სახლები, რომელთა შორის შესანიშნავი არიან: მარჯვენა მხარეზე—თავშესაფარი, ქალაქის საავადმყოფო და საფოსტო ეტლების¹ ფაბრიკა; ხოლო გზის მარცხენა მხარეზე—თითქმის საავადმყოფოს პირდაპირ—არის რუსთა სასაფლაო.

დასახელებულ შენობების შემდეგ იწყება აგურის ქარხნები, რომელთა ზემოდ, მთაწმინდის კალთებთან, არის სომხის სასაფლაო, ძავრის სასაფლაოდ წოდებული. იმის იქით, იმავე დიდი გზის მარჯვენა მხარეზე, იმყოფება ეგრეთწოდებული მოსკოვის ხეობა², ხოლო იმის პარალელურად და, თითქმის გვერდით — მეორე ხეობა კოლიუჩიად წოდებული³. ორივე ამ ხეობაში გაშენებულია სამსახურიდან გადამდგარ ჯარისკაცთა⁴ პატარა, ხის სახლები. ხეობების პირდაპირ, გზის მარცხენა მხარეზე, არის ლრმა ხრამი, რომელიც თავდება მტკვრის მარჯვენა ნაპირთან იქ, სადაც იმყოფება არტილერიის უბანი. აქვე, მტკვრის ნაპირზე იმყოფება გენერალ-შაიორ ყორლანვის კუთვნილი იო ცხენის-ძალიანი წყლის საქაჩივი ორთქლის მანქანა, რომელიც წყლით ამარაგებს ქალაქის რამდენიმე შადრევანს და ალექსანდროვის ბაღს⁵ — ტფილისის საზოგადოების საყვარელ სასეირნო ადგილს. მოსკოვისა და კოლიუჩიას ხეობების იქით არის მოსკოვის „საყარაულო“⁶, ხოლო იმის იქით მაშინათვე იწყება ყველაზე უფრო ფართე და განიერი ქალაქის ქუჩა—გოლოვინის პროსპექტი⁷, რომლის ორივე მხარეზე გაშენებულია ბულვარი.

მარჯვნივ ამ მთავარ ქუჩიდან ქალაქის საკმაოდ დიდი ნაწილი მოთავსებულია მთაწმინდის დაღმართზე ამფითეატრიად, რის გამოცეს ნაწილი მთაწმინდად იწოდება. ქალაქის ნაწილი გოლოვინის

¹ Фабрика почтовых экипажей.

² Московская балка.

³ ორივე ხეობა ცნობილი იყო თავისი ხშირი მეწყერით. 1857 წელს აქ მეწყერისაგან დაიღუპა 20 კაცი.

⁴ Отставные солдаты.

⁵ ალექსანდრეს ბაღის ადგილას წინათ საჯირითო ადგილი იყო პირველად ბაღის გაშენება აქ დაიწყეს 1859 წელს, ბარიატინსკის დროს (დ. ბაქრაძე და ბერძენიშვილი, თიფლის ისტ. и этнографическом отн., გვ. 127).

⁶ Московская застава.

⁷ წინათ გოლოვინის პროსპექტი იმ დიდი საფოსტო გზის გაგრძელებად ითვლებოდა, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი და რომელიც თავის მხრივ საქართველოს სამხედრო გზის გაგრძელებას წარმოადგენდა. გოლოვინის პროსპექტის მოწყობა დაიწყო მთავარმართვებელ გოლოვინის დროს (1837—1840 წწ.).



პროსპექტის მარცხენა მხარეზე, ერევნის ანუ თეატრის შოედნაშედული რომელსაც ახლა სასახლის ქუჩა ეწოდება, წინათ იწოდებოდა გარეთ უბნად. ერევნის მოედნის მარჯვნივ კი, მთაწმინდისა და სოლოლაკის მთების ხეობაში არის ქალაქის ნაწილი, რომელსაც სოლოლაკი ეწოდება. აქვე, სოლოლაკის მთის დაღმართზე, არის კათოლიკეთა სასაფლაო. მომეტებული ნაწილი სოლოლაკისა ახლად არის გაშენებული; ის გამოიჩინა სწორე და ფართე ქუჩებით, დიდი და განიერი სახლებით, რომელთაგან მრავალი ერთობ მონცობებით არის გაკეთებული. ერთი სიტყვით, სოლოლაკი გამოიჩინა ქალაქის სხვა ნაწილებისაგან ციფილიზებულ ევროპულ ქალაქის ჟველა პირობით.

ერევნის მოედნიდან სახსრეთით მტკვრამდე და სოლოლაკის მთის დაბლა ნაწილიდან მდინარე წავეკისამდე (აბანოებთან) და შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ერევნის „საყარაულომდე“¹, იმყოფება ქალაქის ნაწილი სრულიად სხვაგვარი ქუჩებით, მოედნებით და სახლებით². აქ ქუჩები და მოედნები ვიწრო და უსწოროა, შესახვევები შემჭიდროებულია. ასე რომ ზოგიერთ ადგილას ქუჩის ნაცვლად კლდეში გამოჭრილი წერილი კიბე, რომლის ირგვლივ გაშენებულია ძველი და კუმუიანი სახლები მიწის სახურავით (განით), ნოტიო და დახუთული ჰაერით; შორიდან ეს სახლები, მთის კალთაზე გაშენებული, საკმაოდ მხატვრულ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, მაგრამ ახლოს არაფერს სანუგეშოს არ წარმოადგენ. ასეთი სხვადასხვაობის გამო ქალაქი წარმოადგენს ევროპულ და აზიურ არქიტექტურათა აღრევას.

სოლოლაკის მთის სამხსრეთ დაღმართზე გაშენებულია ბოტანიკური ბაღი³ მშვენიერი ვენახებითა და ხეივნებით; ხოლო ბოტანიკურ ბაღის პირდაპირ იმყოფება მუსლიმანთა სასაფლაო⁴. ბოტანიკურ ბაღის და ამ სასაფლაოს ქვემოთ დიდ ერევნის გზამდე გაშენებულია ტფილისის მოსახლეობის ჟველაზე ულარიბეს კლასის მრავალი სახლი. აქვე, გოგირდის წყაროებზე, გაშენებულია აბანოებისათვის მთელი რიგი აგურის სახლები.

¹ ერივანская застава.

² ლაპარაკია ძველ ტფილისზე.

³ ბოტანიკურ ბაღის ადგილზე ხენილის ბაღი დიდი წნით ადრე იყო გაშენებული (მაგ. არაბთა ბატონობის დროს აქ ემირთა ბაღები ყოფილა გაშენებული). XIX ს. აქ ბოტანიკურ ბაღის გაშენება დაიწყო 1845 წლებში ვორონცოვის დროს. წინათ იმ ადგილს, სადაც ახლა ბოტანიკური ბაღია „ლელვთა ზევი“ ეწოდებოდა (ი. გრიშაშვილი).

⁴ ამ ადგილს წინათ (და ახლაც) „გორხანა“ ეწოდებოდა (ი. გრიშაშვილი).

წავკისის მარჯვენა ნაპირის მაღლობი მტკვართან ჰქმნის საქართველოს
ოდ დიდ ფართობს, რომელშედაც მოთავსებულია ხარფუხი და სეი-
დაბადი თავის ბალებით. ხოლო მტკვრის მახლობლად იმყოფებიან
შრავალი ტყავისა (დაბლები) და საპნის ქარხნები და აგრეთვე ახლად
გაშენებული სახლები, რომელთა შორის რამდენიმე ქარგასლა და
საბაზოს შენობაა. წავკისის მთის მაღლობები სამხრეთის მიმართუ-
ლებით მიადგებიან კრწანისის ხრამს, რომლის ორივე მხარეზე გაშე-
ნებულია იმავე სახელწოდების ბალები. ერევნის საფოსტო გზაზე
მცირე ხრამებზე გადებულია ორი პატარა ქვის ხილი. წავკისის
მთის მეორე შტო უერთდება სოლანლულის მთებს.

სეიდაბადის იქით მაშინათვე, მარჯვენა მხარეზე, და ზავი სოფ-
ლის აქეთ, მარცხენა მხარეზე, მტკვარზე გაკეთებულია ხის ხილი,
მნაცაკანოვის ხიდად წოდებული¹. ხიდის ქვემოთ მტკვარი იყოფა
ორ შტოდ. ეს შტოები ისევ ერთდებიან სოლანლულთან ნავთლულის
პირდაპირ და ჰქმნიან პატარა კუნძულს, ორთაჭალად წოდებულს.
ორთაჭალაზე გაშენებულია ხილის ბალები, რომელიც ქალაქის მცხოვ-
რებით ეკუთვნით. ამ კუნძულის მიწის ფართობი კი საეკლესიო უწ-
ყებას ეკუთვნის. მთელი ადგილი, რომელიც დაკავებულია მტკვრის
მარჯვენა შტოს მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბალებით, ორთაჭალის
კუნძულის ბალებითურთ, იწოდება იმავე სახელით—ორთაჭალად.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის ჩრდილოეთით, მდებარე-
ობს საკმაოდ ფართე და სწორი ვაკე—დიდუბე², რომელიც მახათის
მთის ჩრდილოეთ-დასავლეთი დაქანების გაგრძელებას წარმოადგენს.
ამ ვაკის, უშუალოდ მტკვრის ნაპირთან მდებარე, ნაწილზე გაშენე-
ბულია გერმანელ ახალშენთა³ სახლები მდიდარი ბალებით; ხოლო
აქედან მარცხნივ აღმოსავლეთისაკენ—მოლოკანთა ახალშენი; ამ უკა-
ნასკნელს იქით სამხრეთისაკენ გაშლილია ე. წ. ძველი და ახალი
კუკია⁴ და ჩუღურეთა⁵. დასახელებული ვაკე სამხრეთის მიმართუ-
ლებით კიდევ უფრო ვიწროვდება. აქ ის ექცევა შახათის მთის სამ-
ხრეთ ფლატესა და მტკვრის ნაპირს შორის და იწოდება რიყედ.

¹ მნაცაკანოვის ხიდი გაკეთებულია ვორონცოვის დროს (1850 წ.) და იგი
არსებობდა 1870 წლამდე, როდესაც ის დანგრეულ იქნა (იხ. Сборник сведений
о Кавказе, VI, стр. 258).

² დიდუბეს, ვახუშტის მოწმობით, წინად ცენტრის-ტერფი ეწოდებოდა.

³ ვიურტენბერგელ გერმანულთა კოლონია საქართველოში დაარსდა ერმო-
ლოვის დროს—1819 წელს. აქედან იმავე წელს ტფილისში დასახლდა 25 კომლი.

⁴ კუკის გაშენება დაიწყო ვორონცოვის დროს და იმავე ხანებში შეუერთ-
და ის ქალაქს, როგორც მესამე საპოლიციო ნაწილი.

⁵ ჩუღურეთი ქალაქს შეუერთდა 1824 წელს.

რიყე ხშირად გაუვალია იმის გამო, რომ აქ ავლაბრიდან ჩამოდის სიბინძურე, რასაც არა ნაკლებ ხელს უწყობენ აგრძეთვე აქ დასტულებული რუსები, რომლებიც მომეტებულად მეტლეობას მისდევენ: მათ მრავალდ ჰყავთ ცხენები; გაჭრობენ ამ ცხენებით, ან კიდევ სხვადასხვა რქოსანი პირუტყვებით. საერთოდ ეს ადგილი განკუთხნილია სხვადასხვა საქონლისათვის, რომელიც მოჰყავთ ქალაქში გასასყიდად.

რიყის ზემოთ, ფართე და მაღალ სიბრტყეზე, მოთავსებულია ავლაბარი¹ წესიერი სახლებით, რომელთაგან უმეტესობა ახლად არის გაშენებული. აქვე არის ყაზარმები ჯარისკაცებისათვის. ავლაბარში ზოგიერთ ადგილს შეგხვდებათ სწორი ქუჩებიც. ავლაბრიდან სამხრეთით, ყოფილ კახეთის „საყარაულოს“² იქით, კახეთის საფოსტო გზის ორივე მხარეზე, მდებარეობს შავი სოფელი ანუ ძალის სოფელი³, რომლის ზემოთ არის რუსთა სასაფლაო; ხოლო შავი სოფლის იქით დასახელებულ საფოსტო გზის მარცხნივ, იმყოფება სოფელი სამება. შავისოფლიდანვე ქვემოთ, მტკვრის მარცხენა ნაპირისაკენ ჩამოშებულია ყაფარი⁴, რომელიც უკავია ნაგოლულს. ნაგოლულში მოთავსებულია სამხედრო პოსპიტალი, საკომისარიატო კომისია⁵, მოხელეთა, მოსამსახურეთა და ზოგიერთ ქალაქის მცხოვრებთა სახლები... (ფურც. 1—7) ⁶.

ამ თავში მოყვანილი საკმარის ვრცელი და დეტალური აღწერილობა ტფილისის ტერიტორიისა, როგორც ვხედავთ, საერთოდ სწორი უნდა იყოს. ოდნავ იქვე იწვევს მხოლოდ ის ცნობა აღწერილობაში, რომელიც შეეხება ქალაქის მიერ დაკავებულ სივრცის მოცულობას. აღწერილობის მიხედვით გამოდის, რომ ტფილის 1865-იან წლებში მთლიანად ახლო მიდამოებითურთ (ვერა—მუშტაიდი—კუკია—ჩულურეთი—ნაგოლული — გერმანელთა ახალშენი — შავისოფლის ჩათვლით) და მტკვრის მიერ დაკავებულ სივრცითურთ ეჭირა 1.800.000 კვ. საენი. თუ ამ სივრცეს შევადარებთ სხვა წლების

¹ ავლაბარი, კლაპროტის მოწმობით, XIX ს. დასაწყისში დასახლებული იყო რეგიონით და ქურთებით.

² Кахетинская застава.

³ Собачий деревеня. (ამ სოფელს, ი. გრიშაშვილის მოწმობით, „ძაღლის უბანსაც“ უწოდებდენ და უწოდებენ).

⁴ Terraca.

⁵ Комиссарятская комиссия.

⁶ ამის შემდეგ აღწერილობაში მოყვანილია ცნობები ტფილის: საპოლიციო უბნებად დაყოფისა და ამ უბნების საზღვრების შესახებ (ფურც. 7—8). ამ ცნობების მიხედვით, ტფილისი იყოფოდა ოთხ საპოლიციო უბნად, რომელთაგან 1 და 2 საპოლიციო უბანი მტკვრის მარკვენა მხარეზე იმყოფებოდა, ხოლო 3 და 4—მტკვრის მარცხენა მხარეზე.

სივრცეს, გამოდის შემდეგი სურათი: 1830-იან წლებში, როდესაც  ტფილისის ტერიტორიაში არ შედიოდა მისი მიდამოებიდან ზოგადი ერთები (მაგ. გერმანელთა ახალშენი, შავი სოფელი, ღიღუბე და სხვა), ტფილისის ტერიტორია შეაღენდა 274 ღესეტინას და 798 კვ. საენს, ე. ი. 658.598 კვ. საენს¹, ხოლო 1876 წელს, როდესაც ტფილისის ტერიტორია იმავე მიდამოების ჩათვლით არის ნაგულის-ხმევი, რომელიც 1865-იან წლებში ჩვენი ოლქერილობის მიხედვით ქალაქის ტერიტორიაში შედიოდნენ, ტფილისის ტერიტორიის სივრცე უდრიდა 740 ღესეტინასა და 377 კვ. საენს, ე. ი. 1.776.377 კვ. საენს². ამრიგად გამოდის, რომ ტფილის 1865-იან წლებში (მიდამოებითურთ) უფრო დიდი სივრცის ტერიტორია ეჭირა, ვიდრე 1830-იან და 1876-იან წლებში. რადგან ტფილისის ტერიტორიის სივრცე³ მთელი XIX საუკუნის სიგრძეზე, კერძოდ იმ პერიოდშიც (30-იან—70-იან წლებში), რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, სისტემატურად იზრდებოდა, ყოველ შემთხვევაში არ მცირდებოდა, ამიტომ ზემოთ მოყვანილ შედარებიდან მიღებული სურათი 1876 წლის მიმართ არა სწორად უნდა ჩაითვალოს: რომ 1830-იან წლების ტერიტორიის მოცულობასთან შედარებით, 1865-იან წლების ტერიტორიის მოცულობა, ჩვენი საბუთის მიხედვით, უფრო გაზრდილია, ეს საესებით ბუნებრივია, მაგრამ რომ იგივე მოცულობა სჭარბობს 1876 წლის ქალაქის მოცულობას, ეს გაუგებარია, რადგან მოსალოდნელი იყო პირუკუ. შესაძლებელია ეს ამბავი აიხსნას მხოლოდ ერთი გარემოებით, სახელდობრ, თუ დავუშვებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. 1865 წლიდან 1876 წლამდე, შემცირდა ქალაქის სივრცას ის ნაშილი, რომელიც ბალებს ეჭირა. სამწუხაროდ, ჩვენს საბუთში ნაჩვენები არ არას სივრცის საერთო რაოდენობიდან (1.800.000 კვ. საუ) რამდენი ეჭირა ქალაქის სახლებით გაშენებულ ნაშილს და რამდენი იმ ნაშილს, რომელიც არ იყო სახლებით გაშენებული, და ამიტომ გადაჭრით ამის თქმა ძნელია. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ 1876 წლის ოლქერილობით ნაანგარიშევი სივრცე, როგორც ვამბობდით, იმავე ფარგლებში ჰგულისხმობს ტფილის, რა ფარგლებშიც მოცემულია ტფი-

¹ Обозрение российских владений за Кавказом, I, 1836 г.

² Сборник сведений о Кавказе, VI, გვ. 266.

³ იგულისხმება ის სივრცე, რომელიც სახლებით გაშენებულ ადგილებს ეკავა და არა ბალებით გაშენებული ადგილები. ამ უკანასკნელის სივრცე ხშირ ცვალებადობას განიცდიდა და გარკვეულ პერიოდებში (როდესაც სასოფლო მეურნეობა ტფილისში მცირდებოდა) კლებულობდა.

ლისი ჩვენს საბუთში 1865-იან წლებში¹, შეიძლება ითქვას, რომ
ამ უკანასკნელის მიხედვით ნაჩვენები სიცრცე ქალაქის ტერიტორია
ისა ოდნავ მაინც გადაჭარბებულია, ან ყოველ შემთხვევაში ზედმი-
წევნით დაზუსტებული არ არის.

4 და 5. მთები და ტფილისის ნიადაგი. ტფილისის
ტერიტორიის აღწერილობას ჩვენს საბუთში მისდევს ჯერ მთების
(თავი 4)², ხოლო შემდეგ ნიადაგის (თავი 5)³ აღწერილობა. რადგან
ამ თავებში მოყვანილ ცნობებს ტფილისის ისტორიის იმ საკითხებთან,
რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, უშუალო კავშირი არა აქვთ
და რადგან ჩვენი საბუთის დედანი აქვე იბეჭდება, ამიტომ ამ თავებს
(4 და 5) აქ სრულიად არ შევეხებით⁴.

6. ტფილისის ჰავა. ტფილისის კლიმატურ პირობებისა და
ჰავის შესახებ, უკანასკნელი მეტეოროლოგიურ-სტატისტიკური და-
კვირვებების მიხედვით, ასეთი ცნობები გვაქვს: ტფილისის წლიური-
საშუალო ტემპერატურა უდრის $+12,7^{\circ}$ ცელსიით; ზამთრის საშუალო
ტემპერატურა უდრის $+1,4^{\circ}$; გაზიფხულისა $+11,6^{\circ}$; ზაფხულისა
 $+23,1^{\circ}$ და შემთხვევისა $+19,3^{\circ}$. წლიური ნალექი შეადგენს 496 მმ.
საშუალო ტენიანობა ქანაობს 53-დან $74^{\circ}/\circ$; ჰაერის საშუალო წნევა
უდრის 727,5 მმ.; ტფილისში სჭარბობს ჩრდილო-დასავლეთისა,
ჩრდილოეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი⁵.

ჩვენს საბუთში ამგვარი შეტეოროლოგიური ცნობები სრულიად
მოცემული არ არის. ამის ნაცვლად აქ ტფილისის ჰავის შესახებ მხო-
ლოდ ზოგადი მსჯელობაა მოყვანილი. როგორც ჩანს, ავტორებს
განხრახვა ჰქონიათ ამ თავში ზოგად მოსაზრებათა შემდეგ მოყვა-
ნათ მეტეოროლოგიური ცნობებიც, მაგრამ რატომდაც მერე თავი
დაუნებებიათ, შესაძლებელია, იმის გამო, რომ მაშინ ხელთ არ ჰქონ-

¹ ჩვენი საბუთის მოყვანილი აღწერილობა შდრ. Сборник сведений о Кавказе (VI, გვ. 266)-ში მოყვანილ აღწერილობას.

² ფურც. 8.

³ ფურც. 9.

⁴ მე-5 თავში, სადაც ტფილისის ნიადაგის შესახებაა ლაპარაკი, ტფილისის
ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ერთი პატარა ცნობაა მხოლოდ მოყვანილი, სა-
ხელდობრ, ცნობა იმის შესახებ, რომ 1865-იან წლებში ტფილისში ჯერ კიდევ
ჭები ყოფილა ჩხარებაში (ფურც. 9); როგორც ჩანს, ამ ჭების წყალს ჩვეულებრი-
ვად სასმელად არ ჩხარობდნენ. ჭებსა და ფეხსადგილის ორმოებს ტფილისში
„სპარსულ წესზე“ აკეთებდენ (იხ. ამის შესახებ A. A. Брамович, Об отхо-
жих ямах, устраиваемых по местному способу „Медицинский сборник“, I, 1866, გვ. 99).

⁵ 8. გაგრიშვილი, Географическое положение Тифлиса (Тифлис и его окрестности, стр. 37—38); შდრ. Климат Тифлиса (ССК, VI, стр. 243).

დათ სათანადო ცნობები. რომ მართლაც ასეთი განზრახვა ავტორებს ჰქონიათ, ეს ჩანს ამ თავის უკანასკნელი დაუშთავრებელი წინადაღებიდან. ეს წინადაღება ასე იწყება: *Перечень метеорологических наблюдений за... და შემდეგ ახალი თავი მისდევს. ცხადია, ავტორებს რალაც უნდა ეთქვათ და აზრი დაპთავრებული არ არის.*

ამისდა მიუხედავად ის, რაც ამ თავშია ნათქვამი, იმდროინდელ ტფილისის დასახასიათებლად მნიშვნელობას მოკლებული არ არის. ყოველ შემთხვევაში ამას ტფილისის ისტორიისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ მეტეოროლოგიურ ცნობებს², რომელიც საბუთში მოყვანილი არ არის. საბუთი მოგვითხრობს:

„გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ (1804 წლიდან)³ ტფილისის ჰავაც შეიცვალა, თითქოს ის უფრო მყაცრი და ცვალებაზე გახდა, დღის სიცხეების შეცვლა ღამის სიცივეებით უფრო საგრძნობი შეიქნა, ქარები კავკასიის თოვლიან მწვერვალებიდან უფრო მძლავრი და უფრო ცივი გახდა. ყოველივე ამის გამო თითქოს უფრო გახშირდა ციება და ციებ-ცხელება, რომელიც ესოდენ დამდუმველი იყო პირველ კოლონისტები-სათვის.

ეს სხვა არაფერია, გარდა საყოველთაოდ შემჩნეულ ადამიანის სისუსტისა—ექებოს უბედურების მიზეზი არა თავის თავში, არამედ რალაც გაურკვეველში, შორეულში. აქ გადმოსახლებულთ ავიწყდებოდათ ყველა ის ჰიგიენური და დიეტეტიკური წესები, მხოლოდ რომელთა დაცვის პირობებში შესაძლებელია ადვილად აიტანოს ადამიანმა ყოველგვარი გადასახლება უფრო ცივ ქვეყნიდან უფრო ცხელ ქვეყანაში. ისინი ივიწყებდნენ აგრეთვე იმ პირობებს, რომლებშიაც ცხოვრობდნენ მაშინ ტფილისელები, ისევე როგორც ქავკასიის ქალაქების მცხოვრებთა უმეტესობა, და რომლებშიც ამჟამად ცხოვრობს თითქმის მთელი აღმოსავლეთი. მუდმივი შიში მტრულად განშეიობილ მეზობელ ტომთა ხშირი თავდასხმის გამო აიძულებდა ქალაქის თუ სოფლის მაშინდელ მცხოვრებთ გაეშენებინათ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და უგულებელეყოთ ეზოთა და ოთახთა სივრცის საჭიროება. ამას ზედ ერთოდა გადმოსახლებულთა მიდრე-

¹ ფურც. 11.

² ამ მეტეოროლოგიურ ცნობებსაც ექნებოდათ მნიშვნელობა ანალოგიურ თანამედროვე (ზემოთ მოყვანილ) ცნობებთან შესადარებლად, მაგრამ სხვა თვალსაზრისით.

³ რატომ, სახელდობრ, 1804 წელი (რუსები ამაზე ადრე შემოვიდნენ საქართველოში), საბუთში ნაჩენები არ არის.

იილება აზიური სიზარმაციისა და უსუფთაოებისადმი. ყველაფერი ეს,
თავშეუკავებელ ცხოვრებასთან ერთად, ხელს უწყობდა მიაზეშის სად
და სხვა ისეთ მიზეზთა წარმოშობას, რომელიც უზრუნველყოფდნენ
ავადმყოფობის განვითარებას. ამასთანავე ტფილისმა ამ დროისთვის
ქმნებ ვერც კი მოასწრო სულის მოთქმა იმ საშინელ დარბევისაგან,
რომელიც მოახდინა აღა-მაჭალ-ხანმა 1795 წელს. იქნებ დახოცილ-
თა მრავალ ათასმა გვამმა, აზიურ უზარდელობის წყალობით, მიწაში
ოდნავ ჩაფლულმა, ვერც კი მოასწრო მიწად გადაქცევა.

შეძლებისდაგვარად, თანდათანობით, ყველა ამ პირობების
თავიდან მოშორების შემდეგ: უფრო ფართე ქუჩების გაყვანის შემ-
დეგ, ამ ქუჩების უმეტესობის მოკირწყვლის შემდეგ, რასაც მთავრო-
ბის ინიციატივით უკანასკნელ დროს ფართე გასტაბით და მაგრად
მოჰკიდეს ხელი, ქუჩების ხშირი დასუფთავების შემდეგ, რაზედაც წი-
ნეთ არც ფიქრობდნენ, კლიმატურ პირობების შეფარდებით უფრო
კეთილმოწყობილ სახლების გაშენების შემდეგ და, ბოლოს, მას შემ-
დეგ, რაც ყურადღების მიქცევა დაუწყეს ქალაქში შემოტანილ პრო-
დუქტების კეთილხარისხოვნობას,—ტფილისის ჰავაც საგრძნობლად
შეიცვალა და უკეთესი გახდა. ტფილისის ჰავა ყოველწლიურად, ჩვენს
თვალშინ, სულ უფრო და უფრო ჯანსაღი ხდება. ასე რომ მრავალი
ქალაქი კავკასიასა და რუსეთშიც, რომელიც თავისი სიჯანსაღით ვერ
შეედრება ჩვენს ტფილისს. საჭიროა მხოლოდ სიფრთხილე და მო-
რიდება, რომელიც ყველგანაა აუცილებელი და ურომლისოდაც ერ-
თობ ჯანმრთელი ადგილიც კი მავნებელი გახდება მცხოვრებთათვის.

მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა ნუსხა“...¹ (ფურც. 10—11).

7. ტფილისის მოსახლეობა. რუსული მმართველობის
დამყარების შემდეგ პირველი ოფიციალური აღწერა ტფილისის მო-
სახლეობისა ჩატარდა 1803 წელს და ამ აღწერის მიხედვით ამ მო-
სახლეობის რაოდენობა 20.000-ს შეადგენდა². მეორე ასეთივე ოფი-
ციალური აღწერა ჩატარდა 1864 წელს³, ხოლო მესამე 1865 წელს⁴.

1864 წლის აღწერის მიხედვით ტფილისში ითვლებოდა 60.085
მცხოვრები: 33.433 მამრობითი სექსისა და 26.652 დედრობითი სექ-
სისა. ხოლო 1865 წლის აღწერის მიხედვით ტფილისის მცხოვრებთა

¹ როგორც განიბობით, ამ სიტყვასთან წყდება დედანში წინადადება.

² ს. კავკაბაძე, ტფილისის აღწერა 1803 წლისა (საისტორიო მოამბე, ტ. II, 1925). კლაბროტის ცნობა, თითქოს 1807—8 წლებში ტფილისში 18.000
მცხოვრები ყოფილიყოს, სწორი არ უნდა იყოს.

³ Сборник статистических сведений о Кавказе, I, стр. 69—70.

⁴ იქვე, გვ. 69.

რაოდენობა ნაანგარიშევი იყო 71.051; აქედან მამრობითი სქესისა 44.071 და დედრობითი სქესისა 26.980. სხვა დროს 1866 წლამდე ტუილისის მცხოვრებთა ოფიციალური აღწერა არ ყოფილა. მაგრამ კავკასიის სტატისტიკურ სამმართველოსა და ტფილისის პოლიციას ქალაქის მოსახლეობის შესახებ დაახლოებითი ცნობები მოეპოვებოდათ სხვა (წინა) წლებისაც. ასე, მაგალითად, ამ ცნობების მიხედვით 1835 წელს ტუილისში ითვლებოდა 25,290 მცხოვრები: 13.574 მამრობითი სქესისა და 11.636 დედრობითი სქესისა¹, 1863 წელს კი— 62.318 მცხოვრები: 34.374 მამრობითი სქესისა და 27.944 დედრობითი სქესისა².

ჩვენი საბუთი არ იცნობს არც ერთ ზემოთ დასახელებულ ოფიციალურ აღწერას და არც იმ ცნობებს, რომლებიც, უნდა ვითიქროთ, ჰქონდათ კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტსა და ტუილისის პოლიციას. ავტორები აცხადებენ, რომ „მოსახლეობის აღწერა ტფილისში არასოდეს არ კოფილა და ამიტომ ძნელია მცხოვრებთა ნამდვილი რაოდენობის განსაზღვრა“—ო³. მართალია, აღნიშნულ აღწერათა შედეგები იმ დროს, როდესაც ჩვენი საბუთი დგებოდა, ჯერ ოფიციალურად გამოქვეყნებული არ იყო⁴ და ამიტომ ეს შედეგები შეიძლებოდა არ სცოდნოდათ ჩვენი საბუთის შემდგენელთ, მაგრამ მოსალოდნელის იყო მათ ის მაინც სცოდნოდათ, რომ საერთოდ აღწერები ტფილისის მოსახლეობისა 1865—6 წლამდე იყო, ან ყოველ შემთხვევაში მათ შეეძლოთ ესარგებლათ პოლიციის ცნობებით მაინც, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა ტფილისის მოსახლეობის შესახებ უფრო სწორი სურათის აღდგენა 1865—6 წლებში, ვიდრე ეს ჩვენ საბუთშია⁵.

საბუთი მოვცითხობას:

„მოსახლეობის აღწერა ტფილისში არასოდეს არ ყოფილა და ამიტომ ძნელია მცხოვრებთა ნამდვილი რაოდენობის განსაზღვრა. ზოგჯერ ტფილისში დიდი ხნით ჩამოდის მრავალი მუშა ხალხი. ჩამოდიან აგრეოვე სხვებიც სავაჭრო, თუ სხვა საქმის გამო; ამათ ვერავინ ვერ გაარჩევს აქაურ მკვიდრთაგან. ერთნი მიღიან, მეორენი

¹ О. Евекий, Стат. описание Закавк. края, стр. 143. ასეა დედანში.

² Ф. Махарадзе, Грузия в XIX ст., გვ. 68; ССК, VI, стр. 58.

³ ფურც. 11.

⁴ 1864 და 1865 წწ. აღწერების შემოწმებული შედეგები პირველად გამოქვეყნდა 1869 წელს Сборник стат. сведений о Кавказе, т. I-ში.

⁵ ტფილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, როგორც ვამბობდით, ცნობები იძებულებოდა მაშინდელ პრესაში: გაბ. „Кавказ“-ში და „Кавк. календарь“-ში.

მოდიან. განსაკუთრებით ეს ხდება შემოღვომაზე, როდესაც სოფ-
ლებში სამუშაო თავდება. ამ დროს ტფილისში ჩამოდის სამუშაოდ
მრავალი ხალხი კავკასიის მახლობელ და ზორეულ ადგილებიდან, მა-
გალითად, კახეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან და სხვა. ასე რომ
მაშინ ტფილისში ქუჩები უფრო იყსება ხალხით. ზოგიერთი კნობე-
ბის მიხედვით 1863 წელს ტფილისში ითვლებოდა 62.000 მკვიდრი
მცხოვრები: მამრობითი სქესისა—34.000 და დედრობითისა—28.000.
ამჟამად კი ტფილისში ითვლება ორივე სქესისა 100.000 მდე“
(ფურც. 11).

მოყვანილი კნობები 1863 წლის ტფილისში მოსახლეობის შესა-
ხებ საქმიოდ უდგება სინამდვილეს¹, მაგრამ რაც შეეხება 1865 ან
1866 წლის მოსახლეობის ცნობებს (100.000), ეს ცნობები სინამ-
დვილესთან დაშორებულად უნდა ჩაითვალოს. 1865 წლის ტფილი-
სის მოსახლეობის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები გვაქვს იმ ოფიცი-
ალურ აღწერის საფუძველზე, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლა-
პარაკი. ამ აღწერის მიხედვით, როგორც ვამბობდით, ტფილისში
1865 წ. 71.051 მცხოვრები ითვლებოდა—ჯარისკაცების ჩაუთვლე-
ლად, ხოლო ამ უკანასკნელთა რიცხვი შეადგენდა 6.848-ს. ასე რომ
ჯარისკაცებითურთ 1865 წელს ტფილისში მოსახლეობა 77.899-ს
მაინც არ აღემატებოდა². მაგრამ კიდევაც რომ დაუშვათ, რომ
ჩვენი აღწერილობა 1865 წელს კი არა, 1866 წელს არის შედგენი-
ლი და რომ, მაშასადამე, საბუთის ცნობები ტფილისის მოსახლეობის
რაოდენობის შესახებ³ ჰგულისხმობს 1866 წლის მოსახლეობას, მა-
ინც ეს რაოდენობა საქმიოდ გადაჭირდებულად უნდა ჩაითვალოს. სრუ-
ლიად დაუშვებელი ამბავია, რომ ტფილისის მოსახლეობა ერთი
წლის განმავლობაში 23.000, ან მით უფრო 29.000 გაზრდილიყოს.
ჩვენ გვაქვს 1876 წლის, ე. ი. 10 წლის შემდეგდროინდელი ოფი-
ციალური აღწერა და ამ აღწერის მიხედვით ტფილისში 1876 წელს
104.024 მცხოვრები ითვლებოდა⁴. ამის მიხედვით გამოდის, რომ
ტფილისის მოსახლეობა 10 წლის განმავლობაში (1865—1876 წ.)
სულ 26.125 (ან 32.973) გაზრდილა. ასე რომ ტფილისის მოსახლე-

¹ შდრ. ზემოთ მოყვანილ ცნობებს.

² ფ. მარარაძე ს 1865 წლის ტფილისის მოსახლეობა შეცომით ნაჩვე-
ნები აქვს 67.770 (იხ. მისი დასახლებული წიგნი, გვ. 68).

³ მოსახლეობის რაოდენობა (100.000) ჩვენს საბუთს თუმცა დაახლოებით
აქვს ნაჩვენები (საბუთში ნათვამია: „100.000-დე“), მაგრამ მაინც იგულისხმება,
რომ ეს რაოდენობა, ავტორების წარმოდგენით, 100.000-ს უახლოვდებოდა.

⁴ Сборник сведений о Кавказе, VI, გვ. 76 და შემდეგ.

ობის წლიური ნამატი საშუალოდ ამ პერიოდში 3—4 ათასზე მეტი
არ შეიძლებოდა ყოფილიყოም¹. ამგვარად 1866 წლს ტფილისის მოსახლეობა
სახლეობის რაოდენობა 73-74 მაქსიმუმ 75.000 შეიძლება ვივარაუ-
დოთ უჯარისკაცებოდ და 80.000-მდე ან ოდნავ მეტი ჯარისკაცე-
ბითორთ.

როგორც ზემოთ მოყვანილ აღწერილობიდან დავინახეთ, ჩვენს
საბუთს სრულად არაფერი არა აქვს ნათქვამი ტფილისის მოსახლეო-
ბის შემადგენლობის შესახებ. 1866 წლის ტფილისის მოსახლეო-
ბისა და ამ მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ჩვენ უალკე ცნო-
ბები არ მოგვეპოება, მაგრამ 1865 წლის შესახებ კი, როგორც ვამ-
ბობდით, ჩვენ გვაქვს ოფიციალური ცნობები. ამ ცნობების მიხედვით
ასეთ სურათს წარმოადგენდა ტფილისის მოსახლეობა (უჯარისკაცე-
ბოდ) — წოდებათა მიხედვით:

1. სასულიერო წოდების ითვლებოდა	790
2. სამხედრო	2.953
3. შოხელენი	2.374
4. სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირნი .	3.128
5. თავად-აზნაურნი (მათ შორის პირადი აზნა- ურნიც)	4.595
6. საპატიო მოქალაქენი	561
7. მოქალაქენი (სახაზინო, საეკლესიან და მემამუ- ლეთა)	11.877
8. გლეხები (სახაზინო, საეკლესიან და დანარჩენები) . .	31.386
9. დანარჩენები (მათ შორის უცხოელნი) . .	13.387
ს უ ლ:	71.051 ²

ტფილისის იგივე მქვიდრი მოსახლეობა (71.051) ეროვნებათა
მიხედვით შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

1. ქართველები	14.787
2. სომხები	31.914
3. რუსები	12.142
4. პოლნელები	887
5. თათრები	1.523
6. ირანელები	7.153
7. ფრანგები	170
8. გერმანელები	1.213
9. დანარჩენები	1.262
ს უ ლ:	71.051 ³

¹ ლაპარაკია ტფილისის მუდმივ მოსახლეობაზე.

² იქვე, გვ. 60; შდრ. Сб. стат. св. о Кавказе, I, გვ. 69, отд. II.

³ იქვე, გვ. 60; შდრ. CCCK, გვ. 69.

ამრიგად, როვორც ვხედავთ, ოფიციალური აღწერის შინელ-
ვით 1865 წლის ტფილისის მცხოვრებთა საერთო რაოდენობრივია:
ა) სოციალურ (წოდებრივ) მდგომარეობის მიხედვით პირ-
ველი ადგილი ეჭირათ გლეხებს (რომელთა შორის საგულისხმებე-
ლია ნაწილობრივ ვაჭრები, ხელოსნები და შინაგამიებიც)¹—31.386; მე-
ორე ადგილი მოქალაქეთ (რომელთა შორის უნდა ვიგულისხმოთ
აგრეთვე ვაჭრები და ხელოსნებიც)—11.877; ხოლო მესამე ადგილი
თვავად-აზნაურობას—4.595. სამუშავოდ, მოყვანილ ცნობებიდან არა
ჩან, თუ რამდენი იყო ხელოსანთა და ვაჭართა წოდებისა: ამ უკანას-
კნელთა შესახებ 1865 წლის აღწერაში (და არც 1864 წლისაც)
ცალკე ცნობები რატომდაც შეტანილი არ არის². შესაძლებელია და
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ ასეც არის, ვაჭრები ნაგულისხმევი
იყოს ნაწილობრივ გლეხთა და ნაწილობრივ მოქალაქეთა (საპატიო
და უბრალო მოქალაქეთა) კატეგორიაში ხელოსნებთან ერთად³; მაგ-
რამ ეს არა ჩანს და ამიტომ ამ საკითხის უფრო ზედმიწევნით გა-
მოსარკვევად სხვა წყაროების მოშველიებაა საჭირო, რაც ამჟამად
ჩვენს მიზანს სცილდება; ბ) ერთვნებათ ამ მიხედვით 1865 წ.

¹ ჩვენს წყაროში შინაგამიების შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ასეთები, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბატონქმობა ფორმალურად გადავარდნილი იყო, მაინც არიან საგულისხმებელი: 1863 წელს შინაგამების (კარისაცთა) რიცხვი ტფილისში შეადგენდა 1.010-ს (ცხ. ც. ი კავკავე, I, გვ. 82—83) და მათი რიცხვი 1865 წელს ამდენი თუ არა, ოდნავ ნაკლები მაინც არის დასაშები, რად-
გან საგლეხო რეფორმის შემდეგ შინაგამები ზოგიერთ თავადების ოჯახებში (სხვა
სახელით) ერთხანს კიდევ დატენდ. გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ახლად „განაჭრებული“ ან „განველოსნებული“ გლეხებიც, უნდა ვითიქროთ, აღწერის
დროს წოდების მიხედვით გლეხებად ეშვერებოდნენ და ამიტომ ზემოთ ნაჩვენები
რაოდენობა გლეხებისა 1865-იან წლების ფაქტიურ რაოდენობას უქმდელად
გადაჭარბებით უჩვენებს.

² 1863 წ. ცნობებში ვაჭრების რაოდენობა ნაჩვენებია 3.217 (ცხ. ც. ი კავკ. I, გვ. 82); 1876 წლის აღწერით კი ვაჭრების რაოდენობა შეადგენდა
თითოეს 914 (ცხ. ც. ი კავკავე, VI, გვ. 112), რაც, რათქმაუნდა, სწორი არ
არის; მაგრამ იმავე 1876 წლის აღწერაში მოცემულია ცალკე მდაბიოთა და მო-
ქალაქეთა რაოდენობა—33.516 და, თუ ამ რაოდენობაში ვაჭრებსაც ვიგულის-
ხმებთ, მაშინ ცნობა დააბლოებით მაინც სწორად შეიძლება ჩაითვალოს.

³ 1864 და 1865 წლების აღწერებში არც ვაჭრებიც და არც ხელოსნები
ცალკე ნაჩვენები არ არის, რადგან, როვორც ჩანს, მთავრობას აინტერესებდა
მცხოვრებთა წოდებრივი წარმოშობა უმთავრესად. ამიტომ გლეხი, რომელსაც
ესეც იყო, ვაჭრობა ან ხელოსნობა დაწყო და ჯერ კიდევ წოდების გამოცვლის
გაფორმება ვერ მოუსწორა, 1864—1865 წლებში აღწერის დროს ისევ გლეხად
ეშვერებოდა, მით უფრო რომ სააღწერო ანკეტაში არც ვაჭრებისა და არც ხე-
ლოსნების აღსარიცხი გრაფა გათვალისწინებული არ იყო.

ტფილისის მოსახლეობაში პირველი ადგილი ეჭირათ სომხების
(31.914)¹; მეორე ადგილი ქართველებს (14.787)²; ხოლო მესამე ზღვის მოსახლეობაში რუსებს (12.142)³. დანარჩენებს შორის (1.262) ნაგულისხმევია იტალიელები, ინგლისელები, ესპანელები, შვეიცარიელები, სერბები, ბერძნები და ებრაელები.

8. საზოგადოებრივი განათლება. სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ ჩვენი საბუთის ეს თავი უმთავრესად ზოგად შეხედულებებს შეიცავს, მაგრამ ამ თავის უკანასკნელ ნაწილში ზოგიერთი კონკრეტული ცნობებიცაა მოცემული. ამ ცნობებს ჩვენ ვავსებთ, საჭირო შემთხვევებში, სათანადო შენიშვნებით და დამატებებით. საბუთში ვკითხულობთ:

„საზოგადოებრივი განათლების მხრივ ტფილისი ამჟამად წარმოადგენს დიდ სიჭრელეს. რუსეთიდან მთავრობის მიერ გამოწვეულ განათლებულ პირთა გარდა⁴, ჩვენს მხარეში ბევრს იზიდავს ცნობის-მოყვარეობა და სურვილი შეისწავლოს ეს მრავალმხრივ საინტერესო კუთხე. აქ შეიძლება ნახოს ადამიანმა ტურისტებიც, თავგადასავალთა მაძიებლებიც, მხატვრებიც, მეცნიერებიც (გეოლოგი, ბოტანიკოსი, სიძეველეთა მკვლევარი) და სხვა.

დაბალ წოდების ადგილობრივი მკვიდრნი (ქართველები, სომხები, თათრები), აზიურ სიზარმაცისა და გაუნძრევლობის გამო, იმყოფებიან განათლების უმდაბლეს საფეხურზე. საშუალო წოდება კი (უმთავრესად სომხებიდან), პირიქით, ყოველ ძალონით ისტრაფის, უკვე ათეული და მეტი წლებია, მისცეს ახალ თაობას შეძლებისდა-გვარად სრული განათლება სხვადასხვა სასწავლებლებში, დაწყებული სამრევლო და სამაზრო სასწავლებლებიდან გიმნაზიებამდე და უნივერსიტეტამდე. ბევრნი არაფერს ზოგავენ, რომ თავიანთი შეიღები გაგზავნონ განათლების მისაღებად იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში და საზღვარგარეთაც კი.

¹ სომხური მოსახლეობა ტფილისში ამ პერიოდში გასაოცრად იზრდებოდა: 1864 წელს სომხების რაოდენობა ტფილისში 28.488 შეადგენდა (Сб. св. о Кавказе VI, 60) და ამრიგად მარტო ერთი წლის ნამატე—3.426 უდრის. საფრანგეთის კონსულს ტფილისში, გამბას, აღნიშნული აქვს, რომ „население Тифлиса растет от наплыва армян“-ი (Старый Тифлис, გვ. 79).

² სამაგიეროდ ქართული მოსახლეობა კლებულობდა: 1864 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 14.878 (ССК, VI, 60).

³ რუსების რაოდენობა 1864 წელს შეადგენდა 12.302 (იქვე).

⁴ ჩვენი საბუთის ავტორებს რუსეთიდან გამოწვეული მოხელეები განათლებულ პირად ეჩვენებათ. ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, რუსეთიდან აქ ჩამოდიოდენ მომეტებულ შემთხვევაში სხვადასხვა ჯურის ბედის მაძიებელი, აგანტურისტები, მექანიკები, ლოთები, ჩინ-ორდენის მაძიებელი და სხვა.



ამჟამად შრავალი ახალგაზრდაა ტფილისა და საერთო კულტურული კასიაში აღვილობრივ მკვიდრთაგან, რომელსაც მიღებული აქვს ცოდნა სხვადასხვა სპეციალობასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაღალ წოდების ახალგაზრდა კავკასიელთა შორის მრავალია ისეთი, რომელიც განირჩევა ყრმობიდანვე საუკეთესო საზოგადოებაში ყოფნით შეძენილი ზრდილობით; მრავალს საცხებით შეთვისებული აქვს ევროპული ჩვევები; მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომელნიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კვლავ უბრუნდებიან თავიანთ მამა-პაპათა ჩვეულებრივ ცხოვრებას. მრავალმა, მოხუცებიდანაც კი, თანდათანობით შეითვისა რუსული, ან უკეთ ევროპული ცხოვრების წესები და მიეჩია კიდეც ამ წესებს, მაგრამ მრავალი ისევე ძველ წესებს მისცვეს და განაგრძობს აზიურ ცხოვრებას.

არის ტრიუქრატიულ ქალებიდან ბევრს თავისი განათლებით შეეძლო დამშვენებინა ევროპული საზოგადოება. მაგრამ საშუალო წოდების ქალების აღზრდა დღემდის უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება მათთვის წერა-კითხვის შესწავლით დედა-ენაზე. არ შეიძლება არ ალინიშნოს, რომ უკვე ემჩნევათ მისწრაფება მისცენ ქალთა ახალთაობას თავის მდგომარეობის შესაფერი განათლება: ბევრ ოჯახში მიღებულია მასწავლებლების (გუვერნიორების) მოწვევა; არის აგრეთვე მრავალი კერძო პანსიონი¹, რამდენიმე სასწავლებელი — მთაგრობისა და საქველმოქმედო საზოგადოებათა. თვით ქალაქის საკუთარი თანხებით კი, საერთო შემოსავლით, ტფილისში არც ერთი სასწავლებელი — არც ქალთა და არც ვაჟთა — არ ინახება.

ხაზინის ხარჯზე ტფილისში დაარსებულია საგუბერნიო კლასიკური და რეალური გიმნაზიები², საეკლესიო უწყების ხარჯზე კი სასულიერო სასწავლებლები და ორი სემინარია, სახელდობრ: ერთი

¹ ტფილისში XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ სასწავლებლებისა და პანსიონების შესახებ ხოგიერთი ცნობები იხ. ტრ. ხუნდაძე, საერთო განათლება საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, I, 1937, გვ. 108—116); ს. ძიმისტარაშვილი, კერძო სასწავლებლები საქართველოში (იქვე, გვ. 127—148).

² გიმნაზიები რუსეთში პირველად შემოღებული იქნა 1804 წლის დებულებით, რომლითაც გათვალისწინებული იყო საერთოდ სამი ტიპის სასწავლებელი: 1. სამრევლო სკოლა, 2. სამასრო სასწავლებელი და 3. გიმნაზია. საქართველოში გიმნაზიების შემოღების შესახებ დებულება 1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა. ამ დებულების თანახმად პირველი გიმნაზია საქართველოში (ტფილისში) გაიხსნა 1830 წლის მარტში (იქვე, გვ. 89). ტფილისში რეალური გიმნაზია დაარსდა 1865 წელს. ის გადაკეთდა კომერციულ სასწავლებლიდან (ცხოვ. ე. ი. კავკ., VI, გვ. 310).

შართლმადიდებელთა¹ და მეორე სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებისა². (სომხები ბლომად სწირავენ ფულს თავიანთ სემინარიას). ამას ბობას აგრეთვე რვა სამრევლო სკოლა; ხაზინის ხარჯზე ინახება აგრეთვე ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტი³; მის ბრწყინვალების ე. ქ. ვორონცოვისა და საქველმოქმედო ხარჯზე ინახება წმ. ნინოს სასწავლებელი⁴; 1865 წელს ხაზინისა და კერძო შემოწირულებათა ხარჯზე დაარსებულია I ხარისხის ქალთა სასწავლებელი (ქალთა გიმნაზია) მისი იმპერატორობითი უმაღლესობის, დიდ მთავრის ოლგა თედორეს ასულის მხრუნველობის ქვეშ; ტფილისის ქალთა საზოგადოება საქველმოქმედო შემოწირულებებით ინახავს ხუთ სამრევლო ქალთა სკოლას და ერთ თავშესაფარს ორივე სქესის ბავშვთათვის. ამ უკანასკნელში ჩეილი ბავშვები მიებარებიან უმთავრესად მაშინ, როდესაც მათი მშობლები სამუშაოზედ იმყოფებიან — დღისით. საქველმოქმედო შემოწირულებათა ხარჯზე დაარსებულია ქალთათვის კიდევ ორი სასწავლებელი: ერთი წმ. გაიანესა და მეორე — წმ. რიფ-სიმეს სახელობისა.

აველა ამათ გარდა ტფილისში არსებობენ სამხედრო სასწავლებებიც, როგორც მაგალითად, გამმიჯნავთა სასწავლებელი⁵ და სამხედრო უწყების სკოლა; ყოველ ეკლესიასთან, თვითეულის სარწმუნოების შესაბამისად, არსებობენ სათანადო სკოლები, მათ შორის ერთი ლუტერანული და ერთი რომაულ-კათოლიკური; აგ-

¹ ტფილისში პირველი სასულიერო სემინარია გაიხსნა 1817 წელს. ტფილისის სასულიერო სემინარიის შესახებ ზოგიერთი ცნობები იხ. ი. ბაკურაძე, ტფილისის სასულიერო სემინარია 1817—1835 წლ. (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, I, გვ. 107—142); თ. ბეგიაშვილი, ქართული ენა ტფილისის სასულიერო სემინარიაში (იქვე, გვ. 170—185).

² ტფილისის სომხურა სასულიერო სემინარია დაარსდა 1823 წელს.

³ Закавказский девичий институт. ეს ინსტიტუტი დაარსდა 1840 წ. ის გადაკეთდა იმ ნახევრად კერძო პანსიონდან, რომელიც 1830-იან წლებში დაარსა ტფილისში პასკეიჩმა, და რომლის გამგედ მაშინ ცნობილი აბრეშუმის მრეწველის კასტელის ქვრივი, ხოლო 1838 წ. მასწავლებელ პერეირას ცოლი იყო. (ამ ინსტიტუტის შესახებ იხ. ი. ბეგიაშვილის კარგი განვითარებული იყო ბალის ქ. შადინოვის სახლში (ახლანდელ ენგელსისა და მახარაძის ქ. კუთხე), 1857 წლიდან კი ერმოლოვის ქუჩაზე, თუმანოვის სახლში (ტ. რ. ხუნდაძე, საერო განათლება საქართველოში, იქვე, გვ. 101).

⁴ წმ. ნინოს სასწავლებელი გაიხსნა ტფილისში 1846 წელს. სასწავლებელი, წესდების თანახმად, მიზნად ისახავდა „სათნოიან ქალებისა და ოჯახთათვის კარგ დედების აღზრდას“ (იქვე, გვ. 102).

⁵ Школа межевщиков. ეს სკოლა დაარსდა ვორონცოვის დროს — 1846 წლის 3 სექტემბერს (Сб. св. о Кавказе, VI, გვ. 307).



(ფურც. 12—14).

მოყვანილი ცნობები საკმაოდ მჭევრმეტყველურად ახასიათებენ სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობას 1865—66 იან წლ. ტფილისში საერთოდ და კერძოდ ნათელს პფენინ მეფის რუსეთის ოფიტო-მჰყრობელურ ხელისუფლების „მზრუნველობას“ ამ საქმეზე: ორი ვაუ-თა გიმნაზია, ორი სემინარია, ერთი ქალთა ინსტიტუტი და ორი საშუალო სასწავლებელი, ორი თუ სამი სამხედრო სასწავლებელი² და რამდენიმე სასულიერო სკოლა—აი მთელი ქსელი სკოლებისა, რომელსაც მომსახურეობა უნდა გაეწია ტფილისის 80-ათასიან მო-სახლეობისათვის სწავლა-განათლების საქმეში. სულ სხვა საკითხია, რათქმაუნდა, თუ რას წარმოადგენდნენ ეს სკოლები და სასწავლებ-ლები ხარისხობრივად, დასახულ მიზნისა, სასწავლო გეგმებისა, პრო-გრამების მოცულობისა და სწავლის მეთოდის მხრივ: ჩვენ ვიცით, რომ ამ ოვალსაზრისით ეს სასწავლებები ადგილობრივ ახალგაზ-რდებს რომანვების რუსეთის ცნობილ ფორმულის (ტრიადა: სარ-წმუნება, მეფე და სამშობლო) შესაბამისად ზრდიდნენ საშუალო საუკუნეების დახავ'ებული სასწავლო გეგმისა და სკოლასტიკური მეთოდის მიხედვით. ასე რომ ამ სკოლებში ახალთაობას არსებითად უფრო აძახინჯებდნენ, ვიდრე ზრდიდნენ და ავითარებდნენ³.

მაგრამ, ამასაც თავი რომ დაგანებოთ, და მხოლოდ რაოდენობის მხრივ ავილოთ ეს სასწავლებები, მათ არ შეეძლოთ, რათქმაუნდა, მომსახურეობა გაეწიათ 1865—66-იან წლ. ტფილისის მოსახ-ლეობისათვის⁴. ამასთანავე ყურადღებას იქცევს საბუთის ჩვენება

¹ წინადადება დამთავრებული არ არის.

² ჩვენი საბუთი, როგორც აღნიშნული იყო, მხოლოდ ორ სამხედრო სკოლას (გამმიჯნავთა და სამხედრო უწყების სკოლას) ასახლებს. სხვა წყაროების მიხედვით კი 1865—66 წლებში ტფილისში არსებობდა სამი სამხედრო სასწავლე-ბელი: 1. იუნიტების სასწავლებელი (კუკაში, ელისაბედის ქუჩა № 1), 2. მმიჯნავთა სკოლა (იქვე) და 3. სამხედრო სასწავლებელი (Кавказский календарь 1865).

³ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო ამ დრა ს, საერთოდ საქართვე-ლო რომ ავილოთ: მთელს საქართველოში (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებ-ში) 1865 წელს იყო სამი გიმნაზია (აქედან ორი ტფილისში), ხუთი სამაზრო სა-სწავლებელი, ექვსი პირველდაწყებითი სასწავლებელი, ორი სასულიერო სემინა-რია (ორივე ტფილისში), ორი სამხედრო სასწავლებელი (ორივე ტფილისში), ორმაცი სამრევლო სასწავლებელი და 42 სოფლის სკოლა (A. П о с е р б с к и й, О состоянии учебной части на Кавказе и Закавказом в 1865 году, Кав-казский календарь на 1867 г., стр. 377—386).

⁴ თუნდაც ამ მოსახლეობის იმ პრივილეგიურ და შეძლებულ ნაწილისა-თვისაც, რომლის მომსახურებაც შეადგენდა ამ სასწავლებლების დაწიწნულებას,

იმის შესახებ, რომ ამ დროს „თვით ქალაქის საკუთარი თანხების“ ტფილისში არც ერთი სასწავლებელი — არც ქალთა და არც ვაჟთა არ ინახებოდა“. როგორც ჩანს, ქალაქს ამის საშუალებები თუმცა გააჩნდა, მაგრამ სწავლა-განათლების საქმე სრულიად არ აინტერესებდა. საყურადღებო აგრძელვე ისიც, რომ ტფილისში ამ დროს არსებული სასწავლებლებიდან აბსოლუტური უმეტესობა კერძო და საქველმოქმედო თანხებით ინახებოდა: გარდა ვაჟთა ორი გიმნაზიისა, ქალთა პირველი ხარისხის სასწავლებლისა და სამხედრო სკოლებისა, ყველა სხვა ტიპის სასწავლებლები არა ხაზინის ხარჯზე არსებობდნენ: ან სასულიერო უწყებისა, ან კიდევ კერძო საქველმოქმედო საზოგადოებათა ხარჯზე.

ასევე კერძო თანხებით ინახებოდნენ ორი გერმანული და ორი მუსლიმანური სასწავლებლები (გერმანული სახელოსნო სასწავლებელი და გერმანული სასულიერო სასწავლებელი; მუსლიმანური სასწავლებელი ალის მოძღვრებისა და მუსლიმანური სასწავლებელი ომარის მოძღვრებისა), რომლებიც ჩვენს საბუთში მოხსენებული არ არიან და რომლებიც მაშინ ტფილისში არსებობდნენ.

9. ხალხის ხასიათი. ამ საკითხს ჩვენი საბუთი საქმაოდ მარტივად და ზოგადად (არსებითად ზერელედ და განყენებულად) აშუქებს:

„ტფილისის მცხოვრებთა ხასიათი — მოგვითხრობს საბუთი — მკაფიოდ განირჩევა გვარტომობისა და აღზრდის მიხედვით. საერთოდ აზეელ ხალხთა ხასიათი სიანწელითაა ცნობილი, მაგრამ ეს სიანწელე ხანგრძლივ ხასიათს არ ატარებს — ის (სიანწელე) გულმანქიერებით არ ხასიათდება. ანგარიშიანობისა და ხელმიმყოფლობის სული ბევრს აქვს საქმაოდ ძლიერად განვითარებული; ზოგიერთებს ემჩნევათ დიდი თავის-თავის მოიმედეობა და აგრეთვე ამპარტავნობა თავის წინაპართა დამსახურებისათვის; ზოგიერთებს კიდევ ახასიათებთ თავის თავისადმი რწმენა — ყალბი გაგებით, გულჩახვეულობა და მიღრეკილება ყოველგვარ ტყუილისადმი“ (ფურც. 14).

10. ხალხის კმაყოფა და სიმდიდრე. ეს თავი ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენს აღწერილობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთობ მშრალად და მოკლედ არის შედგენილი: ზოგიერთ შემთხვევაში მოყვანილი ცნობები დაზუსტებასა და შევსებას საჭიროებენ, ხოლო ზოგიერთი მხარე აღებულ საკითხისა სრულიად გაშუქებული არ არის. ასე, მაგალითად, აღებ-მიცემობასა და ვაჭრობა-მრეწველობაზე მსჯელობის დროს სრულიად არაფერია ნათქვამი ხელოსნებისა და ამქრების შესახებ და არც ფაბრიკა-ქარხნების შე-

სახებ. (ამ ლკანასკნელთა შესახებ საბუთში ლაპარაკია სხვა დღეს
ლას)¹. ჩვენ ქვემოთ ვაზუსტებთ და ვავსებთ საბუთის ზოგიერთ
ცნობებს სხვა წყაროების მიხედვით.

„მრეწველობა² ტფილისში განვითარებულია საქმაოდ ფართოდ,
ვკითხულობთ საბუთში. სამპორტო ვაჭრობაში ევროპასთან პირვე-
ლი ადგილი უკავიათ: ზაქარს, ლვინოსა და სხვა სასმელებს, კანტო-
ნის ჩარს, ყავას, აბრეშუმისა, მაუდისა და ბამბის ნაწარმოებთ, ფუ-
ფუნქბისა და კომფორტის წყრიმალ საგნებს, მზა ტანისამოსებს, ფეხ-
საცმელებს, ავეჯს, კედლის ქალალდს (შპალერს), რკინისა, ფოლადი-
სა და ბრინჯაოს ნაწარმოებთ, ბროლისა, ქაშანურისა და ფაიფუ-
რის ნაწარმოებთ, რაც სულ 2 მილიონ მანეთის ღირებულებას შეა-
დგენს. მარტო საბაჟო გადასახადი ამ საქონლებზე წლიურად შეად-
გენს 300.000 მანეთს და მეტსაც ვერცხლით. პირიქით, ტფილისში
მყოფ ამიერ-კავკასიის კაპიტალისტებს ქალაქიდან გააქვთ საზღვარ-
გარეთ მხოლოდ 1 მილიონ. მანეთის საქონელი, როგორც მაგალი-
თად: ყავი, პარკი, აბრეშუმის თესლი, ბამბა, მატყული და სხვა.

რუსეთთან სამპორტო ვაჭრობის საგანს წარმოადგენენ: სპირ-
ტი, არაყი, კანტონის ჩარ, კარტოფილის სანთელი, რკინა და მისგან
ნაწარმოებნი, სპილენძის ჭურჭელი, ქაშანურისა და შუშის საქონე-
ლი, გამოქნილი ტყავი, ტილო, ბამბის, მატყლისა და აბრეშუმის
ნაწარმოებნი, რაც სულ 3¹/₂ მილიონ მანეთის ღირებულებას შეიცავს.
რუსეთში გააქვთ ტფილისიდან: ყავი, აბრეშუმისა და სხვა ადგი-
ლობრივი ნაწარმოებნი—ნოხები, ქეჩები, ბამბა, მშრალი ხილი და
სხვა³.

მოსაზღვრე აზიურ ქალაქებიდან⁴ ტფილისში შემოაქვთ: თამ-
ბაქო, ნოხები, ქეჩები, აბრეშუმის და ბამბის ნაწარმოებნი, რბილი
ავეჯეულობა, მშრალი ხილი, კანტონის ჩარ, ირანული შაქარი—
ცუდად დამზადებული პატარა თავებში და ოთხფეხა საქონელი, რაც
სულ 800 ათას მანეთის ღირებულებას შეადგენს. ტფილისიდან და

¹ თავი 17, ფურც. 31.

² საბუთი ზუსტად არ ასხვავებს ერთიმეორისაგან ვაჭრობისა და მრეწვე-
ლობის ცნებებს.

³ რუსეთში გატანილ საქონლის წლიური ღირებულება საბუთში ნაჩვენები
არ არის.

⁴ რომელ ქვეყნის ქალაქებიდან, სახელდობრ, ალნიშნული არ არის. სხვა
წყაროების მიხედვით ტფილისი ამ დროს ვაჭრობას აწარმოებდა უმთავრესად
ირანისა და თურქეთის ქალაქებთან (დ. ბაქრაძე და ნ. ბერძნოვი, ი.
თიფლის ისტ. ი თუ. იტ., სტр. 185).

ტფილისით ირანში გააქვთ სხვადასხვა ადგილობრივი და ეკროპული საქონელი: ადგილობრივი და რუსული სპილენძის ჭურჭელი, მუჭა შისა და ქაშანურის ნაწილმოყვანი, ბაზბისა და მაუდის საქონელი, ხისა და რკინის ნივთები, სულ 1.300.000 მანეთის ღირებულებისა.

ტფილისის მთელი საბრუნავი კაპიტალი შეადგენს 11 მილიონ მანეთს¹. ტფილისში მცხოვრებ მარტო უცხოელმა ვაჭრებმა 1861-წელს თავიანთი ვაჭრობის საბრუნავი თანხის მოცულობა 2.000.000 მანეთი უჩვენეს.

მცხოვრებთა პირველი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ქალაქის გამოკვებისათვის ტფილის აქცე დიდი საბრუნავი კაპიტალი — $3\frac{1}{2}$ მილიონიდან 5 მილიონამდე. ასე, მაგალითად, ქალაქს ყოველწლიურად სჭირდება: 400.000 ფუთამდე პურის ფქვილი; 500.000 ვედრამდე ლვინო ადგილობრივი წარმოებისა (განთქმულ კახურ ლვინოსთან ერთად); 50.000 ვედრამდე სპირტი და არაყ; 150.000 ფუთამდე ძროხის ხორცი; ამდენივე ცხვრის ხორცი; 25.000 ფუთამდე ხიზილალა და თევზი; 50.000 ფუთამდე ზეთი; 400.000² ძროხის, კამეჩისა და ცხვრის კარაქი; 200.000 მანეთის მწვანილი, ახალი ხილი, რძე და ყველი; 10.000 ფუთამდე კარტოფილის სანთელი; 25.000 ფუთამდე ქონის სანთელი; 10.000 ფუთამდე ფოტონეფტილი; 150.000 ფუთამდე ქერი; 350.000 ფუთამდე თივა; 40.000 საუკი შეშა; 40.000 გუდურამდე ნახშირი (თითოში 2—3 ფუთი). ბინის ქირა ყოველ წლიურად შეადგენს 300.000 მანეთს; დაქირავებულ შრომის ქირა შეადგენს $1\frac{1}{2}$, მილიონ მანეთს და საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენ მოთხოვნილების საგნები — $1\frac{1}{2}$ მილიონ მანეთს.

მდგომარეობა ტფილისისა, როგორც ზღვის ნაპირზე მდებარე მთავარ კომერციულ ქალაქებისაგან დაშორებული პუნქტისა, რომელიც ამ კომერციულ ქალაქებთან არც რკინისგზითა და არც წყალსავალი გზით დაკავშირებული არ არის, ჯერჯერობით ხელს უშლის მას უფრო განავითაროს თავისი აღებ-მიცემობა; მაგრამ ტფილისზე გავლით უკვე დაწყებული უბაჟო სატრანზიტო ვაჭრობა ევროპისა

¹ ზედმიწვენით არა ჩანს, რომელ საბრუნავ თანხაზეა ლაპარაკი; რაკი ზემოთ აღნიშვნულ თანხებს ტფილისის შინა ბაზრის საბრუნავი თანხა რომ მაგმატოს, გაცილებით მეტი გამოვა, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ ის საბრუნავი თანხა, რომელც ნაჩვენებ სამი წყაროს (იმპორტი და ექსპორტი დასავლეთ ევროპასთან, რუსეთთან და აზიის ქვეყნებთან) მიხედვით სდგებოდა.

² ასეა საბუთში. აღბათ 40.000.

შუა-აზიასთან¹ და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რეინისგზის გასაყვაწის
ნად დაწყებული პირველი სამუშაოები“²... (ფურც. 14—16).

მოყვანილ ცნობებიდან ირკვევა, რომ 1865—66 წლებში ტფი-
ლისს ვაჭრისა და აღებ-მიცემობისათვის 4 მთავარი წყარო გააჩნ-
და: 1. იმპორტი და ექსპორტი ევროპასთან, 2. იმპორტი და ექსპორ-
ტი რუსეთთან, 3. იმპორტი და ექსპორტი აზიის ქვეყნებთან და
4. შინაგავრობა.

ევროპიდან შემოტანილ საქონლის ღირებულება შეადგენდა
წლიურად 2.000.000 მანეთს, ხოლო გატანილისა — 1.000.000 მანე-
თამდე. საბუთში, სამშუხაროდ, ნაჩვენები არ არის, დასავლეთ ევრო-
პის რომელ ქვეყნებთან აწარმოებდა ნიშანდობლივ ამ დროს ვაჭრო-
ბას ტფილისი და რა გზით. სხვა წყაროების მიხედვით კი ჩვენ ვი-
ცით, რომ ეს ვაჭრობა წარმოებდა უმთავრესად საფრანგეთან,
ინგლისთან და ბელგიასთან³. საქონელი შემოჰქონდათ ევროპიდან
ტფილისში და გაპქონდათ ტფილისიდან ევროპაში, როგორც
უცხოელ ვაჭრებს, რომელთაც ამ დროს ტფილისში მოწყობილი
ჰქონდათ სავაჭრო სახლები და მაღაზიები, ისე აგრეთვე ადგილობრივ
ვაჭრებსაც, რომელიც საქონლის ჩამოსატანად მიემგზავრებოდნენ
აღნიშნულ ქვეყნებში. საქონელი შემოჰქონდათ და გაპქონდათ შავი
ზღვით — ფოთზე გავლით⁴. ფოთიდან საქონელი ჩვეულებრივად
მიჰქონდათ რიონით ორპირამდე. ეს გზა 99 ვერსს შეადგენდა. ორპი-
რიდან საქონელი მიჰქონდათ ტფილისში ცხენებით, ურმებით ან კიდევ
ფურგუნებით. ეს გზა შეადგენდა 257 ვერსს. სულ ფოთიდან ტფი-
ლისამდე ითვლებოდა 347 ვერსი, მაგრამ საქონლის გადატანა ფო-
თიდან ტფილისამდე, როგორც ზევითაც აღნიშნული გვქონდა, ორ-
ჯერ უფრო მეტი ჯდებოდა, ვიდრე ლონდონიდან ან პარიზიდან
ფოთამდე: ერთი ფუთი საქონლის გადატანა ფოთიდან ტფილისამ-
დე ჯდებოდა 85 კაბიკიდან 2 მანეთამდე⁵.

¹ ევროპასა და კოლონიალურ საქონლის გატანა (ტფილისზე გავლით) ბა-
ქოსა და ირანში ნებადართულ იქნა 1864 წლის 5 აპრილიდან (იხ. Сбор.
сведений о Кавказе, VI, стр. 309).

² ამ სიტყვასთან წანადადება წყდება. აზრის მიხედვით წინადადება შეიძ-
ლება ასე დასრულდეს: „ჰქმნიან ფართე პერსექტივებს ახლო მომავალში ტფი-
ლისის აღებ-მიცემობის უფრო გაფართოებისათვის.

³ Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в историч. и этногр. отнош. стр. 134; ზდრ. Н. Дункель-Велинг, Статистическое описание Тифлиса (Кавказский календарь на 1865 г.).

⁴ ბათომი ამ დროს ჯერ კიდევ თურქეთის ხელში იყო.

⁵ Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, იქვე, გვ. 135.

რუსეთიდან შემოტანილ საქონლის ღირებულება წლიურად
შეადგენდა $3\frac{1}{2}$ მილიონ მანეთს, ხოლო თუ რამდენს შეადგენდა გვა-
ტანილ საქონლის ღირებულება, ჩვენს საბუთში ნაჩვენები არ არის
და არც ის არის ნაჩვენები, სახელდობრ, რუსეთის რომელ ქალაქებ-
თან აწარმოებდა ამ დროს ტფილისი აღებ-მიცემობას და რა გზით;
სხვა წყაროების მიხედვით კი ირკვევა, რომ ტფილისიდან რუსეთში
გატანილ საქონლის ღირებულება აღწევდა 1 მილიონ მანეთს¹.
რუსულ საქონლის შესყიდვა სწარმოებდა უმთავრესად ხარჯოვისა,
პოლტავისა, ვორონეჟ-სა და კურსკის ბაზრებზე, მაგრამ უფრო
მომეტებულად კი ნიუნი-ნოვგოროდის იარმუჟაზე, საიდანაც შესყი-
დულ საქონლის ერთი ნაწილი (უმცირესი ნაწილი—დაახლოებით
ორი შეათედი) ჩამოჰქონდათ ხმელეთით, ხოლო მეორე ნაწილი
(უმცირესი ნაწილი—დაახლოებით რვა მეტედი)—მდინარე ვოლ-
გით ასტრახანამდე, და კასპიის ზღვით ასტრახანიდან სერებრიაკოვ-
სკაიას ნავთსადგურამდე, ან კიდევ (ნაწილობრივ) ბაქომდე. სერებ-
რიაკოვსკაიას ნავთსადგურიდან საქონელი მიჰქონდათ (კალმიკებისა
და ნოღაელების) აქლემებით კავკავში, აქედან კი აქლემებითვე,
ან ჩალანდრებითა და ურმებით ტფილისში. მთელი გზა სერებრია-
კოვსკაიას ნავთსადგურიდან ტფილისამდე ითვლებოდა 647 $\frac{1}{2}$
ვერსი². ბაქოდან საქონელი მოჰქონდათ პირდაპირ ტფილისში ურ-
მებით, ცხანებით ან კიდევ აქლემებით. ეს გზა შეადგენდა 525
ვერსს³.

აზიის ქვეყნებიდან შემოტანილ საქონლის წლიური ღირებულება
შეადგენდა 800.000 მანეთს, ხოლო გატანილისა — 1.300.000 მ..
ჩვენს საბუთში, სამწუხაროდ, როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაშიც ნა-
ჩვენები არ არის, სახელდობრ, აზიის რომელ ქვეყნებთან აწარმოებ-
და 1865—66 წლებში აღებ-მიცემობას ტფილისი; მაგრამ სხვა წყა-
როებიდან (და ისედაც) ცნობილია, რომ ტფილის ამ დროს ვაჭრო-
ბა ჰქონდა უმთავრესად ირანთან და ოსმალეთთან. საჭიროა ილი-
ნიშნოს, რომ, როდესაც ჩვენ დასახელებულ ქვეყნებთან ტფილისის
ვაჭრობაზე (განსაკუთრებულ ექსპორტზე) ვლაპარაკობთ, იგულისხმე-
ბა არა მარტო საკუთრივ ტფილისიდან გატანილი საქონლით ვაჭ-
რობა, არამედ იმ საქონლითაც, რომელიც ტფილისზე გავლით გა-
ჰქონდათ ამ ქვეყნებში ევროპის ქვეყნებს და რუსეთს. ამით აიხსნე-

¹ Сборн. стат. свед. о Кавказе, I, გვ. 86.

² იქვე, გვ. 81.

³ იქვე.

ბა სხვათაშორის ის გარემოება, რომ გატანილ საქონლის ღირებულება თათქმის ორჯერ სჭარბობს შემოტანილ საქონლის ღირებულებას და ეს პირველი შედარებით საკმაოდ დიდ თანხასაც (1.300.000 მან.) შეადგენს¹.

დასასრულ, შინავაჭრობის საბრუნავი თანხის წლიური მოცულობა ჩვენ საბუთს ნაჩენები აქვს $3\frac{1}{2}$ მილიონიდან 5 მილიონამდე. შინავაჭრობაში ნაგულისხმევია უმთავრესად პირველ მოთხოვნილების საგნებით ვაჭრობა ქალაქის ბაზრებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, საბუთში სრულიად არაფერი არ არის ნათქვამი არც ამ პირველ მოთხოვნილების საგნებზე იმ დროს არსებულ ფასების შესახებ და არც საერთოდ ტფილისის ბაზრების შესახებ. ჩვენ გვაქვს 1864 წლის ტფილისის სტატისტიკური აღწერილობა², რომელსაც, როგორც შედარებიდან ირკვევა, ეყარება ჩვენი საბუთი, ან ყოველ შემთხვევაში ორივე აღწერილობა ეყარება რომელიმე სხვა საერთო წყაროს (საფიქრებელია ეს წყარო სტატისტიკური მასალები იყოს). ამიტომ შეგვიძლია ჩვენი საბუთის ჩვენება შევავსოთ ამ აღწერილობის მიხედვით.

ამ სტატისტიკურ აღწერილობიდან ირკვევა, რომ ტფილისში 1864—65 წლებში პირველ მოთხოვნილების საგნებზე ასეთი ფასები იყო: 1. ფუთი პურის ფქვილი ლირდა 60 კაპიკიდან 80 კაპიკამდე, 2. ვედრო ლეინ 1 მანეთიდან 2 მანეთამდე, 3. სპირტი და არაყი 3 მანეთიდან 5 მანეთამდე, 4. ძროხის ხორცი 1 მ. 20 კ. 1 მ. 60 კაპიკამდე, 5. ცხვრის ხორცი 1 მ. 60 კ. 2 მანეთამდე, 6. თევზი დამარილებული და ხიზილალა 5 მანეთიდან 8 მანეთამდე, 7. ახალი თევზი 4 მანეთიდან 8 მანეთამდე, 8. ზეთი 6 მანეთიდან 8 მანეთამდე, 9. კარაქი 6 მან. 8 მანეთამდე, 10. კარტოფილის სანოელი 14 მან., 11. ქონის სანოელი 6 მან., 12. ფოტონაფტილი 6 მან., 13. ქერი 30 კაპ., 14. თივა 20 კ. 15. საჟენი შეშა 15 მან., 16. გუდურა ნახშირი—80 კაპ.³.

ამ ფასების მიხედვით, პირველ მოთხოვნილების საგნების ღირებულების საერთო თანხა, ჩვენს საბუთში ნაჩენები ($3\frac{1}{2}$ მილიონიდან 5 მილიონამდე), არსებითად სწორი გამოდის (მხოლოდ მაქსიმალური თანხა $5\frac{1}{2}$ მილიონს და არა 5 მილიონს შეადგენს).

¹ ამ დროს საქართველოს აღებ-მიცემობა აზის ქვეყნებთან შედარებით ფართე ხასიათს საერთოდ უკვე აღარ ატარებდა.

² Сборн. ст. св. о Кавказе, I, გვ. 81.

³ იქვე, 86—87.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტფილისის საგარეო ვაჭრობაში გირველი ადგილი ეჭირა რუსეთს (იმპორტი — 3 $\frac{1}{2}$, მილიონი, ექსპორტი 1 მილიონი, სულ 4 $\frac{1}{2}$, მილიონი). მეორე ადგილი — დასავლეთ ევროპის ქვეყნებს (იმპორტი — 2 მილიონი, ექსპორტი — 1 მილიონი, სულ 3 მილიონი) და შესამე ადგილი — აზიის ქვეყნებს (იმპორტი — 800 ათასი, ექსპორტი — 1.300.000 მანეთი, სულ 2.100.000 მანეთი). აქედან სამივე წყაროს მიხედვით იმპორტი შეადგენდა 6.300.000 მანეთს, ხოლო ექსპორტი 3.300.000 მანეთს. ტფილისთვის მოვაჭრე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი საერთოდაც (იმპორტ-ექსპორტის საერთო ჯამის მიხედვით) რუსეთს ეჭირა, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამ ხანებში (და საერთოდ XIX ს. დასაწყისიდან) საქართველო წარმოადგენდა რუსულ წირმოების სარეალიზაციო ბაზარს და ამ წარმოებისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ბაზას¹.

ტფილისის საშინაო ვაჭრობაში პირველ მოთხოვნილების საქონელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა რაოდენობის მხრივ ღვინოსა (500.000 ვედრო წელიწადში) და პურს (400.000 ფუთი წელიწადში), ხოლო ლირებულების მხრივ ზეთსა (300-დან 400 ათას მანეთამდე) და კარაქს (240-დან 320 ათას მანეთამდე). რატომლაც ჩვენს საბუთში პირველ მოხმარების საგანთა შორის სრულიად მოხსენებული არ არის თუთუნი, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს არა უმნიშვნელო ადგილი ეჭირა მაშინდელ ტფილისის შინავაჭრობაში.

ზემოდ დასახელებულ სტატისტიკურ აღწერილობაში მოყვანილია საინტერესო ცნობები აგრეთვე ტფილისის საგარეოების კატეგორიებად დაყოფისა და ქალაქის ბაზრების შესახებ:

„ამიერ-კავკასიის მხარეში საერთოდ და ტფილისში კერძოდ — ნათებამია ამ აღწერილობაში — ვაჭრები თავისუფალნი არიან გილდიაზი² ჩაწერისაგან. ვაჭრობის უფლება ეძლევათ სასმელების გაყიდვი-

¹ რეინის გხების გაყვანის შემდეგ რუსეთის კაპიტალი უფრო ფართვდის ყორთვებს ბაზრებს საქართველოში (კერძოდ ტფილისში) და ამდროიდან სხვა ქვეყნების (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) იმპორტი და ექსპორტი ერთობ მცირდება.

² ცნება „გილდია“ რუსეთში პირველად შემოდის XVIII საუკუნის დასაწყისში. 1775 წლის დებულებით დაწესდა ვ გილდია. ამ დროიდან მოყვალებული XIX ს. მეორე ნახევრის დასასრულადებ ვაჭრები ვალდებული იყვნენ ჩაწერილი-ყვენების (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) იმპორტი და ექსპორტი ერთობ მცირდება. 1775 წლის დებულებით დაწესდა ვ გილდია. ამ დროიდან მოყვალებული კერძოდ ტფილი გარების ვაჭრის წოდებას. 1863 წელს ერთი გილდია გაუქმდა და წერილ გარების აეკრძალათ გილდიაში ჩაწერა. 1893 წლიდან გილდიაში ჩაწერა სავალდებულო არ იყო. ამიერ-კავკასიაში და კერძოდ ტფილისში გილდიაში ჩაწერა არასოდეს საგალდებულო არ იყო ვაჭრის წოდების მოსაპოებლად.

მოწილისადმი შეადგინები

სათანადო მოწმობები გაიცემა ყოველწლიურად და ეს მოწმობები 4 ხარისხისაა: პირველ ხარისხის მოწმობები წლიურად შეადგინების 55-მდე, მეორე ხარისხისა — 130-მდე, მესამე ხარისხისა — 450-დე და მეოთხე ხარისხისა — 5-დე. პირველ ხარისხს მიეკუთვნებიან ტრაქ-ტირები; მეორეს — სარდაფები, ბითუმად მოვაჭრე დღესნები და მალაზიები, სადაც სამანუფაქტურო საქონელთან ერთად ჰყიდიან ევროპულ ღვინოებს დაბეჭდილ ჭურჭლებში; მესამეს — სასადილოები, საცალო და საბითუმო ვაჭრობით; და მეოთხეს — ლუდით, არაყითა და ციფი საუზმით მოვაჭრე დუქნები. პირველ და მეორე ხარისხის სავაჭროები ყოველწლიურად იხდიან, თუ ქალაქის ფარგლებში არიან, 100 მანეთს, ხოლო თუ ქალაქის მიდამოებში არიან, 50 მანეთს; მესამე და მეოთხე ხარისხის სავაჭროები კი — ქალაქის შიგნით 50 მანეთს, ხოლო ქალაქის მიდამოებში 25 მანეთს. ამ შემოსავლიდან 20% მიღის ქალაქის სასარგებლოდ, 25% — საერობო გამოსალებთა სასარგებლოდ და დანარჩენი 55% — მხარის აღგილობრივი შემოსავლის სასარგებლოდ. მთელი ეს შემოსავალი საერთოდ შეადგენს 60.000 მანეთს ყოველწლიურად¹.

სამელების გაყიდვის ნებართვის გარდა, ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს მიერ აღგილობრივ ვაჭრებს ეძლევათ სავაჭრო დაწესებულებებისა და დუქნების გახსნის ნებართვაც. ეს ნებართვები 4 ხარისხისაა, რომელთაგან პირველი ღირს 8 მანეთი, მეორე — 4 მან., მესამე — 2 მან. და მეოთხე — 1 მანეთი წლიურად.

იარმუკები ტფილისში არ არის. რაც შეეხება ბაზრებს, ასეთები ეწყობა ყოველდღე: 1. თათრის მოედანზე, სადაც წარმოებს ვაჭრობა სურსათ-სანოვაგით, 2. სარდარ-აბადის მოედანზე, სადაც მომეტებულად ჰყიდიან ჭურსა და ბოსტნეულობას, 3. ავლაბრის მოედანზე, სადაც წარმოებს ვაჭრობა აგრეთვე სურსათ-სანოვაგით და 4. ერევნის მოედანზე, სადაც დილ-დილობით იყიდება შეზა და თივა.

ამ ყოველდღიურ ბაზრებს გარდა, კვირაობით ე. წ. რუსულ ანუ სალდათის ბაზარზე იყიდება ახლო-მახლო აღგილებიდან შემოტანილი ბოსტნეულობა და ჯარისკაცთა სხვადასხვა ნაწარმოების როგორც, მაგალითად, ავეჯი და ყოველდღიური მოხმარების სხვა წვრილი საგნები; რიყეზე, რომელიც უმთავრესად მაღაქნებით არის დასახლებული, ნიაზაგ წარმოებს ვაჭრობა ცხენებით, ფურაჟით და ახლო მოსახლე რასკოლნიკების მიერ შემოტანილი თევზით².

¹ Сбор. ст. св. о Кавказе, I, стр. 87.

² იქვე, გვ. 88.

ყველა უფრო დიდი და ცოცხალი ბაზრებიდან ყველაზე უფრო დიდი და ცოცხალი ბაზარი, როგორც ჩანს, თაორის მოედანი იყო. იგი წარმოადგენდა ქალაქის საგაქრო ცენტრს; აქ მოდიოდა ახლო-მახლო ადგილებიდან სხვა-დასხვა საქონელი და სურსათ-სანოვაგე: „შორაგალიდან, მარნეული-დან და ღურნუქიდან აქ მოდიოდა ფქვილი და ხორბალი; ყარაიაზი-დან — ბრინჯი; აღდაშიდან — საზამთრო; ზაქათალიდან — ლეკური მსხა-ლი; შელოიდან — ყველი; თუშეთიდან და ყარაბალიდან — ცხვარი, მატყ-ლი და ერბო; ჰამამლიდან — კვერცხი; ჯალალოლლიდან და მანგლი-სიდან — კარტოფილი; ლაპიბალუდან — კარაქი; ყულფიდან და ქაზმა-ნიდან (აღნევანიდან) — მარილი; ბორჩალოდან — ბოსტნეულობა (ხახვი, ბადრიჯანი და სხვა)¹.

„თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი — დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებს და ვაჭრებს ურიგდე-ბოდა... სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებთ უნდა ეყიდათ და შემდეგ — ქორვაჭრებს. როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაჭრათ. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ჰნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნ-და დაწყებულიყო ვაჭართა და სოფლელთა აღებმიცემობა“².

შინაგავრობისა და კერძოდ ქალაქის ბაზრების კუთრი წონა საერთოდ ტფილისის აღებ-მიცემობაში, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო საბრუნავ კაპიტალის მოცულობის მხრივ, მაგ-რამ ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით მათ მაინც არ ჰქონ-დათ დიდი მნიშვნელობა იმიტომ, რომ ეს ბაზრები ბოლოს და ბო-ლოს არსებითად და უმთავრესად მხოლოდ მოსახლეობის გამოკვებას ემსახურებოდნენ. „ხალხის სიმრავლისდა მიუხედავად — სამართლიანა-დაა ნათქვამი დასახელებულ აღწერილობაში — ტფილისის ბაზრებს არა აქვთ მაინცდამიანც დიდი მნიშვნელობა ვაჭრობის [განვითარე-ბის] თვალსაზრისით. მართალია, წლის განმავლობაში ამ ბაზრებზე დიდი კაპიტალი იხარჯება, მაგრამ ვაჭრობის განვითარებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს მოხმარების საგნები არ იცვ-ლება, ხოლო მათი რაოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის სიდიდეზე“³.

მიუხედავად იმისა, რომ 1865—66 წლებისთვის ტფილისში საგა-ჭრო და საქარხნო მრეწველობა შედარებით მნიშვნელოვნად გაზრ-

¹ ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა, გვ. 12.

² იქვე, გვ. 12.

³ Сбор. ст. свед. о Кавказе, I, стр. 89.

მართლიანობის უკანასკნელი მართვის გარედანაციულური

დილი იყო დაქალაქეს დიდის რაოდენობით მოსდიოდა გარედანაციულური
სული თუ უცხოური წარმოების საქონელი, ხელოსნურ წარმოებასა
და ხელოსნებს ქილაქის აღებ-მიცემობაში ჯერ კიდევ საქმაოდ მნიშ-
ვნელოვანი ადგილი ეჭირათ. ტფილისის ხელოსნები¹ გაერთიანებუ-
ლი იყვნენ, პროფესიისდა მიხედვით, თავისებურ კორპორაციებში,
რომელიც ამქრობის სახელწოდებით იყვნენ ცნობილი. ამქრობის
წარმოშობა საქართველოში (უმთავრესად ტფილისში) არაბთა ბატო-
ნობის ხანას, VIII საუკუნეს², მიეკუთვნება და მას ხანგრძლივი ისტო-
რია აქვს. ეს ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის, მაგრამ ამქრობის
შესახებ XIX საუკუნეში საქმაო ცნობები და ცალკე იღწერილობე-
ბიც მოვცემოება³. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ამქართა
და ხელოსანთა რიცხვი XIX ს. მეორე ნახევრიდან თანდათანობით
მცირდებოდა, რადგან ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება
ვერ უძლებდა შემოტანილ ფაბრიკატების კონკურენციას. XIX საუკ-
სამოცდახუთიან-სამოცდათიან წლებისათვის ამქართა რიცხვი შემ-
ცირდა თითქმის ორი მესამედით⁴, შედარებით წინა წლებთან, მაგ-
რამ ამ დროს მათი რიცხვი 64-დე მაინც აღწევდა⁵.

¹ ხელოსნების გარდა ამგვარ კორპორაციებში (ამქრებში) გაერთიანებულ-
ენ იყვნენ ზოგიერთ დარგის გაჭრებიც (Сборн. ст. свед. о Кавказе I, стр. 89).

² პროფ. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1907, გვ. 40.

³ ხელოსნობისა და ამქრობის შესახებ ცნობები იხ. Ю. Ахвердов, Тифлисские амкары, 1883, ტფილისი; С. Егiazаров, Городские цеха, ЗКОРГО XIV, вып. II, 1891; П. Шапшиев, Два слова об амкаре, 1857, ტფილისი; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1907 წ.; მისივე, ქალაქები, საქართველოს წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII — XVIII ს.; („პრომეტე“, № 1, 1919; ი. გრიშვაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფილისი, 1927; მისივე, საიათოვა, ტფილისი, 1918 წ.; გ. გამყრელიძე, ხელოსნობა ტფილისში, 1926; С. Гулишамбиров, Обзор фабрик и заводов Тиф. губ., 1888, Тифлис; Акты КАК, I, VI, VII, XI, XII; Ҷ. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в историч. и этногр. отношении, 1870; Положение о ремесленных амкарах (цехах) в г. Тифлисе и об их управлении; Ф. Махарадзе, Грузия в XIX ст., 1930, Тифлис; Сб. ст. свед. о Кавказе, I, 1869; Сб. свед. о Кавказе, VI, 1883; საქართვ. სიმელები, II, ტფილისი, 1909; Сборник обязательных постановлений Тифлисск. гор. думы за 1875 — 1909, Тифлис, 1909.

⁴ Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в истор. и этногр. отн. გვ. 139; დოკ. Сб. ст. свед. о Кавказе, I, стр. 89.

⁵ Сб. ст. свед. о Кавказе, I, стр. 89.

უოველ ამქარს ჰყავდა თავისი გამგეობა, რომლის სათავეში უნარი და უსტაბაშის თანაშემწე იდგა. თვითეულ ამქარს თავისი კუთარი დროშა და ემბლემა ჰქონდა. უსტაბაშს ირჩევდნენ კენჭის-ყრით, მაგრამ „უსტაბაშობის“ ვადა განსაზღვრული არ იყო: უსტაბაშის დარჩენა თავის თანამდებობაზე დამოკიდებული იყო მის უნარიანობაზე და აგრეთვე მის ავტორიტეტზე¹. ამქარს ჰქონდა თავისი წესდება, მაგრამ ეს წესდება არავის მიერ (მთავრობის ორგანოების მიერ) არ იყო დამტკიცებული. ამისდა მიუხედავად ამქრის წევრები სასტიკად იცავდნენ ამ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და წესებს. სხვათაშორის, ამ წესდების თანახმად, აკრძალული იყო შეგირდის გადაბირება. შეგირდს ჯამაგირი არ ეძლეოდა, ვიდრე ის ხელობას არ შეისწავლიდა. ხელობის შესწავლის შემდეგ კი მას წლიური ჯამაგირი ენიშნებოდა. შეგირდობის დრო განსაზღვრული არ იყო: ეს დამოკიდებული იყო შეგირდის ფხაზე და ხელობის სირთულეზე², ჩეულებრივად კი შეგირდობა 5—6 წელიწადს გრძელდებოდა, მაგრამ ეს დრო მხოლოდ ხელობის შესწავლას არ ხმარდებოდა: ხაზეინი თავის შეგირდს (განსაკუთრებით პირველ ხანებში) თავის პირად საქმესაც აკეთებინებდა და, შეიძლება ითქვას, მის განუკითხავ ექსპლოატაციას ახდენდა. შეგირდს, ვიდრე ის ოსტატის სახელწოდებას მიიღებდა, ქარგლობაც უნდა გაევლო. ეს მეორე საფეხური იყო შეგირდობიდან ოსტატამდე³.

ამქრების ორგანიზაცია არსებითად აერთიანებდა ერთ გარკვეულ სოციალურ ფენას — წვრილ ბურჟუაზიას და ამდენად, მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობისა (განსაკუთრებით ოსტატებსა და შეგირდებს შორის), პროფესიულ-კლასობრივ სოლიდარობის საფუძველზე ეს ამქრები მჩქიცედ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებული და საჭირო შემთხვევაში ერთიანი ფრონტითაც გამოდიოდნენ. „ასე მოხდა, მაგალითად, 1865 წელს, როცა ახალი გადასახადების შემოღებას, ამ ახალი სამოქალაქო ცხოვრების პირველ სტუმარს, ტფილისის ამქრობამ აჯანყებით უპასუხა“⁴.

ეს აჯანყება არსებითად უკანასკნელი სერიოზული პროტესტი და გამრძოლება იყო ხელოსნურ, შინამრეწველურ წარმოებისა საქართვო და საფაბრიკო წარმოების წინააღმდეგ-ახლად ფეხმომაგრებული

¹ ი. გრიშვილი, ძველი ტფილისი, გვ. 42. შდრ. Ю. Ахвердов, Тифлисские амкары, გვ. 1—50.

² იქვე, გვ. 42.

³ იქვე, გვ. 43.

⁴ იქვე, გვ. 47.

საქართველოს და საფამოების წარმოება წალენჯითა და გაქრობით ემუსიკა-
ბოდა, უკვე თითქმის დრომოქმულ, ხელოსნურ წარმოებას ადგენერი
უკანასკნელიც ცდილობდა გადაერჩინა თავისი თავი მოსპობისაგან.

ხელოსნობისა და ამქრობის წინააღმდევ იერიშები თითქმის
XIX ს. პირველ მეოთხედიდან დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე
პირობები მათოვის შეიქნა ამავე საუკუნის მეორე ნახევარში. 1849 წ.
საკითხიც კი იყო დასმული იმის შესახებ, რომ ამქრობა გაეუქმებინათ¹.
მთავრობა ერთხანს არ ერეოდა ამქრების საქმეში და მიზანშეუწონ-
ლადაც სთვლიდა მათ მოსპობას², მაგრამ შემდეგში ყველა დარგის
ამქრების ქალაქის სახელოსნო სამმართველოში (Городская ремес-
ленная управа) გაერთიანებით ფაქტიურად ამქრობა გაუქმდებულ
. იქნა.

ხელოსანთა და ამქართა შესახებ, როგორც ვამბობდით, ჩვენს
საბუთში სრულიად არაფერია ნათქვამი, ხოლო ზემოთ დასახელებულ
სტატისტიკურ აღწერილობაში შემდეგი მოკლე ცნობაა მოყვანილი:
- ტფილისის ხელოსნები გაერთიანებული არიან საზოგადოებებად,
რომლებიც ცნობილია «ამქართა» სახელწოდებით. ეს ძელი დაწესე-
ბულება შემოსულია აქ სპარსეთიდან. თვით სახელწოდებაც «ამქართა»
ან «ჰამქართა» სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თანამოაზრეს, ან ერთი
და იმავე საქონლით მოვაწრეს. ამქართი ჰგავს ცეხს, მაგრამ ამავე
დროს მას თავისი განსაკუთრებული მხარეებიც აქვს. ეს არის კერძო
დაწესებულება და ის არ არის დამტკიცებული მთავრობის არც ერ-
თი განკარგულებით. ამისდა მიუხედავად ეს საზოგადოებები სასტი-
კად იცავენ თავიანთ წესებს.

ყოველ საამქროს, რომლის რაოდენობა ამჟამად 64-მდე აღწევს,
ჰყავს თავისი უსტაბაში ანუ უფროსი და უსტაბაშის თანაშემწე-
რიაგალი საამქრო შესდგება არა ხელოსნებისაგან, არამედ, ვაჭრები-
სა და მუშებისაგან. ასე, მაგალითად, მაუდის გამყიდველები შეადგე-
ნენ საამქროს, წყლის მზიდავები, ანუ ადგილობრივი სახელწოდებით
თულუხები, აგრეთვე შეადგენენ საამქროს. ამქრებს ხშირად უსაყვე-
დურებდნენ და ახლაც უსაყვედურებენ, რომ ისინი, ერთიმეორესთან
შეთანხმებით, თავიანთი გაჭრობისა თუ წარმოების საქონლებზე ფა-

¹ იქვე, გვ. 49.

² მაგალითად, ვორონცოვი წინააღმდევი იყო, რომ ამქრები გაეუქმებინათ
(იხ. Ю. Ахвердов, Тифлисские амкары, გვ. 31). ასეთვე აზრია გამო-
თქმული, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტფილისის ზემოთდასახელებულ აღწერი-
ლობაში (Кавказский календарь на 1865 г., Статистическое описание
Тифлиса).

სებს სწევენ, რის გამოც მათ მავნე დაწესებულებებად სთვლიან; **მაგ-**
რამ ეს მოსაზრება, პირველი შეხედვით თითქოს საფუძვლიანი, არ
არის სამართლიანი. ფასების აწევის შესახებ შეთანხმების დანაშაუ-
ლი უნდა ვეძიოთ არა საამქროთა შემაღებილობაში, არამედ სამრე-
წველო მოქმედების განუვითარებლობაში — ადგილობრივ მკვიდრთა
შორის. მეორეს მხრივ ამქრები, რომლებშიც არსებობენ საზოგადოებ-
რივი სალაროები და რომლებიც ზრუნავენ თავიანთი წევრების ობ-
ლებსა და ქვრივებზე, ავადმყოფებსა და მოხუცებულებებზე, განსა-
კუთრებული ყურადღების ღირსნი არიან და საჭიროებენ დაწვრილე-
ბით შესწავლას.

ამქრებში შედიან არა მარტო ადგილობრივი ხელოსნები, ვაჭ-
რები და მუშები, არამედ ტფილისში დროებით ჩამოსულნიც, რა-
თქმაუნდა, არა ყველანი, არამედ ისინი, ვისაც სურვილი აქვს შეუერთ-
დეს ამქრებს.

ხელოსანთა რიცხვი¹ შემდეგია: 1. მეთოფები — 38 ოსტატი და
16 შეგირდი, 2. ოქრომჭედლები — 120 ოსტატი და 20 შეგირდი,
3. თერქები — 142 ოსტატი და 121 შეგირდი, 4. ქურქები — 21 ოს-
ტატი და 9 შეგირდი, 5. ხაბაზები — 200, 6. ბაყლები — 193, 7. ყასბე-
ბი — 86, 8. ხარაზები — 201 ოსტატი და 100 შეგირდი, 9. მეეტლე-
ები — 128 ოსტატი და 71 შეგირდი, 10. ზეინკლები — 27 ოსტატი და
7 შეგირდი, სულ 1256 ოსტატი და 344 შეგირდი².

ამათ გარდა ტფილისში ითვლება ამქრების გარეშე: 10 მესაა-
თე, 6 ჯავაირიჩი, 12 მებულქე, 6 დურგალი, 8 მეკარეტე, 3 მეუნავი-
რე, 7 ზეინკალი და მჭედელი, 4 მეშპალერე, 8 მკინძავი, 2 მეთოფე,
6 მეერავი, 12 მეჩექმე, 3 ხარატი, 8 დალაქი, 10 ფოტოგრაფი, 9
ოქრომჭედით მკერავი და 57 მეპაპიროსე.

ადგილობრივი ხელოსნობიდან სკარბობენ: а) ოქრომჭედლობა,
ბ) საჭიროელმჭეთებლობა, გ) თერქობა და დ) ხარაზობა.

ყველა ხელოსნობის საბრუნავი თანხის რაოდენობა ცნობილი
არ არის. ტფილისის ხელოსანთა ნაწარმოებებით მარაგდება ქალაქი
და მახლობელი ხაზები. მნიშვნელოვანი გატანა ამ ნაწარმოებთა

¹ აქ ნაჩვენები რიცხვი ხელოსანთა, ყოველ შემთხვევაში პროფესიის მიხედ-
ვით, არ შეეფერება ამავე საბუთში შემოთ დასახელებულ რაოდენობას ამქრებისას
(64). ამქრებისა და ხელოსანთა რაოდენობის შესახებ იხ. Сборник статистич.
свед. о Кавказе I, стр. 116; а. აკობიანცი, ტფილისის აღწერილობა
(„გარუნ“, გვ. 282 — 284, სომხ. ენ.).

² შდრ. Сбор. ст. св. о Кавказе, I, გვ. 116.

11. ზნე-ჩვეულება და ცხოვრების შესი. ამ თავში ტფილისის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებათა ზოგად დახასიათებასთან ერთად, მოცემულია საეკლესიო დღესასწაულებისა და განსაკუთრებით კი სახალხო გასართობების საქმაოდ გრცელი აღწერილობაც. როგორც ჩანს, ავტორებს ამ თავის შედგენის დროს ხელთ ჰქონიათ (ან გაცნობილი ყოფილან) ზოგიერთი თანამედროვე ლიტერატურაც². ყოველ, შემთხვევაში ის ნაწილი ამ თავიდან, რომელიც საეკლესიო დღესასწაულებს შეეხება, აშეარად კავკასიური კალენდარი-ში მოთავსებულ ე. ვერდერევსკის შერილის: „О народных праздниках и праздничных обычновениях христианского населения Закавказья и преимущественно в Тифлисе“-ს მიხედვით უნდა იყოს შედგენილი³; ოღონდ ჩვენს აღწერილობაში ეს დღესასწაულები უფრო მოკლედ და სქემატურადაა აღწერილი (ზოგჯერ მარტო ჩამოთვლილია), ვიდრე ეს დასახელებულ ავტორს აქვს.

სამაგიეროდ ამ თავის ზოგადი (შესავლის მაგვარი) ნაწილი ოდნავ უფრო ვრცლადა აღწერილი, ვიდრე დღესასწაულებისა და გართობის ამბავი; თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ზოგადი ნაწილიც ყოველგვარ ანალიზის გარეშე და საქმაოდ ზერელედ არის შედგენილი.

„აქაური ხალხი—გვითხულობთ საბუთში—საერთოდ მხიარული ხასიათისაა, მაგრამ ამავე დროს შრომის მოყვარეულია⁴. ასე, მთელი კვირის განმავლობაში ის მუყაითად მუშაობს, ბევრ რამეს იკლებს, კმაყოფილდება ოჯახში პურისა და ყველის ნაჭერით (მარხვის დღეებში მწვანილით), მაგრამ დღესასწაულებზე მან უნდა ჩაიცვას კარგად, სჭამოს და სვას ბლომად; ერთი სიტყვით, სადაც საჭიროა, უნდა გამოიჩინოს თავი, და ასეთ შემთხვევაში ის უკანასკნელ კაპიქსაც

¹ Сб. ст. св. о Кавказе, I, გვ. 90; ტფილისის სტატისტიკური კომიტეტის ოფიციალური ცნობებით 1865 წელს ტფილისში ითვლებოდა 5.524 ხელოსანი (იხ., იქვე, გვ. 117).

² ტფილისის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებისა და ადათის შესახებ, აგრეთვე დღესასწაულთა და გასართობების შესახებ რუსულ ენაზე ცნობები და ცალკე შერილები იძევდებოდა: გან. „Тифлисские ведомости“-ში (1828—1833 წ.); გან. „Закавк. вестн.“-ში (1846—1867); გან. „Кавказ“-ში (1846-1917); გან. „С.-Петербургские ведомости“-ში და სხ. ამ შემთხვევებისათვის ჩვენი საბუთის ავტორებს ხელი მიუწვდებოდათ.

³ Кавказский календарь на 1855 г. გვ. 547—586.

⁴ ზევით კი, როგორც ვნახეთ, ჩვენი საბუთის ავტორები ტფილისელებს „აზიურ სიზარმაცეს“ აბრალებდნენ.

არ დაიშურებს. ამის გამო კვირა და უქმე დღეებში, განსაკუთრებით გაზაფხულსა და ზაფხულში, ნიაღავ ისმის ზურნისა, დაირისა და დიპლიპიტოს ხმასთან ერთად, მოქეიფეთა სიმღერა—ეზოში, ბალში, მინდორზე, საღმე მდინარის ახლოს, ხის ქვეშ და ხევში.

მარხვებსა და ხალხურ საეკლესიო დღესასწაულებს სასტიკად იცავენ. სალოცავად მიდიან დიდის მზადებით რამდენიმე ცერესის სიშორეზე, ზოგჯერ ოსმალეთშიც კი¹. ყოველდღიურ ცხოვრებაში, სალამოს წინ და აგრეთვე თვით მუშაობის დროსაც, ისმის მშრომელთა სიმღერები. გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე საამო მთვარიან ღამეებში, შეადგენენ ხოლმე წრეს, უკრავენ ბალალაიკებზე² (ჩანგურზე ან თარზე), დაირებსა და გარმონზე, და ასე ატარებენ სალამოებს ქაფოლებაში.

ქალებიც არ ჩამორჩებიან. ქალი ადგილობრივი მქვიდრის სახლში ყველაფერია. ის ბავშვების დედაცაა, დიასახლისიც, მზარეულიც, მრეცხავიც, ძიძაც. მას უყვარს შელამაზდეს სხვადასხვა ადგილობრივი საკუთრად შემზადებული კოსმეტიკური საშუალებებით. ისიც გამოდის დაირითა და დიპლიპიტოთი. ტოლთა წრეები მხიარულობენ. ლექურს თამაშობენ.

არ უნდა დაგვაეკიტყდეს, რომ მამიკაცები დროს ტარებას უღვინოდ ვერ ახერხებენ. ღვინოს საქმაო რაოდენობით ხმარობენ. მაგრამ იშვიათია კაცმა ნახოს ადგილობრივი მქვიდრი მთვრალი, ქუჩაში მწოლარე და საერთოდ არა ფხიზელი, ისეთ უმგვანო მდგომარეობაში, როგორც ეს სხვა ხალხშია.

მოხუცებული ქალებიც არ ივიწყებენ თავიანთ თავს: გამოდიან ეზოს გარეთ, თავს მოიყრიან ერთად, მიწაზე დასხვებიან და შორეულ წარსულზე მუსაიფობენ, ან ჰეიცხავენ სხვა მეზობლებს, რომლებიც მათი აზრით მისდევენ შეუფერებელ ცხოვრებას; ერთი სიტყვით ჭორიკანობენ. არის კიდევ ქალთა განსაკუთრებულა კლასი, რომლის ერთად ერთ ხელობას საქმროთა და საცოლოთა მოძებნა შეადგენს; ამით მოიპოვებენ ისინი რასობის პურსა.

დაბალი კლასი ყოველ მხრივ დღემდისაც პირველყოფილ მამაპაპათა კულტურულ დონეზე დგას. აფაღმყოფობის დროს, მაგალი-

¹ ალბათ საბუთი ჰელლისტმობს ტფილისის მაჭმალიან მოსახლეობას.

² საკურა, რომ მაშინ ბალალაიკები, როგორც მესიკალური ინსტრუმენტი, ჰასობრივ ხმარებაში ყოფილიყო. ჩანს, ბალალაიკის დასხველება ზერელე დაკვირვების შედეგია, ან, იქნება, ჩანგურსა და თარს ეძახდეს ჩვენი საბუთი ბალალაიკას. ფრჩხილებში ბალალაიკის შემდეგ „ჩანგურისა ან თარის“ მოხსენებაც ამას შვაფირებინება.

თად, იშვიათად მიმართავენ რუს ექიმებს; უფრო მომეტებულად  შემთხვევაში ისინი ხმარობენ სხვადასხვა შინაურ წამლებს, განსაკუთრებულად რებით ბალახებს, რომელთაც აგროვებენ მინდვრებსა და ტყეში; ანდა ისინი მიმართავენ თავიანთ ექიმბაშებს. ავადმყოფობის მიზეზს მიაწერენ ხოლმე რომელიმე წმინდანს, მათზე გაჯაფრებულს, და ამიტომ პირველ თავიანთ მოვალეობად თვლიან მიმართონ რომელიმე ნაცნობ მკითხავს და მისი საშუალებით გაიგონ, თუ რომელია ეს წმინდანი. ამ წმინდანისათვის გადასდებენ ხოლმე ვერცხლის ფულს, რამდენიმე წმინდა სანთელს და ოლოქმას აძლევენ—განკურნებისას მივიღნენ შიშველი ფეხით ამ წმინდანის სახელობის ეკლესიის კარიბჭემდე. აქ დაპკლავენ ხოლმე ცხვარს და შეასრულებენ სხვა დაპირებებსაც, როგორც, მაგალითად: ატარონ გარკვეულ დროის განმავლობაში თეთრი ტანისამოსი, ანდა იარონ ეზო-ეზო (ჩეკულებრივად ფეხშიშველი) და აგროვონ მოწყალება (დიდება¹), ან კიდევ: თვეში ერთხელ, წელიწადში ერთხელ, ფეხშიშველი წავიღნენ ამ წმინდანის თაყვანის საცემლად; ზოგჯერ ოლოქმა მდგომარეობს იმაში, რომ სასტიკად იცავნ გარკვეულ ხნის განმავლობაში მარხეას. ამასთანავე საჭიროა ოლინიშნოს, რომ მრავალი მათგანი, როდესაც სალოცავად მიემგზავრება, მისვლისას ჩერდება ეკლესიასთან ამ მიზნით საგანგებოდ მოწყობილ სენაკში რამდენიმე დღეს და არ დაბრუნდება შინ, სანამ თვით წმინდანი არ გამოეცხადება ძილში და არ ეტყვის ავადმყოფს, ან ერთ-ერთ მის მახლობელს, რომ დროა შინ დაბრუნდეს, რომ მან უკვე მიიღო მათი ოლოქმა: „ახლა დაბრუნდით და მე ნუ დამივიწყებთო“. მაშინ ავადმყოფი მეორე დღეს მუხლებზე დაჩოქილი მიხოხავს სენაკიდან ამ წმინდანის ხატთან, თაყვანსა სცემს მას და ბრუნდება შინ ღრმა მოკრძალებით. ზოგჯერ სალოცავად მიჰყავთ ისეთი საშიშო ავადმყოფნიც, რომლებიც გზაში, ყოველგვარ პიგიენურ პირობებს მოკლებულნი, მსხვერპლი ხდებიან თავიანთი ცრუ-მორწმუნეობისა და თანატიზმისა.

ტუილისელებს აქვთ მრავალი ყოველწლიური საეკლესიო დღე-სასწაული, რომელსაც ესწრებიან არა მარტო ისინი, არამედ ყველა მახლობელ ადგილების მცხოვრებლებიც. და მაშინ ეს დღესასწაულები საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ხასიათს იღებენ. ასეთი დღესასწაულებისათვის მზადებას იწყებენ რამდენიმე დღით ადრე, ხოლო დღესასწაულის წინა დღით ბევრნი თავს იყრიან საღამოდანენ ექლესიაში და იქ ათევენ ლამეს („ლამისთევა“).

¹ ასეა საბუთში

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია სხვა რომელ
ლიმე ქვეყანა, სადაც შემონახული ჰქონდეთ პირვანდელი ქრისტიანული
ნული ღვთის მსახურების ყველა ეს ნიშნები ისე, როგორც ეს ტფი-
ლისელ და საერთოდ ამიერ-კავკასიის ქრისტიანებს აქვთ; სადაც
ეკლესიის ყველა დადგენილება დაცული იყოს უფრო სასტიკად, სა-
დაც ეკლესიებში დადიოდნენ უფრო ხშირად და მონდომებით, ვიდრე
აქ. არც ერთი აქაური ქრისტიანი ქრისტიანი არ გაუვლის ეკლესიას
ისე, რომ არ მოიხადოს ჭუდი, არ წარმოსტევას ლოცვა, არ ეამბო-
როს ეკლესიის კედელს და არ აუნთოს მას წმინდა სანთოლი, რომე-
ლიც აქვე იყიდება ეკლესიის დუქანში, ან თვით ეკლესიაში.

ყველაფერ ამის შემდეგ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთ
სალვოდ განწყობილ ხალხში ნაკლებად მოიძებნება ცუდი ზნეობის
აშკარა ნიშნები. შეიძლება თამამად იაროს ადამიანმა მთელი დღე
ბაზრებზე, ქუჩებზე და საეკლესიო დღესასწაულის კრებებზე ისე,
რომ შიში არ ჰქონდეს რაიმე დაჲკარგოს თავის ჯიბილან, როგორც
ეს სხვა დიდ ქალაქებშია ხოლმე. ქურდობა ძალიან იშვიათი მოვლე-
ნაა ქრისტიან მოსახლეობაში; თათრებში კი მოხერხებული ქურდობა
სავაკეაცო და სატრაბახო საქმედ ითვლება. ამათში ქალები თაკი-
ლობენ გაჲკვენ ცოლად ისეთებს, რომელთაც თავი არ გამოუჩენიათ
ასეთ ხელობაში” (ფურც. 17—21).

ტფილისის მცხოვრებთა ზნე-ჩეკულებისა და აღათის ამ ზოგად
მიმოხილვის შემდეგ საბუთი აგვიწერს სახალხო გასართობებისა და საეკ-
ლესიო დღესასწაულებს. სახალხო გასართობებიდან აღწერილია კრივი,
ჭიდაობა და ყევნობა.

კრივი და მუშტი-კრივი, როგორც ცნობილია, ტფილისელების
საყვარელი გასართობი იყო¹. კრივი იმართებოდა ქალაქის სხვადასხვა
ადგილას: ზარაფხანის ახლოს, სადაც ახლა ბაყალხანაა (მეტების
ქვემო ნაწილი), არსენალთან (ე. წ. „ჭირიანთ ხევში“); საბაჟოს უბან-
ში (ე. წ. „ბოსტნის ურმებზე“); ავლაბარში (ე. წ. „ნახშირის უბანში“),
სადაც ახლა ყაზარმებია; აბას-აბადისა და კოლორთალის მოედნებზე;

¹ კრივისა და მუშტი-კრივის აღწერილობა ლიტერატურაში საკმაოდ ცნო-
ბილია (იხ. მაგ. კიშმიშევ, თიფლის 40-ე გიგ., „Кавказ“, 1894 გ. 60; Вое-
нний сборник. 1867 г., 6 и 7; Кавказский календарь 1855 г.; Потто, История
войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II; „Тифлисский ли-
сток“, 1899 გ. № 165, დამატება № 8; „ივერია“, № 1, 1885 წ.; „ცისკარი“ № 3,
1869 წ.; Акты КАК, X; Кавк. сб., XXIII, 1902 გ.; „Кавказ“ № 1, 1846 გ. და
სხ., მავრამ ამ გასართობების ამომწურავი და მხატვრული აღწერილობა, მოცემული
აქვს ძველი ტფილისის უბადლო „ტრუბადურსა და ქეშიკს“, ჩეგნს პოეტს ი. გ რ ი-
შა შვილს თავის „ძველ ტფილისის ლიტერატურულ ბოჟებაში“ (გვ. 30—37).

მოლნინის ეკლესიის ახლობელ ქუჩაზე; ბოტანიკურ ბაღის ზემოთ
ჩანჩქერის თავზე; მამადავითის ყელთან, სადაც წინათ დაცემულია ადამიანის
გილი ყოფილა; უფრო ხშირად კი კრივი იმართებოდა სიონის ქუჩა-
ზე. სიონის ტაძარი ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის — ჩრდილოეთისა
და სამხრეთის — საზღვრად ითვლებოდა. მოკრივეთა მიჯნად ზოგჯერ
შუა ბაზარი ითვლებოდა — ქურქების სახელოსნოებამდე, ან კიდევ
მტკვარი ჰყოფდა მოკრივეთა პარტიებს ერთმანეთისაგან¹. კრივი
იმართებოდა ჩვეულებრივად კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებ-
ში, აგრეთვე ნათლიღების მეორე დღეს. ყველაზე დიდი კრივი — „ავ-
ლაბრის კრივი“ — იმართებოდა კვირაცხოვლიბის დღეს, ამ სახელ-
წოდების ეკლესიის მახლობლად².

ყველაზე გავრცელებული იყო ე. წ. „მუშტის-კრივი“ და „ქვის
კრივი“, ე. წ. „სალდასტი“³. მუშტის-კრივს მართავდნენ ზაფხულში —
ქალაქის ქუჩებში, ხოლო სალდასტის კრივს ზამთარში — ქალაქს გარეთ.
კრივს საერთოდ ჰქონდა თავისი წესები, ხალხის ჩვეულებაზე დამ-
ყარებული. კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა; შემდეგ
18-20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს; ჭაბუკებს 25—30
წლის ვაჟკაცები შეცვლიდნენ, ხოლო ამათ — დარბაისელი და გამოც-
დილი ფალავნები; ამ უკანასკნელთა კრივი ნამდვილ კრივად ითვლე-
ბოდა⁴.

კრივი თანამედროვე პოქსის მაგვარი გასართობი (ან უკეთ
ფიზკულტურა) იყო და ი. გ რი შაშვილის აღწერით იმართებო-
და შემდეგნაირად: ჯერ ერთი მოკრივე შემოკვრავდა ერთი ხელით
მეორეს მუშტს, ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებო-
და, რომ ამ ერთი მოქნეული მუშტით წაბარბაცდებოდა, მაშინ იგივე
მოკრივე მეორე მოკრივეს მეორე მუშტსაც მიარტყამდა „მისაშველე-
ბლად“, რომ მოპირდაპირეს „წონასწორობა“ აღედგინა და ზეზე
დამდგარიყო, სწორად; მერე უაიკერდა ორივე ხელით — შეანჯლრევ-
და, შეასწორებდა და კრივი გაგრძელდებოდა⁵. დამარცხებული მოკ-
რივე, ნაცემი და დაბეგვილი, თავისი მომხრებითურთ ასპარეზს
სტოეებდა და უკან დაიხევდა. დამარცხებულნი ხშირად ქვებსა და

¹ ი. გ რი შაშვილი, ძველი ტფილისი, გვ. 31.

² იქვე, გვ. 31.

³ ი. გ რი შაშვილის მოწმობით კრივი ბევრნაირი იყო: მუშტის-კრივი,
ბრიდოლი (კრივი ცალი ხელით), სალდასტი (ქვის კრივი) და სწვა (იქვე, გვ. 33),

⁴ იქვე, გვ. 31.

⁵ იქვე, გვ. 30.

აგურებს მოიშველიებდნენ. ამის გამო ბევრი მოქრივე ბრძოლიდან
დაჭრილი და დასახიჩრებული გამოდიოდა¹.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კრივი აკრძალეს; მაგრამ ციციანოვის მმართველობის დროს ქრივი, ხალხის თხოვნით, კვალად განაახლეს; 1850-იან წლებში, ვორონცოვის დროს, როდესაც ერთ-ერთ კრივში რამდენიმე ათეული კაცი დაიჭრა და ქალაქის წესი დაირღვა, ნიკოლოზ პირველმა სავსებით აკრძალა კრივი ქალაქის ფარგლებში და ასეთი ბრძანება გამოსცა: „კრივი ნებადართულია ქალაქს გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტების გარდა სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს“². კრივისათვის თვალყურის დევნება ამიერიდან პოლიციას ევალებოდა.

კრივი თანდათანობით გადაგვარდა, ხოლო შემდეგში სრულიად გადავარდა. სალდასტის კრივი მთავარმართებლის ბარიატინსკის დროს სამუდამოდ აიკრძალა. ხოლო მუშტის-კრივმა 70-იან წლებამდე გასტანა³ და, მაშასადაზე, 1865-იან წლებში ამ სახის კრივი ტფილისში ჯერ კიდევ იყო.

ჭიდაობაც ტფილისში ერთობ გაჭრცელებული და მიღებული იყო. აქაც ჩვეულებრივად საბრძოლველად ორი ფალავანი გამოდიოდა, მაგრამ თითოეულ მოჭიდავეს თვისი პარტია ჰყავდა. ხშირად თვითეულ მოჭიდავეზე მაყურებლები ნაძლევს სდებდნენ ხოლმე და ამის გამო ეს გართობა დიდი აზარტით წარმოებდა არა მარტო მოჭიდავეთა მხრით, არამედ მაყურებელთა მხრითაც. ზოგჯერ ბრძოლის დროს გაცხარებული მოჭიდავენი საზღვარს გადადიოდნენ და მოწინააღმდეგეს ფიზიკურ ზიანს აყენებდნენ. ამიტომ ჭიდაობის შედეგი ხშირად ისეთივე სისხლიანი იყო, როგორც კრივის შედეგი.

ადამიანთა ჭიდაობასთან ერთად ტფილისელები ეტანებოდნენ ყოჩების, მამლების და აქლემების ჭიდაობას. ამათში ცველაზე გავრცელებული იყო ყოჩების ჭიდაობა. ამგვარ ჭიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ, განსაკუთრებით მზრუნველობით ექცეოდნენ, პურზედ ინახავდნენ და ჯაჭვით ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არავის დატაგებოდა. ყოჩობის დროს კი ქერით ათრობდნენ, მძიებიან საყელოს უკეთებდნენ, ქოჩორს ენდროთი ულებავდნენ და რქის წვერებს კოპწიად გადაუხერხევდნენ. ყოჩების ჭი-

¹ იქვე, გვ. 32.

² АКТЫ КАК, Т. X, გვ. 827. შდრ. ი. გრიშაშვილი, იქვე, გვ. 32.

³ ი. გრიშაშვილი, იქვე, გვ. 36.

დაობა გაშლილ ასპარეზზე იმართებოდა. მას მრავალი მაყურებელი
ესწრებოდა და ზოგჯერ დიდი აზარტით მიმდინარეობდა¹.

მაგრამ მუშტი-კრივისა და ჭიდაობის გვერდით, ტფილისელთა
გასართობებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ყევნობას.
პირვანდელი სახით ყევნობა, როგორც ჩანს, ომის მისტერიის წარ-
მოადგენდა და პატრიოტული პროპაგანდის თავისებური საშუა-
ლება იყო; შემდეგში კი, XIX საუკუნიდან, როგორც ი. გრიშა-
შვილსაც სამართლიანად ჰქონია, ყევნობა, საფიქრებელია, რუსე-
თის თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის ერთ-
გვარ გამოხატულებად გადაიქცა². სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს
ის გარემოება, რომ რუსეთის მეფის მთავრობას ყევნობა არ მოსწონდა,
მასში ის თავის თავის გამასხარავებას ჰქონდა. ამიტომ შემდეგ-
ში მთავრობამ ყევნობა, თავის პირვანდელი სახით (როგორც ომის
მისტერიი) საცხებით აკრძალა და ამის შემდეგ ყევნობას მშვიდო-
ბიანი პროცესიებისა და უბრალო კარნავალის ხასიათი მიეცა³.

ყევნობა ტფილისში ჩვეულებრივად დიდმარხების პირველ ორ-
შაბათს ეწყობოდა⁴. ქალაქი უბრებად იყოფოდა და თვითეულ უბანს
თავისი ყევნი გამოჰყავდა. ყევნად ისეთ კაცს ირჩევდნენ, რომელიც
„გონება-მახვილი, ოხუნჯი და მოძრავი“ იყო. ყევნს მორთავდენ კა-
რიკატურულად: თავზე შაქრის ქალალდისაგან გაკეთებულ წოწოლა
ქუდს დაახურავდნენ, ტანზე გადაბრუნებულ ტყაპუჭს (ან „პიანიცა
კაპიტენის“ მუნდირს) ჩააცმევდნენ, ერთ ხელში ხმლის მაგივრად
ქაფეირს მისცემდნენ, ხოლო მეორეში — უანგიან შამფურს, სახეს გაუ-
მურავდნენ და, ამგვარად მორთულს, აქლემზე შესვამდნენ. ყევნს მის-
დევდა „ბერიკულად“ გადაცმული ხალხი ზურნის დაკვრითა და ხმაუ-
რით. პროცესია მიდიოდა ქუჩებში რამდენიმე ხელჯოხიანის წინა-
მძღოლობით. ყევნის ამაღლა გამვლელ-გამოვლელს გზას ულობავდა და
ყევნის სასარგებლოდ „ხარქს“ ახდევინებდა⁵.

ზოგჯერ ყევნი არ მოგზაურობდა, იგი მოთავსებული იყო ცო-
ტა მომალლო ადგილას — ფეხშორთხხული იჯდა გოდორზე და ყა-
ლიონს სწევდა. მის გვერდით „სახრჩობელა“ იყო ხოლმე აღმართუ-
ლი იმისათვის, რომ „ჩამოეკიდათ“ მისი ურჩი—ვინც დაწესებულ

¹ იქვე, გვ. 30—31.

² იქვე, გვ. 25—26.

³ იქვე, გვ. 26.

⁴ იქვე, გვ. 28.

⁵ „ივერია“, № 49, 1888 წ.

⁶ ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისი, გვ. 26.

ხარქს არ გადაიხდიდა. ზოგს ყევნს გვერდით „დედოფალიც“ ახლადა,
ირგვლივ კი „ნაზირ ვეზირი“ ეხვია¹.

გაროობა ჩვეულებრივად შემდეგნაირად თავდებოდა. ყევნს ნა-
შუადლევს წაიყვანდნენ და მტკვარში გადაისვრილნენ, მაგრამ, რასა-
კვირველია, ისეთ ადგილას, სადაც მას დახრჩობის შიში არ მოელო-
და. ყევნობის მონაწილენი კი მოგროვილი ფულით ქეიფს გამარ-
თავდნენ².

ასეთი იყო ზოგადად კრივსა, ჭიდაობასა და ყევნობასთან³
დაკავშირებული გასართობები ტფილისში. ჩვენი საბუთი ამ გასართობე-
ბის შესახებ მხოლოდ მოკლე ცნობებს იძლევა, როგორც ვთქვით,
ყოველგვარი ანალიზის გარეშე. საყრდენობა, რომ ჩვენს საბუთში
ყევნობა ოდნავ სხვანაირადაა გადმოცემული, ვიდრე ეს ზევით იყო
აწერილი. ყოველ შემთხვევაში, 1865-იან წლებში, როგორც ჩანს,
ყევნობას ჯერ კიდევ ომის მისტერიის სახე დაკარგული არ
ჰქონდა.

„სახალხო გასართობებს შორის დასახელებული უნდა იქნას მუშ-
ტი-კრივი, მთელი პარტიების მონაწილეობით,—მოგვითხრობს საბუ-
თი. ეს მუშტი-კრივი ხშირად თავდება ერთი-მეორის საგრძნობი და-
შავებით, ზოგჯერ ძვლების დამტკრევითა და სიკვლილითაც კი. აღ-
გზნებული ბრძოლის დროს ხშირად ერთი პარტია მეორეს ქვებს
ესვრის.

ერთობ მიღებულია აგრეთვე ჭიდაობა, რომლის დროსაც ორი
მოჭიდავე ერთად გამოდის ხოლმე არენაზე. თვითეულ მოჭიდავეზე
ცალკეული მაყურებლები ან მთელი პარტიები ნაძლევს სდებენ ხოლ-
მე. არსებობს განსაკუთრებული სასტიკი წესები, რომ ჭიდაობის
დროს არ შეურაცხყონ და არ დააშავონ დამარცხებული. დიდი სიყ-
ვარული აქვთ ყოჩებისა, მამლებისა, აქლემებისა და სახედართა ჭი-
დაობისადმი. ჭიდაობის მოყვარულნი საგანგებოდ ზრდიან და წვრთ-
ნიან ყოჩებს, მამლებსა და სხვა. ბავშვები მყუდრო ქუჩებზე და ქალა-
ქის ხმაურობას დაშორებულ ადგილებზე მისდევენ ბურთისა, ჩალი-
ჩისა, კოჭისა და მალულობისა თამაშს.

¹ იქვე, გვ. 27.

² იქვე, გვ. 27.

³ უფრო დაწვრილებით ყევნობის შესახებ იხ.: „კვალი“ № 6, 1893; „ივე-
რია“ № 49, 1888; № 50, 1889; „კავკაზ“ № 28, 1850; № 31, 1856 წ; № 49,
1889; განსაკუთრებით კი ი. გრიშაშვილის ძველი ტფილისის ლიტერატუ-
რული ბოჭემა, გვ. 23—29.

დიდმარხევის პირველ ორშაბათს ქალაქში აწყობენ რალი¹
იტალიელების გარნავალის მაგვარ გასართობს — ყენობას, რომელიც
ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორიგინალური და მხიარული გასართო-
ბია ტფილისის სახალხო დღესასწაულებს შორის; იგი ისტორიული
წარმოშობისაა: დღესასწაულობენ ოდესაც მომხდარ გამარჯვებას
სპარსელებზე; წარმოადგენენ სპარსეთის შაჰსა და საქართველოს მე-
ფეს თავიანთი პარტიებით; წინ მიუძღვით ზურნა, დიპლიპიტო,
დაირა და დროშები; ბრძოლა იწყება ყიფინით, ყვირილით და ხმა-
ურობით; საქართველოს მეფე ყოველთვის ამარცებს სპარსეთის შაჰს,
რომელსაც კარგად მობეგვავენ ხოლმე; მონაწილენი — ცხენოსნებიც
და ფეხოსნებიც, დიდი და პატარა — ყველა გამოწყობილია უცნაურ
ტანისამოსში; მათ ჰყავთ თავიანთი ბელადები, სარდლები და ბეგა-
რის ამკრეფნი; მიდიან თითქმის ყოველ დუქანში ან მაღაზიაში და
აგროვებენ ფულს; თამაშის დამთავრების შემდეგ იწყება, სადმე ქა-
ლაქს გარეთ, სახალხო ქეიფი; მთელ ქალაქს შემოივლის რამდენიმე
ასეთი პარტია“ (ფურც. 21—25).

აქ აზრი წყდება და ამის შემდეგ იწყება სახალხო და საეკ-
ლესო დღესასწაულების აღწერა. ეს აღწერა, როგორც ვამბობდით,
ერთობ მოკლე და სქემატურია და, როგორც სჩანს, ავტორები
ემყარებიან 1855 წლის „კავკასიი კალენდარ“-ში მოთავსებულ ე. ვ-ს
აღწერილობას². შესაძლებელია, როგორც ვამბობდით, ისინი იცნობ-
დნენ სხვა წყაროებსაც³, მაგრამ საბუთი მისდევს დასახელებულ ე. ვერ-
დერევსკის აღწერილობას თითქმის ზუსტად (ოღონდ შემოკლებით) და
ამიტომ არსებითად ამ უკანასკნელის მოკლე ექსცეპნტს წარმოად-
გენს.

ბოლოში საბუთი მოულოდნელად და, თითქმის სრულიად უად-
გილოდ, კვლავ უბრუნდება იმ საკითხებს, რომელთა შესახებ უკვე
იყო ლაპარაკი მე-9 და 10 თავში. საბუთში ვკითხულობთ:

¹ Кавказский календарь 1855, стр. 547—586.

² საბუთის ავტორებს შეიძლებოდა სცოდნოდათ იმ დროისთვის რუსულ
გამოცემებში უკვე გამოქვეყნებული ცნობები და აღწერები, როგორც, მაგ. პ.
ს-ვ ს კ ი ს „Новый год в Тифлисе“ („Тифлисские ведомости“, № 1, 1829);
„Народные игры в Грузии“ („С.-Петербургские ведомости“, № 92, 1826;
№ 70 и 102, 1830); „Общественные увеселения в Тифлисе“ („Кавказ“, № 2,
1846); „Очерки Тифлиса“ („Кавказ“, № 48, 50, 51, 52, 1848 г.); „О ку-
дианебах“ („Кавказ“, № 31, 1856); Н. Бердзенов, „Очерки деревен-
ских нравов Грузии“ („Кавказ“, № № 28, 55, 56, 1858); Н. Бердзенов,
„О быте Грузин старого времени“ („Кавказ“, № 86, 1858); და სხვა.

„სახალხო და საეკლესიო დღესასწაულებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

ახალი წელიწადი. აქაურ მდიდრებთან, ისევე ოოგორც რუსებთან, ახალი წლის წინა დღით, საღამოს, თავს იყრიან ხოლმე ერთად, რომ ცეცხლის პირას შეხვდნენ მხიარულად ახალწლის პირველ წუთებს. საშუალო და დაბალი წოდება ღიდი ხნით აღრე ემზადება ამ დღისათვის; თითოეული დიასახლის მოიმარაგებს ხოლმე ბევრ ხილს, შაქარს, ქიშმიშს, თაფლს, შაქრისყინულს და ნუშს; სომხის ბაზარს ყვირილით იქლებენ გამყიდველები; ამ დღისათვის აცხობენ ბედის პურებს, რომლებზედაც მოაყრიან ხოლმე ქიშმიშს; ამ ბედის პურებს გარდა, აცხობენ აგრეთვე რაღაცას თაფლის პურის მაგვარს—„ბასილას“, რომელსაც წიგნის, ან თითის, ან კიდევ ნემსის, მაკრატლისა და კალმის ფორმა აქვს ხოლმე, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა ხელობას მისდევს; აცხობენ პურს აგრეთვე ადამიანის მოყვანილობისას—წმ. ბასილის სახსოვრად; ახალი წლის წინა დღით, საღამოს, აკეთებენ აგრეთვე გოზინაყებსა და ალვას; მეორე დღეს ყველაფერი ამით უმასპინძლდებიან სტუმრებს სიტყვებით: «გისურვებთ ასე ტკბილად დაბერებას»; ახალწელიწადს გათენებისას თავის ინის მთ აგარ ოთახში შემოდის ოჯახის მეთაური ხონჩით, რომელ ზედაც ეს ტკბილეულობაა დაწყობილი და რომლის ოთხ კუთხეზე ანთებულია წმინდა სანთელი; შემოსვლისას ის იტყვის: «მე შემოვედი სახლში, ღმერთმა შევიწყალოთ; ფეხი ჩემია, მაგრამ კვალი ანგილოზისაა»; ასეთ ხონჩის ეწოდება ტაბლა; ახალწლის მთელ ლამეს, ნიშნად მტრებზე გამარჯვებისა, ისმის თოვების სროლა.

დანარჩენ¹ დღესასწაულებიდან აღსანიშნავია: 1. ნათლისღება (წყალკურთხევა); 2. ნინოობა—საქართველოს განმანათლებელის, მოციქულთა თანასწორის, წმინდა ნინოს დღესასწაული; 3. სუფსარქისობა—სომხების დღესასწაული; 4. ყველიერი—მუშტი-კრივის მთავარი დღეები; 5. დიდი მარხვის პირველი დღე—ყენობა; 6. ჭია-კოკონობა—ვნების კვირის ოთხშაბათს; 7. ვნების პარასკევი; 8. აღდგომა; 9. კვირა-ცხოვლობა; 10. ჯოჯოობა—ხელიკთა დღესასწაული, აღფვომის სამშაბათს; 11. ახალკვირა; 12. გაზაფხულის შეხვედრა²—სეირნობა მინდვრებსა და ბაღებში; 13. ამაღლება; 14. წმინდა გიორგის დღესასწაული—გიორგობა (ამ დღეს სოფ. თელეთში საბავლოსთან მართავენ დოლსა და კრიცს); 15. ვიჟაკი—1 მაისიდან ამაღლებამ-

¹ „დანარჩენებში“ კვლავ გამეორებულია ზემოთ უკვე აღწერილი მუშტი-კრივი და ყენობა.

² მაისობა; იმართებოდა 1 ან 7 მაისს (ი. გრიშა შვილი).

დე—მყითხაობის განსაკუთრებული ჩვეულება: ქალწულთა მიერ მზად ამოსელამდე ამოღებულ წყალში ჩააგდებენ ბეჭდებს, საყურებებსა, სამარტინო კერდეს და სხვა. ამის შემდეგ ყველაფერი ეს გათამაშდება განსაკუთრებულ ლატარიაში — ამისთვის საგანგებოდ შეთხხულ სიმღერის ქვეშ და ბოლოს გაიმართება ქალების ლხინი ცეკვითურთ; 16. მთაწმინდის დღესასწაული¹ — ალდგომის შემდეგ მეშვიდე კვირის ხუთშაბათს: ფეხშიშველ მლოცველთა სფლა ამავე სახელწოდების მონასტერში, საღაც მწირები, განსაკუთრებით გოგოები, სამჯერ შემოუგლიან ხოლმე ექლესიას, რაც თავდადებასა და განუსაზღვრელ სიყვარულს ნიშნავს აუცილებელ² საგნისაღმი; ზოგიერთი ქვებს მიადებენ ხოლმე მონასტრის ქედლებს და ამ ქვების ჩამოვარდნის დროს ატეხილ ხმაურობის მიხედვით მყითხაობენ მომავალზე; 17. წმინდა სამების დღე-სასწაული; 18. სამების პირველ ხუთშაბათს ყველა კათოლიკე დღე-სასწაულობს გარდამოხსნის დღეს — ქალწული თეთრ ტანისამოსში მიღის ექლესიიდან სასაფლაოზე; გზაზე მას უყრიან ყვავილებს; 19. სურფ-კარაპეტის დღესასწაული; 20. მიძინება ლვოსმშობლისა; 21. შობა.

ტფილისელთა მაღალი კლასი მისდევს საცხებით ევროპულ ცხოვრებას — აღმოსავლური კომფორტით: ეტლი, ოთახის მორთულობა, ტანისამოსი და სხვა — მომეტებულად პარიზის მოდისაა; საშუალო კლასის მცირე ნაწილი ცდილობს, შეძლებისდაგვარად, შეითვისოს ეს. მაგრამ საშუალო კლასის უმეტესი ნაწილი და დაბალი კლასი მთლიანად ცხოვრობს ცუდ ბინებში, რომლებიც მომეტებულად მხოლოდ თითო ოთახისაგან შესდგება; ეს ოთახი მათვის სასტუმრო ოთახიცაა, საწოლიც და სამხარეულოც; მასში დღიურ მუშაობის შემდეგ თავს იყრის და იძინებს ხოლმე მთელი ოჯახი დახურულ კარებში; რათქმაუნდა, ამის გამო ჰაერი უსუფთაო ხდება, საკუთარ ანაორთქლთა და ბავშთა (თუ ასეთებიც არიან) უწმინდურობის წყალობით.

ყოველდღიური საჭმელი შესდგება ყველისა და პურისაგან (მშრალად ან თბილ წყალში დალბობილად), ხოლო მარხვაში სხვადასხვა მწვანეულობისა ან ლობიოსაგან; კვირიამით და დღესასწაულებში კი არ ზოგავენ უკანასკნელ კაპიკს და პყიდულობენ ხორცსა და ლვინოს; ზაფხულობით იოლად მიდიან ხილით. ადგილობრივი

¹ მამადავითობა.

² ასეა დედანში.

მკვიდრნი, ზოგიერთების გამოკლებით, საერთოდ თავდაშერილ და
ფხიზელ ცხოვრებას მისდევნენ” (ფურც. 23—25).

12. მმართველობა და დაცვა. საქართველოს რუსეთ-
თან შეერთების შემდეგ, როგორც ცნობილია, ტფილისში დაწესდა
მთავარ-სარდლების თანამდებობა (главнокомандующие в Грузии), რომელიც არსებობდა 1845 წლამდე¹. მთავარ-სარდლებთან არსე-
ბობდა ე. ჭ. „საქართველოს უზენაესი მთავრობა“ (Верховное гру-
зинское правительство), რომელშიც რუსეთის ცენტრალურ ხელის-
უფლების მიერ დანიშნულ რუს მოხელეთა გარდა ქართველებიც
შედიოდნენ. საქართველოს უზენაესი მთავრობა ემორჩილებოდა მთა-
ვარ-სარდალს და არსებითად ამ უკანასკნელის სათათბირო ორგანოს
წარმოადგენდა.

1845 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა მეფის ნაცვლის
თანამდებობა². მეფის ნაცვალი განაგებდა მთელს კავკასიას და მის
რეზიდენციად ტფილისი ითვლებოდა. მეფის ნაცვალი განსაკუთრე-
ბული უფლებებით იყო აღჭურვილი და კავკასიას განაგებდა სპე-
ციალური დებულებით. კავკასიის მასშტაბით ის იყო ნამდვილი
თვითმყრობელი, რომელიც მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა; ცენტ-
რალურ ხელისუფლების ორგანოები (სამინისტროები) თავიანთ ღონის-
ძებებს კავკასიაში ახორციელებდნენ არა უშუალოდ, არამედ მხოლოდ
მეფის ნაცვლის მეოხებით. 1865-იან წლებში (1862 წლიდან) მეფის
ნაცვლად ტფილისში დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე იყო.

საქალაქო მმართველობის ხაზით კი ტფილისში შემდეგი მდგო-
მარეობა იყო:

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, როგორც ნათქვამი იყო,
ტფილისში ქალაქის სათავეში მოურავები იდგნენ. ეს მოურავები მეფის
იურისდიქციას ემორჩილებოდენ XVIII საუკუნეში საბოლოოდ დად-
გენილი წესების მიხედვით³. მოურავები ასრულებდნენ უმთავრესად
მოსამართლისა (მდივანბეგის) და საპოლიციო ფუნქციებს, მაგრამ,
თუ მეფე მოითხოვდა, მოურავები ვალდებული იყნენ გაძლილოდნენ

¹ ასეთ მთავარ-სარდლებად იყვნენ: ციციანოვი (1803—1806), გუდოვიჩი (1806—1809), ტორმასოვი (1809—1811), ბაჟლუბი (1811—1812), რტიშჩევი (1812—1816), ერმოლოვი (1816—1826), ბაჟევიჩი (1826—1831), რონენი (1831—1837) გოლოვინი (1837—1842) და ნეიდგარდტი (1842—1844).

² მეფის ნაცვლად (ნამესტნიკად) იყვნენ: ვორონცოვი (1845—1854), მურა-
ვიოვი (1854—1856), ბარიატინსკი (1856—1862) და დიდი მთავარი მიხეილ ნიკო-
ლოზის-ძე (1862—1882).

³ საქართველოს სიძველენი, II, 1909 წ., ტფილისი, გვ. 522—528 და 528—
531; შდრ. Старый Тифлис, გვ. 51—57.


ქალაქის ყველა საქმეს¹. ამისათვის მოურავებს ეძღვოდათ გარემოზე
ლი გასამრჯელო ფულითა და ნატურით. მოურავის აპარატს შეადგინებოდა
დნენი: ნაცვალი, მელიქ-მამასახლისი, ქედზუდი და დაბალი პოლიციის
მოხელენი — ასასბაში, ასასი, იასაული და სხვები².

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ მდგომარეობამ
ზოგიერთი ცვლილებებით რამდენიმე ხანს გასტანა. შემდეგში-კი,
სახელმობრ, 1840-იან წლებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა
და ქალაქის მმართველობა სახა წესზე მოეწყო. 1840 წლის დასაწყის-
ში საქართველოს მთავარმართებლის გოლოვინის განკარგულებით
შემუშავდა „დებულება ქალაქ ტუილისის საზოგადო საქალაქო მმართ-
ველობის შესახებ“. ეს დებულება მეუის მიერ დამტკიცებულ იქნა
იმავე წლის 10 აპრილს, ხოლო მოქმედებაში შევიდა 21 აგვისტოს.

ამ დებულების თანახმად დაარსდა ე.წ. „ექვსი ხმოსნის სათათბი-
რო“ (шестигласная дума). სათათბიროს (ან, როგორც დებულებაშია
ნათქვამი, „უპრავის“) სათავეში იდგა ქალაქის თავი³. ფორმალურად,
დებულების მიხედვით, ქალაქის თავს ირჩევდა მთელი მოსახლეობა,
ხოლო ფაქტიურად მას მთავარმართებელი ან გუბერნატორი ნიშნავ-
და. სათათბირო შესდგებოდა ექვსი ხმოსნისაგან, რომელთაგან ორს
ირჩევდნენ მესაკუთრენი (სახლის მეპატრონენი), ორს ვაჭრები და ორს
ხელოსნები (ამჟრები). ამას გარდა თითოეული დასახელებული წოდე-
ბა ირჩევდა ათ-ათ კაცს (სულ 30 კაცს); ამ 30 კაცის თანდასწრებით
უნდა გაენაწილებინა სათათბიროს ქალაქის გადასახადები; ქალაქის
სათათბიროს დადგენილებათა სისრულეში მოსაყანად დასახელებუ-
ლი სამი წოდება ირჩევდა კიდევ უსტაბაშებსა და მათ თანაშემწერებს:
თითოეული წოდება ორ უსტაბაშსა და 2 თანაშემწებს⁴; უკანასკნელ
ხანებში ქალაქის სათათბიროებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე
მთავრობის სპეციალური წარმომადგენელიც.

ქალაქში ცალკე არსებობდა საქალაქო პოლიცია⁵. პოლიციის
სათვეში იდგა პოლიციერისტერი (უფროსი პოლიციერისტერი და უმც-
როსი პოლიციერისტერი⁶). ქალაქი იყოფოდა 4 საპოლიციო ნაწილად

¹ იქვე, § 44.

² იქვე, §§ 1, 2, 45.

³ პირველი ქალაქის თავი იყო ივ. იზმირთვი.

⁴ Тифლისский муниципальный календарь на 1917 г.

⁵ Градекая полиция.

⁶ პოლიცია ტუილისში შემოღებულ იქნა რუსულ მმართველობის დამყარე-
ბის თითქმის პირველ დღიდან: 1801 წ. ტუილისში დაწესდა „სამოქალაქო პო-
ლიციის მმართველობა“, ხოლო 1864 წელს შემოღებულ იქნა ახალი საპოლიციო
შტატები.

და თითოეული ნაწილის სათავეში უფროსი ბოქაულები იღვნენ;  ამ უფროს ბოქაულების გარდა, თითოეულ საპოლიციო ნაწილში გვეხვდეთ ითო გამომძიებელი-ბოქაული და ე. წ. საქალაქო კომისარი ითვლებოდა. პოლიცია ემორჩილებოდა ტფილისის გუბერნატორს.

ასე იყო 1865 წლამდე. 1865 წლს, ტფილისის აქტების „აჯანყების“ დროს, ქალაქის თავმა შერმაზან-ვართანოვმა ძლივს უშველა თავს გაქცევით, ხოლო გადასახადების ამჟრეფი ბაზ-ბეუქ-მელიქოვი მოკლულ იქნა¹ აჯანყებულების მიერ. ამის შემდეგ გადაწყდა რეორგანიზაცია მოქადაცია ქალაქის მმართველობაში, რათქმაუნდა, მთავრობისათვის, სასურველი მიმართულებით იმგვარად, რომ მომხდარ ამბავის (აჯანყების) მავგარ მოვლენის გამეორება შეუძლებელი ყოფილიყო. („აჯანყება“, რათქმაუნდა, მხოლოდ საბაბი იყო რეორგანიზაციისათვის, თორემ ნამდვილი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ტფილისში მომხდარ ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებების გამო არსებულ „ექვსხმოსანის“ სათაობირო ამ დროს უკვე სრულიად არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას). უპირველესად ყოვლისა გადაყენებულ იქნა ქალაქის თავი შერმაზან-ვართანოვი და მის ნაცვლად დროებით ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ს. აბესალომოვი². ამავე დროს ნამესტნიქმა ბრძანება გამოსცა შექმნილიყო სპეციალური კომისია ქალაქის მმართველობის რეორგანიზაციისათვის წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად³.

კომისიის ევალებოდა შეედგინა სია: 1. შთამომაცემლობით აზნაურებზე, 2. პირად აზნაურებზე, 3. საპატიო და პირად მოქალაქეებზე, 3. მესაკუთრეებზე და 4. დანარჩენ მქვიდრ მცხოვრებლებზე. კომისიამ მუშაობა დაიწყო 1866 წლის 15 თებერვალს და დაამთავრა მუშაობა იმავე წლის ივლისისათვის. კომისიის მუშაობის შედეგად თავმოყრილ მასალების საფუძველზე შემუშავებულ იქნა ახალი „დებულება ქალაქ ტფილისის საზოგადოებრივ მმართველობის შესახებ“.

¹ „აჯანყება“ ჩააქრო მთავრობამ ჯარის ნაწილების მოშევლიებით: ყარაბალიდან გამოიწვიეს რამდენიმე ბათალიონი და ხრამიდან კაზაკები, მუხრაგანიდან მოიტანეს ზარბაზნები და აელაბრის ორივე ნიდზე, თათრის მოედანზედ, პოლიციის შენობასთან, კუკის ნიდთან და ჩუღურებთის სიახლოეს-ჯარები ჩააყნეს (ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ტფილისი, გვ. 47—48). შდრ. С. ჭრელა ევ, თიფლის XIX სტ. (Весь Кавказ, 1903, Тифлис); ამართა აჯანყების შესახებ იმავე 1865 წლს გერცენის „Колокол“-ში საინტერესო წერილი მოათავსა. ნიკოლაევ რომელის ფსევდონიმით.

² Кавказский календарь на 1866 г., гв. 18 (უკან. განყ).

³ გან. „Кавказ“, 1866 წ., №№ 18, 19 და შემდ.

ეს „დებულება“ დამტკიცებულ იქნა მეფის მიერ 1866 წლის 11 გვისტონ და მოქმედებაში შევიდა 1867 წლის 1 იანვრიდან¹.

ამ დებულების თანახმად ტფილისის საქალაქო სამმართველო იყოფოდა: 1. საერთო სამმართველოდ და 2. კერძო სამმართველოდ. თავის მხრივ საერთო სამმართველო შესდგებოდა: ა) საკუთრივ საერთო სამმართველოსა და ბ) განმკარგულებელ საქალაქო საკრებულოსაგან; კერძო სამმართველო კი — ა) ორჩულთა საკრებულოსა და ბ) კერძო მმართველობებისაგან. საქალაქო სამმართველოს სათავეში იდგა ქალაქის თავი. ქალაქის თავსა და საერთოდ ხმოსნებს ირჩევდა მთელი მოსახლეობა. ამომრჩევლები იყოფოდნენ 4 კატეგორიად: 1. პირველ კატეგორიას შეადგენდა შთამომავლობითი თავად-აზნაურობა, რომელსაც ქალაქში ჰქონდა უძრავი ქონება, ან საგაჭრო-სამრეწველო საწარმო, 2. მეორე კატეგორიას — პირადი აზნაურები და საპატიო მოქალაქენი, რომელთაც გააჩნდათ ასეთივე ქონება, 3. მესამე კატეგორიას — მოქალაქენი და ე.წ. ახალმოსულნი, უკეთუ მათ ჰქონდათ კერძო საკუთრება, და 4. მეოთხე კატეგორიას — დანარჩენები, ვისაც უძრავი ქონება არ მოეპოებოდათ, მაგრამ იხდილნენ საქალაქო გადასახადებს².

მოქალაქეს ხმის უფლება ჰქონდა, უკეთუ ის: ა) 21 წლისა იყო, ბ) სასამართლოს წესით ღირსება აყრილი არ ჰქონდა და გ) ქალაქში 2 წელიწადი ცხოვრობდა. ქალებსა და მოხუცებულებს ფაქტიურად ხმის უფლება არ ჰქონდათ. მათ შეეძლოთ, უკეთუ ისინი სახლის მეპატრონენი იყვნენ, გადაენდოთ თავიანთი უფლება ნათესავი-სათვის³.

თითოული კატეგორია მოსახლეობისა ირჩევდა 100 ხმოსანს კერძო სამმართველოში (სულ 400 კაცს), ხოლო ეს უკანასკნელი თავის წრიდან ნიშნავდა 25-25 კაცს თვითეულ კატეგორიის წარმომადგენელთაგან საერთო სამმართველოში (სულ 100 კაცს). აქედან კი შესდგებოდა განმკარგულებელი საქალაქო საკრებულო, ამ უკანასკნელში შედიოდა: ქალაქის თავი, როგორც თავმჯდომარე, რეა ხმოსანი (ორ-ორი თითოეულ კატეგორიის ამომრჩევლებიდან) და ერთი მთავრობის წარმომადგენელი. ქალაქის თავი და საერთოდ მთელი საქალაქო სამმართველო ემორჩილებოდა გუბერნატორს⁴. ეს უკანასკნელი და საქალაქო სამმართველოში წარგზავნილი მთავრობის წარ-

¹ გაზ. „კავკაზ“, 1866 წ., № 79.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ გაზ. „კავკაზ“, № 79, 1866 წ.

მომადგენელი თვალყურს ადევნებდნენ, რათა სამხაროველოს მთელი
მუშაობა წარმართულიყო ხელისუფლებისათვის სასურველ მიმართულ
ლებით.

საერთოდ ამ ახალი დებულების შედეგად შექმნილ მდგომარეო-
ბის მიხედვით, ქალაქის ფაქტიური ბატონ-პატრონი მესამე წოდება—
ბურუუაზია იყო. ხოლო ქალაქის მმართველობა იმავე ხელისუფლებას
ემორჩილებოდა, რომელიც საერთოდ ამ დროს ქვეყანას განაგებდა—
თვითპყრობელობისა და კოლონიალურ პოლიტიკის პრინციპებზე:
თუმცა ქალაქის მმართველობის ორგანო, ფორმალურად, არჩევნების
საფუძვლებზე იყო მოწყობილი და მცხოვრებლებს უფლება ჰქონდათ
ამ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არჩევნე-
ბი მოქალაქეთა ქონებრივ მდგომარეობასა და ცენტრებზე იყო დამყარე-
ბული (შეძლებულ კლასების ინტერესებიდან გამომდინარეობდა) და
მეორეც, ამგვარად არჩეული ორგანო ბოლოს და ბოლოს ფაქტიურად
გუბერნატორს ექვემდებარებოდა და ამ უკანასკნელის ნება-სურვილის
მიხედვით წარიმართებოდა. ასე რომ, საქალაქო სამმართველოს აგ-
რონომიური უფლებები¹ არსებითად ფიქტიური იყო, ხოლო საყოველ-
თაო არჩევნებზე დამყარებული „დემოკრატიზმი“—უბრალო მოჩვენე-
ბა: ეს დემოკრატიზმი ჩვეულებრივი ბურუუაზიული დემოკრატიზმისა-
განაც ერთობ შორს იყო.

როგორც ვთქვით, ეს დებულება მოქმედებაში შევიდა მხოლოდ
1867 წლის 1 იანვრიდან და ამრიგად იმ დროს, როდესაც ჩვენი
აღწერილობა სდგებოდა, ე. ი. 1865—66 წლებში ტფილისის საქალა-
ქო მმართველობა ჯერ კიდევ 1840 წელს გამოცემულ დებულების
საფუძველზე მოქმედებდა. საერთოდ ამ დროს ქალაქის საქმეები არ-
სებითად ისევე ძველ წესების მიხედვით წარიმართებოდა—იმ, ასე
ვთქვათ, ექსტრა-ორგანიზაციული, აღმინისტრატიული ცვლილებებით,
რომლებიც მოჰყვა ამქართა აჯანყებასა და მის შედეგებს. მაგრამ ჩვენი
საბუთის ამ თავში (და საერთოდაც) ყველაფერ ამის შესახებ არაფე-
რია ნათქვამი. აქ მხოლოდ უბრალოდ ჩამოთვლილია ის ცენტრალუ-
რი და ზოგჯერ მუორე ხარისხოვანი დაწესებულებები, რომლებიც მაშინ
არსებობდნენ ტფილისში. საყურადღებოა, რომ ამ დაწესებულებებს
შორის დასახელებულია „საგენერალ-გუბერნატორო“². ტფილისში
„საგენერალ-გუბერნატორო“ გაუქმდა 1866 წლის 28 ოქტომბერს და მა-

¹ რომლის შესახებ ასე მჭვერმეტყველურად და უქვეშეგრძოლილებად მოა-
ხსენებდა ქალაქის თავი არ ჭრუნი დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზისძეს
(ს. ჭრელაშვილი, თიფლის XIX სტ.).

² ფურც. 25.

შასაღამე, რაյი ეს დაწესებულება (საგენერალ-გუბერნატორო) ჩვენს
საბუთში მოხსენებულია, ის დაწერილი უნდა იყოს ამ დაწესებულების
გაუქმებამდე, ე. ი. 1866 წლის 28 ოქტომბრამდე. ამრიგად, ეს თარიღი
არის ჩვენი საბუთის terminus post quem non, თარიღი, რომლის
შემდეგ არ შეიძლებოდა ის შედგენილიყო¹.

მოგვყავს საბუთის (მე-12-ე თავის) ტექსტი:

„ტფილისში, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის მმართველობის
ცენტრში, არსებობენ შემდეგი დაწესებულებები და უმაღლესი ხე-
ლისუფალი:

1. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოადგილე („ნა-
მესტნიკი“²).—მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოადგი-
ლის კარი;

2. მეფის მოადგილის საბჭო;

3. მეფის მოადგილის მთავარი სამმართველო, რომელიც შეს-
დგება: საერთო, სასამართლო, სახელმწიფო ქონებათა, ფინანსთა და
საკონტროლო დეპარტამენტებისაგან;

4. მთავარ სამმართველოს უფროსი³;

5. მხარის მოქალაქეობრივ მოწყობის საქმეთა დროებითი გან-
ყოფილება;

6. დიპლომატიური კანცელარია;

7. ამიერ-კავკასიის სამიჯნაო პალატა;

8. სამიჯნაო კომისიები⁴;

9. ტფილისის გენერალ-გუბერნატორი;

10. ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი და საგუბერნიო სამ-
მართველო⁵;

11. ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატა;

12. საზოგადოებრივი შეწყნარების ამიერ-კავკასიის პრიკაზი;

13. სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს პალატა;

¹ ჩვენი საბუთის დაწერის ante quem non (1866 წლის აპრილი), ე. ი. თარიღი, რომლის ადრე ის არ შეიძლებოდა შედგენილიყო, ჩვენ უკვე გამოვარ-
კვით (იხ. ზემოდ).

² მეფის მოადგილედ ამ დროს, როგორც ვამბობდით, იყო დიდი მთავარი,
მიერთ ნიკოლოზის-ძე (1862—1882 წწ.).

³ სამმართველოს უფროსად ამ დროს იყო სენატორი ა. პ. ნიკოლაი.

⁴ ამ დროს (1865—66 წწ.) ასეთი კომისიები სულ 8 იყო.

⁵ ტფილისის გენერალ-გუბერნატორად ამ დროს გ. რ. ორ ბეჭ იანი იყო.

⁶ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორად ამ დროს კ. ორ ლოკსკი იყო.

14. საკომიტეტით სასამართლო¹;
15. სათავადაზნაურო სადეპუტატო საკრებულო²;
16. სამაზრო სასამართლო;
17. საქალაქო პოლიცია;
18. საქალაქო საზოგადოებრივი სამმართველო³;
19. საგუბერნიო პროკურორი;
20. უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კონსისტორია;
21. საქართველოს ექვანხატი⁴;
22. სამაზრო სამმართველო;
23. მართლმადიდებელთა სარწმუნოების სასულიერო წოდების ღარიბთათვის მზრუნველობა;
24. მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია⁵;
25. კავკასიის ორმის მთავარი შტაბის სამმართველო;
26. საქართველო-იმერეთის ეპარქია;
27. სომხურ-კათოლიკური ეპარქია;
28. რომაულ-კათოლიკური ეპარქია;
29. ლუტერანული ეპარქია;
30. სასწავლო დაწესებულებათა მთავარი ინსპექტორი;
31. სასწავლებელთა ტფილისის დირექცია;
32. კავკასიის საცენტრურო კომიტეტი⁶;
33. ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტი⁷;
34. ჭმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება და ჭმ. ნინოს სასწავლებელი⁸.

¹ საკომიტეტით სასამართლოს დებულება დამტკიცდა 1852 წელს. 1865–66 წლებში მის თავმჯდომარედ ი. ანდრონიკ გ. შვილი ითვლებოდა.

² სათავადაზნაურო საკრებულოს თავმჯდომარედ ამ დროს დ. ყიფიანი იყო.

³ ქალაქის თავის თანამდებობის დრ. აღმასრულებლად 1865/66 წლებში ს. აბესალომოვი იყო; წევრებად: მთავრობისაგან დანიშნული—დრევიცა-კოგაჩი, არჩეულინი—ნ. მილოვი, ო. ტერ-ყაზაროვი, ი. მანთაშვილი, კ. მამიკონოვი, ს. აბრამოვი და მ. ტერ-მელიქსეტოვი; მდივნად იყო მ. ქიქოძე.

⁴ საქართველოს ეგზარხოსად ამ დროს ევსევი იყო.

⁵ რექტორად იყო ვიქტორი ივანი.

⁶ საცენტრურო კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლებოდა ა. მაქსიმოვი იმპერატორებად: ი. ყაითმანი ვიდა და დ. კოვალენკი.

⁷ ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარედ იყო გ. ორბელი იანი.

⁸ ეს საზოგადოება და სასწავლებელი დაარსდა ვორონცოვის დროს 1846 წელს.

- საზოგადოების
მიმღებობისა
და მიმღებობის
35. რუსული საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება¹;
 36. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება²;
 37. სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო;
 38. საფოსტო სამმართველო და საფოსტო ეკიპაჟების დაწესებულება;
 39. ამიერ-კავკასიის სასაწყობო საბაზო;
 40. სამთო ნაწილის სამმართველო;
 41. სამხედრო სამმართველოები;
 42. მთავარი შტაბი;
 43. საველე აუდიტორიატი;
 44. კავკასიის არმიის საინტენდანტო;
 45. ორდონანს-პაუზი;
 46. არტილერიის უფროსის სამმართველო;
 47. სამხედრო-საინჟენირო სამმართველო;
 48. გზათა მიმოსვლის VIII ოლქი;
 49. უანდარმთა კორპუსის VI ოლქი;
 50. საკომისარიატო კომისია და
 51. კავკასიის არმიის შტაბ-დოქტორის სამმართველო³ (ფურც. 25—26).

ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებები, როგორც ვხედავთ, საკმაოდ უწესრიგოდაა მოყვანილი: ცენტრალური და მეორე ხარისხოვანი დაწესებულებები, ერთი უწყებისა და მეორე უწყების ორგანიზაციები ერთი მეორეშია არეული; მაგრამ ამას გარდა ეს სიი სრული არ არის. აქ დასახელებული არ არის, მაგალითად, კავკასიის არქეოგრაფიული კომისია, რომელიც დარსდა 1864 წელს⁴, ტფილისის ქალთა გიმნაზია, რეალური გიმნაზია⁵, საჯარო ბიბლიოთეკა⁶, უცხო სახელმწიფოთა საელჩოები და სხვა.

¹ საზოგადოების საპატიო წევრად ითვლებოდა საქართველოს ეგზარხოსი ევსევი, ხოლო წევრებად: ი. ბარ ტოლომეი, ნ. ზეიდლიც, გ. ბაგრატიონი—მუხრანსკი, ბარონი ი. ნიკოლაი, ბარონი უსლარი და ა. ხოძე.

² სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება დაარსდა ვორონცოვის დროს 1850 წელს. პრეზიდენტად 1865—66 წ. ვიტტე ე ითვლებოდა.

³ კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის შესახებ იხ.: „Кавказский Календарь“ 1867 წ., გვ. 257—258; 1870 წ., გვ. 459; 1871 წ., გვ. 373.

⁴ ქალთა გიმნაზია, კლასიკური გიმნაზია და რეალური გიმნაზია ჩვენს საბუთის დასახელებული ჰქონდა სხვა ადგილას (იხ. ზემოარე).

⁵ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ იხ.: А. Береже, Тифл. пуб. библиотека (Крат. кат. Тифл. пуб. библиотеки за 1846—1861); Его же, Тифл. пуб. библиотека с 1861—1865 г. (Продолжение крат. кат. пуб. биб.,

წყლებისა; წყალსადენები წყაროებიდან და მტკვარის დან; არხები, რომლითაც მტკვარში ჩადის წვიმის წყალი და სიბინძურე. ამ თავში საკმაო სისრულით არის აშერილი ტფილისის საშინელი; ანტისანიტარული და ანტიბიგიენური მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა 1865-იან წლებში. არსებითად ამ დროს ტფილის სრულებით არ გააჩნდა არც წყალსადენი და არც კანალიზაცია. მცხოვრებლები სასმელად ხმარობდნენ მტკვრის წყალს და მტკვარივე წარმოადგენდა ქალაქის არსებითად ერთად ერთ ბუნებრივ „კანალიზაციას“.

„ტფილისში მთავარი მდინარე მტკვარია — მოგვითხრობს საბუთი, — შემდეგ კი ორი პატარა მდინარეა: ვერა და წავკისი. ორივე ეს მდინარე უერთდება მტკვარს: პირველი ჩრდილოეთით, ხოლო მეორე — სამხრეთით; მტკვრის წყალი გაზაფხულსა და ზაფხულში მომეტებულად მღვრიერა, ამ დროს კავკასიის მთებზე თოვლის დნობის გამო; ზაფხულში კი — სხვადასხვა აღგილებში კოკისპირული წვიმების გამო. წვიმის ნიაღვრები წალეკავენ ხოლმე მიწასა და ქალაქის უსუფთაობას და ჩადიან მტკვარში. ამას გარდა ყველა სანაპირო სახლებიდანაც უსუფთაობა ჩადის მტკვარშივე. მაგრამ დაყენებული მტკვრის წყალი გემრიელი და სასიამოვნოა დასალევად. შემოდგომასა და ზამთარში კი იგი უფრო სუფთაა.

რაც შეეხება მტკვრისა, ვერისა და წავკისის წყლების რაოდენობას, ეს არავის მიერ არაა ჯერ გამორკვეული. ამის გამორკვევა სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ტფილისის მდინარეთა წყლების რაოდენობა, ზემოთ აღნიშნულ მიზეზების გამო, სხვადასხვა დროს ერთობ სხვადასხვანაირია; ამ წყლების ქიმიური ანალიზი ჯერ არ არის გაკეთებული. მხოლოდ დიდი ხანი არ არის, რაც კავკასიის მედიკურ საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა მიიღო თავის თავზე შრომა მოქადინა მტკვრის წყლის ქიმიური დაშლა. ქალაქის მცხოვრებლები სასმელად ხმარობენ მხოლოდ მტკვრის წყალს. ვერის წყალი მღაშეა და გარგა მხოლოდ ქალაქის ბაღების მოსარწყავად; ზაფხულში ის ერთობ მცირდება. წავკისი კი აბანოებთან უერთდება თბილ გოგირდ-ნაცარტუტოვან მინერალურ წყლებს და გამოიყენება მხოლოდ თეთრეულისა, ნოხებისა და სხვა შინაურ ნივთების სარეცხად.

Тифлис, 1881); Г. Сиверс, Тифлисская пуб. биб. с 1866—1880 г. (Второе продолжение); Б. Меллер, Тифл. пуб. биб. с 1881—1894 г. (Третье продолжение); Кавказский календарь на 1867 г. стр. 257.

წვიმის წყლისა და სხვა უსუფთაობათა გასაყვანად არ არსებობს არავითარი ქანალიზაცია ძეველ ქალაქში; მხოლოდ ქალაქში ახლად გაშენებულ ნაწილში და ისიც მხოლოდ ზოვიერთ ქუჩებისა და მოედნების ქვეშ მოწყობილია საკმაოდ დიდი არხები (მიღები)¹.

საგუბერნიო ხელისუფლების მიერ მიღებულია ახლა ენერგიული ზომები ქუჩების მოსაკირწყლავად, ტროტუარების გასაკეთებლად, კანალიზაციის მიღების გასაყვანად და სხვა; აყვანილია მონარდე ქუჩების გასაწმენდად და შესაკეთებლად, რაც რამდენიმედ მაინც შესაძლებელს გახდის ქალაქი შენახული იყოს სუფთად და აცილებული იყოს ისეთი შემთხვევები, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა მოუქცეველ ჩვეულების—ქუჩაში ყოველგვარი ნაგავის გადაყრის—წყალობით გამტკიცებულია ქალაქის ცხოვრებაში.

მთაწმინდისა და სოლოლაკის წყაროებიდან გაყვანილი უახლოესი შადრევანები შემდეგია: 1. შადრევანი პოლიციის შენობის მახლობლად², 1000 ვედრ. აუზით, გაკეთებულია 1851 წელს; 2. შადრევანი ახალ ალექსანდროვის ბაღში. შადრევანი გაკეთებულია მტკვრის წყალით 24.000 ვედ. მშვენიერი აუზით³. წყალი გამოყვანილია წყლის ამწვევი ორთქლის მანქანით, რომელიც ეკუთვნის გენერალ-მაიორ ყორლანოვს⁴. ქალაქის დანარჩენ ნაწილში 7 შადრევანია; აქედან 6 პირველ საპოლიციო ნაწილშია, ხოლო 1 ავლაბარში⁵. ამას გარდა ნავთლულშიც გაყვანილია ერთი წყალსადენი მილი, რომელიც წყლით ამარავებს ტფილისის სამხედრო ჰოსპიტლის ორ აუზს: ერთს—წურბელების აუზს და მეორეს—საზაფხულო ფლიგელებში გაკეთებულ აუზს.

ტფილისში ხუთი წყალსადენია, რომელთაგან 4 ეკუთვნით კერძო პირთ ნავთლულში, ხოლო მეხუთე შეძენილია ტფილისისა და ალექსანდერდორფის კოლონისტების მიერ ავაკ-ხან-მელიკ-მეგრაბოვისაგან და გადის ალექსანდერდორფის კოლონიით მუშტაილისა და

¹ ამ არხების რაოდენობა ჩვენს საბჭოში აღნიშნული არ არის, ხოლო სხვა წყაროების მიხედვით, 1864 წელს ამ არხების რაოდენობა 40-ს აღწევდა (Сб. ст. свид. о Кавказе I, стр. 96).

² პოლიციის შენობა იმყოფებოდა ერევნის მოედანზე (Кавк. календарь на 1866 г.).

³ ასეა დედანში. გაუჯებარია, თუ რატომ არის ალექსანდროვის ბაღის შადრევანი „სოლოლაკის წყაროებიდან გაყვანილ“ შადრევანებში მითვლილი.

⁴ ეს შადრევანი გაკეთებულია 1862 წელს (იხ. ზემორე).

⁵ 1864 წლის ტფილისის აღწერილობაში მოხსენებულია 5 შადრევანი: 1—გოლოვინის პროსპექტზე, 1—ინსტიტუტის ქუჩაზე, 2—თათრის მოედანზე და 1 ავლაბარში (Кавказский календарь на 1865 г.).

ტფილისელ კოლონისტების ბალებამდე. მუშტაიდის შეძენის შემდეგ ამ წყალსადენის წყლის მესამედი გადავიდა ქალაქის სარგებლობაში ამას გარდა ქალაქში რამდენიმე ადგილას არის წყაროები; მაგრამ ამ წყაროებში წყალი ცოტაა, ხოლო ზაფხულობით ბევრი მათგანი სრულიად შრება. ქალაქის ჭეპი კი მლაშე წყლებიანია და გამოსა-დეგია მხოლოდ ტანის დასაბანად, ან სხვა საოჯახო შავი სამუშაოს გასაკეთებლად.

ორთაჭალის ბალები, გამოუკლებლივ ყველა, ირშევება მტკვრის წყლით, რომლის ამოლება წარმოებს სპეციალური მოწყობილობით— წყლის ამომღები ბორბლებით. მტკვარი ტფილისთან ნაოსნობისა-თვის გამოუსადეგარია, მაგრამ ბორჯომისა, გორისა და სხვა ახლო-მახლო მდებარე ტყებიდან წარმოებს ტივების საშუალებით ხე-ტყისა და სხვა სააღმშენებლო მასალის ჩამოტანა. ამ გზით 1864 წელს ტფილისში ჩამოტანილი იყო 1.000 ტივი. თითოეულ ტივს მართავს 3—4 კაცი მახლობელ მცხოვრებლებიდან. თითოეულ ტივზე ქალაქის სასარგებლოდ იხდიან 2 მანეთს ვერცხლით. მოიჯარადო, რომელ-საც ეს საქმე იჯარით აქვს იღებული, ქალაქის მართველობას უხდის 4.810 მანეთს ვერცხლით ყოველწლიურად.

ქალაქისა და ნავთლურში 285 სახაზინო სახლია. თითქმის ყვე-ლა ეს სახლი ეკუთვნის სამხედრო უშეებას. შენობები დაწესებულე-ბებისათვის, პოლიციისა და სატუსალოსათვის დაიქირავება ხაზინისა და ქალაქის მიერ. ყოველწლიურად ქალაქი ფართოვდება: ასე, 1864 წელს აშენდა 113 ქვისა და 7 ხის სახლი; აგრეთვე 4 ქვის დუქანი. მაგრამ ბინებზე ფასი მაინც ძვირია მცხოვრებთა მრავალრიცხოვა-ნობისა და პირველ მოხმარების საგნებზე მაღალ ფასების გამო (ფურც. 26—29).

საინტერესოა ეს უკანასკნელი ცნობები შევაღაროთ წინა წლე-ბის და შემდეგი წლების ცნობებს: 1864 წელს ტფილისში სტატის-ტიკურ კომიტეტის ცნობით ტფილისში ითვლებოდა:

ა) სახაზინო ქვის სახლი	100	სულ	110 ხაზინის სახლი
ბ) " ხის " "	10		
გ) ქრძო ქვის სახლი	8.874	სულ	8.946 ქრძო სახლი
დ) " ხის "	72		
ე) ქვის დუქანი	2.863;	სულ	9.056 სახლი ¹

¹ Сб. ст. сб. I, 85; შდრ. „Кавказский календарь“ на 1865 г.; დასა-ხლებულ სტატისტიკურ კრებულში მოყვანილია მეორე ცნობა, რომლის თანახმად ტფილისში 1865-იან წლებში 9.037 ქვის და 82 ხის სახლი (სულ 10.119) ითვლე-ბოდა. იქვე დუქების რაოდენობა ნაჩვენებია 3.322, ხოლო მაღაზიების 27 (იქვე, 83, 67).

ამგვარად, თუ ამ ცნობებს დავუკერებთ, სახაზინო სახლების
რაოდენობა ორი-სამი წლის განმავლობაში (1864—1866 წ.) გადაიდება
დებულია თითქმის სამჯერ (110 : 285).

სამწუხაროდ, ჩვენს საბუთს მოხსენებული არა აქვს, თუ რამ-
დენი იყო კერძო სახლების რაოდენობა მაშინ, რომ შედარება შეი-
ძლებოდეს წინანდელ მდგომარეობასთან. მაგრამ ჩვენ გვაქვს ანალო-
გიური ცნობები 1876 წლისათვის და ამ ცნობების შახედვით შემ-
დევი მდგომარეობა ირკვევა:

- | | | |
|----------------------------|--------|-----------------------------------|
| ა) სახაზინო ქვის სახლი იყო | 314 | } 319 სახაზინო სახლი |
| ბ) ბის ქვის სახლი | 5 | |
| გ) კერძო ქვის სახლი | 13.161 | } 14.324 კერძო სახლი ¹ |
| დ) ბის სახლი | 1.163 | |

ამ ცნობებს თუ შევადარებთ ჩვენი საბუთის ცნობებს, გამოდის,
რომ სახაზინო სახლების რაოდენობა 10 წლის განმავლობაში
(1866—1876 წ.) გაზრდილა მხოლოდ 10—15% (285:319), ხოლო
კერძო სახლებისა—თითქმის ორჯერ (8.946: 14.324). ეს შედარება
ცხად ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ტფილისის ზრდა ამ პერიოდში,
როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესად კერძო კაპიტალისტთა
(ამ შემთხვევაში სახლის მეპატრონეთა) გაზრდის სახით წარიმარ-
თებოდა და არა ხაზინისა ან ქალაქის მუნიციპალური მეურნეობის
გაფართოების ხაზით. საერთოდ ამ ხანებში, როგორც ჩანს, ტფი-
ლისის საქალაქო მეურნეობა საკმაოდ ლარიბი იყო. ქალაქის მმარ-
თველობას თავისი საქუთარი კაპიტალი არც გააჩნდა. ქალაქის გან-
კარგულებაში, ჩვეულებრივი შემოსავლის გარდა, იყო არსებითად
მხოლოდ ის თანხები, რომლებიც იმყოფებოდნენ ტფილისის საგუბერ-
ნიო სააღმშენებლო კომისიის განკარგულებაში. ამ კომისიას თავის
მხრივ ეს თანხები (150.000) სესხის სახით მაღლებული ჰქონდა ასტრახა-
ნის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზიდან². მას სააღმშენებ-
ლო კაპიტალი ეწოდებოდა და ყოველგვარი მშენებლობა, რომელსაც
მაშინ ქალაქი აწარმოებდა, ამ კაპიტალით წარმოებდა. ეს თანხა
(ვალი) 1865-იან წლებისათვის ქალაქის ყოველწლიური შემოსავლიდან
თითქმის მთლიანად დაფარული იყო. მაგრამ ქალაქს ამ დროს სხვა
ვალიც ჰქონდა. ამ ვალის რაოდენობა 65.000 მანეთს აღწევდა. ამას
გარდა ქალაქის დაუფარავი გასავალი ამ დროს 60.000 მანეთამდე
აღწევდა³.

¹ Сбор. свед. о Кавказе, VI, გვ. 158—159

² Сбор. ст. сведений о Кав. I, გვ. 92.

³ იქვე, გვ. 93.

ტფილისის ახლო-მახლო მდებარე მიწები ქალაქს არ ეკუთვნის. ეს მიწები კერძო მემამულეთა ხელში იყო¹ და, როდენაც ქალაქის მცხოვრებთ საძოვარი მინდორი დასჭირდებოდათ ნახირი-სათვის, მათ ამ მემამულეთა სასარგებლოდ გარკვეული გადასახადი უნდა ეძლიათ: 15 კაპ. ხარისა და ძროხისათვის და 5 კაპ. ხბოსა და ცხვარისათვის შელიწადში (ზაფხულის განმავლობაში)².

ტფილისის ფარგლებში ქალაქის საკუთრებას შეადგენდა:

1. ნავთის საბადოები ნავთლულში. ეს საბადოები იჯარით იყო გაცემული კერძო პირზე და ქალაქს აძლევდა ყოველწლიურად 4.000 მანეთის შემოსავალს.

2. სახლი, რომელშიც მოთავსებული იყო ტფილისის კომენდატი. ამ სახლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 305 მანეთს. მაგრამ ეს შემოსავალი ვერც კი ჰავარავდა ქალაქის ხარჯებს, რომლებიც ერთის მხრივ კომენდანტის ბინისათვის, ხოლო მეორეს მხრივ თვით ამ სახლის რემონტისათვის უნდა გაელო ქალაქს და ამიტომ იმ დროისათვის, რომელიც ახლა ჩენ გვაინტერესებს, ქალაქს გადაწყვეტილი ჰქონდა ეს სახლი, როგორც საზარალო, გაეყიდა საჯარო ვაჭრობით, ხოლო კომენდანტისათვის დაენიშნა ყოველწლიურად 800 მან. ბინის ქირად³.

3. ძველი სახლი ერევნის მოედანზე, რომელშიც მოთავსებული იყო ქალაქის პოლიცია. ეს სახლი თავის დროზე ქალაქს ნაყიდი ჰქონდა 6.630 მანეთად და მაშინ განხრახული იყო იმ აღვილას, სადაც ეს სახლი იდგა, გაეშენებინათ ქალაქის დაწესებულებათა და ბირჟისათვის ახალი დიდი სახლი. მაგრამ შემდეგში მდგომარეობა შეიცვალა და ეს განხრახვა განუხორციელებელი დარჩა. 1866-იან წლებში ეს ძველი სახლი ქალაქს გადაწყვეტილი ჰქონდა გაეყიდა აგრეთვე საჯარო ვაჭრობით⁴.

4. ალექსანდროვის ბალი—სახლითა და სხვა ნაგებობით. ეს ბალი შეძენილი იყო ქალაქის მიერ კერძო პირისაგან. აქ უნდა გაეშენებინათ სანიმუშო ფერმა, მაგრამ შემდეგში ამის ნაცვლად აქ მოეწყო სასეირნო აღვილი—ბალი დეკორატიული ხეებით. ეს ბალი ქალაქს არავითარ შემოსავალს არ აძლევდა; პირიქით, მის შესანა-

¹ კუკიასა, ჩუღურეთსა და ავლაბარში მცხოვრები მოსახლეობა (ქართველ მეფეთა ყოფილი ყმები) სარგებლობდა იმ სახავ-სათესი მიწებითა და საძოვრებით, რომლებიც იმყოფებოდა ნავთლულის მახლობლად.

² იქვე, გვ. 93.

³ იქვე, გვ. 93.

⁴ იქვე, გვ. 93.

ხად ქალაქი ხარჯავდა საკმაოდ დიდ თანხას. ბოლო დროს ამ  ბათუმის შესახახი ხარჯები დაეკისრა იმ კერძო პირს, რომელსაც გამოიყენებოდა აღმოჩენისას. ამ მოწყობილი კაფე-რესტორანი¹.

5. ქალაქს ეკუთვნოდა აგრეთვე ის შენობა (ან უკეთ დარბაზი), რომელიც მოწყობილი იყო თამამშევის ქარვასლაში ერევნის მოედანზე. ამ ქარვასლის ასაშენებლად ადგილი დაუთმია ქალაქს კერძო ვაჭარ თამამშევისათვის² და ამ უკანასკნელს ქალაქისათვის გადაუცია თეატრის მოსაწყობად ერთი დარბაზი ამ ქარვასლაში სა-თანადო მოწყობილობით³.

6. დასასრულ, ქალაქის საკუთრებას შეადგენდა მაღათოვის კუნძული⁴.

14. მინერალური წყაროები. „ტფილისში 37 აბანოა, აქედან 30 რუსულია⁵, ხოლო 7—მინერალური, გოგირდოვანი წყლით. წყალი ამ მინერალურ აბანოებში სხვადასხვა ტემპერატურისაა, შესახედავად სუფთა და გამჭვირვალეა, გოგირდის სუნი აქვს; ვერცხლისა და ოქროს ნივთები სწრაფად და ადვილად შავდება გოგირდთან შეერთების გამო; ქიმიური ანალიზი ამ წყლებისა არ არსებობს. მოწყობილობა ადგილობრივ აბანოებში პრიმიტიულია: აუზი და იატაკი გაკეთებულია ადგილობრივი თლილი ქვებისაგან. აბანოები არის საერთო განყოფილებით და ინდივიდუალური ანუ განსაკუთრებული განყოფილება. საერთო აბანოებში უმეტეს შემთხვევაში ერთი დიდი აუზია და ერთიც (ან ორი) პატარა. განსაკუთრებულში კი დიდი და პატარა აუზები და აგრეთვე ცივი აუზიც არის უბრალო წყლით“ (ფურც. 30).

როგორც ვხედავთ, იმთავითვე განთქმულ ტფილისის აბანოების აქ მოცემული აღწერილობა ერთობ მკრთალი და მოკლეა. ტფილისის აბანოები აღწერილია არა ერთი და ორი ტფილისის მნახვე-

¹ იქვე, გვ. 93.

² ქარვასლის შენობა აშენებულია 1847—1851 წლებში, ხოლო თეატრი ამ ქარვასლაში გაიხსნა 1851 წელს (იხ. Teatr в Тифлисе в 1845—1856 г., ტფილისი, 1888 წ.).

³ იქვე, გვ. 93; აძლევდა თუ არა ეს თეატრი ქალაქს შემოსავალს და რამდენს, ცნობები არ არის, თეატრის შენახვა კი ქალაქს ყოველწლიურად 12.600 მ. (იქვე, გვ. 85) უკდებოდა.

⁴ CCCR, გვ. 94. რაში გამოიყენებოდა ეს კუნძული მაშინ, ცნობები აგრეთვე არ არის.

⁵ იგულისხმება აბანოები ჩვეულებრივი, უბრალო წყლით.

ლის მიერ¹, მათ შორის, როგორც ცნობილია, პუშკინისა² და ალექსანდრე ღიუმას მიერაც³. მაგრამ განსაკუთრებულის სიყვარულით და ცოდნით ტფილისის აბანოები ასწერა პოეტმა ი. გრიშაშვილმა ამიტომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ მისი აღწერიდან ზოგიერთი ადგილები, რომლებიც სწორედ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანას შეეხება⁴.

„აბანო ყარაბილელისათვის ბოჭემის ის შემაღვენელი ნაწილი იყო, ურომლისოდაც ქეიფი ქეიფად არ მიაჩნდათ; ამიტომ იყო, რომ მათი ქეიფი, ბალებში დაწყებული, უჟეველად აბანოთი თავდებოდა.

წინეთ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ლია იყო; არც ბანობის დრო იყო განსაზღვრული: ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსულ გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა: საქონელს ბაქში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორ შაურად მთელ ღამეს აბანოში ეძინა. რასაკირველია, ზამთარში ეს იაფ-ფასიანი თავშესაფარი უფრო სასიამოვნო ხდებოდა.

ქალებს საბანაოდ კვირაში რამდენიმე დღე ჰქონდათ დაომობილი. ერთ დღეს რომ ქალები ბანობდნენ, მეორე დღეს—ვაჟები. ეს ის დრო იყო, როცა აუზების ნაცვლად კლდე იყო ამოღრმავებული და აბანოებში მაშხალები ენთო⁵.

ქველად ქალ-ვაჟი აბანოში ერთად არ დადიოდნენ. პირიქით ქალები ცდილობდნენ, რომ მათი აბანოში გამგზავრება კაცის თვალს არ დაენახა. ამიტომ იყო, რომ აბანოში წამსვლელი ქალები დილა აღრიანად, სისხაშე მიდიოდნენ და საღამოთი ბინდისას ბრუნდებოდნენ.

ქალები აბანოში მარტო საბანაოდ არ მიღიოდნენ; თან სარეცხიც უნდა წაელოთ. შეპრავდნენ სარეცხს ბოხჩაში, აპკიდებდნენ ზურგზე დუქნის შეგირდებს, ხელში ქობინას მისცემდნენ, წინ გაიგდებდნენ თავიანთ უჭულ-ბუჭულებს და ამგვარად მთელი ქარავანი მიემგზავრებოდა აბანოში...

¹ მაგალითად, შარდენს (პოლივექტოვი და ნათაძე, Старый Тифлис, გვ. 19), გაგარას (იქვე, გვ. 11), ტურნეფორს (იქვე, გვ. 26—31), ვახუშტის (იქვე, გვ. 33), გიულდენშტედტს (იქვე, 40), კლაპროტს (იქვე, გვ. 66), ზუბოვს (იქვე, გვ. 90) და სხვ.

² ა. პუშკინი, მოგზაურობა არზრუმს, 1927, ტფილისი.

³ ა.ლ. დიუმა, Описание Кавказа.

⁴ ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა, ტფილისი, 1927 წ., გვ. 64—75.

⁵ ეს, როგორც ჩანს, ჩვენი საბუთის წინანდელ ხანაში იყო.

ქალების საერთო აბანოდ მხოლოდ ეგრეთშოდებული ციხის
აბანო ითვლებოდა... ამ ციხის აბანოს უწოდებდნენ აგრეთვე საჭრის
ხოჯა აღაშავმად-ხანის აბანოს...

აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ
და საღილობდნენ კიდეც. მხრუნველი ქმარი თავის ცოლს აბანოში
უგზავნიდა სადილს: განსაკუთრებით ამ დღისათვის შეკვეთილ ფურ-
ნის თავის, ან ქაფქოთანით ბულლამას; ზოგი კი მოკეცილი იჯდა
აბანოს ფილაქანზე და გემრიელად შეექცეოდა ცარიელ ყველსა და
პურს. მერე ჩაის სმა იწყებოდა. აბანოს ტანთვასახდელ დერეფნიში
უშველებელი სამოვარი იდგა... ტიტლიკანა დედაკაცები ისხდნენ ამ
სამოვრის გარშემო და მთელი დღე ჩაით ლოთობდნენ...

ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა...

ყოველი ყარაჩოლელი ქეიფის შემდეგ გამოსაფხიზლებლად უეჭვე-
ლად აბანოში უნდა წასულიყო. ზურნა მიაცილებდა აბანოს ბჭემდე,
მექისეები ძმა-ბიჭურად შეეგებებოდნენ, დაიბარებდენ დალაქებს და
ლაზათიანად წვერს შეიპარსავდნენ; რომელიმე უშიარი მოქეიფის
ბრძანებით, ეხლა აქ იშლებოდა ახალი სუფრა, იმართებოდა ხელ-
ახალი ქეიფი¹.

15. ქუჩები, მოედნები და ბალები. „ტფილისში 134
ქუჩა, 61 შესახვევი და 17 მოედანი. გასულ წელს მოკირწყლულ
ქუჩების სივრცე 42.249 კვ. საეკნს, ხოლო შოსირებულ ქუჩებისა—
6.241 კვ. საეკნს შეადგენდა. ტფილისში 2 პლაცი, 2 ბულვარი, 4 ქვის
ხიდი, 4 ხის ხიდი და 262 ბალია. ამ ბალებიდან თითოეული მეპატრო-
ნე წელიწადში აკეთებს 200-დან 400 მანეთამდე—ხილისა და ბოს-
ტნეულისაგან. მებალეობას განსაკუთრებით მისდევენ კოლონისტები.

მებალეთა დამოკიდებულება მეპატრონეებთან და მებალეებთან,
ე. ი. ხილისა და ბოსტნეულის გამყიდველებთან, შემდეგნაირია: მე-
ბალე სარგებლობს თავის შრომისათვის ბალის მთელი შემოსავლის
(ლვინის გარდა) ნახევრით. ბალის ხარჯების დაფარვა წარმოებს იმ
თანხიდან, რომელიც ბალის შემოსავლიდან აიღება. მებალეს კვირის
განმავლობაში მიაქვს ბალის მოსავალი დუქანში მედუქნის კეთილ-
სინდისზე; ეს უკანასკნელი საქონლის გასაღების შემჯეგ საკომისიოდ,
თავის შრომის გასამრჯელოდ, იღებს მოგების $\frac{1}{5}$ -ს, ხოლო $\frac{4}{5}$ -ს
აძლევს მებალეს კვირაში ერთხელ, სახელდობრ, ორშაბათობით. ამ
თანხიდან ჯერ გაისტუმრებენ მუშებს, სახელდობის მოვლისა, დაჭედ-
ვისა და გამოკვება-მოვლის ხარჯებს, ხოლო დანარჩენს თანასწორად
იყოფენ პატრონი და მებალე“ (ფურც. 30—31).

¹ იქვე, გვ. 69—74.

აქ მოყვანილი ცნობები ქუჩებისა და მოედნების შესახებ ცნობებისა შევადაროთ წინა წლებისა (1864—65) და შემდეგი წლების (1876 წ.) ცნობებს. ტფილისის სტატისტიკური კომიტეტის ცნობების მიხედვით 1864—65 წლებში ტფილისში იყო:

1. ქუჩები 212, აქედან მოკირწყლული—56 ქუჩა.

2. მოედნები—10, აქედან მოკირწყლული 5 მოედანი¹.

სულ მოკირწყლული ქუჩების სივრცის რაოდენობა ამ ცნობების მიხედვით შეადგენდა 42.000 კვ. საუენს². ამის მიხედვით გამოდის, რომ ერთი წლის განმავლობაში (1864/65—1865/66 წწ.) მოკირწყლულ ქუჩების სივრცე ტფილისში გადიდებულია 249 კვ. საუენით. ქუჩების რაოდენობის აღნიშვნის დროს 1864—65 წლების დასახელებულ ცნობებში ცალკე ნაჩვენები არ არის შესახვევების რაოდენობა; ხოლო ჩვენი საბუთის მიხედვით, როგორც ვნახეთ, 1865—66 წლებში 134 ქუჩა და 61 შესახვევია ნაჩვენები. გამოდის რომ თითქოს ამ დროს ნაკლები იყო ქუჩების რაოდენობა, ვიდრე წინა წლებში (1864—65 წწ.). როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქუჩებისა და შესახვევების რაოდენობა ერთად უნდა იყოს ნაჩვენები, მაგრამ მაინც ეს რაოდენობა ნაკლებია 1864—65 წლებთან შედარებით, რაც სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს.

ბალების რაოდენობა სტატისტიკურ კომიტეტის იმავე ცნობების მიხედვით, 1864—65 წლებში ნაჩვენებია 267, საიდანაც კერძო ბალების რაოდენობა შეადგენდა 262-ს³. ჩვენი საბუთის მოწმობით კი 1865—66 წლებში ტფილისში ითვლებოდა სულ 262 ბალი. ამრიგად, აქაც გამოდის, რომ ერთი წლის განმავლობაში ბალის რაოდენობა ტფილისში დაკლებულია 5 ბალით. ჩვენს საბუთში ნათქვა-მი არ არის, ნაჩვენები რაოდენობილან (262) რამდენი იყო სახაზინო და რამდენი კერძო, რომ შედარება შეიძლებოდეს. მაგრამ რაკი ჩვენს საბუთში ნაჩვენებ ბალების რაოდენობა და 1864—65 წლის ცნობებით ნაჩვენებ კერძო ბალების რაოდენობა ერთიმეორეს ზუსტად ემთხვევა, და რადგან 1865—66 წლებისათვის ბალების რაოდენობის შემცირების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, შეიძლება დაუშვაო, რომ ჩვენი საბუთი ჰგულისხმობს მხოლოდ კერძო ბალებს.

ხილების რაოდენობა ჩვენი საბუთის მიხედვით 1865—66 წწ. შეადგენდა სულ 8-ს, საიდანაც 4 ქვის იყო და 4-ც ხის; სტატისტიკურ კომიტეტის ინავე ცნობებით კი 1864—65 წწ. ტფილისში

¹ Сбор. ст. св. о Кавказе, I, გვ. 85.

² იქვე, გვ. 95.

³ იქვე, გვ. 85.

მარკეტი
მარკეტი

ითვლებოდა სულ 4 ხიდი, საიდანაც 1 ქვისა იყო და 3 ხის¹. ამ გად გამოდის, რომ ერთი წლის განმავლობაში ხიდების რიცხვის ზრდა თქოს გაზრდილა ოთხი ხიდით. სახელდობრ, რომელი ხიდი გაშენდა ამ დროს ტფილისში, ნაჩენები არ არის.

ახლა, თუ ჩვენი საბუთის ცნობებს შევადარებთ 1876 წლის ცნობებს², გამოდის შემდეგი სურათი:

1865—66 წ. 1876 წ.

მოედნები	17	16
პროსპექტები	—	2
ქუჩები	134	205
შესახევები	61	101 ³

დასკვნა თავისთავად ცხადია: შედარება ცხადპყოფს ტფილის ზრდას, მაგრამ მაინცადამაინც არა სწრაფი ტემპით.

16. ეპლესიები, მონასტრები, მისგითები, სინაგოგები, სასაფლაოები და საერთოდ საზოგადოებრივი შენობები.

როგორც ამ გრძელი სათაურიდანაც ჩანს, აქ რელიგიურ კულტის დაწესებულებებთან ერთად ლაპარაკია „საერთოდ საზოგადოებრივი შენობების“ შესახებაც. ამ საზოგადოებრივ შენობების ქვეშ საბუთი გულისხმობს სხვადასხვა დაწესებულებათა შენობებს: სასწავლებლებს, ყაზარმებს, საპატიმროებს, თეატრს და სხვას. ყველა ამათ შესახებ მოცემულია მხოლოდ მშრალი სტატისტიკური ცნობები და ისიც მრავალ შემთხვევაში არა სწორი:

„ტფილისში 54 ეკლესია: 30 სომებ-გრიგორიანთა, 19 მართლმადიდებელთა, 2 ლიუტერანთა და 2 კათოლიკეთა; ქალაქში ითვლება 23 მონასტერი, 23 სამლოცველო, 2 მისგითი, 2 სინაგოგა, 1 მოლაკნების სამლოცველო სახლი, 9 სასაფლაო; ამათში: 3 მართლმადიდებელთა, 3 სომებ-გრიგორიანთა, 1 კათოლიკეთა, 1 ლიუტერანთა და 1 თათრების.

ქალაქში 6 თოფის საწყობია, 2 საპატიმროა, 1 ობსერვატორია, 1 არსენალია, 2 გიმნაზია, 1 ჰოსპიტალია, 2 სასურსათო მა-

¹ იქვე, გვ. 96, ა. აკობიანცის ცნობითაც ტფილისში ამ დროს მხოლოდ 4 ხიდი იყო: 1 ქვისა და 3 ხისა („გარუნ“, 156).

² დასახელებულ წლის ცნობებს ვიღებთ შესადარებლად იმიტომ, რომ ეს ცნობები სეცუალური აღწერით არიან მოგროვებული და ამიტომ იჭეს არ იწვევენ:

³ Сборник св. о Кавказе, IV, გვ. 265.

ღარისებულის მაღაზიაა, 9 ყაზარმაა, 3 ცეიხვაუზია, 1 ფოსტის
სახლია და 1 თეატრი“ (ფურც. 31).

მოყვანილი ცნობები სწორი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი ეკლე-
სიების საერთო რიცხვი (54) არ უდრის სარწმუნოებათა მიხედვით
ნაჩვენებ ეკლესიათა ცალ-ცალკე რაოდენობის ($30+19+2+2=53$)
ჯამს; ასე რომ აქ ან საერთო რიცხვია შეცომით ნაანგარიშები, ან
ეკლესიების ცალ-ცალკე რაოდენობა არა სწორად მოცემული, თუ
კი ამ შემთხვევაში საბუთის უნდა მოცემული უნდებლივ შეცომასთან (lapsus-თან) არ
გვაქვს საქმე. შემდეგ, მონასტრისა (23) და სამლოცველოების (23)
რიცხვიც აშეარად არ უნდა იყოს სწორი: ტფილისში არასოდეს არ
ყოფილა 23 მონასტერი და, ვვონებთ, არც 23 სამლოცველო; ამი-
ტომ საეჭვა 1865—66 წლებში ყოფილიყოს ამდენი.

რომ ეს ცნობები მართლაც სწორი არ არის, ჩანს სხვა შეა-
როვების მიხედვითაც. 1864—65 წლების ზემოთ დასახელებულ ცნო-
ბების მიხედვით, მაგალითად, ტფილისში ამ დროს ითვლებოდა¹: 54
ეკლესია (26 სომებ-გრიგორიანთა, 25 მართლმადიდებელთა, 2 ლიუტე-
რანთა და 1 კათოლიკეთა), 2 მონასტერი, 1 სამლოცველო, 2 მის-
გითი, 2 სინაგოგა და ერთი მოლაქნების სამლოცველო სახლი². ასე-
თივე ცნობები აქვთ მოყვანილი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ს დ ა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ო ვ-
ს ა ც თავიანთ წიგნში—„ტფილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული
თვალსაზრისით“³.

17. ფაბრიკა-ქარხნები, სასტუმროები, საკონ-
დიტროები, ტრაქტირები, დუქნები, სასალილოები,
ღვინის საწყობები, სარდაფები და საროსკიპოები.
აქაც ერთმეორები არეულია ფაბრიკა-ქარხნების სტატისტიკა და
ცნობები სავაჭრო-დაწესებულებათა შესახებ (საკონდიტროები, დუქ-
ნები, საწყობები და სხვა); აქვე სრულიად უადგილოდ მოყვანილია
ცნობები საროსკიპო სახლებისა და მეძავ ქალების შესახებ, თუმცა,
როგორც ჩანს, ეს ინსტიტუტიც სავაჭრო სახლებს მიეკუთვნებოდა

¹ ა. აკობიანცის ცნობების მიხედვით 1866 წელს ტფილისში ითვლებოდა:
1. მართლმადიდებელთა ეკლესია—25, 2. სომებ-გრიგორიანთა—24, 3. ლიუტე-
რანთა—2, 4. კათოლიკეთა—2, 5. მისგითი—2 და 6. სინაგოგა—1 („გარუნ“,
გვ. 159—160)

² Сбор. ст. св. о Кавказе, гв. 84 (б. დ უ ნ კ ე ლ - ვ ე ლ ი ნ გ ი ს ტფილისის
სტატისტიკური აღწერილობა).

³ Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в ист. и этнogr. отн.
გვ. 133. ზემოთ დასახელებულ სტატისტიკურ კრებულში მოყვანილია მეორე
ცნობაც, რომლის მიხედვით ტფილისში ითვლებოდა: 56 ეკლესია, 5 მონასტერი,
2 სამლოცველო, 2 მისგითი და 2 სინაგოგა (გვ. 65).

ამას გარდა, აქ მოყვანილი ცნობები, როგორც ქვემოთ დაგი-
ნახავთ, მრავალ შემთხვევაში შესწორებასა და შევსებას საჭიროებენ.
ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებათა შესახებ სტატი-
სტიკაში ჩვენი საბუთის შეცომები გასაკვირია, რადგან ეს სტა-
ტისტიკა იმ ღროს საქმაოდ დაზუსტებული და ცნობილი იყო. ეს მით
უფრო გასაკვირია, რომ ჩვენი საბუთის ავტორები კარგად იცნობენ
(ზოგიერთ შემთხვევაში ემყარებიან კიდეც) იმ ცნობებს, რომლის მი-
ხედვითაც ჩვენ გვინდა შევასწოროთ და შევავსოთ ამ საბუთის ჩვენება—
ეს არის 1864—65 წლების ზემოდ დასახელებული აღწერის ცნობა.

ჩვენს საბუთში ჩამოთვლილია შემდეგი ფაბრიკა-ქარხნები და
სავაჭრო დაწესებულებები:

1. სახაზინო ქვის საჭახნაგო ფაბრიკა	1
2. კერძო სადურგლო ქარხანა	4
3. თუჯის ჭურჭლეულობათა ქარხანა	1
4. ბამბის ფაბრიკა	1
5. მაკარონის ფაბრიკა	1
6. პურის საცხობი ქარხანა	1
7. ლუდის ქარხანა	10
8. სანთლის „	4
9. სახერხი „	33
10. საპნის „	8
11. ტყავის „	10
12. თიხის ჭურჭლების ქარხანა	15
13. აგურის „	93
14. კრამიტის „	11
15. კირის „	1
16. თამბაქოსი და პაპიროსის ფაბრიკა	8
17. მეპაპიროსები	57
18. ეტლის ფაბრიკა	5
19. მეუნაგრენი	2
20. ბიქოვის აგურის ქარხანა	1
21. ნაუმენკოს ნაეთის „	1
22. რეისის სადურგლო „	1
23. სასტუმროები „	5
24. საკონდიტროები „	9
25. ტრაქტირები „	4

26. დუქნები	441
27. სასაღილოები	96
28. ლეიინის საწყობები და სარდაფები	71
29. საროსკიპოები—18; ამ „საროსკიპოებში 80 ქალია,	

მაგრამ ამათ გარდა ტფილისში ითვლება 100-მდე ქალი, რომელიც დასაქმებული არ არის (ეს ციფრი ოდნავადაც სწორი არ არის)¹.

მოყვანილი ცნობების მიხედვით გამოდის, რომ ტფილისში 1865—66 წლებში სულ 210 ფაბრიკა-ქარხანა ითვლებოდა და აქედან მხოლოდ ერთი (ქვის საწახნაგო ქარხანა) იყო სახაზინო; დანარჩენი კი (17 ფაბრიკა და 192 ქარხანა=209)—კერძო. 1864—65 წლების სტატისტიკურ აღწერილობაში კი ერთ ადგილას ნაჩენებია, რომ ამ დროს ტფილისში სულ 135 ფაბრიკა-ქარხანა იყო (1 სახაზინო ფაბრიკა, 15 კერძო ფაბრიკა და 119 კერძო ქარხანა)², ხოლო მეორე ადგილას, სადაც კონკრეტულ დასახელებულია, თუ რომელი ფაბრიკა-ქარხანა არსებობდა, სახელდობრ, ამ დროს ტფილისში, ეს რაოდენობა 138 გამოდის³. იქ, სახელდობრ, ნათქვამია, რომ ტფილისში არსებობდა:

1. ქვის საწახნაგო სახაზინო ფ-კა 1, წლიური ჭარბ. 12.000 მან.
2. თუჯის ჩამოსასხმ. ქარხანა

ჭისქვილითურთ 1	"	"	40.000	"
3. საღურგლო	1	"	15.000	"
4. თუჯის ჭურჭლების ქარხანა	1	"	4.500	"
5. ბამბის ფაბრიკა	1	"	24.500	"
6. პურის საცხობი ქარხანა	1	"	3.000	"
7. ლუდის ქარხანა	4	"	3.000	"
8. სანთლის	2	"	2.000	"
9. სახერხი	19	"	27.000	"
10. საზეინკ.	1	"	11.000	"
11. ტყავისა	10	"	68.000	"
12. საპნის	8	"	17.000	"
13. თიხის ჭურჭლის ქარხანა	5	"	2.000	"
14. აგურის	60	"	228.000	"
15. კრამიტის	11	"	11.000	"
16. კირის	1	"	1.000	"
17. თამბაქოს ფაბრიკა	7	"	21.000	"
18. ეტლის სახელოსნო ფაბრიკა	4,	"	17.000 ⁴	"

¹ ფურც. 31—32.

² Сбор. ст. св. о Кавказе, I. 83. 84.

³ იქვე, 83. 91.

⁴ იქვე, 83. 91.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამსახურის მიერ გამოცემის გვერდზე

ამ ცნობების მიხედვით ფაბრიკა-ქარხნების საერთო რიცხვები
როგორც ვაშტობდით, ვამოდის 138 (და არა 135): 13 ფაბრიკა-ქარხნების 125 ქარხანა აქვთ სახაზინო მხოლოდ ერთი ქვის საწახნავო ფაბრიკა იყო, დანარჩენი — კერძო. მოყვანილ ცნობებს თუ ჩვენი საბუთის ცნობებს შევადარებთ, შემდეგ განსხვავებას მივიღებთ, 1864—65 და 1865—66 წლების მდგომარეობებს შორის.

1864—65 წლებში ტფილისში არ არსებობდა: 1. ნავთის ქარხანა და 2. მაკარონის ფაბრიკა, რომლებიც 1865—66 წლებში არიან; სამაგიეროდ 1865—66 წლებში ტფილისში არ არსებობენ უკვე: 1. თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა და 2. საზეინკლო ქარხანა, რომელიც 1864—65 წლებში იყვნენ; დანარჩენ შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ რაოდენობაშია:

	1864—65 წ.	1865—66 წ.
1. სადურგლო ქარხანა	1	5
2. ლუდის	4	10
3. სანთლის	2	4
4. სახერხი	19	33
5. საპნის	8	8
6. თიხის ჭურჭე.	5	15 ¹
7. აგურის	60	93
8. თამბაქოს ფაბ-კა	7	8
9. ეტლების	4	5

სამუშაოოდ, ჩვენს საბუთში მოყვანილი არ არის ცნობები ამ ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციისა და წარმოების მოცულობის შესახებ, რომ შესაძლებელი იყოს შედარება ამ მხრივაც; მაგრამ უამისოდაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი წლის განმავლობაში (და საერთოდ კი ამ პერიოდში) წარმოება ტფილისში დიდ ცვლილებებს განიცდიდა გაზრდისა და გაფართოების მიმართულებით: ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა (და, ცხადია, მათი წარმოების მოცულობაც) მხოლოდ ამ ერთი წლის სიგრძეზე გაიზარდა სამ, ოთხ და ხუთჯერაც.

რათქმაუნდა, წარმოებას ტფილისში იმ დროს ოდნავ მტკიცე სამანქანო ბაზა არ მოეპოვებოდა: ეს წარმოება ნახევრად ხელოსნურ და კუსტარულ (მანუფაქტურულ) ხასიათს ატარებდა; მუშა ხელითა

¹ თიხის ჭურჭლის ქარხანათა რაოდენობა (15) შეცოორმა უნდა იყოს.

და სპეციალისტებით უზრუნველყოფილი არ იყო; ზოგიერთ შემთხვევაში რენტაბელობასაც მოკლებული იყო; მაგრამ მაინც, ყველაფრთხო ამისდა მიუხედავად ის (თუმცა სტიქიურად და უგეგმოდ), სწრაფ ზრდას და განვითარებას განიცდიდა; ქალაქი უკვე მტკიცედ შემდგარი იყო განვითარების კაპიტალისტურ გზაზე და ეს კი ცხოვრებას ამ ხაზით წარმართავდა.

18. საავადმყოფო 80 საწოლით მამაკაცთა და დედაკაცთათვის¹. ამ საავადმყოფოს ინახავს საზოგადოებრივი შეწყნარების პრიკაზი. საავადმყოფოში მიიღებიან ყველა წოდების ავადმყოფები 5 მანეთად თვეში (ვერცხლით). მაგრამ ლარიბნი, ვისაც სახსრები არ გააჩნია, თავისუფლდებიან ამ გადასახადისაგან, უკეთუ პოლიცია დაადასტურებს მათ სიღარიბეს. ამას გარდა ტფილისის სატუსალოსთან არსებობს საავადმყოფოს განყოფილება 12 საწოლით — ავადმყოფ პატიმართათვის. არსებობენ აგრეთვე საავადმყოფოები კლასიკურ გიმნაზიასთან და სემინარიებთან. ამ სასწავლებლების საავადმყოფოებს განაგებენ ამავე სასწავლებლების ექიმები, ხოლო სატუსალოს საავადმყოფო განყოფილებას განაგებენ მორიგეობით ქალაქის ექიმები² (ფურც. 32).

19. დავრდომილთა თავშესაფარი. „ქალაქში ერთი დავრდომილთა თავშესაფარია. იქ მიიღებიან ლრმაც მოხუცებულნი და დასახიჩრებულნი ყველა წოდებისა და სქესისა. დავრდომილთა თავშესაფარს ინახავენ ქალაქის მცხოვრებთა საქველმოქმედო შემოწირულებათა ხარჯზე“ (ფურც. 32).

ტფილისის დავრდომილთა თავშესაფარი დაარსდა 1858 წლის ივლისში. მაშინ იქ ნავარაუდევი იყო 40 საწოლი; 1863 წელს კი საწოლის რაოდენობა გადიდებულ იქნა 47-მდე. მომატებული 7 საწოლი განკუთვნილი იყო მხოლოდ სამსახურიდან გასულ დაბალ ჩინის დავრდომილ ჯარისკაცთათვის. თავშესაფარი მოთავსებული იყო ყ. ოლობას ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო ზემოთ ნახსენები საქალაქო საავადმყოფოც².

20. ჰოსპიტალი. „ქალაქში ერთი სამხედრო უწყების ჰოს-პიტალია. ის მოთავსებულია ნაეთლულში“ (ფურც. 32).

21. აფთიაქები. ამ თავში აფთიაქების შესახებ ცნობებთან ერთად მოყვანილია ცნობები ექიმებისა და ბებია ქალების შესახე-

¹ ეს საავადმყოფო მოთავსებული იყო ვერაზე—სუმბათოვის სახლში.

² დაწვრილებით იხ. Кавказский календарь на 1867 г., გვ. 210—211.

ბაც და აგრეთვე რატომლაც სამღებრო დუქნებისა და დალაქების
რაოდენობის შესახებაც:

„კერძო აფთიაქები ქალაქში სამია¹ და ერთის გახსნაც უმალ-
ლესი ხელისუფლების მიერ ნებადართულია. ამას გარდა არის ერთი
სათადარიგო აფთიაქი სამხედრო უწყებისა მთელი ამიერ-კავკასი-
ისათვის.

სამღებრო დუქნების რიცხვის გამორკვევა ძნელია, რადგან (?)
ე. წ. სამღებრო დუქნებში იყიდება ყოველგვარი საქონელი, როგორც
ფუფუნების საგნები დაბალ კლასის მოსახლეობისათვის, ისე აგრეთვე
სამღებრო საქონელიც.

ქალაქში ითვლება: ექიმები სამოქალაქო უწყებისა—17 და სამ-
ხედრო უწყებისა—47, ბებია ქალები შტატით—4, მოვლინებული—
2 და კერძოდ მომუშავენი—2; ექიმბაზ ბებია ქალების რიცხვი გა-
მორკვეული არ არის².

ქალაქში 176 დალაქია³. ისინი მკურნალობას მისდევენ, მომე-
ტებულად უბრალო ხალხში” (ფურც. 32—33).

22 შეხედულება ხალხის ჯანმრთელობაზე. დასა-
სრულ, ჩვენი საბუთის უკანასკნელ თავში გამოთქმულია ზოგადი
შეხედულება ტფილისის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეო-
ბაზე, ანტისანიტარულ პირობებზე, მაშინ აქ გავრცელებულ ავად-
მყოფობებზე და სხვა; ნაჩვენებია აგრეთვე ზოგიერთი პალიატური
საშუალებები და ზომები ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ; ბოლოს
კიდევ, ლაპარაკია ხალხის ცრუმორწმუნეობასა და გაუნათლებლო-
ბასთან დაკავშირებულ უარყოფით დამოკიდებულებაზე მედიცინისა
და ექიმებისადმი.

„ქალაქში—მოგვითხრობს საბუთი—სადაც თითქმის 100.000-
მდე მცხოვრებია, სადაც მომეტებულად სახლები შემციდროებულად
არის აშენებული, სადაც მცხოვრებთა $\frac{3}{4}$ აზიურად ცხოვრობს
სივიწროესა და უსუფთაობაზი, სადაც აშკარად სძულთ ყველაფე-
რი, რაც სისუფთავეს შეეხება, სადაც გასაოცარი დაუინებით შამა-

¹ ტფილისში, სხვა ცნობების მიხედვითაც, 1866 წელს ითვლებოდა სამი
კერძო აფთიაქი: 1. კერსტენის აფთიაქი (მიხეილის ხიდთან), შმიდტის (ნაგორ-
ნაია ქ.) და ეიზრიხისა (ალექსანდროვის ბალის პირდაპირ); ამას გარდა ამ დროს
სომხის ბაზარზე (აივაზოვის სახლში) მოწყობილი იყო ე. წ. სარეცეპტო.

² სხვა ცნობების მიხედვით, ტფილისში 1865—66 წლებში 18 სამოქალაქო
ექიმი იყო, აქედან ერთი კბილის ექიმი და ერთიც ვეტერინარი, ხოლო ბებია
ქალების რიცხვი 6-ს შეადგენდა.

³ ოფიციალური სტატისტიკური ცნობების თანახმად 1865 წელს ტფილისში
ითვლებოდა 9 პარიკმახერი და 289 დალაქი (Сбор. ст. свед. о Кавказе, I, 117).

პაპურ ჩემულებებს მისდევენ, სადაც ქუჩა სახლის, დუქნის, მეურ
ნეობის, სახელოსნოსა და ფაბრიკის განუყოფელ ნაწილად მომდებარებული და ამის გამო ყოველგვარ უსუფთაობის გადასაყრელ ადგილად მიაჩინათ,—ასეთ ქალაქში არც გასაკვირია ადგილი ჰქონდეს დიდ სიკვდილიანობას, რომლის რაოდენობა, შეგროვილ ცნობების მიხედვით, სამხედრო ჰოსტილურში გარდაცვლილთა გამოკლებით, 1.600-ზე ნაკლები არ არის¹. ამაში ყველაზე ნაკლებად შეძლება ბრალი დავდოთ ტფილისის კლიმატურ პირობებს. ტფილისის ჰავა, თუ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი არ არის, ყოველ შემთხვევაში 100 სხვა ადგილის ჰავას სჯობია. ქალაქის გახსნილი მდგომარეობა ჩრდილოეთით თუმც ხშირი გაცივების მომასწავებელია, მაგრამ სამაგიეროდ სწმენდს ქალაქის მომეტებულ ნაწილს მიაზმურ ანაორთ-ქლთა დაგროვებისაგან. ზაფხულის სიცხეები, თუმცა ქალაქის 1/3 ნაწილში შძიმე გაღასატანია, ქალაქის სამხრეთით მდებარეობის გამო და იმის გამოც, რომ ის გარშემო მაღალ მთებით შემოფარგლულ ადგილას არის მოთავსებული, მაგრამ საყოველთაოდ დიეტიკურ წესების ოდნავ დაცვის პირობებში აღვილად გადასატანია და ჯანმრთელობისათვის უგნებელი.

საერთო მიდრეკილება აღამიანის ბუნებისა, როგორც ყველგან, აქაც გვხვდება, მიდრეკილება—უბედურების შემთხვევებში გაამტყუნოს არა თავის თავი (რაც გაცილებით უფრო ახლო იქნებოდა), არამედ ყოველგვარი საშუალებით ეძიოს რაღაცა შორეული, ბნელი, გაუგებარი და აუხსნელი. თითოეულს შეუძლია წამოაყენოს ამის დასამტკიცებელი მოსაზრებები. ავად გახდება, მაგალითად, ვინმე თავშეუკავებელ ცხოვრების ნიადაგზე რაშიც არ უნდა იყოს, ან იმის გამო, რომ თავს არ გაუფრთხილდა, ის არ ცდილობს მაშინათვე გამოასწოროს ეს პატარა უბედურება, უეჭველად ამას ის დააბრალებს ჰავას: არწმუნებს თავის თავს და სხვასაც, რომ აქ და აქ, ამა და ამ დროს (ახალგაზრდობის ასაკში, ან უფრო უკეთეს ადგილას) ჩენენ ამდენსა და ამდენს ვჭამდით, ამდენსა და ამდენს ვსვამდით, მაგრამ ავად არ ვხდებოდითო.

მეორეს მხრივ სიძულვილიც მცხოვრებთა უმეტესობისა ყოველგვარ მედიკურ საშუალებებისაღმი იწვევს დიდ რაოდენობას სიკვდილიანობისას. ყოველთვიურ ანგარიშებიდან ქალაქში გარდა-

¹ ოფიციალურ სტატისტიკის თანახმად 1865-იან წლებში წლიური სიკვდილიანობა ტფილისში თითქოს შეადგნდა საშუალოდ 730, ხოლო დაბადებულთა რიცვი წლიურად უდრიდა 1963 (Кавказский календарь на 1866 г., გვ. 187 და 139), მაგრამ ეს ცნობა სწორი არ არის.

ცვლილთა შესახებ ჩანს, თუ როგორი მცირე რაოდენობაა გრძელებული შორის ისეთებისა, რომლებიც ექიმების წამლობის მომკედარიყოს. მაშასადამე, მრავალს ავადმყოფობა მიუნდვია ღვთის ნებისათვის.

ტევილისის მცხოვრებთა მიღრეკილება — აგადმყოფობის დროს შიმართონ მოხუცებულ დედაკაცებს, ხელობით შარლატნებს, გაუნათ-ლებელ ემპირიკოსებს მედიცინაში და საერთოდ პირველ შეცვედრი-ლის ოჩევას, ეს მიღრეკილება ერთობ დიდია და მასშია ყველა დაბრკოლება, რომელსაც ყოველდღიურად უნდა ებრძოლოს მკურ-ნალობისათვის მოწოდებულმა მეციქმა.

როგორ ჰიგიენურ პირობებში იზრდებიან ბავშვები ტფილისში? ერთის მხრივ ისინი (უმთავრესად დაბალ წოლების ბავშვები) იზრდებიან ყოველგვარ მეთვალყურეობისა და მზრუნველობის გარეშე, როგორც ტყისა და ჭაობის მცხოვრებთა შთამომავალნი,—დღისით ტალახში, მტკერში, სიცემსა და ავდარში, ხოლო ღამით ვიწრო, ცუდ, ნესტიან და ცივ საღვომებში. და ყველაფერი ეს ცუდ კვებასთან ერთად. მეორე მხრივ, მაღალ წრის მშობლების სათუთი და გაფაქიზებული ცხოვრება იმდენ საბაბს ჰქმნის მათი ბავშვების ხშირ ავადმყოფობისა და ფუქსატობისათვის, რომ მათი დასახლებაც კი ძნელია. არ არის საშუალო მდგომარეობა, ან იგი იშვიათია, როგორც ყველგან.

საერთო ხასიათი შეს ტფილისში მდვინვარე ავალმყოფობათა წმინდა გასტრიულია. იგი თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს ავალ-მყოფობის გადასცლას მუცლის ორგანოთა ანთებაზე ან სახადისებურ ხურვებაზე. ყველაფერი ეს შემჩრენული იყო ზამთარშიც, გაზაფხულ-ზედაც და ზაფხულზედაც; რათქმაუნდა, უკანასკნელ პერიოდში უფ-რო გადიდებული რომელიმე.

უფრო ხშირად გვეცდება ცვალებადი ციება გასტრიტს და სახადისებური ხასიათისა, რის მიხედვიც უმეტეს შემთხვევაში ჰიგიენური პირობების უგულებელყოფა — დღის სიცეკვებისა და ლამის სიგრილეების სწრაფ ცვალებადობის პირობებში, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოღვიმაზე, მაგრამ ცალკე შემთხვევებში ზაფხულშიც და ზამთარშიც კი. გაზაფხულსა და შემოღვიმაზე ისინი ჩნდებიან უფრო სწორ ფორმებში, ზაფხულში კი უფრო სახადისებურ და მწვავე ფორმებში, ხშირად ოდნავ შესამჩნევი ინტერესულებით. არა იშვიათად ისინი გვხვდებიან ნეკრალების სახით. ამ ციებათა შედეგად ვლებულობთ შინაგან ორგანოების (ლვიძლის, ელენთას) დაავადმყოფებას, და აგრეთვე ნაწლავების უმოქმედობას, ანე-

მიას და წყალმანქს, რომლებიც სათანადო დახმარების გარეშე ცუ-
დად მთავრდება ხოლმე.

ციებაზე არა უფრო ხშირად, მაგრამ მაინც არც ისე იშვია-
თად, ტფილისში გვხვდება სამხრეთის ჰავისათვის ჩვეულებრივი
ნაღველის ხურვება, რომელიც გადადის სახადისებურ ხურვებაზე,
რადგან თვით ნაღველის ხურვება ვითარდება ცხროდან, რომლის
შეტევები ცოტად თუ ბეჭრად ერთიმეორეს უახლოვდებიან და ბო-
ლოს განუწყვეტელი ხდებიან მომქანცველ ღამის სიცხეებში. ავად-
მყოფებს აბოდებთ, მაჯის ცემა უხშირდებათ, კანი უშრებათ, ენა
შავ-წითლად გადაკრული აქვთ, ნაღველის პირისლებინება და ფა-
ლარათი ემართებათ. სამი-ოთხი დღით სიკედილის წინ ხშირად სა-
ხადისებური პერიოდი დგება. გრძნობა სულ უფრო და უფრო ეკარ-
გებათ, ბოდვა მუდმივი ხდება, ნერვულ ცენტრებში შეოფლიანე-
ბის ნიშნები ჩნდება (sic!), კრუნჩებას იწყებენ, ცივს ოფლს გადასხამთ
და სხვა. ამ ავადმყოფობისაგან განკურნება კი საკმაოდ ნელა მიმ-
დინარეობს საჭმლის მომნელებელ ორგანოთა უმოქმედობის გამო,
მაგრამ კარგ მოვლისა და ექიმობის პირობებში განკურნება შეიძ-
ლება უფრო წარმატებით მიმდინარეობდეს.

მესამე ავადმყოფობა, რომელიც ტფილისში გხვდება, ეს არის
მუცელა სხვადასხვა სახის, მათ შორის სისხლიანი მუცელა, რომელიც
განსაკუთრებით უჩნდებათ ბავშვებს, ცუდი კვებისა, ტანისამოსისა
და ნესტიან ბინებში ცხოვრების შედეგად, ტემპერატურის ისეთი
ხშირი და სწრაფი ცვალებადობის გამოც, როგორც ტფილისში იცის.
ეს ავადმყოფობა მედიკურ საშუალებებს ძნელად ემორჩილება, თუ კი
ბავშვებზე უხეირო მეოვალყურეობა არ შესცვალეს უფრო სასტიკი
და ავადმყოფობასთან შეფარდებული მეოვალყურეობით. სიკედილი
ბავშვის სრულს მოქანცვას მოსდევს.

ტფილისის ბავშვებში გხვდება აგრეთვე მუცელა პირისლები-
ნებით. ბევრი ამას ბავშვის ხოლორას უწოდებენ. მაგრამ ამ ავად-
მყოფობის არსებითი მხარე მთელი ნაწლავების დიფტერიტულ პრო-
ცესა და ლორწოიან გარსის ენანტემაში, ან მის შინაგან გამონა-
ყარში მდგომარეობს“ (ფურც. 33—37).

III

ჩენს აღწერილობაში, როგორც ვამბობდით, გარდა ზემოთ
გარჩეულ საკითხებისა, სხვა საკითხებზე სრულიად ლაპარაკი არ
არის: არაფერია კერძოდ ნათქვამი პრესისა და გამომცემლობის შე-
სახებაც. რადგან ამ უკანასკნელ საკითხს მაშინდელ ტფილისის, რო-

ვორც კულტურულ და გონებრივ ცენტრის, დასახასიათებლად უაღრეს
სად დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭიროდ მიგვაჩინია მოვიყენოთ ეჭიშოვის
გიერთი სტატისტიკური ცნობები პრესისა და გამომცემლობის შესახებ.

წინამდებრივ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ხანა (1865—66), ისე
როგორც წინა და შემდეგი წლები, ხასიათდება მთავრობისა და
ქრისტიანული საცენზურო კომიტეტის¹ სასტიკი მეთვალყურეობით ამ
დარგში. მთავრობას დასაშვებად მიაჩნდა და იგი ნებას რთავდა
ტფილისში მხოლოდ ისეთ ლიტერატურულ პროდუქციაზე, რომელიც
მთლიანად და სავსებით შეესაბამებოდა მის დიდმპყრობელურ და
კოლონიალურ პოლიტიკას: ყველაფერი ის, რაც ამ პოლიტიკას ეწი-
ნააღმდეგებოდა, აკრძალული იყო და სასტიკად იდევნებოდა კიდეც².

მთავრობის კოლონიალური და დიდმპყრობელური პოლიტიკა
კი პგულისხმობდა არსებითად ყველაფერ იმის აკრძალვას, რაც
ადგილობრივ ეროვნულ და კულტურულ ინტერესებიდან გამომდი-
ნარეობდა: ქართული ენა, ქართული ეროვნული თეოთშენება, სწავ-
ლა-განათლება დედა-ენაზე, ლიტერატურა და მეცნიერება ქართულ
ენაზე და სხვა—ყველაფერი ეს თვითმპყრობელური ხელისუფლები-
სათვის მიუღებელი იყო და ამიტომ მსგავს საკითხებზე წერაც არ
შეიძლებოდა. მთელი პრესი და ლიტერატურა, როგორც რუსული
ისე ადგილობრივი, მაშინ მოწოდებული იყო (ყოველშემთხვევაში
მთავრობა მოუწოდებდა) იმისათვის, რომ თეორიულად დაესაბუთებინა
იმის აუცილებლობა და სამართლიანობა (საქართველოსა და კავკა-
სიის დაპყრობა), რაც პრაქტიკულად უკვე განხორციელებული იყო.

ამიტომ ამ პერიოდის ლიტერატურული პროდუქცია, ბუნებრი-
ვად, გამსჭვალული უნდა ყოფილიყო მეფის რუსეთის დიდმპყრობე-

¹ ამიერ-გავასის საცენზურო კომიტეტი დაარსდა ვორონცოვის დროს 1849 წელს. 1865 წლამდე კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ისევე, როგორც ეს საერთოდ რუსეთშიც იყო, განათლების უწყებაში შედიოდა და კავკასიის სამოს-წალენი ოქეთან (დაარსდა 1848 წელს) არსებობდა.

1865 წლის რეფორმის შედეგად საცენზურო ორგანოები საერთოდ იმპე-
რიაში დაუქვემდებარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და კავკასიის საცენზურო
კომიტეტიც, ამ რეფორმასთან დაკავშირებით, ამიერიდან არსებობდა კავკასიის
სანაცვლოსთან („სანამესტნიკოსთან“)—1882 წლამდე, როდესაც, მეფის სანაცვლოს
გაუქმდისა და მთავარ მართველობის შემოღების გამო, იგი კვლავ შინაგან საქ-
მეთა სამინისტროს დაუქვემდებარდა ბეჭდვითი საქმის სამართველოს მეშვეობით.

² გამოცემისათვის ნებართვის მიღება საცენზურო კომიტეტიდან დიდ
სიძელეს წარმოადგენდა: ამისათვის საჭირო იყო მთავრობას სცოდნოდა ნება-
რთვის გამომთხოვის პოლიტიკური (ან, როგორც მაშინდელ ოფიციალურ საბუ-
თებშია ნათქვამი, „ლიტერატურული“) მიმართულება და ეს მიმართულება მთავ-
რობისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო.

 ეს ითქმის ში
ლიტერატურულ პროდუქციაზე, რომელიც ამ დროს გამოდიოდა რუსულ ენაზე ტფილისში. თითქმის ყველა გამოცემა რუსულ ენაზე 1865—66 წლებში ტფილისში ოფიციალური ან ნახევრად ოფიციალური იყო და ინახებოდა მთავრობის დაწესებულებათა (თუ ორგანიზაციათა) ხარჯზე. ყოველ შემთხვევაში რუსული გამოცემები ტფილისში სარგებლობდენ მთავრობის ფართე მატერიალური და მორალური დახმარებით. ამის გამო, სავსებით გასავებია, ეს გამოცემები უპირატესად ოფიციალური რესეტის ინტერესებსა და მიზნებს ემსახურებოდა. ოპოზიციონური ან უბრალოდ ლიბერალური მიმართულების ლიტერატურა რუსულ ენაზე ამ დროს ტფილისში არ არსებობდა.

რაც შეეხება ლიტერატურას ადგილობრივ ენებზე (ქართულ და სომხურ ენებზე), ეს ლიტერატურა იმდენად ყოველ შემთხვევაში, რემდენად ის ადგილობრივი ეროვნული ინტერესების გამომხატველი იყო და ადგილობრივ ენებზე იწერებოდა, განსხვავდებოდა რუსულ ოფიციალურ ან ნახევრად ოფიციალურ, ლიტერატურისაგან. მაგრამ ამ ადგილობრივ (თუ ის ოდნავ ლიბერალური იყო) ლიტერატურაში, მთავრობისა და ცენზურის მეთვალყურეობის გამო, ძნელი იყო აშკარად მაინც, ოპოზიციონური და პროგრესიული აზრების გატარება. მეორეც, ადგილობრივი ლიტერატურაც იყო და ადგილობრივიც: ეს ლიტერატურა ყველა ერთი კლასისა და ერთი სოციალური ფენის ინტერესების გამომხატველი არ იყო. როგორც ცნობილია, რუსეთის თვითმპურობელობას ადგილობრივად თავისი მოქავშირები ჰყავდა პრივილეგიური წოდების საჩით და ამ წოდების ლიტერატურული პროდუქცია, კლასობრივი და სოციალური თვალსაზრისით, არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა რუსულ ოფიციალურ ლიტერატურისაგან¹. პირიქით, ამ თვალსაზრისით ორივე (რუსულ ენაზე და ადგილობრივ) ენებზე გამოსული ლიტერატურა ერთსა და იმავე მიზანს (გაბატონებულ კლასების ინტერესებს) ემსახურებოდა.

მაგრამ ტფილისში ამ დროს იყო სხვა მიმართულების ფენებიც და ამათი აზრების გამომხატველი პერიოდული გამოცემებიც ქართულ ენაზე, რომლებიც ლიბერალურ აზრებსა და რამდენიმედ

¹ მაგალითად, კლასობრივი თვალსაზრისით, სომხური გაზეთი „მეღუ ჰაიანინი“ არაფრით არ განსხვავდებოდა რუსული მონარქიული ლიტერატურისაგან (იხ. ქვემოთ).

ოპოზიციონურ მიმართულებას გამოხატავდნენ¹. როგორც ზევითაც
გამბობდით, 60-იანი და 65-იანი წლები ჩვენში აზროვნების ასაკურ
რის თვალსაზრისითაც ძირითადი ცვლილებებისა და ძერების დასა-
წყისია: ამ დროიდან საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ასპარეზ-
ზე გამოდის ახალი თაობა, რომელიც ახალ პროგრამას აყენებს რო-
გორც ეროვნულ საკითხის დარგში, ისე აგრეთვე სოციალურ სა-
კითხების სფეროშიც. ყველაფერი ეს ისეთი საკითხები იყო და ლი-
ტერატურულ გაშუქებაშიც ისეთ ხასიათს ღებულობდა, ამ თაობის
მისწრაფებებთან შეფარდებით, რომ შრავალ შემთხვევაში ხელისუფ-
ლების მიზნებს არ ეგუებოდა.

ამიტომ ხელისუფლება და მისი სათანადო ორგანოები (საცენ-
ზურო კომიტეტი, უანდარმერია, პოლიცია) ყოველგვარი საშუალებ-
ბით ცდილობდნენ შეეზღუდათ, შეევიწროებინათ და მრავალ შემთხვე-
ვაში, როდესაც ეს ოდნავ შესამჩნევ ხასიათს იღებდა, სავსებით არ
დაეშვათ ამგვარი გამოცემები. საკმარისი იყო, მაგალითად, საცენზუ-
რო კომიტეტისათვის ესა თუ ის პირი, ნებართვის გამომთხოვი,
უცნობი ყოფილიყო, რომ მისთვის გამოცემის უფლება არ მიეცათ;
საკმარისი იყო რომელიმე რედაქტორს საცენზურო კომიტეტის მი-
თითებები არ გაეტარებინა ისე, როგორც ეს კომიტეტს სურდა და
ესმოდა, რომ მას სამუდამოდ რედაქტორობის უფლება დაეკარგა;
საკმარისი იყო ამა თუ იმ პირს საზოგადოებაში თავისი გამოსვლე-
ბით, სიტყვებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით და საერთოდ
თავისი მოღვაწეობით ლიბერალის სახელი მოეხვეჭა, რომ მისთვის
გამოცემა აეკრძალათ.

ამისდა მიუხედავად, დიდის დაბრკოლებებითა და სიძნელით
1865—66 წლებში (და შემდეგშიც)² მაინც ხერხდებოდა ქართულ
უზრანალ-გაზეთებისა და ცალკე წიგნების გამოცემა ტფილისში. რა-
თქმაუნდა, ყველა ეს გამოცემა კერძო ინიციატივითა და კერძო
სახსრებით ეწყობოდა, გასაგებ მიხევების გამო; მათი ტირაჟი და
მოცულობა ერთობ განსაზღვრული იყო; ხშირად, უსახსრობისა და
მთავრობისაგან შევიწროების (თუ სავსებით აკრძალვის) გამო, მათი

¹ ხშირად ორივე მიმართულება ერთ პერიოდულ გამოცემაში თავსდებოდა. ეს მაშინდელს პირობებში, როდესაც სოციალ-პოლიტიკური და იდეური დიფერენციაციის პროცესი დამთავრებული არ იყო და გამოცემის უფლებები შეზღუდული იყო, არც ისე გასაკირ მოვლენად უნდა ჩაითვალოს..

² ქართულ ენაზე პერიოდული გამოცემები (მაგ. „საქართველოს გაზეთი“, „ქართული გაზეთი“; „საქართველოს მოამბე“ და სხვა) მანამდეც გამოდიოდნ.

გამოცემა დროებით ან სამუდამოდ წყდებოდა და სხვა. მაგრამ ამ გამოცემებით საძირკველი ეყრდნოდა ჩვენში პრესას ქართულ ენაზე.

1860-იან და 1865-იან წლების სტატისტიკური ცნობების მიხედვით, თუ სამ წელიშადს (1864—1865—1866) ავიღებთ, ქართულ ენაზე ტფილისში გამოსულა სულ 17 წიგნი და ბროშურა: 1864 წელს 3 წიგნი და ბროშურა, 1865 წელს—5 წიგნი და ბროშურა და 1866 წელს—9 წიგნი და ბროშურა¹.

ამავე წლებში ქართულ ენაზე ტფილისში გამოდიოდა: ყოველ-თვიური ჟურნალი „ცისკარი“, გაზ. „გუთნის დედა“, ყოველ-კვირეული გაზეთი „დროება“ და საეკლესიო ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარობელი“.

ჟურნ. „ცისკარი“ გამოდიოდა (1857 წლიდან) ი. კერესელიძის რედაქტორობით ² თვეში ერთხელ 5—7 თაბახის მოცულობით თითოეული ნომერი—შემდეგი ტირაჟით:

1864	წელს გამოვიდა	200 ცალი
1865	"	200 "
1866	"	240 "
	სულ	640 ც. ³

გაზ. „გუთნის დედა“ გამოდიოდა (1862 წლიდან), როგორც „ცისკრის“ დამატება იმავე ი. კერესელიძის რედაქტორობით თვეში ორჯერ. გაზეთს მატერიალურ დახმარებას უწევდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. მისი ტირაჟი გამოცემის პირველ წელს საკმაოდ დიდი იყო (700), მაგრამ შემდეგ წლებში ეს ტირაჟი შემცირდა:

1864	წელს გამოვიდა	200 ც.
1865	"	424 "
1866	"	600 "
	სულ	1.224 ც. ⁴

გაზ. „დროებამ“ გამოსვლა დაიწყო 1866 წლის მარტიდან გ. წერეთლის რედაქტორობით. მისი გამომცემელი იყო ს. მელიქიშვილი. გაზეთი გამოდიოდა ყოველკვირეულად. 1866 წელს გამოვიდა 460 ცალი თითო ნომერი ⁵.

¹ Сборник ст. св. о Кавказе, I, გვ. 169.

² ჟურ. „ცისკარი“ 1852—1853 წწ. გამოდიოდა გ. ერისთავის რედაქტორობით.

³ იქვე, გვ. 164; შდრ. ქავკასკий календарь на 1865, 1866, 1867 წწ.

⁴ იქვე, გვ. 164.

⁵ იქვე, გვ. 164.

საბულონი

დასასრულ, საექლესიო უურნ. „საქართველოს საბულონი მიერთ მახარობელი“ გამოდიოდა (1866 წლიდან) მღვდელ ხელიძის რედაქტორობით 2—8 თაბაზის მოცულობით თითოეული ნომერი. მასში იბეჭდებოდა წერილები ქართულ და რუსულ ენებზე. 1866 წელს გამოვიდა 350 ცალი¹.

გამოცემა რუსულ ენაზე უფრო ფართე და სისტემატურ ხასიათს ატარებდა. 1860—65-იან წლების სტატისტიკური ცნობების მიხედვით, თუ იმავე სამ წელს (1864—1865—1866 წწ.) ავილებთ, რუსულ ენაზე ტფილისში გამოსული სულ 33 წიგნი და ბროშურა: 1864 წელს—7 წიგნი და ბროშურა, 1865 წელს—10 წიგნი და ბროშურა და 1866 წელს—16 წიგნი და ბროშურა².

ამას გარდა ამ დროს ტფილისში რეგულარულად გამოდიოდა რამდენიმე პერიოდული გამოცემაც რუსულ ენაზე: 1. „Кавказ“, 2. „Закавказский вестник“, 3. „Литературный листок“, 4. „Записки Кавказского общества сельского хозяйства“, 5. „Записки Кавказского отдела географического общества“, 6. „Протоколы Кавказского медицинского общества“, 7. „Медицинский сборник“, 8. „Кавказский календарь“, და 9. „Акты Кавказской археографической комиссии“.

გაზეთი „კავკაზ“ გამოდიოდა (1846 წლიდან) ი. სლივიცკის რედაქტორობით³. 1852 წლამდე „კავკაზი“ ფორმალურად არსებობდა როგორც კერძო გაზეთი, მაგრამ ფაქტიურად სისტემატურ მატერიალურ და მორალურ დახმარებას იღებდა მთავრობისაგან. 1852 წლიდან კი ფორმალურადც ის გადაიქცა მთავრობის ოფიციალურ ორგანოდ. წინავე ეს გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა (1850 წლამდე), ხოლო შემდეგში—კვირაში ორჯერ, შემდეგი ტირაჟით:

1864	წელს	გამოვიდა	1200	ც.
1865	"	"	1000	"
1866	"	"	1000	"
		სულ:	3.200	ც. ⁴

„Кавказский вестник“ ითვლებოდა „კავკაზის ყოველკვირეულ დამატებად. ორივეს საერთო რედაქტორი ჰყავდა. 1867 წელს

¹ იქვე, გვ. 164.

² იქვე, გვ. 169.

³ პირველი მისი რედაქტორი კონსტანტინოვი იყო (1850 წლამდე).

⁴ იქვე, გვ. 161.

კი „Кавказский вестник“ სავსებით შეუერთდა „ქავკაზ“-ს და ამ
დროიდან ის აღარ გამოდიოდა ცალკე გამოცემად. 1864—1866
წლებში მისი ტირაჟი შეადგენდა 600-დან 750 ცალამდე¹.

„Литературный листок“-იც „Кавказ“-ის ყოველკვირეულ და-
მატებად ითვლებოდა. გამოდიოდა (1—2 თაბახის მოცულობით)
მხოლოდ ერთი წლის (1864 წ.) განმავლობაში. გამოვიდა სულ 40
ნომერი შემდეგი ტირაჟით:

№№	7—9	გამოვიდა	1200 ც.
„	10—17	„	600 „
„	18—25	„	300 „
„	26—40	„	200 „
		სულ	2.300 ც. ²

„Записки Кавказского общества сельского хозяйства“ წარ-
მოადგენდა ამავე საზოგადოების ორგანოს. გამოდიოდა (1855 წლი-
დან) ცალკე ბროშურებად 4—7 ფურცლის მოცულობით, წელიწად-
ში 6 ნომერი, შემდეგი ტირაჟით:

1864	წელს გამოვიდა	350 ცალი
1865	„	350 „
1866	„	500 „
		სულ: 1200 ც. ³

„Записки Кавказского отдела географического общества“
აგრეთვე ამავე საზოგადოების ორგანო იყო და გამოდიოდა (1852
წლიდან) ცალკე კრებულების სახით, 15—40 ფურცლის მოცულო-
ბით, ყოველთვის 450 ც. ტირაჟით⁴.

„Протоколы Кавказского медицинского общества“ და „Меди-
цинский сборник“ იცემოდა მედიკურ საზოგადოების მიერ. პირვე-
ლი გამოდიოდა (1865 წლიდან) ცალკე ბროშურებად და გამოვიდა:
1865 წელს 2 ბროშურა, 400 ცალი ტირაჟით და 1866 წელს—1
ბროშურა, აგრეთვე 400 ც. ტირაჟით; ხოლო მეორე გამოდიოდა
(1866 წლიდან) ცალკე წიგნებად და იმავე 1866 წელს გამოვიდა

¹ იქვე, გვ. 161.

² იქვე, გვ. 162; თუ რამდენი ცალი გამოვიდა 1—6 ნომრამდე, ცნობები
არ არის.

³ იქვე, გვ. 162.

⁴ იქვე, გვ. 162.



2 წიგნი 12—20 ფურცლის მოცულობით და 400 ც. ტირაჟით თამაშებული
წიგნი¹.

„Кавказский календарь“—ს ბეჭდივდა მეფის სანაცვლოს მთავარი
სამმართველო (1845 წლიდან). წელიწადში გამოდიოდა თითო წიგნი.
1864—66 წლებში „კავკასკი კალენდარი“ გამოდიოდა კ. ი.
ზაროლინის რედაქციით (თუ რამდენი იყო მისი ტირაჟი, არ
ჩანს) და გამოვიდა 3 წიგნი.

დასასრულ, კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის „Акты“-ში გა-
მოსვლა დაიწყეს 1866 წელს. ამ წელს გამოვიდა ერთი (ვირველი)
ტომი, 102 ფურც. მოცულობით, ად. ბერეეს რედაქტორობით.

ქრთულ და რუსულ ენების გარდა, 1864—66 წლებში უურ-
ნალ-გაზეთები და ცალკე წიგნები გამოდიოდა ტფილისში სხვა
ხალხთა ენებზედაც: სომხურ, გერმანულ, ფრანგულ, ყაბარდულ,
ოსურ, აფხაზურ, სვანურ და კუმხურ ენებზე. შედარებით ფართე
და სისტემატური ხასიათი ჰქონდა გამოცემებს სომხურ ენაზე.
1864—1866 წლებში სომხურ ენაზე ტფილისში გამო ვიდა სულ 28
წიგნი და ბროშურა:

1864 წ. გამოვიდა	5
1865 ” ”	12
1866 ” ”	11
სულ 28	

ამას გარდა, იმავე 1864—1866 წლებში სომხურ ენაზე ტფილისში
გამოდიოდა:

1. ყოველკვირეული გაზეთი „სომხეთის ფუტკარი“ („მეღუ
ჰაიას ტანი“), სიმონიანცის რედაქტორობით, 450 ც. ტირაჟით²;

2. ყოველთვიური უურნალი „სომხეთის ქვეყნის წერო“
(„ქრუნკ ჰაიოც აშხარჰი“), ალაბეკიანის რედაქტორობით,
400 ც. ტირაჟით³;

¹ იქვე, გვ. 162.

² „მეღუ ჰაიას ტანი“ ოფიციალურად თავის თავს „პოლიტიკურ, ფი-
ლოლოგიურ და სავაჭრო გაზეთს“ უწოდებდა. არსებითად ეს იყო კონსერვატივულ
ბურგუნძიული (გარეგნი ლევანიანის განმარტებით — „არხი-კონსერვატიული“)
ორგანო.

³ „ქრუნკ ჰაიოც აშხარჰი“ თავის თავს „ერის ზნეობრივ განათ-
ლებისადმი“ მიძღვნილ უურნალს უწოდებდა. ის რ პოზიციაში ედგა „მეღუ“-ს და
არსებითად უფრო პროგრესიულ (იმავე ლევანიანის განმარტებით — „მოლიბერა-
ლი“) მიმართულებისა იყო.

3. ყოველთვიური უურნალი „სომხეთის სამყარო“ („ჰაიკანა აშხარჭან“), სტეპანეს რედაქტორობით, 250 ც. ტირაჟით და

4. ყოველკვირეული გაზეთი „ვაჭარი“ („ვაჭარა კან“), ტერალექსანდრიანცის რედაქტორობით, 450 ც. ტირაჟით და

5. ყოველთვიური უურნალი „გაზაფხული“ („გარუნი“), მღვდელი სტ. მანდენიანცის რედაქტორობით, 500 ც. ტირაჟით.

სხვა ზემოთ დასახელებულ ენებზე 1864—1866 წ. ტფილისში გამოდიოდა მხოლოდ წიგნები და ბროშურები; გამოვიდა:

წლები:	ე ნ ე ბ ი							
	გერმ.	ფრანგ.	ყაბარდ.	ოსურ.	აფხაზ.	სვან.	კუმუ.	სულ
1864	—	4	3	1	—	1	—	9
1865	1	1	—	—	1	—	—	3
1866	1	—	—	—	1	—	1	3
სულ	2	5	3	1	2	1	1	15 ²

ამრიგად, როგორც ვხედავთ, 1864—1866 წლებში ტფილისში გამოსულ ლიტერატურულ პროდუქციაში სახელწოდებათა და ტირაჟის რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსულ ენაზე გამოსულ პროდუქციას ეჭირა, მეორე—სომხურს³ და მესამე ქართულს.

რუსულ ენაზე ამ პერიოდში ტფილისში გამოსული წიგნებიდან და ბროშურებიდან საყურადღებოა: 1) გ. ყაზბეგის История грузинского grenadierского полка (1865 წ.); 2) Краткое систематическое исследование уголовного законодательства Вахтанга VI (1865г.); 3) პლ. იოსელიანის Род князей Челокаевых (1866 წ.); 4) ვისივე, Описание древностей г. Тифлиса (1866) და 5) Руководство к обучению русскому языку для детей грузин (1866 წ.)⁴.

¹ „ჰაიკანა აშხარჭან“ ოფიციალურად „ლიტერატურულ-პედაგოგიურ“ უურნალად იწოდებოდა. ის „კრუნქთან“ შედარებით უფრო ლიბერალური იყო.

² Сборн. ст. сведений о Кавказе, I, стр. 169.

³ დასახელებულ პერიოდის (1864—1866 წწ.) სომხურ პრესას ჩენებ გავეცანით სომხური წყაროებით არმენისტის დოც. ილ. აბულაძის დახმარებით, რისთვისაც მას უდრმეს მაღლობას მოვახსენებთ.

⁴ ვასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ წიგნებსა და ბროშურებს.



ქართულ ენაზე: 1864 წელს გამოვიდა „ლოცვანი ქართველ კანონების თოლიკეთათვის“; 1865 წელს: 1. დავით ყიფიანის თარგმანი უორქ ზანდის მოთხრობა „გრიბული“-ს და 2. „ძეველი აღთქმა“ მღვდ. ცამციევის თარგმანით; 1866 წელს: 1. „ბაქიების ხროვა“, კომედია ერთ მოქმედებად, 2. „მოთხრობა ძველ ადამიანებზე“, თარგმანი რუსულიდან, 3. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი და 4. ლოცვანი; 1867 წელს: 1. გ. ერისთავის თხუზულებანი 2 ნაწილად, 2. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გ. წერეთლის რედაქტორობით და 3. დავითინი¹.

დანარჩენ ენებზე: 1. გერმანულად — ა. მარიკის „ტფილისის ობსერვატორიის გუმბათის აღწერილობა“ (1866 წ.); 2. ოსურად — „ოსური ანბანი რუსული თარგმანით“ (1864 წ.); 3. სვანურად — „სვანური ანბანი ქართული და რუსული თარგმანით“ (1864 წ.); 4. აფხაზურად „აფხაზური ანბანი“ ი. ბარტოლომეის რედაქტორობით (1865 წ.) და „საღვთო ისტორია“ მისივე რედაქტორობით².

ადგილობრივად გამოსულ წიგნებისა და უურნალ-გაზეთების გარდა, ტფილის ამ პერიოდში მოსდიოდა რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებში, განსაკუთრებით მოსკოვსა და პეტერბურგში, გამოცემული ლიტერატურული პროდუქციაც, უმთავრესად პერიოდული გამოცემები. „სტატისტიკური კრებული“-ს ცნობების მიხედვით, ტფილისში მოდიოდა შემდეგი პერიოდული გამოცემები³:

1. Русский инвалид	80	ც.
2. Северная почта	6	„
3. Journal de St. Petersbourg	10	„
4. Биржевые ведомости	25	„
5. С.-Петербургские ведомости	37	„
6. Сын отечества	15	„
7. Московские ведомости	71	„
8. Голос	33	„
9. Весть	5	„
10. Немецкие ведомости	7	„
11. Народная газета	3	„
12. Сенатские ведомости	22	„
13. Морской вестник	2	„
14. Духовная беседа	2	„
15. Мирское слово	1	„
16. Домашняя беседа	1	„

¹ იქვე, გვ. 172; ვასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ წიგნებსა და ბროშურებს.

² იქვე, გვ. 172—173.

³ იქვე, გვ. 159; ეს ცნობები ეკუთვნის 1866 წელს.



17. Грамотей მოდიოდა	.	.	.	3	გ.
18. Иллюстрированная газета	.	.	.	23	"
19. Искра	"	.	.	26	"
20. Будильник	"	.	.	9	"
21. Воскресный досуг	"	.	.	20	"
22. Земледельческая газета	.	.	.	4	"
23. Отечественные записки	.	.	.	25	"
24. Русский вестник	"	.	.	52	"
25. Русский архив	"	.	.	3	"
26. Книжный вестник	"	.	.	13	"
27. Учитель	"	.	.	13	"
28. Дело и отдых	"	.	.	7	"
29. Семейные вечера	"	.	.	5	"
30. Библиотека лучших романистов	.	.	.	10	"
31. Собрание иностранных романов	.	.	.	24	"
32. Модный магазин	"	.	.	40	"
33. В а з а	"	.	.	15	"
34. Нувелист	"	.	.	4	"
35. Странник	"	.	.	3	"
36. Душеполезное чтение	.	.	.	2	"
37. Чтение для солдат	"	.	.	12	"
38. Русский ремесленник	.	.	.	5	"
39. Артиллерийский журнал	.	.	.	31	"
40. Военный сборник	"	.	.	11	"
41. Морской сборник	"	.	.	6	"

ს უ ლ . . 686 ეგზ.

მოყვანილ ციფრების მიხედვით, როგორც ვხედავთ, შემოტანილ რუსულ პერიოდულ გამოცემებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა ამ დროს ტფილისში „Русский инвалид“ (80 ეგზ.), და „Московские ведомости“ (71 ეგზ.), ხოლო ამათ შემდეგ კი — „Русский вестник“ (52 ეგზ.), „С. Петербургские ведомости“ (37 ეგზ.) და „Модный магазин“ (40 ეგზ.), რაც რამდენიმედ მაინც სათანადო გემოვნებისა და მიმართულების წრეების არსებობაზე მიუთითებს ამ დროს ტფილისში¹, თუმცა უნდა ითქვას, რომ უმეტესობა რუსეთიდან მიღებულ პერიოდულ გამოცემებისა მანინ ტფილის დაწესებულებებს ფაქტიურად სავალდებულო გამოწერის წესით მოსდიოდათ და ამდენად მათი რაოდენობა მკითხველთა გემოვნებისა და მიმართულების დასახასიათებლად არც კი გამოდგება არსებითად.

¹ 1865-იან წლებში ტფილისში მოდიოდა აგრძოვე უცხო (იტალიური, ფრანგული, ინგლისური და გერმანული) ერთდროული თუ პერიოდული გამოცემებიც (იხ. CCCK, стр. 160)



ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხები და გამოყენებულ შა-
სალებში მოცემული ცნობები, რათქმანდა, მთლიანად და სავსე-
ბით არ ამოსწურავენ ტფილისის მრავალფეროვან და რთულ ცხოვ-
რებას 1865-იან წლებში¹. მაგრამ ნათქვამის მხედვით, ამ მასალე-
ბის ჩვენებათა შემოწმებულ ცნობების შესაბამისად, შეიძლება გა-
მოითქვას ზოგიერთი საერთო მოსაზრება და გაკეთდეს წინასწარი
დასკვნები:

1. ტფილისის ისტორია ყოველ ცალკე პერიოდში და საერ-
თოდაც შეიძლება განხილულ და შესწავლილ იქნეს არა განცალკე-
ვებითა და იზოლირებულად, არამედ იმ სოციალ-ეკონომიურ, პო-
ლიტიკურ და კულტურულ პირობების გათვალისწინებით, რომლებ-
შიც ამ დროს საერთოდ საქართველო იმყოფებოდა. 1865-იან წლე-
ბის ტფილისიც, როგორც ჩვენი ქვეყნის მთავარი ცენტრი, თუმცა
მთელი საქართველოს ცხოვრების მეთაური და ტონის მიმცემი იყო²,
მაგრამ თავის მხრივ სავსებით და მთლიანად დამოკიდებული იყო იმ
მდგომარეობაზე, რომელიც დამყარდა საქართველოში XIX ს. პირ-
ველ ნახევრის სიგრძეზე მომხდარ ეკონომიურ და სოციალურ ცვლი-
ლებების შედევრად. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური
დაპყრობა, დაწყებული (სისტემატური სახით) XVIII ს. დასასრუ-
ლიცან, თუმცა გრძელდება მთელი XIX ს. განმავლობაში³, მაგრამ
1865-იან წლებისათვის ეს დაპყრობა ძირითადად უკვე უზრუნველ-
ყოფილია. ასე რომ ამ დროისათვის საქართველოს ეკონომიკა და მე-
ურნეობა, თავისი განვითარების ტენდენციებით, არსებითად
წარმოადგენს რუსეთის ეკონომიკისა და მეურნეობის განუყოფელ
ნაწილს: საქართველოს ეკონომიკისა და მეურნეობის განვითარება
(რათქმაუნდა, ადგილობრივი პირობების მიხედვით) ამ დროს წა-
რიმართება იმავე პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენითა და იმა-
ვე გზით, რომლითაც წარიმართება საერთოდ რუსეთის ეკონომიკი-
სა და მეურნეობის განვითარება, მაგრამ იმ განსხვავებით კი, რომ
აქ ეს განვითარება ქვეყნის კოლონიალურ ექსპლოატაციისა და ეროვ-
ნული ჩაგვრის არტახებშია მომჟყვდეული.

¹ დაწვრილებით ეს საკითხები გაშუქებულია ჩვენ მიერ 1865-იან წლების ტფილისისადმი მიღებინილ სპეციალურ მონიგრაფიაში რუსულ ენაზე („Тбилиси в 1865-ых годах“).

² რათქმაუნდა, რამდენად ეს შეიძლებოდა მეფის რუსეთის მიერ შექმნილ კოლონიალურ პირობებში.

³ საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური დაპყრობა, როგორც ვამბობდით, უფრო ადრე დამთავრდა, ვიდრე მისი ეკონომიკური და კულტურული დაპყრობა.

2. რუსეთი ამ დროისთვის, თუმცა ნატურალურ მეურნეობის
და ფეოდალურ-ბატონიუმურ ურთიერთობის ფორმებისაგან ჯერ-
დევ განთავისუფლებული არ არის, მაგრამ უკვე მტკიცე ფეხებით
დგას კაპიტალისტურ განვითარების გზაზე და, როგორც ცალქე ეკო-
ნომიური ერთეული, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერ-
თაშორისო ბაზარზედაც. რუსეთში ამ დროს ფართე და სწრაფი ნა-
ბიჯებით მიღის აღებ-მიცემობისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და სა-
წარმოო ძალების განვითარება: სავაჭრო და სამრეწველო კაპიტა-
ლის მნიშვნელოვანი ზრდა, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება, გზებისა
და მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება, ბანკებისა და კომერ-
ციულ დაწესებულებათა გაჩენა, ბაზრებისა და საქონლის ტრიალის
გაფართოება, ქალაქების განვითარება და სხვა მსგავსი ფაქტები და-
მახასიათებელ მოვლენებს წარმოადგენენ 1865-იან წლების რუსე-
თისათვის და ეჭვს არ სტოვებენ იმის შესახებ, რომ ამ დროისა-
თვის რუსეთმა ძირითადად უკვე თავი დაალწია ფეოდალურ-ბატონ-
იუმურ ბორკილებს და შესაფერი ადგილი დაიჭირა ბურჟუაზიულ-კა-
პიტალისტურ ცხოვრების სარჩიელზე.

3. საქართველო XIX ს. დასაწყისიდან და, მაშასადამე, 1865-იან
წლებშიც, ფეხდაფეხ მისდევს ამ ცხოვრებას: ისიც ებმება (ან უკეთ,
უკვე ჩაბმულია) კაპიტალისტურ განვითარების ფერხულში, ცდი-
ლობს აამოძრავოს თავისი საწარმოო ძალები, განავითაროს აღებ-
მიცემობა და ვაჭრობა-მრეწველობა; მაგრამ მეფის რუსეთის კოლო-
ნიალური პოლიტიკა ზღუდავს და საშუალებას არ აძლევს საქართ-
ველოს ფართედ გაშალოს თავისი პოტენციალური შემოქმედება და
უფრო სწრაფი ნაბიჯებით განვითარდეს. მეფის რუსეთის მთავრობა
არ არის დაინტერესებული საქართველოში, როგორც მის კოლო-
ნიაში, საწარმოო ძალები განავითაროს, ფაბრიკა-ქარხნები დაარსოს,
მიმოსვლის საშუალებები გააუმჯობესოს, ტექნიკა შემოიღოს. ეს ყველა-
ფერი მისთვის საჭიროა მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს ხელს შეუწ-
ყობს ქვეყნის გაყვლელასა და მის დაპყრობას. რუსეთი საქართველოს
უყურებს როგორც საკუთარ მრეწველობის პროდუქტთა გამსალე-
ბელ ბაზარს და ამ მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მიმწო-
დებელ ბაზას: საქართველოში რუსეთს შემოაქვს საკუთარ ფაბრიკა-
ქარხნების ნაწარმოები და საქართველოდან გააქვს ამ ფაბრიკა-ქარხ-
ნებისათვის საჭირო ნედლეული. მეორეს მხრივ, საქართველოს გზით
მეფის მთავრობას გააქვს რუსეთიდან დასავლეთ-აღმოსავლეთის ქვეყ-
ნებში და შემოაქვს ამ ქვეყნებიდან რუსეთში ის საქონელიც, რომლის
გასაღება და შეძენა დაკავშირებულია იგრეთვე საკუთარ მრეწველო-

ბისა და აღებ-მიცემობის განვითარებასთან. ასე რომ საქართველო
რუსეთისათვის წარმოადგეს არა მარტო რუსულ კაპიტალის ნაწილის
მოებთა გამსალებელ ბაზარსა და ამ წარმოებისათვის ნედლეულის
მიმწოდებელ ბაზას, არამედ მოხერხებულ სატრანზიტო გზასაც, რომ-
ლითაც მას გააქვს თავისი საქონელი მეზობელ ქვეყნებში, ან შემო-
აქვს ამ ქვეყნებიდან რუსულ მრეწველობისათვის საჭირო საქონელი.

4. ეს ოპერაციები საერთოდ და კერძოდ რუსეთ-საქართვე-
ლოს ურთიერთობასთან დაკავშირებული სავაჭრო ოპერაციები
1865-იან წლისათვის თუმცა საქმაოდ ფართო ხასიათს ატარებენ,
მაგრამ მაინც მთლიანად ვერ ამოსწურავენ იმ აღებ-მიცემობისა და
სავაჭრო ოპერაციების მოცულობას, რომელსაც საქართველო ამ დროს
აწარმოებს. საქმე ისაა, რომ თვით რუსული წარმოება და რუსული
მრეწველობა ამ დროს ჯერ კიდევ იმდენად განუვითარებელია და
მიმოსვლის საშუალებების მდგომარეობაც იმდენად დაბალ დონეზე
დგას, რომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს შემოტანილი საქონ-
ლით ადგილობრივი ბაზრის ყველა მოთხოვნილება და, რაც აგრეთ-
ვე მნიშვნელოვანია, მას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სხვა
ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ საქონელს. ამიტომ საქართ-
ველოში, რუსულ საქონელთან ერთად, ამ დროს ჯერ კიდევ ბლო-
მად შემოღის (და აქედანაც გადის) უცხო ქვეყნების ნაწარმოებიც:
საქართველოს საქმაოდ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს და-
სავლეთ ევროპის ქვეყნებთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც. შემ-
დეგში (განსაკუთრებით რკინისგზების გაყვანის შემდეგ), როგორც
ვიცით, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ ევროპას-
თან და აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც საგრძნობლად ეცემა და თით-
ქმის მთელი ბაზარი საქართველოში რუსულ კაპიტალის ხელში გა-
დაჭის, მაგრამ 1865-იან წლებში ამ ქვეყნებიდან შემოსულ საქო-
ნელს საქართველოს ბაზარზე მნიშვნელოვანი იდგილი უჭირავს. მეო-
რე მხრივ სწორედ ამავე მიზეზის გამო, ე. ი. იმის გამო, რომ რუ-
სეთის წარმოებას (სუსტი განვითარებისა და უგზოობის მიზეზით)
არ შეუძლია ყველა ადგილობრივი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს
შემოტანილი საქონლით, საქართველოშიც ჩნდება (ან რჩება) ადგი-
ლობრივი წარმოება, რომელიც უმთავრესად ქვეყნის შინაგან მოთ-
ხოვნილებას აქმაყოფილებს.

5. ეს წარმოება ორგვარია: ა) კაპიტალისტური (მანუფაქტურუ-
ლი, ან ნახევრად მანუფაქტურული) და ბ) შინამრეწველური (ხელოს-
ნურ-კუსტარული). შინამრეწველური წარმოების ისტორია საქართ-
ველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, შორეულ წარსულს ეკუთვ-

ნის და ის XIX საუკუნეს განდერძა წინასაუკუნეებიდან, ხოლო ვა-
პიტალისტური წარმოება საქართველოში ჩნდება უმთავრესად XIX ც-
მეორე მეოთხედიდან. ამ დროიდან კაპიტალისტურ წარმოებასა და
შინამრეწველურ წარმოებას შორის საქართველოში წარმოებს ბრძო-
ლა თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, მაგრამ უკვ 1865
წლებისთვის შინამრეწველობა ლიკვიდაციის გზას აღვება და
შემდეგში, 1880-იან წლებში, თითქმის მთლიანად აღვილს უთმობს
კაპიტალისტურ წარმოებას. ამ დროიდან ეს უკანასკნელი ქვეყნის
ერთად-ერთი მთავარი ფაქტორი ხდება და ის ამოძრავებს საქართ-
ველოს ეკონომიურ ცხოვრებას. შინამრეწველურ წარმოების ლიკვი-
დაციის საქართველოში, გარდა კაპიტალიზმის განვითარების ძლიე-
რი ტენდენციებისა, ხელს უწყობს თვით მთავრობაც, რომელიც და-
ინტერესებულია შინამრეწველობის მოსპობაში, არა მარტო იმ მო-
საზრებით, რომ ამით მეტი გასაქანი მისცეს რუსულ კაპიტალს ად-
გილობრივ ბაზარზე, არამედ იმიტომაც, რომ ის ვერ ითმენს ამ ში-
ნიმრეწველობას, როგორც ადგილობრივი თავისებურებებისა და ად-
გილობრივი ტრადიციების მატარებელ ინსტიტუტს.

* * *

6. კაპიტალისტურ წარმოებასა და კაპიტალისტურ ურთიერ-
თობას საქართველოში საძირკველი ეყრება უპირველესად ყოვლისა-
მის მთავარ ცენტრებში—ქალაქებში და მათ შორის პირველ რიგში
ტფილისში. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს პოლიტიკური და
ეკონომიური დაბყრობა ტფილისიდან იწყება: ტფილისა და ტფი-
ლისის ბაზებს ეუფლება ყველაზე აღრე რუსული კაპიტალი და აქ-
იყიდებს ფეხს ყველაზე აღრე კაპიტალისტური ვითარება; ტფილისი
არის ის პუნქტი, სადაც პირველად ჩნდება საქართველოში კაპიტა-
ლის მაგარი კერა და საიდანაც ეს კაპიტალი თავის კვირტებს შლის
ჩენი ქვეყნის ჯერ სხვა ქალაქებში, ხოლო შემდეგ—სოფლებშიც. კა-
პიტალიზაციის პროცესი ტფილისში თითქმის XIX ს. დასაშუალები-
დანვე ჩნდება და ამ კაპიტალიზაციის შედეგად მეურნეობის ორ სის-
ტემას (ფეოდალურ და კაპიტალისტურ სისტემას) შორის ბრძოლაც
ტფილისში ყველაზე აღრე იწყება. ეს ბრძოლა 1865-იან წლებისათ-
ვის ტფილისის პირობებში უკვე ისეთ ფაზაში შესული, რომ საკით-
ხი დგას არა მეტოქეობისა და შეჯიბრების შესახებ ამ ორ სისტე-
მას შორის, არამედ მეურნეობის ფეოდალურ სისტემის საბო-
ლოო ლიკვიდაციის შესახებ: წოდებრივ მდგომარეობაზე დამყა-
რებულ პრეროგატივებისა და მამულიანობაზე დაფუძნებულ პრივი-

ლეგიების ეკონომიური საფუძვლები იმდენად შერყეულია ამ  რომ ამ პრეტროგატივების მატარებელ სოციალურ ფენების უფროსობისა და მნიშვნელობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შედარებით უმნიშვნელოა.

7. 1865-იან წლების ტფილისის ცხოვრებაში მიწათმფლობელობასა და მამულიანობაზე დამყარებულ პრივილეგიურ წოდებას—თავად-აზნაურობას—როგორც ასეთს, როგორც ცალკე სოციალურ კატეგორიას, უკვე არა აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას მანამდე ჰქონდა, იმისათვის რომ ქალაქის ცხოვრებაში მან მონაწილეობა მიიღოს და იქ რაიმე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, ამ წოდების წარმომადგენელს, გარდა თავისი წოდებრივი უპირატესობისა, რომელსაც ჯერ კიდევ მნიშვნელობა საესებით არ დაუკარგავს, სჭირდება სხვა რამეც: პირადი ლირსება, პოლიტიკური შდგომარეობა, სამსახურებრივი მდგომარეობა და, რაც მთავარია, ქონებრივი მდგომარეობა: ის ქონების, კაბიტალის პატრონი უნდა იყოს და ახალ ვითარებაში ჩაბმული. 1866 წლის საქალაქო სამმართველოს დებულება, თუმცა ამომრჩეველთა შორის თავად-აზნაურობასაც ასახელებს, როგორც ცალკე ქატეგორიას (წოდებას), მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ არჩევნების უფლების მიღებისათვის, სხვებთან ერთად, თავად-აზნაურობასაც გარკვეული ქონება (კაბიტალი) უნდა მოეპოვოდეს ქალაქის ფარგლებში. ამ ქონების მოპოვების საიმედო და მთავარი წყარო კი ამ დროს უკვე აღებ-მიცემობა და ვაჭრობა-მრეწველობა არის.

8. მიწათმფლობელობასა და შთამომაცელობით-წოდებრივ პრივილეგიებზე დამყარებულ მდგომარეობის კრიზისთან ერთად, 1865-იან წლებისათვის ტფილისში კრიზისს განიცდის ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება: ეს უკანასკნელი ვერ უძლებს შემოტანილ და (ნაწილობრივ) ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოებ საქონლის კონკურენციას. ხელოსნობა და ხელსაქმობა გადაგვარებისა და გადაშენების გზაზე დგება; ხელოსნობა და მათ ორგანიზაციათა (ამქართა) რიცხვი სწრაფად კლებულობს. თუმცა ტფილისში ამ დროს ჯერ კიდევ 60-ზე მეტი ამქარი ითვლება, მაგრამ ჯერ ერთი—თვითეულ ამქარში გაერთიანებულ წევრთა რიცხვი შედარებით ნაკლებია იმაზე, რაც მანამდე იყო; მეორეც, ამქარებში ახლა გაერთიანებული არიან არა შარტო ხელოსნები, როგორც ეს მანამდე (უფრო მომტებულად) იყო, არამედ ზოგიერთი დარგების წვრილი ვაჭრებიც ამას გარდა, რაც მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია, 1865-იან წლებისათვის ამქარებს, როგორც ცალკე ორგანიზაციას, თუ ცალკე

სოციალურ ფენას, ცალკე ხმა არა აქვთ საქალაქო მმართველობაში
და ცალკე წარმომადგენელი არა ჰყავთ იქ, როგორც ეს აგრეთვა
მანამდე იყო. შეტევები ხელოსნობისა და შინამრეწველურ წარმოე-
ბის წინააღმდეგ, როგორც გამბობდით, თითქმის XIX ს. დასაწყისი-
ლან იწყება, მაგრამ 1865-იან წლებისათვის, ალებ-მიცემობისა და
ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების შედეგად, ეს შეტევები ტფი-
ლისის პირობებში უფრო შევავე და გადამწყვეტ ხასიათს იღებდნ.

9. 1865 წლის (ივლისის 28—30) „აჯანყება“, რომელშიც
მთავარ როლს ხელოსნები და მათი ორგანიზაციები — ამქრები თამა-
შობდნენ, არსებითად უკანასკნელი გაბრძოლება იყო გაძლიერებულ
კაპიტალისა და კაპიტალისტურ წარმოების იერიშების წინააღმდეგ,
შინამრეწველობის დასაცავად და ამ შინამრეწველობის წარმომადგე-
ნელ ფენების (წვრილი ბურუუაზის) წოდებრივ-ეკონომიკურ უფლებე-
ბის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო,
პირველის გამარჯვებითა და უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა.
ხელოსნებისა და ამქრების მიერ ამ ბრძოლაში გალებულ მსხვერპლს
პირუკუ შედეგი მოჰყვა: ამ აჯანყების შემდეგ, 1866 წელს დამუშა-
ვებულ საქალაქო მმართველობის ახალ დებულებების თანახმად, ამქ-
რებს ფორმალურად და ფაქტიურადაც, როგორც ვთქვით, თითქმის
სავსებით წაერთვათ უფლება ქალაქის სახოვადოებრივ-ეკონომიკურ
ცხოვრების მოწესრიგებელ ორგანოებში მონაწილეობა მიეღოთ.
ამიერიდან ქალაქს დაეპატრონა მესამე წოდება — საგაჭრო და სამ-
რეწველო ბურუუაზია. თუ წინანდელი (1865 წლამდელი) საქალაქო
მმართველობა არსებითად წოდებრივ პრინციპზე იყო დამყარებული
და ეს მმართველობა წოდებათა (თავად-აზნაურობა, ვაჭრები და ხე-
ლოსნები) სათათბიროს წარმოადგენდა (сословная дума-ს), 1865
წლიდან ქალაქის მმართველობა უმთავრესად ქონებრივ პრინციპზე
ეწყობა და ის არსებითად ვაჭართა სათათბიროს (купеческая дума-ს)
წარმოადგენს.

10. XIX ს. ტფილისის ისტორიაში გარდატეხის ეს მომენტი
საქმით სიცადით გამოხატა თავის სიტყვაში მეფის ნაცვლის, დიდ
მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის მიმართ, ამქართა „აჯანყების“ შემ-
დეგ, ახალ დებულების საფუძველზე, 1866 წელს, ქალაქის თავად არ-
ჩეულმა, ტფილისის მსხვილი ბურუუაზის წარმომადგენელმა არწრუ-
ნიმ. ის მუხლმოყრით უქვეშევრდომილებად მოახსენებს მეფის ნაც-
ვალს: „თქვენმა სულგრძელმა მზრუნველობამ უკვე მისცა ტფილის
მრავალი სიკეთე; დღეს თქვენ მას ანიჭებთ უფლებას თვით განაგოს
თავის საქმეები და ამით კი — შესაძლებლობას განავითაროს თავისი

ზნეობრივი, გონებრივი და მატერიალური ძალები; ხვალ, თქვენის
ბრძანებით, ტფილისს ექნება რკინისგზა შავს ზღვამდე; ზეგ ეს აიგვა
მივა კასპიის ზღვამდე, და თქვენ, ვითარცა უძლიერესი განვება, გა-
დააქცევთ ტფილისს იმ სავაჭრო ოქროს ჯაჭვის ცენტრალურ რეო-
ლად, რომელმაც უსწორესი და უმოკლესი ხაზით უნდა შეაერთოს
ტემზისა და სენას ნაპირები ინდისა და მალაბარის ნაპირებთან“—ო
(„Весь Кавказ“, 1903 წ., გვ. 57). ამ სიტყვაში ტფილისს მდგო-
მარეობა და მისი მომავალი მნიშვნელობა აღებ-მიცემობის განვითა-
რებისა და ვაჭრობა-მრეწველობის კუთრი წონის თვალსაზრისით
უეჭველად სწორადაა მოცემული. ამგვარ აზრის გამოთქმა შეიძლებო-
და და მართებულიც იყო იმ ქალაქის შესახებ, რომელიც უკვე ორა-
ვე ფეხით კაპიტალისტურ განვითარების გზაზე იდგა და რომლის
სადაცები უკვე ბურუუაზიას ეჭირა. სწორედ ასეთია ტფილისც
1865-იან წლებში.

11. საერთოდ 1865-იანი წლები ტფილისის ისტორიაში ძირი-
თადი გარდატეხების ხანის დასაწყისია. 1865-იანი წლებით იწყება
ტფილისის ისტორიაში ახალი (III) პერიოდი (1865—1883 წწ.)
რომელიც კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით დამახასია-
თებელი პერიოდია ჩვენში. ამ პერიოდში აღვილი აქვს ისეთ ცვლი-
ლებებს ტფილისა და საერთოდ საქართველოში (რეინისგზების გაყ-
ვანა, საგლეხო რეფორმის დასრულება, სასამართლო რეფორმების
გატარება, ტელეგრაფის ქსელის მოწყობა, საფოსტო გზების გაყვა-
ნა, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებების დაარსება, ბანკე-
ბის გახსნა, ტრანზიტისა და სატრანზიტო გზების განახლება, ქალა-
ქის მმართველობის რეორგანიზაცია და სხვა), რომელთაც ჩვენი ქვეყ-
ნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრების გარდაქმნის საქმეში გარ-
დამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. ამ ცვლილებებისათვის ნიადაგი შემ-
ზადებულია ისტორიული პროცესებისა და სოციალ-ეკონომიკურ მოვ-
ლენების მთელი მსვლელობით წინა პერიოდებში, მაგრამ მათი გა-
ტარება იწყება ამ პერიოდში და ძირითადად მთავრდება კიდევ ამ
პერიოდში. 1865-იანი წლები ტფილისის ისტორიაში უეჭველად ის
მთავარი საულელტეხილო მიჯნაა, რომლის იქით და აქეთ ძირითა-
დად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს: 1865-იან წლებამდე, თუმ-
ცა ტფილისი კაპიტალისტური განვითარების გზაზე უკვე შემდგარია,
მაგრამ ფეოდალურ-ბატონების ეკონომიკა და საერთოდ ფეოდა-
ლური ურთიერთობა აქ მნიშვნელოვანი კუთრი წონის მეონეა;
ხოლო 1865-იან წლების შემდეგ ეს ვითარება სწრაფად იცვლება და
თანდათანობით ადგილს უთმობს ახალს, კაპიტალისტურ ვითარებას.

¹ გლეხობის რიცხვი უმცველად გადამეტებულია (იხ. ზემორე); მასში შედიოდნენ ნაწილობრივ ვაჭრებიც და ხელოსნებიც.

გად, იზრდება და ყალიბდება ვაჭარ-შრეწველთა კლასი—ბურუჟაზინი და ჩნდება ახალი სოციალური კატეგორია მუშების სახით: ბურუჟაზინი ზია თავის რიგებს აქვებს ყველა ძველი ფენებიდან—თავად-აზნაურობიდან, გლეხებიდან და ხელოსნებიდანაც, ხოლო მუშათა რიცხვი იზრდება უმთავრესად გლეხობის პროლეტარიზაციის ხარჯზე.

13. 1865-იან წლებში ყველაზე უფრო ძლიერ ფენას რიცხობრივად გლეხობა წარმოადგენს, მაგრამ ქონების მიხედვით კი—პირველ რიგში უნდა დაყენებულ იქნეს ბურუჟაზია. ბურუჟაზიის ხელშია ქალაქის ქონების დიდი ნაწილი და, რაც მთავარია, მას ხელთ უცყრია ახალი ცხოვრების საჭე—აღებ-მიცემობა და ვაჭრობა-შრეწველობა; ვაჭარ-მრეწველთა წოდება სამ ფენად იყოფა: 1. მსხვილი ვაჭრები-კაპიტალისტები, 2. საშუალო ვაჭრები და 3. წვრილი ვაჭრები. თვითეულ ფენის რიცხვი ცალცალკე ზუსტად გამორკვეული არ არის, მაგრამ ოფიციალურ სტატისტიკიდან სჩანს, რომ ყველაზე მრავალრიცხვან ფენას წვრილი და საშუალო ვაჭრები შეადგენენ. მსხვილ ვაჭართა რიცხვი 1861 წელს ფიქსირებულ კაპიტალის (2.000.000-მდე) მეტატრონებთა და 1863 წელს გაცემულ პასპორტების რაოდენობის მიხედვით, შეიძლება ვივარიუდოთ 130-ზე მეტი. ეს კაპიტალისტები თავის მხრივ სამ კატეგორიად გაიყოფებიან: პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც გააჩნია კაპიტალი 100.000 მან. მეტი (300.000 მანეთამდე), მეორეს—ისინი, ვისაც 30.000-ზე მეტი (100.000-მდე) და მესამეს—ისინი, ვისაც 5.000-ზე მეტი (30.000-მდე).

14. ხელოსანთა რიცხვი, ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით, 1865 წელს ნაანგარიშეებია 5,524 (მეშლაპები—4, „მოდისტები“—57, მექანურები—91, მელაპები—9, მესაათეები—66, მეშპალერეები—16, მხურავები—13, მეტლეები—352, ამკინძავები—12, პარიმახერები—9, მეცურეები—136, ყასბები—110, მეკანფეტეები—26, მხეარჩები—101, თერძები—344, მექუდეები—176, მეჩქმეები—260, მებაშმაკეები—121, მენაბდეები—8, ქსოვილის მღებავები—93, დამღები-მეტყავეები—406, დურგლეები—81, ხუროები—273, მებურეები—155, კალატოზები—1065, მჭედლეები—439, მკალავები—103, თოქმაჩები—84, მღებავები—70, ოქრომჭედლეები—211, დალაქები—289,¹ მეთუთუნეები—149, საპნის მხარშავები—8, მექურჭლეები—87, მებაპიროსეები—70, მეუნაგირეები—30), მაგრამ მათი რიცხვი ნამდვილად ამაზე მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან სხვა წყაროების

¹ ჩვენი საბუთის მიხედვით—176.

მიხედვით ამ დროს 64 ამქარი ითვლებოდა ტფილისში და თითოეული ამქარი გარკვეული დარგის ხელოსნებს (ზოგჯერ წვრილ კატეგორიას რეგსაც) აერთებდა; აქ კი მხოლოდ 36 დარგია დასახელებული; თუმცა შეიძლება ვითიქროთ, რომ დანარჩენი ამქრები წვრილ გაჭრების გაერთიანებას წარმოადგენდნენ და ამდენად ჩვენთვის ამჟამად ინტერესს არც წარმოადგენენ. ხელოსნებიდან, როგორც ჩანს, ყველაზე მრავალრიცხვანი კალატოზები (1065), მჭედლები (439) და მცტავები-დაბლები (406) იყვნენ, რაც ამ დარგების ხელოსნობის უფრო განვითარებაზე მიუთითებს.

15. მუშათა კლასი 1865-იან წლებში შედარებით ერთობ მცირერიცხვანია. არსებითად ის ამ დროს მხოლოდ ჩნდება. მუშების რიცხვი ცალკე ცნობილი არ არის; მაგრამ ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვის მიხედვით შეიძლება დაქირავებულ მუშა ხელის რაოდენობა დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ. 1865-იან წლებში ტფილისში არსებობს: 20 ფაბრიკა, 189 ქარხანა, 17 ქარვასლა, 441 დუქანი, 96 სასადილო, 4 ტრაქტირი, 9 საკონდიტრო, 71 ღვინის საწყობი, 5 სასტუმრო. თითოეულ ფაბრიკა-ქარხანაში საშუალოდ ხუთი დაქირავებული მუშა, ხოლო თითოეულ სავაჭრო დაწესებულებაში ორი დაქირავებული მუშა (ან შეგირდი) რომ ვივარაუდოვ, ყველა ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებისათვის მუშების რიცხვი გამოვა $(209 \times 5 + 643 \times 2) = 2331$. ამას რომ ხელოსნებთან მომუშავე შევირდთა რიცხვი (დაახლოებით თითო საამქროში 10 კაცი— $64 \times 10 = 640$), თავად-აზნაურთა, დიდ მოხელეთა და მსხვილ კაპიტალისტთა ოჯახებში მომუშავე შინა-მოსამსახურეთა, თუ მოჯამაგირეთა რიცხვი (დაახლოებით 400-მდე) და დღიურ მომუშავეთა (თუ უმუშევართა) რიცხვი დაახლოებით (300-მდე) მიუმატოთ, საერთო რიცხვი მუშებისა 1865-იან წლებისათვის ტფილისში გამოვა 4.000-მდე (3.671).

